

აღსაშინებელი სამყარო აღეთვის, რომ ყოველი ადამიანი
თავისთვის მიიღოს თავისი ზედობა, ქაზის თუ ცუდობა.
თავისთვის მიიღოს მიქრომონადირეობა, სოციალიზმი. ზედობა, ვანდობა,
ზედობა, ღირსი ზედობა მთელი ეს „ამხნობა“ სიყვარული
ანახავს მხატვართა ერთ ქანობს ქანობს ქანობს.

ახლა ეს წინამორბედობა, სამდობადა უფრო
მოძინებელი უნდა იყოს უმეცობა, რომელიც მთელი
სამყაროში მსახიობობადაა აღიარებული. ზედობის ყველა
მდობადა რომ ქაზობა და უმეცობადა მიმართება, იგი
მთელი ზედობა წინამორბედობა წინაში მიმართება.
დასაწყობობა, რომ მსახიობობადაა აღიარებული და მსახიობობა
უნდა იყოს მისი! ეს ქანობადა ყველაფერს მართავს, რომ
მიმართება და რომ უმეცობადაა ზედობაში.

იყავ თავისთავადი

ISBN 978-9941-0-6813-3



9 789941 068133



გოდინილი უნივერსიტი
კილილი კონსტიტუციონალი

რაჲ ადამიანში არ არის,
იძას ვერსად ნახავ მის გარეთ.
ის, რაჲ ადამიანის გარეთ ჩანს,
მხოლოდ იმის ყბეში ასახვას,
რაჲ სინამდვილეში მასში იმყოფება

Bhagavan Sri sathya Sai Baba

Sathya Sai Vahini:

Spiritual message

of Sri Sathya Sai

PRASANTHI NILAYAM

Sri sathya Sai Books and Publikations Trust

ბჰაგავან შრი სატია საი ბაბა

იყავ თავისთავადი

ბედნიერი ცხოვრების
ვედური პრაქტიკები

მთარბმნელი და გამომცემელი
ვ.ნარიმანიძე

თბილისი

2014

ბუნებრივი სიბრმავე ეს კიდევ არაფერია. ჯოხი, გამძლოლი ან კეთილი ადამიანები დაგეხმარებიან სახლის პოვნაში. სულიერი სიბრმავე კი ნამდვილი უბედურებაა. იგი გვაიძულებს საუკუნეების განმავლობაში ვხეტიალობდეთ ერთი ფუნდუკიდან მეორისკენ, ტანჯვებში ვიცვლიდეთ სხეულებს და სახელდახელოდ ვიწყობდეთ დროებით თავშესაფარს. მაგრამ დადგება დრო, როდესაც ღამით არცერთი სინათლე არ განათდება და ვიწრო ბილიკი ჩიხში შეგვიყვანს, სადაც წყვდიადია გამეფებული და ჯოჯოხეთის საშინელებები გვესხმიან თავს. კვერთხის – ბრძენთა აღთქმისა და გამძლოლის ხელების, მასწავლებლის – გარეშე იქიდან გამოდწევა შეუძლებელია.

ეს ჭეშმარიტების მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამაგონებელი და გასაოცარი წიგნია. იმდენად გამსჭვალავი და ძლიერია მისი სიტყვები, იმდენად ხმამაღალია მისი მოწოდება, რომ პირდაპირ ფურცლის შუა ადგილიდან გინდება წამოხტე, გადააგდო წუთისოფლის ყველა საზრუნავი და გაიქცე იმ გზის დასაწყისისკენ, რომელიც ნათელ და საიმედო თავშესაფართან მიგიყვანს. გამძლოლი გვაფრთხილებს – ნუ აყოვნებ! შეგიძლია ამავე ცხოვრებაში მოასწრო, რომ შემდეგ თავიდან დაწყება არ მოგიხდეს. ყველა შანსი გაქვს მომწიფდე, აქ და ახლავე – სევდიან ბინდ-ბუნდში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ. ჩაეჭიდე გამოწვდილ ხელს, სიბრძნის კვერთხით შეამოწმე ნაბიჯები და შენი „მე“-ს შუქი გაბრწყინდება შიდა ხედვაში.

წინასიტყვაობა

სიბრძნისა და სინათლის ველი

როგორც ძლიერ შტორმში მოხვედრილი მსხვერველი ნავი, ადამიანი ვეებერთელა ტალღაზე აღის და მის აქაფებულ ქორსს აღწევს. მომდევნო წამს უფსკრულში მიექანება, რომ მაშინვე მაღლა აიჭრას. აფრენაც და დაშვებაც მის საკუთარ მოქმედებათა შედეგებია. ეს მოქმედებები ადამიანს ან სასახლეს უშენებს, ან ციხეს. მწუნარება თუ სინარული ექოა, ანარეკლია, უკუქმედება იმისი, რასაც თვითონ ადამიანი ასრულებს.

საი ბაბა

ძვირფასო მაძიებელო!

ბჰაგავანმა ჭეშმარიტების, სიკეთის, სილამაზის ღვთაებრივ მასწავლებლად გამოაცხადა თავი. მაგალითით და დარიგებით, თავისი წიგნებითა და სიტყვებით, წერილებითა და საუბრებით ადამიანებს უმაღლეს სიბრძნეს შთააგონებს და მთელ კაცობრიობას ასწავლის, როგორ აქციოს მან ეს სიბრძნე მართლქმედით ცხოვრებად, შინაგან სიმშვიდედ და ყველა მცხოვრების მიმართ სიყვარულად. მას შემდეგ, რაც ჟურნალ „სანატანა სარათჰიში“ (მარადიული მეეტლე) სრულად იქნა გამოქვეყნებული რამაკათჰა რასავაჰინი – რამას შეუდარებელი, მომხიბვლელი, ნამდვილი ისტორია, ბჰაგავანმა მკითხველები სტატიების ახალი სერიით დალოცა, რომლებსაც უწოდა ბჰარატიია პარამართჰა ვაჰინი – მოძღვრება ინდოეთის სულიერი ღირებულებების შესახებ.

როდესაც ძირითადი ჭეშმარიტებების (რომლებიც ინდურ კულტურას უხსოვარი დროიდან საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებდა და იცავდა) შესახებ უმაღლესი ღირებულების მქონე ამ სტატიებმა გამოქვეყნება დაიწყო, ბჰაგავანმა გადაწყვეტილება მიიღო არ შეეჩერებინა გონების განათებისა და დარიგების ნაკადი და მას ახალი დასახელება მისცა, უფრო ყოვლისმომცველი და მნიშვნელოვანი – სატია საი ვაჰინი*. ეს არის განგა, რომელიც ღვთაებრივის ტერფებიდან

* ვაჰინი – პირდ. ნაკადი, დინება.

მოედინება, ეს არის საის ღვთაებრივი წყალობის ნაკადი. ამ წიგნში შევიდა ორი *ვაჰინი* – ორი მდინარე, რომლებმაც დინებები გააერთიანა.

„სანატანა სარათჰიში“ ამ სერიის გამოქვეყნების დაწყების აღსანიშნავად ბჰაგავანმა დაწერა: „იმ მისწრაფებით აღძრული, რომ უთანხმოებების ცეცხლი ჩაეაქრო და საკუთარი თავის შესახებ ცოდნის წყურვილი მოგიკლათ, მე ამ სატია საი ვაჰინის გიგზავნით, ნაკადებს ერთი მეორის მიყოლებით, დაე „სანატანა სარათჰი“ შუამავალი ყოფილიყოს თქვენ და ჩემ შორის“.

ყოვლისმომცველი ნების ეს განხორციელება, რომელიც უსაზღვრო თანაგრძნობითაა აღვსილი, მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანს გულგატეხილობის, სასოწარკვეთილების, თავისი თავის მოყვარულობის, ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების ავადმყოფობისაგან კურნავს. იგი ამხნევებს იმას, ვინც წყვილადში დაეხეტება და თვალებს განზრახ ხუჭავს, რომ მათთვის სიყვარულის სინათლე ანთოს, რომ სიბრძნის სამყარო და შუქი იხილოს, რომელიც საშუალებას აძლევს საკუთარი თავი დაინახოს. ეს მაცდუნებელი მცდარი სამყარო, მისი მოჩვენებითი მრავალფეროვნება საცდურია. იგი ერთიანია, მაგრამ ადამიანთა დამახინჯებული მხედველობით მოჩანს როგორც „მრავალი“, - ამბობს ბჰაგავანი. ეს წიგნი ორი სინათლე, ორი ლამპარია ერთში, მან ჩვენთვის გამოიგონა იგი.

შრი კრიშნამ არჯუნა* გულგატეხილობის უბნელესი ღრუბლიდან გამოიყვანა, რომელშიც მან თავისი გონება შეაგდო, - სწორედ იმ მომენტში, როდესაც ვალი მოუწოდებდა ყოფილიყო თავისთავადი – სახელგანთქმული მეომარი, რომ კეთილი ძალების მხარეზე მამაცად გასულიყო საბრძოლველად იარაღის ძალის წინააღმდეგ. კრიშნამ მიაღწია არჯუნას განკურნებას, შეახსენა *ატმანის* – მისი ჭეშმარიტი უხრწნადი არსის – შესახებ, და იმის შესახებ, რომ სწორედ ის, კრიშნა, წარმოადგენს ამ *ატმანს*.

ბჰაგავანი ამბობს, რომ „ჩვენ ყველა ცბიერი გონების მახეში და ლოგიკური აზროვნების ხაფანგში ვებმებით.

* არჯუნა – ეპოს მაჰაბჰარატას გმირი, ძმები პანდავებიდან მეორე.

სულიერ ძიებაში წარმატების გასაღები (მაშ რისთვის იყო სიცოცხლე მოცემული, თუ ამ უმაღლეს ძიებას არ მიეძღვნა იგი?) ფილოსოფიური კვლევა და ზნეობრივი ზრდაა, რასაც *ატმანის*, მთელი არსებული ენერჯის და მთელი მოღვაწეობის წყაროს და ცენტრის, გაცნობიერებამდე მივყავართ“.

მაგრამ, ჩვენ, **მის** მიერ შექმნილნი, სასწაულთა შორის სასწაული ვართ. ბჰაგავანი ამბობს: „რაც ადამიანში არ არის, იმას მის გარეთაც ვერსად იპოვი. ის, რაც ადამიანის გარშემო ჩანს, მხოლოდ იმისი უხეში ანარეკლია, რაც სინამდვილეში მასში იმყოფება“. „*ატმანი* თავისუფალია. იგი სიწმინდეა. იგი მთლიანობაა. იგი უსაზღვროა. მისი ცენტრი სხეულშია, მაგრამ გარშემოწერილობა უსაზღვროს მიჯნებს მიღმა“. ადამიანს უმაღლესი გონიერება აქვს ბოძებული, რომელსაც უნარი აქვს *ატმანი* აღიაროს, მის მისაღწევად ძალისხმევა გამოიჩინოს და წარმატებას მიაღწიოს.

მაგრამ მხოლოდ ერთეულებშია ადამიანური საწყისი განვითარებული იმ დონემდე, რომ ცდილობენ გაიგონ, ვინ არიან ისინი, რისთვის გაჩნდნენ აქ და მათი გზა საითკენ მიდის. ჩვენ ამ ქვეყანაზე დავეხეტებით, დროებით სახელებს ვატარებთ, ხანმოკლე, მუდამ ცვალებადი სხეულებით ვიმოსებით. ამიტომ ბჰაგავანი მოგვიწოდებს: „ისმინეთ, უკვდავების შვილებო! ისმინეთ! ყურად იღეთ ბრძენთა გზავნილი, რომლებმაც იხილეს ყველაზე უფრო დიადი **არსება** – **პურუშოტამა**, ყველაზე მთავარი და ყველაზე პირველი, ის, ვინც ილუზიისა და ცდომილებების ზღვრებს მიღმა იმყოფება. ო ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელნო! ბუნებით თქვენშია ყველაფერი მოცული. თქვენ, ჭეშმარიტად, დედამიწაზე მოსიარულე თვით ღმერთი ხართ. მაშ უდიდესი ცოდვა არ არის საკუთარ თავს ცოდვილს უწოდებდეთ? როდესაც თქვენში ამ თვისებას აღიარებთ, თავს ირცხვენთ. წამოდექით! მოიცილეთ დამამცირებელი გრძნობა, რომ თითქოს ცხვრები ხართ. ნებას ნუ მისცემთ ამ იდეას ცდომილებაში შეგიყვანოთ. თქვენ *ატმანი* ხართ. *ამრიტას**, უკვდავი ჭეშმარიტების, სილამაზის, სიკეთის წვეთები ხართ. არ გაქვთ არც დასაწყისი,

* *ამრიტა* – უკვდავების ნექტარი.

არც დასასრული. ყოველი მატერიალური საგანი თქვენი მონაა, და არა პირიქით, როგორც ახლა თვლით“.

„თუ სიმართლესა და ზნეობას დაჟინებულად მიჰყვებით, სულისკვეთებას არ კარგავთ, თქვენში მთვლემარე ღვთაებრიობა გამოიღვიძებს და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლინდება, ცხოვრებას ჭეშმარიტი სიყვარულის სიხარულად აქცევს“. „გაიგეთ უმაღლესი რეალობა, მით ისუნთქეთ, მასში იცურეთ, მასში იცხოვრეთ, და მაშინ იგი მთლიანად თქვენად იქცევა, თქვენ კი მად იქცევით“. მატერიალური ობიექტი არ ასახავს „თავის თავს“ (*სვათჰა-პრაკაშა*). მისი გამოსახვა მთლიანად ინდივიდუალიზირებული *ატმანის* (*ჯივის*) ცოდნის სიღრმეზეა (*ჩიტ-შაქტი*) დამოკიდებული. ასეთი ობიექტების ფარდობითი სამყარო დამოკიდებულია *ჯივის* (სხეულში განხორციელებული *ატმანის*) ფარდობით ცნობიერებაზე.

ობიექტის შემდგომი გულმოდგინე გამოკვლევისა და სიმრავლის ჭეშმარიტი საფუძვლის გაცნობიერების დროს აღიარებული ხდება *ბრაჰმანის*, ანუ **ზესულის**, როგორც პირველადი არსის, ლოგიკური აუცილებლობა. თანდათან, გრძნობების დამორჩილებასთან, გონების გაწმენდასთან, კონცენტრაციასთან, შიდა სიმშვიდის მიღწევასთან ერთად ის, რაც ლოგიკურ აუცილებლობად მოჩანდა, გაწმენდილ ცნობიერებაში იქმნება როგორც **მოუშლელი უცვლელი უპიროვნო ნება** (*პრაჯნიანამ ბრაჰმანი*), რომლის გამჟღავნებასაც მთელი ეს სამყარო წარმოადგენს.

სატია საი ვაჰინი უკიდურესად ნათელი გამოსახვით ხსნის, რომ ადამიანის „მე“ სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის უმაღლესი „მე“. იგი ამბობს, რომ ეს სწორია არა მხოლოდ ადამიანის მიმართებაში, არამედ ყველაფრის მიმართებაშიც და ყოველთვის! ღმერთი ერთიანია, და მისი ნების მიზეზით ამ ერთიანობაზე კოსმოსის ილუზორული მრავალფეროვნება იქმნება. ჩამოყალიბების უკან **არსებობა** (ღმერთი) დგას, და ჩამოყალიბება **არსებობას** ერწყმის. ეს მარადიული თამაშია, ამბობს ბჰაგავანი.

ბჰაგავანი წერს: „განათლების საბოლოო მიზანი, დარიგების უმაღლესი დანიშნულებაა დაგვეხმაროს

საყოველთაო, უპიროვნო, ყველაფრისთვის დამახასიათებელი გავაცნობიეროთ“. სატია საი, მასწავლებელთა მასწავლებლის როლში, გვიჩვენებს, როგორ განვახორციელოთ სულის ეს მთავარი მოგზაურობა. ამ მომლოცველობის გზაზე დამდგარი მაძიებლებისთვის იგი კეთილმოწყალე მეგზური და მფარველი ხდება, რადგან იგი განხორციელება სწორედ იმ ნებისა, რომელმაც **თამაში** ჩაიფიქრა.

ბჰაგავანი *ვაჰინის* ველზე გვატარებს და აღვგძრავს იმისკენ, რომ წმინდანებითა და წინასწარმჭვრეტებით აღტაცებაში მოვიდეთ, ვაფასებდეთ და პატივს ვცემდეთ მათ, ვინც ეს გზა გაკვალეს, ზღვრები დააწესეს, პრაქტიკები და დისციპლინები შექმნეს, რომლებიც მოწოდებულნი არიან გზა გააიოლონ, ჭეშმარიტების გახსნის წამი მოახლოონ.

იგი წერს ვედებისა და უფრო გვიანდელი სულიერი ტექტების შესახებ, თაყვანისცემის ფორმების შესახებ, რომელთა მიმართ ერთგულებაც, გაუძლო რა მრავალი საუკუნის გამოცდებს, შენარჩუნდა... იგი წერს ყოფაქცევის წესების შესახებ, რომლებიც ადამიანური ცხოვრებისა და იმ ადამიანთა ოთხი სტადიისთვისაა მიწერილი, რომლებსაც დაბადებიდან აქვთ *გუნებიდან* (ბუნების თავდაპირველი თვისებებიდან) ერთ-ერთის - „ვერტიკალურად“ აღმართული *სატვის*, „ჰორიზონტალური“ მოუთვინიერებელი *რაჯასისა* და „დაბლა დამწვევი“ ჩამორჩენილი *ტამასის* - მკვეთრად გამოსახული ნიშნები*.

იგი განმარტავს *კარმის* (მოღვაწეობის) და მისი შედეგების როლს. „როგორც ძლიერ შტორმში მოხვედრილი მსხვრევადი ნავი, ადამიანი ვეებერთელა ტალღაზე ადის და მის აქაფებულ ქოჩორს აღწევს. მომდევნო წამს უფსკრულში მიექანება, რომ მაშინვე მადლა აიჭრას. აფრენაც და დაშვებაც მის საკუთარ მოქმედებათა შედეგებია. ეს მოქმედებები ადამიანს ან სასახლეს უშენებს, ან ციხეს. მწუხარება თუ სიხარული ექოა, ანარეკლია, უკუქმედებაა იმისი, რასაც თვითონ ადამიანი ასრულებს“.

* სამი *გუნა*, ანუ მატერიის (ბუნების) თვისებები - *სატვა* (სიწმინდე, ჰარმონია, სიმშვიდე); *რაჯასი* (აქტიურობა, ვნებიანობა, გატაცება); *ტამასი* (ინერტულობა, ჩამორჩენილობა, უძრობა).

განსხეულებულ არსებას (ჯივის) შეუძლია ორივე უკიდურესობას გაექცეს, თუკი ისწავლის იყოს უბრალოდ მოწმე, არ ჩაებას იმ მოქმედებებში, რომელთა შესრულებაც მას უხდება. ბჰაგავანი განსაზღვრავს *იოგას* როგორც შეერთების პროცესს *ჯივატმისა* და *პარამატმისა*, „მე“-სი ადამიანში და უმაღლესი „მე“-სი. იგი დაწვრილებით ხსნის ამ შეერთების ხერხებს – ერთგული სიყვარულის (*ბჰაქთი-იოგას*), უანგარო მოქმედების (*კარმა-იოგას*), გონებაზე ძალაუფლების შექენის (*რაჯა-იოგას*), ცნობიერების ამაღლების (*ჯნიანა-იოგას*) გზებს.

მაშ ასე, სატია საი ვაჰინი ეს არის გიტა*, რომელიც მოგვცა პიროვნებამ, მარადიულმა მეეტლემ (სანატანა სარათჰიმ), ვინც სიხარულითა და მზადყოფნით აიღებს ხელში ჩვენი გრძნობების, გონების, ცნობიერების, პირადი „მე“-ს, ინტელექტის სადავეს და მშვიდობიანად მიგვიყვანს პრაშანტი ნილაიამში, უმაღლესი სიმშვიდის სავანეში, იქ, საითკენაც მთელი კაცობრიობა ისწრაფის.

დაე მისი სიყვარულითა და წყალობით ვიყოთ ჩვენ ყველა კურთხეულნი.

ნ. კასტური

* გიტა, ბჰაგავად გიტა – დვთაებრივი გალობა, ინდუიზმის დიადი კანონიკური ტექსტი კრიშნას (დვთაებრივი მასწავლებლის) და არჯუნას (ერთგული მოსწავლის) დიალოგის ფორმით, ეპოს „მაჰაბჰარატას“ ნაწილი.

უმაღლესი რეალობა

სასიცოცხლო პროცესის აზრი და დანიშნულება უმაღლესის მიღწევაა. უმაღლესში *ატმანი* იგულისხმება. ბჰარატის კულტურაში აღზრდილებმა – ბჰარატელებმა – იციან, რომ *ატმანი* ყველგანაა. მაგრამ თუ ჰკითხავთ, საიდან იციან, ერთნი გიპასუხებენ, რომ ვედებიდან ისწავლეს, სხვები კი ძველი ბრძენების გამოცდილებას ეყრდნობიან როგორც უდავო მტკიცებას. ყოველი ადამიანი ინტელექტის სიმახვილისა და განვითარების დონის შესაბამისად აყალიბებს თავის რწმენას და მის მართებულობას ამტკიცებს.

მრავალ დიდ ადამიანს ყველგან მყოფი *ატმანის* აღმოჩენისკენ ჰქონდა გონება გამიზნული და ამაში დიდი წარმატება მიუღწევია – ღვთაებრივი საწყისის ხილვამდე მისულა. ამ *მაჰატმებმა* იციან, რომ ბჰარატის მქადაგებლები, ღვთისმეტყველები, სულიერი მადიებლები და მოღვაწეები, რომლებიც გულწრფელად ცდილობდნენ დასახული მიზნებისთვის მიეღწიათ, წარმატებას აღწევდნენ ამაში. მიუხედავად ამისა, მილიონობით ადამიანებიდან ერთეულებს ხვდათ წილად დიადი *ატმანის* ხილვა.

ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანია აღჭურვილი ასეთი მაღალგანვითარებული გონებითა და ამოცნობის უნარით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს *ატმანი* დაინახოს. ამ მიზეზის გამო გამოაცხადეს ადამიანი ქმნილების გვირგვინად, და ამიტომ ამტკიცებენ შასტრები (წერილები), რომ ადამიანად დაბადება უდიდესი წარმატების უიშვიათესი შანსი და ნიშანია. ადამიანს გააჩნია თვისებები, რომლებიც ქმნილების საფუძველთა ძიებისთვისაა აუცილებელი: მას აქვს მისწრაფებაც და უნარიც. იგი შექმნილ სამყაროს იმისათვის იყენებს, რომ სიმშვიდით ბედნიერებითა და უსაფრთხოებით უზრუნველყოს თავი. ამას თვით ვედები იწონებენ.

ვედები მილიონობით ადამიანისთვის რწმენის უდავო წყაროა. ვედები თვით ღმერთის სიტყვებია. ინდუისტები თვლიან, რომ ვედებს დასაწყისი (გაჩენისა) არ ჰქონია და ამიტომ არც ბოლო (გაქრობა) ექნება. ეს ნიშნავს, რომ

ადამიანს ღმერთი ელაპარაკება. ვედები წიგნები არ არის, რომლებიც ვინმე ავტორმა დაწერა. ეს არის გამოცხადებები უმაღლესი მიზნის მიღწევის ხერხების შესახებ, რომლებიც ღმერთმა მრავალი განსხვავებული სფეროს გარდმოავლინა. ვედები მანამდე არსებობდა, სანამ ისინი გაცნობიერებულ იქნა როგორც **ნამდვილი გზა**. ისინი ასეთივე უტყუარი დარჩება, ადამიანმა რომ დაივიწყოს კიდევ ამ გზის შესახებ. ვედები დროის რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთში არ წარმოქმნილა, და არ დადგება ის დრო, როდესაც ისინი ამოიშლება ან გადაიყრება. *დჰარმა**, რომლის გაგებაც შესაძლებლობას გვაძლევს ვედები მივიღოთ, არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული, რადგან უმაღლეს მიზანთანაა უშუალოდ დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, ზოგიერთები შემოგვედავებიან, რომ თუ დავუშვებთ კიდევ, რომ უმაღლეს მიზანთან დაკავშირებულ *დჰარმას* დასასრული არ გააჩნია, მას აუცილებლად დასაწყისი უნდა ჰქონდეს. ვედები აცხადებენ, რომ შექმნა-განადგურების ციკლს არც საწყისი წერტილი აქვს, არც ბოლო. ეს უწყვეტი ბრუნვაა. კოსმოსური ენერჯის რაოდენობა ცვლილებას არ განიცდის, იგი არც მატულობს, არც კლებულობს, მუდამ ერთნაირია, მუდამ თავის თავშია გამყარებული. შექმნილი და შემქმნელი ორი პარალელური წრფეა, მათი საწყისი უცნობია, მათი ბოლო მიუწვდომელია. ისინი ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით მოძრაობენ მარად, ყოველთვის. მართალია, ღმერთი მუდამ მოქმედებაშია, მაგრამ მისი ნება და ამ ნების უკან მდგარი ძალა ადამიანის გონებისგან დაფარული რჩება.

ბჰარატელების (ინდური კულტურის მემკვიდრეების) თანახმად, უზენაესი თვით უსაზღვროებაა. იგი უმაღლეს სფეროებამდე აღის და თავისუფლად გადაადგილდება მათს სივრცეებში. ეს ისტორიის დასაწყისამდე კარგა ხნით ადრე იყო გაცხადებული ნათელ ფორმაში. უზენაესის იდეის

* *დჰარმა* – რელიგია; ვალი; ტვითი; საფუძველი; კანონი; ჭეშმარიტების, ზნეობრიობის, სამართლიანობის საზომი; სოციალური ჰარმონიის კანონი; არსებების და საგნების ჭეშმარიტი დანიშნულება; ინდუისტურ ტრადიციაში - ადამიანის ვალდებულებები საზოგადოებაში მისი მდგომარეობის შესაბამისად, საზოგადოებრივი, ოჯახური და რელიგიური ვალდებულებების ერთობლიობა, რომლებიც ადამიანის საჭირო ქცევებს განსაზღვრავს; ითვლება მსოფლწესრიგის დაცვის მთავარ საფუძვლად; ვიწრო გაგებით – მართლქმედითი ცხოვრება, მართლქმედება, სამართლიანობა. ვედურ მითოლოგიაში – სამართლიანობისა და კანონის ღმერთის სახელი.

შესწავლას, ამ იდეის ქადაგებას ადამიანის ისტორიის განმავლობაში სერიოზული დაცემის პერიოდები ჰქონდა. მაგრამ ამ იდეამ ეს პერიოდები წარმატებით გადაიტანა და იგი დღემდე საჭირობოროტო და აქტუალურია. ეს ძველი გამოცხადების შინაგან ძალაზე მიუთითებს.

ინდუიზმი, ქრისტიანობა, ზოროასტრიზმი ცდილობდნენ თავის დოქტრინებში (უმაღლესი მიზნის შესახებ) ბჰარატის კონცეფცია შეეტანათ, შეეთვისებინათ და თავისი რელიგიის განუყოფელ ნაწილად ექციათ. მაგრამ ამ კონცეფციამ „უცხოქვეყნელის“ სტატუსი არ მიიღო თავის საკუთარ „სამშობლოში“, პირიქით, მან ნათელი გახადა თვით ამ რელიგიებისთვის აბსოლუტურის შესახებ მათი წარმოდგენა და ყველა თვალსაზრისის ერთიანობას გაუსვა ხაზი. იგი ამ ერთიანობისა და განსხვავებების არარსებობის საფუძველზე კეთილმოსურნეობას ამტკიცებდა.

უმაღლესი მიზნის შესახებ ცოდნის ნაკადი, რომელიც წმინდანმა ბრძენებმა გახსნეს, წინ მიისწრაფოდა და სხვა სარწმუნოებების დოქტრინებს „ტბებივით“ უკან იტოვებდა.

თვით ინდოეთში ერთი მთავარი სარწმუნოებიდან მრავალი სექტა წამოიზარდა სოკოებივით. ისინი ცდილობდნენ ძირშივე გაენადგურებინათ ინდუიზმის ძირითადი იდეა რეალობის, უზენაესის შესახებ ან უდიდესი ზიანი მიეყენებინათ მისთვის. მაგრამ როგორც საშინელი მიწისძვრის შემდეგ ოკეანის წყლები უკან იხევს მხოლოდ იმისთვის, რომ დაბრუნდეს და ათასჯერ უფრო მეტი გააფთრებით დაატყდეს თავს ნაპირს, რომელიც თითქოსდა მიატოვა, ასევე ბჰარატის სიბრძნის ნაკადი თავდაპირველ სიძლიერეს იძენდა და ისტორიის კატასტროფებსა და შფოთვებზე მაღლა იწევდა. როდესაც ქარიშხლები წყნარდებოდა, ეს ნაკადი იზიდავდა სხვადასხვა სექტებს, რომლებიც ადამიანთა გონებებს აბნევდა, და მის უსაზღვრო ფორმას ერწყმოდა. ბჰარატელთა *ატმანის* იდეა ყოვლისმომცველი, ყოვლისშემძლეა, იგი ყველაფერს არკვევს და ხსნის.

ღმერთის ნამდვილი თაყვანისცემა *ატმანის* არსის რწმენის განვითარება და მისი გულწრფელი სიყვარულია. *ატმანი* ადამიანის ერთადერთი **შეყვარებულია**. შეიგრძნეთ, რომ არ არსებობს *ატმანზე* უფრო მიმზიდველი რამ – არც ამ, არც

სხვა სამყაროში; სხვა ამაზე უკეთეს თაყვანისცემას ადამიანი ვერ შესთავაზებს ღმერთს. სწორედ ამას ასწავლიან ვედები. ვედები არ გაიძულებენ დამაშინებელი მკაცრი წესებისა და შეზღუდვების კრებული მიიღოთ. ვედებს ადამიანი მიზეზისა და შედეგის ციხეში არ მიჰყავთ.

ისინი გვასწავლიან, რომ არის **ის**, ვინც მთელ ამ წესებსა და შეზღუდვებზე მაღლაა, **ის ერთიანი**, ვინც იღუმალი არსია ყოველი ობიექტისა, ენერჯის ყოველი ერთეულისა, ყოველი ატომისა და მისი ნაწილაკისა. და მხოლოდ **მისი** ბრძანებით მოქმედებს ბუნების ხუთი ელემენტი – ეთერი, ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა. გიყვარდეთ **იგი**, თაყვანი ეცით **მას** – ამბობენ ვედები. ასე ხსნიან ვედები სიყვარულის დიდ ფილოსოფიას.

მთავარი საიდუმლო იმაშია, რომ ადამიანმა იმ სამყაროში უნდა იცხოვროს, სადაც იგი დაბადებულია, როგორც ლოტოსის ფოთოლი, რომელიც წყალში გაიზარდა, მაგრამ მის ზედაპირზე დაცურავს და არ სველდება. რა თქმა უნდა, ეს საქებარია – გიყვარდეს ღმერთი და თაყვანს სცემდე მას იმისათვის, რომ ჯილდო მიიღო ამ, ან სხვა სამყაროში; მაგრამ რამდენადაც არ არსებობს ღმერთზე უფრო მეტად ღირებული ჯილდო ან ნაყოფი, ვედები მოგვიწოდებენ ღმერთი ისე გიყვარდეს, რომ გონებას **არავითარი** სურვილი არ ეხებოდეს. გიყვარდეთ, რადგან თქვენ თვით სიყვარულის გამო უნდა გიყვარდეთ; გიყვარდეთ ღმერთი, რადგან რაც არ უნდა მოგცეთ მან, ეს უფრო ნაკლებია, ვიდრე თვით **იგი**. მხოლოდ **ის** ერთი გიყვარდეთ, ყოველი სურვილისა და მოთხოვნის გარეშე.

ამაში მდგომარეობს ბჰარატული კულტურის უმაღლესი ცოდნა. დჰარმარაჯა, მაჰაბჰარატას გმირი, ძმები-პანდავებიდან უფროსი, ასეთი მოყვარულის იდეალური მაგალითია. მან უზარმაზარი სამეფო დაკარგა „ზღვიდან ზღვამდე“, რომელიც მტრებთან წააგო, და იძულებული იყო გამოქვაბულებში ეცხოვრა, ჰიმალაებში, თავის მეუღლე დრაუპადისთან ერთად. ეს უკანასკნელი მწუხარებით იყო მოცული, და ერთხელ მან დჰარმარაჯას ჰკითხა: „ჩემო ბატონო! დარწმუნებული ვარ, რომ შენ პირველი ხარ იმ ადამიანებს შორის, ვინც *დჰარმას* განუხრელად მიჰყვება. მაშ რატომ მოხდა ასეთი უბედურება?“

დჰარმარაჯამ უპასუხა: „დრაუპადი! ასე ძლიერ ნუ წუხხარ! შეხედე ამ მთებს. რა სილამაზეა, რა ძლიერებაა, რა დიდებულებაა! რა საოცრად ლამაზია ჰიმალაები! ბუნების ეს სასწაული იმდენად მშვენიერია, რომ მის მიმართ უსაზღვრო სიყვარულით ვარ მოცული. მთები არაფერს მაჩუქებს, უბრალოდ ჩემთვის ბუნებრივია მიყვარდეს ყოველივე მშვენიერი და მაღალი. ამიტომ აქ, როგორც ყველგან, სიყვარულით ვცხოვრობ. ღმერთი ამ სრულყოფილი სილამაზის ფორმაში გამჟღავნდა, და ამაშია ღმერთის სიყვარულის აზრი და იდუმალი არსი.

ღმერთი ერთადერთი არსია, რომელიც სიყვარულის ღირსია. ეს არის გააკვეთილი, რომელიც ბჰარატელებმა საუკუნეების განმავლობაში ჭეშმარიტების ძეხვის დროს შეითვისეს. და სწორედ ამისთვის მიყვარს ის. არ დავიწყებ მისგან მფარველობის თხოვნას. არავითარ წყალობას არ მოვთხოვ. იმ ადგილას ვიქნები, სადაც მისი ნება იქნება. ჩემი სიყვარულისთვის უმაღლესი ჯილდო მისი ჩემდამი სიყვარულია, დრაუპადი. ჩემი სიყვარული საქონელი არ არის ბაზარზე!“ დჰარმარაჯას ესმოდა, რომ სიყვარული ღვთაებრივი თვისებაა და სათანადო მოპყრობას საჭიროებს. იგი დრაუპადის უხსნიდა, რომ სიყვარული ბუნებრივია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც *ატმანის* გაცნობიერებაში იმყოფებიან.

სიყვარული, რომლის წყაროც *ატმანია*, წმინდა და ამაღლებულია. მაგრამ რამდენადაც ადამიანს სხვადასხვა სასიყვარულო გრძნობების მიმართ აქვს მიდრეკილება, რომლებიც ჭეშმარიტი სიყვარულის ნიღაბს ატარებს, იგი თავს თვლის *ჯივად* – სხვებისგან განკერძოებულ და განუმეორებელ პიროვნებად, და საკუთარ თავს ღვთაებრივი სიყვარულის სისავესა და სიფართოვეს უკარგავს. ამ მიზეზის გამო ადამიანი ღმერთის წყალობისთვის უნდა იბრძოდეს. როდესაც *ჯივი* – განსხეულებული არსება – ამ წყალობას იძენს, სხეულთან გაიგივებას წყვეტს. და ადამიანი უკვე თავს მხოლოდ *ატმანთან* აიგივებს.

ამ მიღწევას ვედები უწოდებენ „ბორკილებისგან დახსნას“, ანუ დამოკიდებულებისგან (*ბანდჰავიხედანა*) დახსნას. მისი სხვა დასახელებაა *მოკშა* (განთავისუფლება). სხეულთან

გაიგივების მიდრეკილებასთან ბრძოლისთვის, ღმერთის წყალობის, როგორც ერთადერთი ძლევამოსილი იარაღის, მოპოვებისთვის გამომუშავებულ იქნა სულიერი ძიების სისტემა – გრძნობების მართვის ხერხები (*ღამა*), „თაყვანისცემის ექვსი გზის“ პრაქტიკა (*სადჰანა*) და სხვა დიციპლინები.

ეს საქმიანობები ცნობიერების გაწმენდას უზრუნველყოფს, და ცნობიერება ბოლოს და ბოლოს სუფთა სარკის მსგავსი გახდება, რომელიც ობიექტს მკვეთრად ასახავს: *ატმანი* გარკვევით გამოჩნდება. ცნობიერების გაწმენდის პროცესი (*ჩიტაშუდჰი*) მეფური გზაა უმაღლესი სიბრძნის (*ჯნიანასიდჰი*) მიღწევისაკენ. თუ გული სუფთაა, სიბრძნესთან მისვლა იოლია. ეს მთავარი ჭეშმარიტებაა „ინდური“ გზისა, რომელსაც ყოფიერების პირველსაწყისთან მიჰყავს ადამიანი. და ეს მოძღვრების სასიცოცხლო სუნთქვაა.

სულიერი სწავლებისადმი ბჰარატული მიდგომა არის ის, რომ დისკუსიებში დრო არ დაიკარგოს და დოგმებში რწმენა არ გამყარდეს. ბჰარატელები კმაყოფილებას ვერ ხედავენ ოკეანის ტალღის მიერ ნაპირზე გამორიყული ცარიელი ნიჟარების მზერაში. ისინი ოცნებობენ მოიპოვონ მარგალიტები, რომლებიც სიღრმეებში, ზღვის ფსკერზეა დაფარული. ამ სიღრმეებში ისინი სიამოვნებით ყვინთავენ და მარგალიტებს შეუპოვრად ეძებენ. ვედებში პოულობენ იმ იდეალს, რომლისკენაც სწრაფვაა საჭირო, და გზებს, რომლებსაც მიზნის განხორციელებასთან მიჰყავს. იდეალი გაცნობიერებაა უმაღლესი ჭეშმარიტებისა, რომელიც გრძნობათა ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი ცოდნის ზღვრებს მიღმაა. ვედები ადამიანს ახსენებენ, რომ არამატერიალური *ატმანი* იმყოფება მასში - „მატერიალურში“, რომ ჭეშმარიტების განხორციელება არის უმაღლესი *ატმანი*, *პარამატმანი*. მხოლოდ ის ერთია რეალური და უცვლელი; ყოველივე დანარჩენი დროებითი, ეფემერულია. ვედებმა ფორმა მხოლოდ იმისთვის შეიძინა, რომ ღმერთის დემონსტრირება მოეხდინა და მისი არსებობისთვის გაესვა ხაზი. ინდოეთის „მიღწეული პიროვნებები“ (*სუდჰაპურუშები* – რომლებმაც სულიერი პრაქტიკის საბოლოო მიზანს მიაღწიეს) ვედურ გზას მიჰყვებოდნენ და გამოკვლევებს ვედების სწავლების თანახმად

ატარებდნენ. შასტრები შეიცავს მათი გამოცდილებისა და მათზე გარდმოვლენილი ნეტარების ნამდვილ მოწმობებს. შასტრებისა და უპანიშადების სიტყვებით ეს „მიღწეული პიროვნებები“ ამტკიცებენ: „ჩვენ ატმანი გავაცნობიერეთ“. ინდუისტები მიზნად არ ისახავენ რომელიმე დოგმას ან თეორიას დაუპირისპირდნენ და მათზე გამარჯვება მოიპოვეს. მათი მიზანია ეს დოგმა ან თეორია შეამოწმონ პრაქტიკაში, რეალურ ცხოვრებაში. მათი მიზანი უბრალოდ ბრმა რწმენა კი არ არის, არამედ მაღალი დონის მიღწევა, სიბრძნის შექმნა. ბჰარატელების ცხოვრებისეული ამოცანა *სადჰანის* დახმარებით სრულყოფილებასთან მისვლაა, რომელიც საკუთარი ღვთაებრიობის გაცნობიერებიდანაა წარმოქმნილი. ღვთაებრიობასთან შერწყმა **სისავსის** მიღწევაა. ინდუისტისთვის, ბჰარატელისთვის, ეს ყველაზე მთავარი გამარჯვებაა.

თავი 2

სიმაართლიდან სიმაართლედე

ბევრს გაუჩნდება კითხვები, ბევრს გაუჩნდება ეჭვები იმის შესახებ, რა მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი იმის შემდეგ, როცა მან თავისი დანიშნულება განახორციელა და ცნობიერების სისრულეს მიაღწია. პასუხი ასეთია: მისი ცხოვრება უბადლო ნეტარებით იქნება გაჯერებული, და თავის აზრებში, ემოციებში და შემეცნებებში ყველასთან ერთიანობას შეიგრძნობს. იგი ექსტაზში იმყოფება, ერთადერთ ღვთაებრივ პრინციპშია ჩაძირული, რადგან მხოლოდ ამას შეუძლია ცხოვრებაში ბედნიერების მოცემა. ეს არის ნამდვილი ბედნიერება, სხვა არ არსებობს.

ღმერთი მარადიული, უცვლელი, სრული ბედნიერების განხორციელებაა. ვინც ბჰარატის კულტურას თანაუგრძნობს, რომელ სექტას ან რწმენასაც არ უნდა აღიარებდეს თავის საყვარელ თავშესაფრად, იგი ეთანხმება აქსიომას: „ღმერთი სიხარულის უმაღლესი წყაროა“. და იგი ამ აქსიომას (*მათჰა*)

თვლის ყველაზე უფრო საყვარლად და სასიამოვნოდ (აბჰიმათჰა).

სისრულე ნიშნავს მთლიანობას. მთლიანობა გულისხმობს **ერთს**, და არა ორს და არა სამს. იქ განკერძოებულობისთვის, პირადი „მე“-სთვის არ არის ადგილი. მრავალს შეიძლება ეჭვები დებადოს: როცა ინდივიდუალიზებული *ატმანი* (*ჯივატმანი*, ანუ *ჯივი*) - განმარტოებული, კერძო „მე“, სავსე და მთლიანი ხდება, მისთვის უკვე შეუძლებელია ობიექტების სამყაროს ცნობიერებას დაუბრუნდეს.

მაგრამ ეს არასწორი აზროვნებაა. როდესაც ინდივიდუალიზებული *ატმანი* (*ჯივი*) *სამასთჰის* (მთლიანის) სისრულეში მყარდება, მას განსხვავებების შესახებ ყველა გაგება უქრება, იგი მუდამ საყოველთაო ერთიანობის ცნობიერებაში, ერთიანის, მრავლად გამჟღავნებულის ცნობიერებაში იმყოფება. ამ მდგომარეობაში აცნობიერებს, რომ ყოველი ადამიანის არსი ყველას არსია და რომ ეს არსი, ანუ რეალობა ერთიანი განუყოფელი *ატმანია*. მას არა აქვს ინდივიდუუმებს შორის განსხვავების ცნობიერება.

ღვთაებრივი, რომელიც მან იცის როგორც ყოველი საგნის და ყოველი არსების შინაგანი არსი, ახლა მის მიერ გაცნობიერებულია როგორც ღვთაებრივი, რომელიც თვითონაა, და ამიტომ, როგორც არასდროს, ახლა ნეტარების (*ანანდის*) სისრულეს განიცდის. როგორ უნდა გრძნობდეს იგი ამ შემთხვევაში განკერძოებას, განცალკევებას? რა თქმა უნდა, ვერ იგრძნობს. ამ *ანანდის* სხივები ყველა მხარეს ანათებს. ბრძენებმა და დიდმა წმინდანებმა ეს ნეტარება შეიცნეს. მათ უბრალო და გასაგები ენის გამოყენებით ეს განცდა ადამიანებს გაუზიარეს. მთვარე ხელმიუწვდომელია, მაგრამ შეიძლება თითოთ ვაჩვენოთ ადგილი, სადაც ის ჩანს. ასევე ბრძენებმაც გონებისა და სიტყვისთვის მიუწვდომელი ჭეშმარიტება შეიტანეს ადამიანის თვალთახედვის არეში – ყოველმა მათგანმა მის მიერ მიღწეული ცნობიერების მდგომარეობის შესაბამისად. ძველ ხალხთა დარიგებები არა მარტო უბრალო, არამედ მრავალფეროვანიც იყო – რომ აღქმის ყველა დონის გონება გაეშუქებინათ და აქმაღლებინათ.

პატარა მაგალითი. ადამიანი ბედნიერია იმითაც კი, რომ იცის: ეს პატარა სხეული მას ეკუთვნის, ხომ ასეა? ორი

სხეული რომ ეკუთვნოდეს, ხომ ორმაგ ბედნიერებას იგრძნობდა? და ა.შ., ყოველთვის, როცა შეიტყობდა, რომ მას მეტი და მეტი სხეული აქვს, სულ უფრო მეტად ბედნიერი იქნებოდა. როდესაც მოდის ცოდნა იმის შესახებ, რომ მთელი სამყარო ერთი სხეულია და საყოველთაო ცნობიერება აღიქმება, მაშინ ანადა სრული იქნება. ასეთი საყოველთაო ცნობიერება რომ შევიძინოთ, უნდა მოვშალოთ ციხის კედლები – ეგოცენტრიზმის მჭიდრო ჩარჩოები. როდესაც ეგო (პირადი „მე“) თავის თავს ატმანთან, ანუ ჯივისთან (სხეულში განხორციელებულ ატმანთან) აიგივებს, სიკვდილი აღარ არის. როდესაც პირადი „მე“ თავის თავს ერთიანის ნეტარებასთან აიგივებს და მას ერწყმის, მწუხარება აღარ არის. როდესაც პირადი „მე“ ჯნიანაში, უმაღლეს სიბრძნეში ეფლობა, შეცდომები აღარ არის.

„კერძობის, ინდივიდუალობის მიწიერი გრძნობა ცდომილებითაა წარმოქმნილი. ასეთ შთაბეჭდილებაზე პასუხისმგებელი სხეული მხოლოდ და მხოლოდ უსაზღვრო ოკეანის მუდამ ცვალებადი ატომია. მეორე არსი ჩემში მეორე ფორმაა, კერძოდ კი განხორციელებული ჭეშმარიტი „მე“; როდესაც ჩემი ეგო – პირადი „მე“ - ჭეშმარიტ „მე“-ს ერწყმის ჩემში, ცდომილებას მისი დაპირისპირებულობა, ანუ ცოდნა გამოდევნის და იგი ქრება“. როგორც კი ადამიანური აზროვნება უფრო მომწიფებული ხდება, აზრის ყველა სკოლა გარდაუვალად ასეთ დასკვნამდე მიდის.

ხე ნაყოფით ფასდება. მაგალითისთვის ავიღოთ დვთაებათა ფორმების თაყვანისცემა. ერთგულების გზის მომხრეებისა (ბჰაქთების) და ყველა დროისა და ხალხთა საუკეთესო წმინდანების გარდა მორალისტებიც, მეტაფიზიკოსებიც, ფილოსოფოსებიც აღიარებენ, რომ გამოსახულებების თაყვანისცემას უდიდესი სარგებლობა მოაქვს. სანამ ფიზიკურ სხეულთან, საკუთრებასთან მიბმულობა შენარჩუნებულია, მანამდე მატერიალური სიმბოლოს თაყვანისცემა აუცილებელია. ეს მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა. მაგრამ ბევრი ამას კიცხავს როგორც კერპთაყვანისმცემლობას, ცრუმორწმუნეობას. ეს არ არის სწორი. ეს არასწორი მიდგომაა. ასეთი დამოკიდებულება სულელობის გამოვლენაა.

განა დარწმუნებულობა იმაში, რომ თქვენ სხეული ხართ, ცრუმორწმუნეობა, კერპთაყვანისმცემლობა არ არის? იარსებებს სხეული მუდამ? განა იგი ტყავის თოჯინა არ არის ცხრა ხვრელით, რომელშიაც სიცოცხლე ასეთი არასაიმედოა და იგი ცხვირის ერთი დაცემინებით შეიძლება დამთავრდეს? მაშ არ უნდა დავარქვათ იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომლებსაც ამ სამყაროს რეალობა სწამთ, ცრურწმენა? და განა ძალაუფლებისა და დიდი ქონების პატრონთა თვითკმაყოფილება პოზიორობა არ არის? მაგრამ ატმანის, შიდა რეალობის რწმენის საფუძველზე შესრულებულ მოქმედებებს ცრუმორწმუნეობრივს ან სულელურს ვერ უწოდებ. უდავოდ დასაბუთებული ნებისმიერი აზრი კეთილგანწყობით აღიქვება. მაგრამ ყოველივე იმის ცრურწმენად აღიარება, რაც თქვენ უბრალოდ არ მოგწონთ, გონებაშეზღუდულობის, სულელობისა და ეგოიზმის ნიშანია.

თუ ღმერთის რაიმე ფორმაზე მედიტაციას არ ვაწარმოებთ, მაღე ნათელი გახდება, რომ შეუძლებელია გვიყვარდეს ღმერთი და თაყვანს ვცემდეთ მას. სულიერი ძიებისათვის ეს ისევე აუცილებელია, როგორც სუნთქვა სიცოცხლისათვის. ეს ცხოვრების პროცესისთვის აუცილებელი სტადიაა. ბავშვობა სიბერის მშობელია. ნუთუ სიბერე ბავშვობის ან სიყმაწვილის კიცხვას დაიწყებს, როგორც ბოროტებისა? ე.წ. კერპთაყვანისმცემლობა – ღვთაების ფორმის თაყვანისცემა – მრავალთათვის არის და იქნება უზარმაზარი დახმარება ღვთაებრივი არსის შეგნებაში გამოცდილებით. როგორ შეიძლება სულიერმა მაძიებელმა ან სულიერი პრაქტიკით დაკავებულმა ნებისმიერმა ადამიანმა გააკიცხოს „კერპების“ თაყვანისცემა – იმის შემდეგ, თვითონ რომ გაიარა ეს სტადია და მისგან სარგებელი ნახა? აი ეს ნამდვილად არასწორი და უღირსი საქციელი იქნება.

ბჰარატელი უმაღლესი რეალობისკენ არასიმართლიდან სიმართლისკენ კი არ მიიწევს, არამედ სიმართლიდან სიმართლისკენ, არასრულყოფილი სიმართლიდან სრულყოფილ სიმართლისკენ, ნაწილობრივი ჭეშმარიტებიდან სრულ ჭეშმარიტებისკენ. და მართლაც, რა არის სულიერი პრაქტიკები – სადჰანები? ყოველი ძალისხმევა ადამიანისა, იქნება ეს მიყრუებული ტყის სოფლის მცხოვრები, ველური

თემის წევრი ბუნების სტიქიათა კულტით თუ უაღრესად წინწაწეული მაძიებელი, რომელიც განუყოფელს, აბსოლუტურს სცემს თაყვანს, *სადჰანაა*. ყოველი ასეთი ძალისხმევა ადამიანს ერთი ნაბიჯით წინ სწევს.

ყოველი ინდივიდი, *ჯივი*, შეიძლება ფრინველს შევადაროთ – იგი სულ უფრო მაღლა მიიწევს, მისი ფრენა სულ უფრო ხანგრძლივი ხდება, და ასე ზეცას აღწევს. და ბოლოს და ბოლოს შეიძლება იმდენად მაღლა ავიდეს, რომ შეიძლება თვით **მზის** სფეროს მიაღწიოს, რომელიც აუწერელი სიდიადით ბრწყინავს!

ბუნების ძირითად საიდუმლოს წარმოადგენს ერთი მრავალში, და ეს არის გასაღები ამ საიდუმლოს გაგებისთვის. ბჰარატელებმა ეს საიდუმლო გახსნეს და გასაღებს მაგრად ჩაეჭიდნენ. სხვა ქვეყნებში ადამიანები იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ პოსტულატების ნაკრებს აცხადებდნენ და რწმენას მასზე ნერგავდნენ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ეს პოსტულატები სხვებს მიეღოთ და მათგან გამომდინარე წესები და მითითებები დაეცვათ. ისინი თავისი ქვეყნის ყველა მცხოვრებს ერთადერთ ტანსაცმელს აჩვენებდნენ, რომ ყველას გამოუკლებლივ ეტარებინა იგი. თუ ვინმეს ზომით არ ერგებოდა, სხვა „სამოსელი“ სანაცვლოდ არ შეეთავაზებოდა. მათ ყოველგვარი ტანსაცმლის გარეშე უხდებოდათ ცხოვრება.

ბჰარატელებს სრულიად სხვა მიდგომა აქვთ. გრძნობების ყოველ ელფერს, აზროვნების, ნებისა და მოქმედების ყოველ წახნაგს ისინი განსაკუთრებულ სახელ-ფორმას აძლევენ და გვთავაზობენ თაყვანისცემის გზებსა და ღვთისმსახურების წესებს – მაძიებელთა და მორწმუნეთა ემოციური უპირატესობის მინიჭებისა და გონების სიფართის შესაბამისად. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებიც ასეთ მიდგომას არ საჭიროებენ და ამ „შემწყნარებლობის“ გარეშეც გადაივლიან. მაგრამ უმრავლესობა კარგად სარგებლობს „შეღავათით“ სიბრძნისა და გათავისუფლებისაკენ მოძრაობისას.

უნდა აღინიშნოს, რომ სულიერი კვლევის სისტემა არასოდეს მოითხოვდა „კერპების“ თაყვანისცემის აუცილებლობას და არ აწესებდა ამ სტადიას როგორც

აუცილებელს. მაგრამ არის ერთი ფაქტი, რომელიც ყველამ კარგად უნდა დაიმახსოვროს: ბჰარატელებს შეიძლება სხეულზე მიბმულობა ჰქონდეთ, შეიძლება ცხოვრებისეული საფუძვლების მიმართ მიდრეკილება ჰქონდეთ, მათი დაცვისა და განვითარებისთვის იბრძოდნენ, მაგრამ **არასოდეს** გაუჩნდებათ სურვილი ყელი გამოლადრონ სხვებს. თუ ბჰარატელი თავისი რელიგიის მიმართ ფანატიკოსიც კია, იგი საკუთარ თავს უფრო დაწვავს მის მიერ დანთებულ ცეცხლში, ვიდრე სიძულვილის გამო დაწვავს იმას, ვინც მის რწმენას არ იღებს და თაყვანს არ სცემს. ბჰარატის სულიერი სწავლება უარყოფს, რომ *ატმანი*, ერთიანი დაუშრეტელი ჭეშმარიტება, შეიძლება განადგურებულ იქნას, რადგან ეს რელიგია იმ რწმენას იცავს, რომ *ატმანი*, „მე“ ადამიანში იგივეა, რაც უნივერსალური **ზე-მე**, ანუ ღმერთი. ბჰარატის რელიგია ქალებსა და კაცებს გრძელ, მრავალგვარ გზებზე მიმართავს, სადაც მათ ყოველგვარი წინააღმდეგობები და ცხოვრებისეულ გარემოებათა გადახლართვები ელით. მაგრამ ყველა ეს გზა განათებული და დაცული იქნება რწმენით საბოლოო მიზნისა – ღვთაებრივი ცნობიერების დიდებულების, ანუ ღვთაებრივის შეგნებისა.

ერთი შეხედვით სულიერი პრაქტიკის რიტუალები და დაწესებული მოქმედებები შეიძლება პრიმიტიულად გამოიყურებოდეს, მაგრამ ისინი უმაღლეს ჭეშმარიტებას არ ეწინააღმდეგება. მოჩვენებითი შეუთავსებლობები მეორეხარისხოვნად უნდა ჩაითვალოს: ისინი გარდაუვალია, რადგან სხვადასხვა რიტუალები სხვადასხვა ინტელექტუალური, ზნეობრივი, ეკონომიური და სოციალური დონის ადამიანებს შთააგონებენ. მაგალითად, სინათლე ფერადი შუშის პატარა ნატეხის გამჭოლ ისეთივე ბუნებისაა, როგორისაც ნათელი და უფრო ძლიერი სინათლეა. სინათლის ძალა, სიმკვეთრე, სიკაშკაშე მხოლოდ გარემოზეა დამოკიდებული. მთელი სინათლის წყარო **ერთი** ჭეშმარიტება, ყველაფრის წყარო, ყველას მიზანია, არსია ყველაში, ცენტრია ყველაში. როგორც ერთი ძაფი ამაგრებს მარგალიტის მარცვლებს კრიალოსანში, ასევე ღმერთი, ანუ **ზე-მე**, გამსჭვალავს ყველა არსებას, ყველა არსების შიგნით

იმყოფება. **ყველა არსების შიგნით!** – ეს არის ბჰარატის გზავნილი. იგი ყველა არსებაშია, ყოველშია, ყველგანაა!

ყურადღებით შეისწავლეთ ტექსტები და წერილები, რომლებიც ბჰარატის კულტურასა და ტრადიციებს ეხება. სცადეთ ერთ-ერთ მათგანში მაინც იპოვოთ ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ განთავისუფლება (*მოკშა*), ანუ უმაღლესი მიზანი – თვითრეალიზაცია მხოლოდ ბჰარატელებისთვისაა ხელმისაწვდომი და სხვა არავისთვის. შეძლებთ მსგავსი მტკიცებების პოვნას? მთელი დარწმუნებულობით შეიძლება განაცხადოთ, რომ ვერ იპოვით. ბჰარატის სულიერება ფართო და მოუცველია, მისი იდეალები უაღრესად მაღალია. ეს გამწმენდი გამოცხადებების სავსე ნაკადია, რომელიც თავისუფლად, გამოუღვებლად და დაუშრეტელად მიედინება პირდაპირ ღვთაებრივი წყალობის ოკეანისკენ. ეს არის უწყვეტი მეფური გზა, რომელსაც უმაღლესი მიზნისკენ მიჰყავს ადამიანი.

კიდევ ერთი მომენტი. წყარო სულიერი პრინციპებისა, რომლებსაც ბჰარატელები აცნობიერებენ და თაყვანს სცემენ, ღმერთია. იგი ერთადერთი მტკიცე საყრდენია. ამიტომ რწმენისთვის სხვა არავითარი მხარდაჭერა არ არის საჭირო. ბჰარატის სულიერება ყველა სხვა სარწმუნოების თვით საფუველია, იგი ასევე გვირგვინია, მწვერვალია. მან მრავალი სარწმუნოებრივი მოძღვრების გამოწვევებზე მოიპოვა გამარჯვება, მრავალი უდავო დასაბუთება და თეორია დაუპირისპირა მათ. ბჰარატელებს არ სჭირდებათ რომელიმე სხვა რელიგიას ან სულიერ დისციპლინებს მიმართონ, გარდა საკუთარისა. რატომ? იმიტომ, რომ სხვაგან ვერსად იპოვით მოძღვრებებს ან ჭეშმარიტებებს, ბჰარატის სულიერებას რომ არ შეიცავდეს. სხვა სარწმუნოებრივმა მოძღვრებებმა მხოლოდ მისი ზოგიერთი პრინციპი და პოსტულატი მიიღო და ხალხს წარუდგინა როგორც იდეალები, რომლებიც მან უნდა დაიცვას.

მუდამ გახსოვდეთ შემდეგი: ბჰარატის სულიერი ტექსტები უძველესია მთელ მსოფლიოში. ეს არის ყველაზე უფრო ადრეული გამოკვლევა და აღმოჩენა უმაღლესი სულის არეში – *ატმანისა*, პიროვნული და უპიროვნო ღმერთისა, ასევე ყოფაქცევის წესებისა ცხოვრებაში – პირად და საზოგადოებრივში, რომლებიც ამ გამოკვლევებსა და

გამოცხადებებზეა დაფუძნებული. არც ერთ სხვა ქვეყანას, არც ერთ სხვა ხალხს არა აქვს ასეთი ძველი წერილები. შესაძლოა, იყო გონების განათების გაელვებები მისტიკურ გამოცდილებაში, მაგრამ მათ არ შეიძლება სულიერი ლიტერატურა, წმინდა წერილები დავარქვათ. ვედების ლიტერატურა აღწერს არა მხოლოდ ბრძენთა და მოღვაწეთა სულიერ ძიებას და ამ ძიების შედეგებს, არამედ მათი აზრების სახეს, მათს სწრაფვას, ბრძოლას და დროებით სიძნელეებს წუთისოფელში.

თავი 3 მხოლოდ ერთი

ინდური აზრის უპირველესი განცდა სასწაულის წინაშე თრთოლაა. იგი რიგვედის (*რიკების*) ჰიმნებშია გამოსახული. ეს ჰიმნები კი უძველესი გამოცხადებებია, რომლებიც ბჰარატის გონებებს მოეწვინა. ყველა *რიკები* მიძღვნილია ღმერთებს, ანუ „ბრწყინვალეთ“ (*დევებს*). ეს ღმერთები ძალიან ბევრია, ზოგიერთი მათგანის სახელებია: ინდრა, ვარუნა, მიტრა, პარჯანია. ისინი ჰიმნებში ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებიან. ღმერთებს შორის მთავარია ინდრა, მის ხელშია იარაღი – მესი (*ვაჯრა*). იგი ყველაზე უფრო მძლავრია, რადგან მესს და წვიმას გზავნის მიწაზე. მისი სახელი, ინდრა, წარმოიქმნება სიტყვიდან *ინდრიები* (ადამიანის გრძნობათა ორგანოები), რადგან იგი გრძნობების მბრძანებელია, სხვა სიტყვებით, იგი გონებაა, რომელიც გრძნობებს განაგებს.

მას ხშირად აგრეთვე პურუჰუტას უწოდებენ: *პურუ* ნიშნავს „ხშირად“, *ჰუტა* კი – იმას, „ვინც უნდა მოიხმო“; ანუ ამ სახელის აზრია: „ღმერთი, რომელსაც ხშირად უხმობენ“. გონებას, რომელიც *ინდრიებთან* არის გაიგივებული, რადგან იგი მათ მართავს, ვედებში ქებას ასხამენ სხვა სახელით – რუდრა. გონება ობიექტების სამყაროსთან გრძნობათა ხუთი ორგანოს მეშვეობით ურთიერთობს, და გონების ეს თვისება ინდრას ასპექტია. მაგრამ გონებას სხვა უნარიც გააჩნია. მას შეუძლია გრძნობებს დაეუფლოს და მრავალფეროვნების (ობიექტური სამყაროს) საერთო შინაგანი ჭეშმარიტება გააცნობიეროს. გონების ამ წახნავს *რუდრა* ეწოდა. ამ

მიზეზით ვედები ინდრას და რუდრას აღწერენ როგორც ერთს ორი სახელით.

მრავალი მსგავსი აღწერის მოყვანა შეიძლება, რომლებიც სხვა ღმერთებსაც ეხება. და მაინც ბოლოს და ბოლოს ყველა აღწერას ერთსა და იმავე დასკვნამდე მივყავართ. ადრეული რიკები ღმერთებს განადიდებენ როგორც რაიმე მოვლენის ან მოქმედების მფარველებს. მოგვიანებით ეს ღმერთები ერთი ღმერთის სხვადასხვა ფორმებად გარდაიქმნებიან (ყოველი მათგანი თავისი სახელით). ეს ერთი ღმერთი თავის თავში ყველა სამყაროს შეიცავს, იგი მოწმეა და ყველა გულებში იმყოფება, მთელი ქმნილების სრულძალაუფლებიანი მბრძანებელია.

„ღმერთებზე“ ადამიანთა სხვა მსჯელობები და მათთან დაკავშირებული ემოციები, როგორც უმნიშვნელონი, თანდათან სუსტდება. მაგალითად, შიშის გრძნობა ღვთაება ვარუნასთან ასოცირდებოდა. ზოგიერთ ჰიმნში შიში მოზღვაველება და ჭარბობს, მაგრამ სულ მალე არიელთა (ჭემმარიტების კეთილშობილ მაძიებელთა) სიბრძნე შიშს ამარცხებს. მრავალი ჰიმნი ვარუნას მიმართ ღოცვას იმ ადამიანებისა, რომლებსაც ცოდვების გამო მისი სასჯელის ეშინიათ. მაგრამ ინდოეთის მიწაზე იდეა შემაშინებელ ღმერთზე ვერ გაყვავდება – ისევე როგორც იდეა სხვადასხვა ბუნების მქონე ღმერთების სიმრავლის შესახებ. ბჰარატას კულტურა, მისი სულიერი მსოფლმხედველობა ერთი ღმერთის, უზენაესის, იშვარას იდეაზეა დამყარებული.

სწორედ **ერთის**, ეკეშვარის! ეს აქსიომა – რომ მხოლოდ **ერთი** შეიძლება იყოს, და არა მრავალი, ინდოეთში უხსოვარი დროიდანაა პოპულარული. უძველეს ვედურ ლიტერატურაშიც და ვედურ ჰიმნთა კრებულებშიც (*სამჰიტებში*) კი გამოიყოფა როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე რწმენა.

„პიროვნული“ ღმერთის (ატრიბუტებითა და ფორმით) გაგება კი ამ მხარის მოაზროვნეებსაც და პრაქტიკოსებსაც საკმაოდ პრიმიტიული, მოუმწიფებელი ეჩვენებოდათ, როგორც სულიერი პროგრესის გზაზე შუალედური საფეხური. ეს გაგება მათს უმაღლეს მოლოდინს არ აკმაყოფილებდა. *რიშების* (წმინდანი ბრძენების) გამოცხადებებში გამოსახული ეს იდეა ვერ გაიგეს სხვა ქვეყნების მეცნიერებმა და

ამხსენებმა, რომლებიც ვედებსა და მიმდებარე ტექსტებს სწავლობდნენ და კომენტარებს უკეთებდნენ. ისინი განაგრძობდნენ მსჯელობას „მრავალრიცხოვანი ღმერთების“ მიმართ სხვადასხვა რწმენების ან ერთი ღმერთის (პერსონალური ატრიბუტებით) უფრო გვიანდელი რწმენის შესახებ. ასეთი სახის უმეცრება ინდუისტებს მხოლოდ ღიმილს ჰგვრის.

ისინიც კი, რომლებმაც ატრიბუტების, კონკრეტული ფორმისა და სახელის მქონე ღმერთის რწმენა აკენიდან შეისისხლხორცეს, მოგვიანებით აუცილებლად უფრო მაღალ დონეზე გადადიოდნენ და იგებდნენ ერთიანის შესახებ, რომელზედაც ნათქვამია, რომ მას მრავალი ფორმა და სახელი აქვს.

ერთი, ერთიანი – მხოლოდ მასში, ერთში იმყოფება მთელი ეს შეუნელებელი მოძრაობა, მთელი ეს ცვალებადი კოსმოსი. იგი ყოველი ცნობიერების დამცველი და მეგზურია. და ყველა ეს აღწერა **ერთიანის** მხოლოდ ერთ-ერთ წახნაგს შეეხება. დასავლეთის ადამიანები ამბობენ, რომ ადამიანის ინტელექტს შეუძლია ამ კვლევაში წარმატებას მიაღწიოს. მაგრამ ამ ქვეყნის მაძიებლებმა გმირობა გამოიჩინეს, რომლის გაზომვა ან შემცირება შეუძლებელია. ეს ფაქტია, და იგი უბრალოდ უნდა მივიღოთ. სულიერ სფეროში შემმართველური აღმაფრენით ცნობილმა დასავლეთის ფილოსოფოსებმა ამ გმირობის მხოლოდ ერთი ციცქნა ნაწილი გამოიჩინეს, და ამიტომ მათ აოცებდათ ინდოეთის ბრძენების მიერ მიღწეული თეორიისა და პრაქტიკის სიმადლებები.

განცვიფრების ეს გრძნობა მშვენივრად გამოხატა პროფესორმა მაქს მიულერმა. „გამოცდილების რა გამოუკვლეველ სფეროებამდეც არ უნდა მიეყვანა ინდოელი მაძიებლები მათს ლოგიკურ და პრაქტიკულ გამოკვლევებს, ისინი გაბედულად მკვიდრდებოდნენ ამ სფეროში. ამასთან არ ცდილობდნენ გვერდი აექციათ იმისთვის, რაც მათ დაბრკოლებად ეჩვენებოდათ, მხოლოდ იმისათვის, რომ სწრაფი წარმატებისთვის მიეღწიათ ამ წამოწყებაში. არასოდეს ჰქონიათ შიში იმის წინაშე, განსჯიან თუ არა მათ ამის გამო სხვები“. მაქს მიულერი ადამიანებს მოუწოდებდა აქტიურად ეზიარათ ბჰარატის *პარამართჰა ვაჰინი* – **უმაღლესის** ძიების

კუროთხეული ნაკადი, რომელიც ინდოეთში მიედინება, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ინდოელი მოღვაწეები ჭეშმარიტების გზას, მართლქმედების გზას მიჰყვებოდნენ.

„არის მხოლოდ ერთი, ბრძენები მას სხვადასხვა სახელს უწოდებენ“ (*ეკამ სატ ვიპრაჰ ბაჰუდა ვადანტი*). ეს გამონათქვამი უაღრესად მნიშვნელოვანია. მასში ძირითადი ჭეშმარიტებაა, რომელიც უხსოვარი დროიდან ინდოეთის მთელი სულიერი ძალისხმევის უკან დგას. თეისტურ პრინციპებსაც და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ძალისხმევებსაც კი, რომლებიც შემდეგ მთელ მსოფლიოში დიდი წარმატებით გავრცელდა, საფუძველში ეს დიადი აქსიომა ჰქონდა, რომელიც ინდოეთის ბრძენებმა ძალიან დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს.

გამოვლენილ ჰიმნებში (*რიკებში*) სხვადასხვა ღვთაებებსა და მრავალრიცხოვან ღვთაებრივ ძალებს აღიღებდნენ, რადგან *რიშებმა* იცოდნენ, რომ ეს „ერთადერთი არსებული“ ყველას შეუძლია იხილოს, მაგრამ თითოეულს – თავისი, ინდივიდუალური თვალთახედვიდან, რადგან ეს თვალსაზრისი სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვაა და სუფთა და ნათელი ხედვის ხარისხზეა დამოკიდებული. ამ მტკიცებით – *ეკამ სატ...* – მათ თავისი აღმოჩენის შესახებ გამოაცხადეს: ბრძენები, წმინდანები, წინასწარმჭვრეტეები, პოეტები, ჰიმნებისა და სიმღერების შემთხზველები, იმყოფებოდნენ რა სხვადასხვა სულიერ განწყობაზე და იყენებდნენ რა გამოსახვის სხვადასხვა სტილს, სხვადასხვა ენაზე განაღვივებდნენ – ერთს, ერთიანს, მხოლოდ იგი ერთი იყო ყველასთვის თაყვანისცემის ობიექტი.

ამგვარად, შედეგებს, რომლებიც ამ დიადი პოსტულატიდან (*ეკამ სატ ვიპრაჰ ბაჰუდა ვადანტი*) გამომდინარეობდა, მთელი მსოფლიოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად ბევრს უკვირს, რომ ინდოეთი ქვეყანაა, სადაც რელიგიურ ფანატიზმს ადგილი არა აქვს და სხვათა რელიგიურ შეხედულებებს დაბრკოლებებს არავინ უქმნის და არ ავნებს. ამ ქვეყანაში არიან თეისტები, ათეისტები, დუალისტები, ნონ-დუალისტები, მონოთეისტები და მრავალი სხვანი. ისინი ერთად, ჰარმონიაში ცხოვრობენ, სხვებს არ ავნებენ და არც მათგან განიცდიან ვნებას.

მატერიალისტები ტადრების (რომლებსაც *ბრამინები* წმინდად და სათაყვანოდ თვლიდნენ) საფეხურებზე იდგნენ და ღმერთს შეურაცხყოფდნენ, უარყოფდნენ! უფრო მეტიც, ყველას მოუწოდებდნენ, რომ მათ მიჰყოლოდნენ. აცხადებდნენ, რომ ღმერთის იდეა მხოლოდ და მხოლოდ უაზრო ფანტაზიაა. ისინი ლანძღავდნენ ღმერთს, საღვთო წერილებს, ზნეობრივ საფუძვლებს, წამყვან პრინციპებს, მართლქმედებას და ამტკიცებდნენ, რომ ეს ყველაფერი ცრურწმენაა, რომელიც *ბრამინებმა* მხოლოდ და მხოლოდ ეგოისტური მიზნებისთვის მოიგონეს და გაბერეს – საკუთარი ძალაუფლების გაძლიერების მიზნით.

ისინი ქვეყანაში დაეხეტებოდნენ და თავის იდეებს ქადაგებდნენ. მათ ხომ გზას არავინ უღობავდა! ბუდისტები რეგულარულად ამცირებდნენ ინდუიზმის წეს-ჩვეულებებსა და რწმენას, და მიუხედავად ამისა ბუდიზმი პატივისცემით იქნა მიღებული და მას ინდუიზმთან მშვიდობიანი თანაარსებობის ნება მიეცა. ჯაინებიც არ ცნობდნენ ვედებსა და ვედურ ღმერთებს. ისინი დაცინვით ინტერესდებოდნენ, როგორ უნდა არსებობდეს ყველა ეს ღვთაება და როგორ შეიძლებოდა მათი რწმენა.

უამრავია

მაგალითები

რჯულშემწყენარებლობისა, რომლის ფესვებიც გადგმულია ამ ზემთაგონებით გამოთქმაში – *ეკამ სატ*. მუსლიმანების დამანგრეველ შემოჭრამდე არც ერთმა არსებამ არ იცოდა ამ ქვეყანაში, რა არის ძალადობა. მხოლოდ როდესაც მტრის ურდოები ინდოეთს თავს დაესხნენ და ძალადობას მიმართეს, ამ ქვეყნის ხალხმა მაშინ გაიგო, რა არაშემწყენარებლური შეიძლება იყოს ადამიანი. ინდუსები ინდოეთში ქრისტიანებს ეკლესიების შენებაში ეხმარებოდნენ! ისინი ქრისტიანებთან მეგობრულ ურთიერთობისთვის მზადყოფნას გამოხატავდნენ – და ამის მრავალი მოწმობა არსებობს მთელ ქვეყანაში. არასოდეს მომხდარა ქრისტიანებთან სისხლისღვრა. აზრთა ნაკადი, რომელიც უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ მიემართებოდა, არასოდეს დაუშვებდა ძალადობით თავის გასვრას. ამ ფაქტში დარწმუნებისთვის და მსგავსი აზრის მთელი ღირებულების გაგებისთვის ნათელი აზროვნება და მახვილი ინტელექტია საჭირო.

ბუდისტები, რომლებიც რელიგიის პირველი მქადაგებლები იყვნენ, მსოფლიოში მოგზაურობდნენ და თავის სარწმუნოებას ავრცელებდნენ. მათმა რელიგიამ ყველა იმ ქვეყანაში შეაღწია, რომლებიც იმ დროისთვის ითვლებოდნენ როგორც ცივილიზებული. ბუდისტი ბერები, რომლებმაც გაბედეს და მათს მიწაწყლზე შედგეს ფეხი, წამებას განიცდიდნენ; მეფის ბრძანებით ასობით ბერს სიკვდილით სჯიდნენ. მაგრამ მაღე ბუდისტებს წარმატება ხვდათ წილად. ბუდიზმი ასწავლიდა, რომ ადამიანი ძალადობას უნდა ერიდოს. ბუდა მიღებულ იქნა როგორც ღმერთი, როგორც ერთ-ერთი სახელი ერთიანისა, რომლის სახელებიც, ვედების თანახმად, უამრავია – *კამ სატ ვიპრაჰ ბაჰუდჰა ვადანტი*. იგი ინდრა იყო, იგი რუდრა იყო. ასეთი იყო უძველეს წმინდანთა მთავარი გამოცხადების გამაერთიანებელი ეფექტი! დაე ეს დიადი სიბრძნე მუდამ რჩებოდეს ადამიანის მეხსიერებაში!

ბჰარატელებს, რომლებიც ინდურ კულტურაზე არიან გამოზრდილები, ღრმად სწამთ ყველა რელიგიის თანასწორობა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ, იქნება ეს ინდუიზმი, ბუდიზმი, ისლამი, ზოროასტრიზმი თუ ქრისტიანობა, აბუჩად არავინ უნდა აიგდოს ღმერთის თაყვანისცემა. ისინი თვლიან, რომ თუ ვინმე ღმერთის ერთ-ერთ სახელს ან ფორმას, რომელსაც სხვები თაყვანს სცემენ, ზემოდან დასცქერის, იგი ერთიან ღმერთს შეურაცხყოფას აყენებს. ასეთია გზავნილი, რომელიც ინდოეთისთვის დამახასიათებელი სულიერი ცხოვრებიდან მოდის. ის ადამიანები, რომლებმაც ეს ჭეშმარიტება შეითვისეს და მას იცავენ, ინდოეთის ნამდვილი შვილები არიან.

ეს ჭეშმარიტება ყოველი გაგების უნარისთვის არ არის ხელმისაწვდომი. ყველას არ შესწევს უნარი ამ ცოდნას დაეუფლოს. ვინ მართავს სამყაროს? ვინ იმყოფება მის გარეთ და ხელმძღვანელობს მას? რა არის ამ კოსმოსის არსებობის მიზეზი? საიდან, როგორ გაჩნდა იგი? როგორ მოხდა ეს? რა გახდა მისი გამჟღავნების მიზეზი? ვედებში მრავალი ჰიმნია, რომლებიც ამ საიდუმლოებებსაა მიძღვნილი. ბჰარატელებმა ეს საკითხები გამოიკვლიეს.

ქმნილება სუბსტანციების (ნივთიერებების) შეერთებას შეიცავს. ის, რაც შეერთებულია, დროთა განმავლობაში უნდა

განცალკევდეს და გათავისუფლდეს. ინდივიდუალური შექმნილია, ამიტომ ისიც ნაწილებად დაიშლება და მოკვდება. მაგრამ ამ ქვეყანაზე ერთნი რატომ ჩნდებიან ბედნიერები, ჯანმრთელები და წარმატებულები და ცხოვრებით ტკბებიან, მეორენი კი დაბადებიდანვე უბედურები არიან ან იბადებიან ხელებისა და ფეხების გარეშე, ზოგიერთები კი დაბადებიდან გონებაჩლუნგები და განუვითარებლები არიან?

შესაძლოა კითხვა დაიბადოს, როგორ შეიძლება ეს ღმერთი წინასწარი აზრის მქონე იყოს, რაღაცა უპირატესობების მიმცემი იყოს. როგორ შეიძლება იმ სამეფოში, რომელსაც ასეთი ღმერთი მართავს, სხვადასხვა არსებების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება იყოს? ასეთი ეჭვები სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ბჰარატის ბრძენებს (რომლებმაც ამ მიწაწყლის აზრი ჩამოაყალიბეს) თვალი აეხილათ და მათ ხალხს გაუხსნეს ის, რომ ღმერთი არ წარმოადგენს ამ განსხვავებების მიზეზს, ისინი იმ მოქმედებების შედეგებია, რომლებიც ადამიანმა წინა ცხოვრებებში შეასრულა. და სწორედ ამ მოქმედებათა შედეგებია ბედნიერება თუ უბედურება, ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა.

კარგი და ცუდი ჩვენ მიერ იქმნება, ეს იმის შედეგია, რაც წინა ცხოვრებებში იყო გაკეთებული. ნუთუ ადამიანთა სხეულები და მათი მდგომარეობები, სიცოცხლის განმავლობაში მომხდარი აღმავლობები და დაცემები, თანდაყოლილი მიდრეკილებებისა და ტენდენციების შედეგები არ უნდა იყოს? როდესაც ამ საკითხს ვიხილავთ, ორი ასპექტი ჩნდება, რომლებიც ჩვენ წინაშე გამოდის როგორც ორი პარალელური წრფე – მენტალური და მატერიალური. თუ მატერიალიზმს შეუძლია დამაკმაყოფილებელი პასუხები მოგვცეს კითხვებზე, რომლებიც ადამიანის ბუნებას და ამ ბუნების განსაკუთრებულ თვისებებს ეხება, მაშინ არავითარი საფუძველი არ არსებობს გვწამდეს ის, რომ არსებობს რაღაც ფაქტორი, რომელსაც ჰქვია *ატმანი*, ანუ **სული**, უმაღლესი „მე“! მაგრამ შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ, მაგალითად, აზროვნების უნარმა ფიზიკური სუბსტანციიდან (მატერიიდან) განიცადა ევოლუცია.

როდესაც რაიმე მუშაობა კვლავ და კვლავ მეორდება, იგი ჩვეულება, უნარი ხდება, ხომ ასეა? ასევე, ეჭვგარეშეა,

ახალშობილის ჩვევებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივი გამეორების წყალობით გაჩნდა. უდავოდ, ასეთი ჩვევები წინა ცხოვრებაში ან მრავალ ცხოვრებათა განმავლობაში იქნა შექმნილი. ამიტომ დასაბუთებულად უნდა მივიღოთ ის დარწმუნებულობა, რომ ცოცხალი არსებები გასულ ცხოვრებებს გადიოდნენ და კვლავ დაიბადებიან. ეს ბჰარატის სულიერი მსოფლმხედველობის ძირითადი რწმენაა.

თავი 4

საოცრებათა შორის საოცრება

ბჰარატის მიწის შვილებს სწამთ, რომ ყოველი მათგანი *ატმანი*. მათ კარგად იციან, რომ *ატმანი* არ შეიძლება მახვილით იქნას ნაწილებად დაჩეხილი, რომ მას ცეცხლი ვერ დაწვამს, რომ წყალში არ გაიხსნება, ქარი ვერ გამოაშრობს. *ატმანს* საზღვრები არა აქვს. მისი ცენტრი სხეულშია, გარშემოწერილობა კი არსად არის. სიკვდილი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ *ატმანი* ერთი სხეულიდან მეორეში გადადის. ეს რწმენა ნებისმიერი ინდოელის გონებაშია გამყარებული.

ატმანი მატერიალურ ან ამქვეყნიურ შეზღუდვებსა და კანონებს არ ემორჩილება. იგი თავისუფალია, უსაზღვროა, იგი სიწმინდეა, ერთიანობაა. მაგრამ ვინაიდან მატერიალურ, ინერტულ სხეულებთანაა დაკავშირებული, ამიტომ „ჩქვენება“, რომ მისი სტუქტურაც მატერიალური წარმოშობისაა. ეს არის საოცრება, გამოცანა, საიდუმლოება, რომელიც მან გამოავლინა. ამ საიდუმლოების გამოცნობა და ამ საოცრების ახსნა არავის შეუძლია.

როგორ ჩავარდა ცდომილებაში ერთიანი (*პურნა*) *ატმანი*, რომ იგი ერთიანი არ არის (*ა-პურნა*), ფრაგმენტულია, არასრულყოფილია? ზოგიერთებმა შეიძლება ბრალი დასდონ ბჰარატელებს, რომლებიც „არასრულყოფილების“ ამ შეგრძნების მიუწვდომლობას აცხადებენ, რომ ცდილობენ გამოუვალი სიტუაციიდან თავი დაიძვრინონ. მათ შეუძლიათ თქვან, რომ ეს უბრალოდ ხრიკია, რომელიც მათს

ჭემმარიტების არცოდნას მაღავეს. როგორ შეუძლია სუფთას, განუყოფელს თავისი ბუნება სულ ოდნავაც კი დაკარგოს?

ბჰარატელები უემმაკონი და გულწრფელნი არიან, მათს ნატურას იშვიათად ახასიათებს თვალთმაქცობა. ისინი არასოდეს ეცდებიან მძიმე სიტუაციას გაექცნენ და განსაკუთრებული საბუთი მოიგონონ. ისინი საკმაოდ მამაცნი არიან, რომ ნებისმიერ პრობლემას პირისპირ შეხვდნენ. ამიტომ დასმულ კითხვაზე პასუხი ასეთია: *ატმანს* არ შეუძლია ცდომილებაში ჩავარდეს! არავითარი ცდომილება არ შეიძლება რომ წარმოიქმნას! არ არსებობს იმის საფუძველი, რომ სრულყოფილს არასრულყოფილება მიეწეროს. ერთიანი არსი სახელად *ატმანი* ვერასოდეს წარმოიდგენს თავს არასრულყოფილად, არადასრულებულად, თავს ვერასოდეს იგრძნობს შეზღუდულად და მატერიალური გარსის მიერ მართულად, რომლის გულსაც თვითონ წარმოადგენს.

ყოველი ადამიანი თავის თავს ანგარიშს აძლევს იმაში, რომ თავს სხეულად თვლის. მაგრამ ვის შეუძლია ახსნას, ეს შეგრძნება საიდან გაჩნდა და როგორ გამყარდა? არავის შეუძლია ამ კითხვას პასუხი გასცეს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ღმერთის ნებით მოხდა ასე, მაგრამ ეს სულაც არ არის პასუხი. უბრალო მტკიცება „არ ვიცი“ იგივე აზრს ატარებს, რაც „ეს ღვთის ნებაა“. ასევე არავის შეემატება სიბრძნე ფრაზისგან „არ ვიცი“ და არც ფრაზისგან „ეს ღვთის ნებაა“. მაშ რაღა რჩება? აი რა: *ატმანი* ინდივიდუუმში, *ჯივატმანი*, მარადიულია, უკვდავია, ერთიანია. სიკვდილი არ არის – *ატმანი* თავის ცენტრს იცვლის, და ჩვენთვის ეს მოჩანს როგორც სიკვდილი.

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და გარემოებები, რომლებშიაც ვიმყოფებით, წინა ცხოვრებებში შესრულებული საქმეებითაა განსაზღვრული. ზუსტად ასეთივე სახით პირობები, რომლებშიაც მომავალში აღმოვჩნდებით, დღევანდელი შესრულებული საქმეებით განისაზღვრება. ერთ ცხოვრებასა და მეორე ცხოვრებას შორის, ერთ სიკვდილსა და მეორეს შორის ინდივიდუუმი ან სრულყოფილდება, ან დეგრადირდება, ფართოვდება ან ვიწროვდება. როგორც შტორმში მოხვედრილ ძველ, დანჯღრეულ ნავს, ადამიანს

გიგანტური ტალღა ქაფიან ქოჩორზე ასტყორცნის, მეორე წამს კი საშინელი სისწრაფით მორევში აგდებს.

აღმასვლა და ვარდნა, უდავოდ, მისი კარგი და ცუდი საქმეების შედეგებია. ო ადამიანებო! უკვდავების შვილებო! ისმინეთ! ისმინეთ პასუხი, რომელიც მოცემულია *რიშების*, ბრძენების წერილებში, *რიშებისა*, რომლებმაც პიროვნებებს შორის უძლიერესი, პურუშოტამა იხილეს, რომელიც ცდომილებებისა და სიბნელის სფეროების ზღვრებს იქით იმყოფება: „ო, ადამიანურო არსებანო! ძმებო! სიკვდილთა რიგისგან რომ გათავისუფლდეთ, ამისათვის მხოლოდ ერთი საშუალებაა – **მისი** ცნობა. თავს ნუ თვლით ცოდვილებად, რადგან მარადიული ნეტარების (*ანანდას*) მემკვიდრეები ხართ.

თქვენ ღმერთის ხატი ხართ, დაუშრეტელ *ანანდას* იზიარებთ მასთან. ბუნებით წმინდანი, მუდამ ერთიანი ხართ, ჭეშმარიტად თქვენ დედამიწაზე მოძრავი ღმერთი ხართ. ნუთუ არსებობს იმაზე მეტი ცოდვა, ვიდრე ის, რომ თქვენისთანებს ცოდვილებს უწოდებდნენ? თქვენ თავს ირცხვენთ, შეურაცხყოფთ, როდესაც აღიარებთ ამ განსაზღვრას – ცოდვილი! აღსდექით! მოიცილეთ გრძნობა, თითქოს ცხვრები ხართ! ნუ მოტყუვდებით ამ იდეით. თქვენ *ატმანი* ხართ, თქვენ უკვდავების ნექტრის (*ამრიტას*) წვეთები ხართ, უკვდავებას კი დასაწყისი და დასასრული არა აქვს. თქვენ **არ ხართ** მატერიალური ობიექტების **მონები**, არა, ყველა მატერიალური ობიექტი თქვენი ტყვეა, თქვენი მორჩილი მონაა“.

ასეთია *რიშების* სიტყვები. და როგორ შეუძლია იმას, ვინც ამ ჭეშმარიტებას თვითონ არ ჩაუღრმავდა, ბჰარატას ეს განმარტება ღირსეულად შეაფასოს? ინდოელები ბედნიერები არიან, მათ ისეთ სულისკვეთებას მიაღწიეს, როდესაც ღმერთს თვლიან მამად, დედად, მასწავლებლად, მეგობრად, შეყვარებულად. ისინი ღმერთს განადიდებდნენ როგორც ცოცხლებსა და არაცოცხლებს შორის, ამ და სხვა სამყაროში ყველაზე უფრო ძვირფასს. როგორ უნდა ჩასწვდეს ამ უმაღლეს ჭეშმარიტებას ის, ვისთვისაც მხოლოდ უბრალო გრძნობითი სიხარულია ცნობილი? გრძნობითი სიამოვნებების წყურვილი შინაგან თვალს ჭეშმარიტებას უფარავს. ეს წყურვილი მრავალი საშუალებით ავლენს თავს, სულ უფრო

და უფრო მეტ სურვილს ქმნის და სულ უფრო და უფრო მეტ იმპულსებს უკეთებს პროვოცირებას მოქმედებისკენ. ეს ყველაფერი ჭეშმარიტებას ფარავს როგორც სქელი ფარდა.

ამ ფარდის აღმოჩენა სულიერი პროგრესის მნიშვნელოვანი სტადიაა. ვედანტაში ამ ფარდას *მაიას* პრინციპი ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჭეშმარიტება თავისთავად ცხადი იყო, უხსოვარი დროიდან ეს ფარდა ადამიანისგან მაღავედა მას. და ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ ინდოელებმა გაიგეს, რომ სწორედ ეს წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას. როგორ უნდა მოვაცილოთ საფარველი და ჭეშმარიტება გავიგოთ? ინდოელებისთვის ცნობილი იყო, რომ ამ ამოცანის შესრულება გარე, ობიექტურ სამყაროში არ შეიძლება, ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. გარე სამყაროში ძებნა, მრავალი საუკუნის განმავლობაშიც კი, წარმატებას ვერ მოიტანს. დარწმუნებულობა მხოლოდ უშუალო გამოცდილებას შეუძლია მოგვცეს.

ამ გამოცდილების მისაღებად ინდოელები ასკეზას ეძლეოდნენ და გულდასმით გამოკვლევებს აწარმოებდნენ, სანამ ჭეშმარიტების „იდენტიფიკაცია“ არ მოახდინეს და მის შესახებ მთელ მსოფლიოს არ განუცხადეს. მათ უკუაგდეს გრძნობითი სურვილები და მრავალრიცხოვანი ცდუნებები, რომლებიც ადამიანს აიძულებენ მატერიალური სამყაროს საქმეებში აქტიურად ჩაებას. ეს მათ მსოფლიოს ასწავლეს. ამ საიდუმლოს გახსნისთვის, რომელსაც ინდოელები როგორც სიბრძნის საგანძურს სცემენ თაყვანს, ადამიანის გონება გამოიყენეს როგორც ინსტრუმენტი.

მათთვის უცილობელი წესი გახდა, რომ პირადად გონების გამოყენება და მისი ბუნებისა და თვისებების შესწავლაა საჭირო. ძალიან მაღე აღმოაჩინეს, რომ გარე სამყაროს კვლევა არაფერს იძლევა. ყურადღება მათ თავისი ცნობიერების შიდა არეებზე გადაიტანეს. ასე ჩაუყარეს ვედანტის შენობას საფუძველი. ამან კვლევის ვედანტურ მიდგომას მისცა დასაწყისი.

საჭირო არ არის ჭეშმარიტების სადღაც სხვა ადგილას ძებნა. თვით ადამიანში ეძებეთ, იგი თვითონაა საოცრება საოცრებათა შორის. რაც ადამიანში არ არის, იგი არ შეიძლება იყოს სადმე მის გარეთ. ის, რაც გარეთაა ხილული,

მხოლოდ და მხოლოდ იმის უხეში ანარეკლია, რაც სინამდვილეში ადამიანში იმყოფება! ძველი ხალხები თვლიდნენ, რომ სამყაროს მართავს უზენაესი (იშვარა), რომელიც ამასთან სამყაროს ზღვრებს მიღმა იმყოფება. მაგრამ ინდოელმა მაძიებლებმა სულიერი პრაქტიკის (*სადჰანის*) დახმარებით ეს რწმუნებულება გადაამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ ღმერთი იყო და არის როგორც სამყაროში, ასევე მის გარეთაც.

ეს ინდოელთა პირველი წვლილია სულიერ სამყაროში: ღმერთი ადამიანის მიმართებით რაღაც გარეშე არ არის, იგი ადამიანის იდუმალი არსია. მათ გამოაცხადეს, რომ შეუძლებელია ღმერთის განდევნა გულიდან, სადაც ის გამყარდა. იგი ჩვენი *ატმანის ატმანია* (ჩვენი „მე“-ს ჭეშმარიტი „მე“-ა), იგი ჩვენი სულის სულია, იგი ყოველი ადამიანის შინაგანი არსი, რეალობაა.

ვისაც ვედანტის ფილოსოფიაზე გონების უმაღლესი განათება სურს, მან რამდენიმე ფუძემდებლური გაგება უნდა შეიგნოს. ფილოსოფია წიგნი და შრომა არ არის, რომელიც ერთი ადამიანის მიერ იქნა შექმნილი. ადამიანთა უდიდესმა პირველმშობელმა, მანუმ, ბჰარატას უწოდა ბრაჰმავართჰა, ღვთაებრივის სფერო, სულიერი არე, რომელმაც ერთიანის, ყველაფრის მახასიათებლის და ყოველივეს აღმატებულის პრინციპის წარმატებულ ძიებას მისცა დასაწყისი.

ამ ძიებით დაკავებულ წმინდან ბრძენთა გამარჯვებული პროცესია ბჰარატას გასცდა და კონტინენტებზე დაიწყო სვლა. გიგანტური ქედებიდან მომდინარე მძლავრი მდინარეების მსგავსად სულიერი ძიების ნაკადი, რომელსაც ადამიანი უმაღლეს ჭეშმარიტებად მიჰყავს, ამ მიწიდან ყოველ მხარეს მიექანება. ამ ქვეყნიდან სულიერი გზავნილი მეხივით გავარდა მსოფლიოში.

როდესაც ქვეყანაში მტრის ძალები შემოიჭრნენ, წმინდა მიწამ იერიშის ზეწოლას გაუძლო. მან თავის გმირულ მკერდზე მიიღო დარტყმა. ამ ქვეყანას მრავალჯერ ჰქონდა ბედად დამპყრობთა შემოსევა განეცადა და საშინელი უბედურებები მოეთმინა. მაგრამ ამის მიუხედავად ბოლომდე არ დაუკარგავს თავისი დიდება და უდრეკი ძალები სულიერ გზაზე.

ამ მიწაზე ქადაგებდა სიყვარულის მაღალ და შესანიშნავ გზავნილს დიადი ნანაკი*, სიმშვიდისა და თანაგრძნობის განხორციელება. მისი მოუცველი გული ამ მიწაზე გაყვავდა. ბჰარატელებმა, ამ ქვეყნის შვილებმა, ამ კულტურის მემკვიდრეებმა, ხელები გაიწოდეს, რომ სიყვარულით გულში ჩაეკრათ არა მარტო ინდუიზმის სამყარო, არამედ ისლამის სამყაროც! მათ შორის, ვინც ამობრწყინდა როგორც ინდური კულტურის გამომჩენილი და ერთგული დამცველი, პირველ ადგილზეა გურუ გოვინდ სინჰჰი†.

წამებისგან უდრეკი, რამაც თავისი და საყვარელ ადამიანთა სისხლისღვრა გამოიწვია, იმ ხალხისგან მიტოვებული, რომელთა გამოც ეს წამებები გაიარა, მან თანამემამულეთა მისამართით გაიციხვის ერთი სიტყვაც არ თქვა, მოვიდა დეკანში და სიცოცხლეს გამოესალმა, როგორც ამას გულში დაჭრილი მხეცების მეფე აკეთებს. დაე მარად დიდება იყოს ამ დიადი პიროვნებისა დედამიწაზე! მთელი კაცობრიობა ვალშია ასეთი შესანიშნავი ბელადების წინაშე, რადგან ისინი მთელ მსოფლიოში ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ მსახურობენ.

როგორც ყოველი ადამიანი უნიკალური არსებაა, ასევე ყოველ ერს აქვს თვითმყოფი თვისებები. ყოველი პიროვნება სხვებისგან რაღაცით განსხვავდება და განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებებითაა აღჭურვილი. ასევე ყოველ ერს აქვს საკუთარი თავისებურებები, რომლებიც სხვებს არა აქვთ. ყოველმა ინდივიდუუმმა თავისი როლი უნდა ითამაშოს როგორც სისტემის ნაწილმა; მისი საკუთარი გასული კარმა (მოდვაწეობა) მისთვის განსაკუთრებულ ხაზს, ანუ გზას განსაზღვრავს.

იგივე ეხება ერის ისტორიასაც. ყოველი ერის დანიშნულებაა ბედის მიერ მისთვის განკუთვნილი როლი ითამაშოს. ყოველმა ერმა მსოფლიო საზოგადოებამდე თავისი განსაკუთრებული გზავნილი უნდა მიიტანოს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბჰარატელებმა უპირველეს ყოვლისა ის

* ნანაკი, გურუ ნანაკ დევი (1469-1539) – სიქიზმის რელიგიის დამფუძნებელი და სიქების ათ გურუს შორის პირველი გურუ.

† გურუ გოვინდ სინჰჰი (1666-1708) – სინჰების მეათე და უკანასკნელი გურუ. 1675 – 1708 სინჰების საზოგადოების სათავეში იღვა. სათავეში ჩაუდგა სინჰების ბრძოლას დიდი მოგოლების წინააღმდეგ.

როლი გააცნობიერონ, რომელიც ამ ერმა უნდა ითამაშოს, ის მელოდია, რომლის შესრულებაც სიმშვიდისა და ნეტარების მსოფლიო ორკესტრში ხვდა ბედად.

საბავშვო ზღაპრებიდან გეცოდინებათ, რომ ზოგიერთი გველის კაპიუშონში ძვირფასი თვლებია დამალული და სანამ გველს ეს ფერადი თვლები ამკობს, მისი მოკვლა შეუძლებელია. კარგად დაიმახსოვრეთ ეს ამბავი და მაშინ ყველაზე გასაოცარი მოვლენის გაგებას შეძლებთ ადამიანის ისტორიაში. ეს მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ ბჰარატის სულიერმა კულტურამ გადარჩენა შეძლო.

თავი 5

პირითადი რწმენა

სანატანა-დჰარმა (ინდუიზმის მარადიული სწავლება) საუკუნეების განმავლობაში აწყდებოდა ისლამის მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობებს. მუსლიმანურ დინასტიებზე პოლიტიკური დამოკიდებულების გამო პრობლემა რთულდებოდა. ცამდე სწვდებოდა მძლავრი ყვირილი „ალაჰ-აკბარ“ და აბუხად იგდებდა ბჰარატული კულტურის თვით არსებობას, რომელსაც ბრძენები საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ. არც ერთი ერი არ დატანჯულა ასე ღრმად და ასე ხანგრძლივად ამგვარი მუქარით. მაგრამ ამ მიწის მარად ახალმა და ცოცხალმა *დჰარმამ* გამოცდილებას გაუძლო და იგი დღესაც ძლიერი და საიმედოა, როგორც ყოველთვის. იგი ნებისმიერი გამოწვევისთვის მზად არის, რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს. დროების ნიშანი ნათლად ამბობს იმის შესახებ, რომ ეს კულტურა დღესაც მძლავრი და გავლენიანია, უფრო მეტიც, იგი მზად არის წინ მიიწვედეს და შემოქმედებითი ზეგავლენის ზღვრებს აფართოებდეს. გაფართოება ცხოვრების სიმბოლოა, ხომ ასეა?

ჩვენს დროში ბჰარატულ კულტურაში გამყარებული პრინციპები და პრაქტიკული გამოცდილება, ამ კულტურისთვის დამახასიათებელი შეხედულებები და

გრძნობები სუბკონტინენტის წიაღში ღრმად ჩაფლული და მოსვენებული არ არის. მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, მაგრამ მათ სხვა ქვეყნების საზღვრები გადალახა და იქ მტკიცედ გამყარდა. ძირითადად იდეებმა, მსოფლმხედველობის არსმა ამ ხალხთა ლიტერატურაში შეაღწია და მათს აზროვნებაში გაჯდა. ზოგიერთ ქვეყანაში, ზოგ ხალხებს შორის მათ პირველი ადგილიც კი დაიკავეს და არავითარ წინააღმდეგობებს არ წააწყდნენ. ამის მიზეზია ის, რომ მსოფლიოს სიმშვიდესა და აყვავებაში ბჰარატა თავისი წვლილის სახით სულიერი სიბრძნის უძვირფასეს ნივთიერებას სთავაზობს. ეს წვლილი ყველაზე უფრო ამაღლებულია იმ წვლილთა შორის, რისი შეტანაც სხვა ქვეყნებს შეუძლიათ. ეს ფაქტი მთელი მსოფლიოსთვის სულ უფრო თვალსაჩინო ხდება.

ამ მიწის ძველი ხალხი გამოკვლევებისგან და სიძნელეებისგან განზე არ დგებოდა. როგორც სხვა ხალხები, ისიც ცდილობდა გარე ბუნების საიდუმლოებები გაეხსნა. და ამ სფეროშიც კი ამ გსაოცარმა ერმა ინტელექტის ძალის გამოყენებით ისეთ შედეგებს მიაღწია, რომლებზედაც სხვა ხალხთა მოაზროვნებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

განათლების საბოლოო მიზანი, სულიერი სწავლების უმაღლესი მიზანი ადამიანის ცნობიერებამდე „საყოველთაო უპიროვნოს, ყველაფრისათვის დამახასიათებლის“ მიტანაა. ეს ჭეშმარიტება ყველას გასაგონად ცხადდება ვედებში. ბჰარატას ბრძენები და წინასწარმჭვრეტები გაბედულად მკვიდრდებოდნენ ამ სფეროში. ბუნების მუდამ ცვალებადი ასპექტები, ბუნების მუშაობაში წარმოქმნისა და გაქრობის პროცესები შეიძლება გამოკვლევისთვის შესანიშნავი საგანი იყოს. მაგრამ ბჰარატის ძველმა ბრძენებმა გამოაცხადეს, რომ მეცნიერება სამყაროს გამსჭვალავი ტრანსცენდენტური საწყისის შესახებ, უცვლელის, მარადიულის, დაუშრეტელი, მუდამ სავსე ანანდის განხორციელების, მოუშლელი, დაუშრეტელი სიმშვიდის საგანის, ინდივიდუალური სულისთვის (*ჯივისთვის*) ყველა დროში საბოლოო თავშესაფრის შესახებ უმაღლესი ცოდნაა, რის მიღწევაც კი ადამიანს შეუძლია.

ბუნების ობიექტური სამყაროს მმართველი კანონების შესწავლამ უკეთეს შემთხვევაში ადამიანი შეიძლება საკვებით და ტანსაცმლით უზრუნველყოს; ეს გამოკვლევა ადამიანს ასევე ასწავლის, რა საშუალებით შეიძლება მათი შექმნა. ყოველივე ამას ძლიერთა მიერ სუსტების ექსპლუატაცია მოაქვს. ბჰარატის მეცნიერებს რომ თავისი ენერჯია ამ სამყაროს საიდუმლოებების გახსნისკენ მიემართათ, ისინი ამ სფეროში დიდ სიმაღლეებს მიაღწევდნენ.

ძალიან ძალე ინდოელებმა გააცნობიერეს, რომ ეს გამოკვლევები მეორადია და რომ პირველი ადგილი სულიერებას უნდა დაეთმოს. მათ გადაწყვიტეს, რომ გარე სამყაროს საიდუმლოებების შესახებ გათვითცნობიერება არ წარმოადგენს ბჰარატის მცხოვრების ჭეშმარიტ ნიშანთვისებას. და სწორედ ამ გადაწყვეტილებამ მოუტანა ქვეყანას დიდება. სხვებმა ამ პრობლემასთან მიახლოებაც კი ვერ შეძლეს. როგორც ლეგენდარულ პრახლადას, ინდოელებს უნარი აღმოაჩნდათ საუკუნეების განმავლობაში ცეცხლოვანი წამებებისთვის გაეძლოთ და მათგან ხელშეუხებლები დარჩნენ. ისინი, ვისაც სამყაროს სულიერი ხედვა და სულიერი სწრაფვა არ ჰქონდათ, ნამდვილ ბჰარატელებად არ ითვლებოდნენ. ზღვისგაღმა ქვეყნების მრავალი ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ ინდოელთა უმრავლესობას პოლიტიკისკენ აქვს მიდრეკილება და არა სულიერებისკენ; ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინდოელების მხოლოდ მცირე ნაწილია სულიერებისაკენ გამიზნული. მაგრამ ეს არასწორი აზრია. პირიქით, ბჰარატელები ყოველთვის ირწმუნებოდნენ, რომ სულიერად ორიენტირებული ცხოვრების წესი ყოველი ინდოელის პირველადი და უმთავრესი ვალია. და როგორც კი ბოლოს და ბოლოს შანსი გაჩნდა და ეს ვალი შესრულებულ იქნა, ინდოელებმა შეიგრძნეს, რომ ეს შექმნილი სულიერი სიმძლავრე ერთად უნდა შეკრიბონ და განამტკიცონ. სწორედ ეს მოხდა დიდი ხნის წინ.

იმ დროში ეროვნული ინტეგრაციის აზრი გულისხმობდა, რომ სულიერ მაძიებელთა შორის მთელ ქვეყანაში გაბნეული ყველა სულიერი ძალა და წადილი კონცენტრირებული და შეერთებული უნდა იქნას. ინდოეთში სიტყვა „ერი“ ნიშნავს, რომ გულები, რომლებიც ერთ სიმღერას ეხმაურებიან,

ერთობლივად ძვერენ, უნისონში, რომ ერთი საერთო ვიბრაციით ეხმაურებიან ისინი სულიერ მოწოდებას. ამ რწმენით ქადაგებული ფუნდამენტური ჭეშმარიტებები იყო ფართო, როგორც ცა, მარადიული, როგორც ქმნილება. ეს ჭეშმარიტებები მრავალი ადამიანის მიერ დახვეწილი ხერხებით იქნა აღწერილი და ძალიან ზუსტად და ღრმად განიმარტებოდა. მაგრამ ხედვის სიფართოვის შედეგად, რომელმაც ეს ჭეშმარიტებები გახსნა და განამტკიცა, გარდაუვალი შეიქნა, რომ მათ მიერ წარმოქმნილ იდეათა საფუძველზე მრავალი ახალი სარწმუნოება წარმოიშვა.

შეხედულებებში და პრაქტიკებში სხვადასხვაობა ბუნებრივი და მისასაღმებელია – არ არის საჭიროება რწმენა იყოს რკინასავით მყარი. ერთი მსოფლიო რწმენის არსებობა შეუძლებელია. მაგრამ სხვადასხვა გზების მიმდევრებს შორის მტრობა ვერც ერთ ქვეყანას ვერ მოუტანს სიმშვიდესა და აყვავებას. სარწმუნოების არჩევის თავისუფლების გარეშე მსოფლიო სრულყოფილებისკენ ვერ წაიწვეს. ინდოეთი ასწავლიდა, რომ ადამიანთა პატარა ჯგუფი არ უნდა განაგებდეს მსოფლიოს მთელ დაუშრეტელ რესურსებს, რომ საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის შრომის განაწილება და ყოველ საზოგადოებრივ წოდებას დაევალოს მოსახლეობის ჯგუფებს შორის საერთო სიკეთის განაწილება.

ეს მრავალფეროვნებისა და ურთიერთქმედებისთვის სასიკეთო პირობებს ქმნიდა. მრავალფეროვნება წახალისებას განიცდიდა სულიერი ძალებისა და უნარის პრაქტიკული გამოყენებისათვის; ასეთ პირობებში ფრაქციულობისა და მტრობისთვის საბაბი არ არის. მრავალფეროვნება, სინამდვილეში, ზედაპირულია, არარეალურია. მაგრამ დაფარული საიდუმლოს მიმზიდველობითი შეგრძნება აიძულებს გამოკვლეულ იქნას ეს მრავალფეროვნება და მოიძებნოს ხერხი, როგორ შეიძლება მრავლის უკან მდგარი ერთიანის დანახვა. სწორედ ეს არის ყველაზე ძვირფასი გამოცხადება, რომელიც ძველმა ტექსტებმა დაგვანახა: *ეკამ სატ ვიპრაჰ ბაჰუდჰა ვადანტი* (არის მხოლოდ **ერთი**, ბრძენები **მას** სხვადასხვა სახელს არქმევენ). ამიტომ თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ბჰარატელების რწმენა ეს ერთი რწმენაა,

რომელიც ყველა სარწმუნოებას მიიღებს და პატივს სცემს. როდესაც გულში განკერძოებასა და ფანატიზმს ველოლიავებით, ამით საკუთარი რწმენის ან სხვათა რწმენის მიმართ, ჩვენ, როგორც იმ მამათა მემკვიდრეები, ცუდ სახელს ვიქმნით. ვიცავთ ვედანტის კლასიკურ პრინციპებს თუ ვედანტური აზრის უახლეს დინებას ვიდებთ, ჩვენ უნდა რიგი საყოველთაოდ მიღებული ძირითადი ჭეშმარიტებები გვახსოვდეს. ვინც თავს ინდუისტად თვლის, ისინი უნდა სწამდეს და თავისი ცხოვრება ამის შესაბამისად ააწყოს. დაე ეს მათი ნება იყოს.

პირველი პრინციპი

ბჰარატელები არ მოითხოვენ, რომ ყველამ ერთი პოზიცია დაიკავოს; რომ ყოველმა ადამიანმა მხოლოდ ერთ განმარტებას ან კომენტარს დაუჭიროს მხარი და სხვა შესაძლო ახსნები ან თვალსაზრისი უარყოს; რომ ცხოვრების წესი, მთელი მისი სირთულეებით, რომელიდაც ერთი პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის მიერ იკარნახებოდეს. ბჰარატას კულტურა იმას ამტკიცებს, რომ ნებისმიერი იძულება, რომელიც სულიერ სფეროს შეეხება, უმძიმესი ცოდვაა.

მეორე პრინციპი

მარადიული საყოველთაო *დჰარმა*, ანუ რელიგია, ვედების სწავლებაა. სწავლების წმინდა სხეული, ცნობილი როგორც ვედური, ქმნილებასთან ერთი ასაკისაა, შეუძლებელია მისი დასაწყისისა და დასასრულის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, ყველა სულიერი გამოკვლევა, სარწმუნოების ყველა განშტოება გარდაუვლად მასში პოულობს თავის დასრულებას და განხორციელებას. ამ შედეგის თავიდან აცილება შეუძლებელია, თუკი ვედებს შევისწავლით და ცხოვრებაში დაგნერგავთ. ვინაიდან თვით ვედების ტექსტებში შეგვიძლია ვიპოვოთ დამარწმუნებელი პასუხები ყველა კითხვაზე, სულიერ შეხედულებებში განსხვავების ჩათვლით.

არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი იმის შესახებ, ვედების რომელი ნაწილებია უფრო ავტორიტეტული; რომელიმე სექტას მიკუთვნებული ადამიანები შეიძლება თვლიდნენ, რომ ვედების ზიგირთი განყოფილება უფრო წმინდა და „ღვთაებრივია“, ვიდრე სხვა. სინამდვილეში ადამიანები ძმები არიან და ვედების მიერ მოცემულ ყველა სწავლებას და გაკვეთილს თანაბრად იზიარებენ.

ყოველივე ის, რაც დღეს ჩვენთვის ამაღლებული და კეთილისმყოფელია, რაც სუფთა და წმინდაა, რაც მშვენიერი და კეთილშობილია, ამ გასაოცარი ძველი ტექსტებიდან გახდა ხელმისაწვდომი – და ხელმისაწვდომია მათივე დახმარებით. სანამ ამ აზრისანი ვართ და მის შესახებ ყველას გასაგონად ვაცხადებთ, ნუთუ მცირე განსხვავებებს შეხედულებებში – ამასთან უმნიშვნელო საკითხებში – შეუძლია განხეთქილების მიზეზი იყოს? სწორედ ამიტომ საქვეყნოდ უნდა გამოვაცხადოთ ეს გაკვეთილები და პრინციპები, რომ ყველა ჰორიზონტს იქით ვრცელდებოდეს ისინი.

მესამე პრინციპი

ვედების სწავლებისა და აღწერის საგანია უმაღლესი არსება, იშვარა (უზენაესი), **ის**, ვინც ეს სამყარო შექმნა, ვინც მას ინარჩუნებს, ვისაც ეს სამყარო ერწყმის დროის ნაკადის თანახმად და რომელშიაც ეს გასაოცარი სამყარო კვლავ მუდავნდება როგორც **მისი** ფორმა. ამ იშვარას ბუნებისა და თვისებების შესახებ ჩვენ შეიძლება სხვადასხვა წარმოდგენა გვქონდეს. შეიძლება ვიღაც მას ადამიანურ ფორმაში და ადამიანური ნიშნებით ხედავს. სხვა შეიძლება თვლიდეს, რომ **მას** ადამიანური ატრიბუტები არ ახასიათებს, რომ იშვარას ფორმა არ გააჩნია.

და ყოველ მათგანს შეუძლია ვედებში იპოვოს გამოთქმები, რომლებიც მის თვალსაზრისს ადასტურებს. ფაქტი ფაქტად რჩება: ადამიანებს სხვადასხვა აზრი აქვთ, მაგრამ ყოველ მათგანს სწამს იშვარა, უზენაესი. ეს კი ნიშნავს, რომ მათ სწამთ, რომ უეჭველად, არსებობს ერთიანი მარადიული ძალა,

რომელიც ყველაფერს აღემატება, და რომ ეს ყველაფერი მისგან წარმოიქმნა და ყველაფერი ეს კვლავ მასში უნდა გაზავდეს. ეს რწმენა ბჰარატელის განმასხვავებელი თვისებაა. ვინც ეს რწმენა არ შეიძინა, მას არ შეიძლება ბჰარატელი ეწოდოს. იგი ინდუისტის წოდებას არ იმსახურებს.

იბადება კითხვა, რა არის ამ იშვარას ბუნება, თვისებები? ეს საკითხი ჩვენთვის არააქტუალურია. ეს არც თუ ისე მნიშვნელოვანია. მოდით დისკუსიას ნუ გავმართავთ სხვადასხვა თვალსაზრისზე, რომლებიც ადამიანებს მხოლოდ ერთმანეთისგან აშორებს. ჩვენთვის საკმარისია, თუ იშვარა აღიარებულია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი აღწერა და გამოსახულება სხვებზე უფრო უკეთესი და ნათელი იყოს, მაგრამ არავითარი აღწერა და გამოსახულება არ შეიძლება „ცუდი“ იყოს.

ერთ მტკიცებას დაარქმევინ „კარგს“, მეორეს „უკეთესს“, მესამეს - „ყველაზე უფრო უკეთესს“. მაგრამ ბჰარატის სულიერი კვლევის ნაკადში არავითარი აღწერა, არავითარი წარმოდგენა არ გამოცხადდება „ცუდად და მიუღებლად“. ამ მიზეზის გამო იშვარა წყალობას უგზავნის იმათ, ვინც როგორც წმინდას და ქმედითს სცემს თაყვანს ნებისმიერ სახელს და ნებისმიერ ფორმას, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანს აღმაფრენა მისცენ. დაე ეს რწმენა სულ უფრო და უფრო მტკიცე ხდებოდეს. რაც უფრო მეტად ინერგება იგი მოქმედებაში, მით უფრო ძლიერია სულიერი პროცესი. ერთადერთი აუცილებლობა არის ის, რომ მისწრაფება ღმერთისკენ, იშვარასკენ უნდა იყოს მიმართული.

მეოთხე პრინციპი

სულიერი კვლევებისა და აღმოჩენებისათვის არავითარი „უპირატესობა“ არ არსებობს – ისეთი, მაგალითად, როგორცაა სიმდიდრე, ან უფლებების შელახვა – დავუშვათ, „სისაწყლის“ შემთხვევაში. ეს უცილობელი წესი ბჰარატის შეილებს მათმა მშობლებმა უნდა შთააგონონ. მათში აზროვნების სიფართოვის აღზრდაა საჭირო.

მეხუთე პრინციპი

ბჰარატელები არ იზიარებენ სხვა ქვეყნებში არსებულ პოპულარულ აზრს იმის შესახებ, რომ სამყარო ათასობით წლის წინათ გამჟღავნდა და ბოლოს და ბოლოს სამუდამოდ განადგურებულ იქნება: რაღაც გარკვეულ დღეს, მომავალში, „სამყაროს დასასრული“ დადგება. ბჰარატელები ასევე არ იზიარებენ თეორიას, რომ სამყარო „არაფრისგან“ შეიქმნა. მათ სწამთ, რომ მატერიალურ სამყაროს არ გააჩნია არც დასაწყისი, არც დასასრული, და რომ ევოლუციის კანონის თანახმად დადგება დრო, როდესაც სამყარო ფაქიზ ფორმაში შეიკუმშება, ამ ფორმაში არსებობის რაღაცა დროის შემდეგ კი კვლავ მოხდება გადასვლა კაზუალურ სტადიაში, რისგანაც იგი იყო აღმოცენებული. ერთიანიდან, რომელშიც იგი გაზავდება, გამჟღავნების ფაქიზ და უხეშ სტადიებს გაივლის და თანდათან კვლავ აღმოცენდება როგორც სიმრავლე.

თაზი 6

რელიგია ბამოცდილებაა

აღდგენისა და კლების, გაზაფხულისა და წარმოქმნის ეს ცალკისებური მოძრაობა დროის დასაწყისიდან ხდება, და მანამდე მოხდება, სანამ დრო არ გაჩერდება; ეს მოძრაობა თავისი ბუნებით მარადიულია – ასეთია ბჰარატელების რწმენა. ადამიანი უბრალოდ ფიზიკური სხეული არ არის. სხეულის შიგნით იმყოფება ფაქიზი კომპონენტი, რომელსაც გონება ჰქვია, გონების შიგნით კი, როგორც მისი აღმძვრელი და წყარო, იმყოფება კიდევ უფრო მეტად ფაქიზი არსი *ჯივატმა* (ინდივიდუალური სული). ამ *ჯივატმას* არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული, იგი არც კვდება, არც იბადება. ეს არის ბჰარატის რელიგიის საფუძველი.

არის ამ რწმენის კიდევ ერთი წახნაგი, რომელიც ბჰარატელთა მენტალიტეტის უნიკალურ თვისებას წარმოადგენს. სანამ *ჯივატმა* (ინდივიდუალური სული) „ინდივიდუალიზაციისაგან“ არ გათავისუფლდება, საყოველთაოს არ შეერწყმება და ამგვარად *მოკშას*

(გათავისუფლებას) არ მიაღწევს, მისი ხვედრია საკუთარი თავი ერთიმეორის მიყოლებით სხვადასხვა სხეულში „შეფუთოს“ და იმ პროცესს განიცდიდეს, რასაც ცხოვრება ჰქვია. ეს იდეა არც ერთ სხვა ხალხს არ ახასიათებს. *სამსარის* გაგებას ჩვენი უძველესი ტექსტები ხსნიან და ქადაგებენ. *სამსარა* ნიშნავს „ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას“. ბჰარატის მრავალრიცხოვანი სკოლები და სექტები იმ ფაქტს აღიარებენ, რომ *ჯივატმები* (სულები, ჭეშმარიტი „მე“-ები სხეულში), მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალიზებული მოჩანან, სინამდვილეში მარადიულებია და მათი რაიმე ცვლილებებს დაქვემდებარება შეუძლებელია.

ამ სკოლებს სხვადასხვაგვარად შეუძლიათ ახსნან ან განსაზღვრონ დამოკიდებულებები *ატმანსა* და იშვარას, ანუ ღმერთს შორის. მოაზროვნეთა ერთი სკოლა ამტკიცებს, რომ *ჯივატმა* და ღმერთი ოდითგანვე ერთმანეთისგან განცალკევებულია; სხვა სკოლა შეიძლება ამტკიცებდეს, რომ *ჯივატმა* ნაპერწკალია სამყაროს ცეცხლისა, რომელიც იშვარას წარმოადგენს, სხვა ფილოსოფია აღიარებს, რომ მათ შორის განსხვავება არ არის. მაგრამ ჭეშმარიტება მუდამ ერთია: *ატმანს* არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული; იგი არ იბადება, და აქედან გამომდინარე არც კვდება. მისმა ინდივიდუალიზებულმა სახემ ევოლუცია უნდა განიცადოს, ერთი სხეულიდან მეორეში გადავიდეს, სანამ არ მიაღწევს თავის სრულყოფილებას – განხორციელებას – ადამიანში. ამ კანონის რწმენას ყველა სკოლა იზიარებს, სხვა განმარტებების მრავალფეროვნების მიუხედავად.

ახლა კი ჩვენ გასაოცარ ჭეშმარიტებებს შორის ყველაზე უფრო მთავარზე გადავალთ, ფუნდამენტურ აღმოჩენათა შორის ყველაზე უფრო საოცარზე. ამ ჭეშმარიტებებმა ადამიანის ინტელექტის განათება გამოიწვია სულიერ სარბიელზე. თავისი ბუნებით *ატმანი* უზადო სიწმინდე, ერთიანობა და ნეტარებაა (*პარიშუდჰა, პარიპურნა* და *ანანდა*). ეს ჭეშმარიტება აზროვნების ყველა სკოლას სულისკვეთებას უნერგავს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ამ სკოლების მიმდევრები შაქთის, შივას, ვიშნუს თაყვანისმცემლები, ბუდისტები თუ ჯაინები. ამ ჭეშმარიტებას ყველა ინდუისტი აღიარებს. დუალისტებს (*დვაიტინებს*) სწამთ, რომ *ატმანის* ჭეშმარიტი,

ოდინდელი ბუნება ანანდაა. ანანდა, ანუ ნეტარება, მცირდება ან იწურება ადამიანის მოქმედებების შედეგად, რომლებსაც სხვადასხვა ცხოვრებებში ასრულებს იგი, და ამიტომ ღმერთის წყალობით უნდა აღდგებოდეს და ცოცხლდებოდეს.

ადვაიტინებს (მონისტებს, არაორობითობის ფილოსოფიის მიმდევრებს) სწამთ, რომ ამ ნეტარებას არ შეუძლია შემცირდეს ან დაილიოს. ისინი ამტკიცებენ, რომ ატმანს სრული ჩინებულება გააჩნია; მაგრამ უმეცრების (მაიას) გავლენას, რომელიც ცდომილებას იწვევს და ყალბი სახის „პროექციას“ ახდენს იმაზე, რაც ნამდვილი რეალობაა, იქამდე მივყავართ, რომ ეს ნეტარება დაზარალებული გვეჩვენება. და რა მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს განმარტებები, თუ ჭეშმარიტების (რომელსაც ყველა ეთანხმება) თვით ცენტრში დავიკავებთ პოზიციას, მაშინ გამოჩნდება ფართო და საიმედო გასასვლელი, რომელზედაც აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც შეუძლია ერთი და იმავე მიზნისკენ იმოძრაოს.

აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხი ცნობიერებით თავისი „მე“-ს შიდა სფეროში ეფლობა და ამ ნათელ და კეთილისმყოფელ მიზნისკენ მიდის. თაყვანისცემის დროს თვალებს ვხუჭავთ და ვცდილობთ ღმერთი წარმოვიდგინოთ ჩვენს შიგნით. დასავლეთის ადამიანები თვალებს მაღლა ალაპყრობენ, რომ ღმერთი გარე სივრცეში, „ზღვრებსმიღმეთში“ დაინახონ. სწამთ, რომ მათი საღვთო წერილები შედგენილია ადამიანების – წინასწარმეტყველების – მიერ ღმერთის პირდაპირი მითითებით. ბჰარატელებს სჯერათ, რომ ვედები – მათი საღმრთო წერილები – ღმერთის თვით სუნთქვა იყო, რასაც იღუმალის აზრი მიჰქონდა ბრძენებამდე, რომლებმაც ღმერთისთვის თავისი გულები გახსნეს.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უნდა გავიგოთ: მუდამ მკაცრად უნდა ვიცავდეთ ამ რწმენას. სანამ იგი ისეთი ურყევი არ გახდება, რომ მას ვერაფერი შეძრავს ვერც დღისით, ვერც ღამით, ის გამარჯვებას ვერ მოგვიტანს. მხოლოდ ამ პირობითაა შესაძლებელი წარმატება. როდესაც ადამიანი აცხადებს, რომ იგი საწყალი და არაფრის მაქნისია და მისი ცოდნა ერთი ციციქნაა, იგი სწორედ საწყალი და არაფრის მაქნისი ხდება და მისი ცოდნაც მცირდება. რაც

გვწამს, სწორედ ის ვხდებით. ჩვენ შვილები ვართ ყოვლისშემძლე ღმერთისა, რომელიც უმაღლესი ძალით, დიდებითა და სიბრძნითაა აღჭურვილი. ჩვენ უკვდავების შვილები ვართ. თუკი ამ აზრს შევეგუებით, როგორ უნდა ვიყოთ საწყლები და უმეცრები? ბჰარატის სულიერი კულტურა ყველას და ყოველს მოუწოდებს სწამდეს, რომ თავისი არსით ადამიანი დიადია და რომ იგი ყოველთვის უნდა აცნობიერებდეს ამ ფაქტს.

წინათ ბჰარატელებს სწამდათ თავისი დიადი შინაგანი არსისა, ამ რწმენის წყალობით იმარჯვებდნენ თავის სულიერ წამოწყებებში და გრანდიოზულ მწვერვალებს იპყრობდნენ. ისინი პროგრესის მწვერვალებს იპყრობდნენ! ამჟამად ასეთ დაბალ დონემდე ძირითადად იმიტომ დავეშვით, რომ რწმენა დაკარგეთ *ატმანისა*, რომელიც ჩვენ შიგნით იმყოფება. ეს იყო ჩვენი დაცემის დასაწყისი. რატომ? იმიტომ, რომ *ატმანის*, ანუ ჭეშმარიტი „მე“-ს რწმენის დაკარგვას თვით ღმერთის რწმენის დაკარგვამდე მივყავართ. ღმერთი ყველგან მსუფვეი, ყველაფრის შინაგანი აღმძვრელია, საფუძველია ჩვენი სხეულისა, გონებისა, ჩვენი ემოციებისა, ინტელექტისა. ამიტომ მხოლოდ მისი რწმენის განმტკიცებაა ადამიანის უმაღლესი დანიშნულების განხორციელების ტოლფასი. ეს არის გაკვეთილი, რომლის კაცობრიობამდე მიტანასაც ისწრაფოდა ბჰარატის კულტურა.

ბჰარატის ადამიანებო! სიცოცხლის პირველი დღეებიდან ასწავლეთ თქვენს შვილებს ეს ჭეშმარიტება – მშვენიერი, სიცოცხლის დამცველი, გულის გამამდიდრებელი ჭეშმარიტება. წმინდა გამოცხადებებმა ბჰარატელებს გაუხსნეს: *ატმანი* მთლიანი და თავისუფალია. ეს გასაოცარი აღმოჩენა, აზრი, აღტაცების მომგვრელია! *ატმანის* თვით ბუნება სისავსე, მთლიანობაა. თუ სისავსე დასაბამიერია, საჭირო არ არის მისი მიღწევის მცდელობა, სრულყოფა, მისთვის რაიმეს დამატება. თუ სისავსეს დაუუმატებთ სისავსეს, რაღაცა დროის შემდეგ იგი მაინც „გამოაკლდება“ სისავსეს. რაც კი აშენებულია, ყველაფერი გარდაუვალად მოიშლება.

თუ ადამიანს დაბადებიდან სიწმინდე არ გააჩნია (წინა მოქმედებების შედეგად), მაშინ, ხუთი წუთით მაინც სიწმინდეს თუ მიაღწევს, მოგვიანებით იგი მაინც გარდაუვალად კვლავ

ტალახში ამოითხუპნება, რადგან „შუაში“ გაჩენილი სიწმინდე გარემოებათა გავლენით სწრაფად აორთქლდება. ამიტომ ბჰარატის ყველა სულიერი მოაზროვნე აცხადებს, რომ ჩვენი ჭეშმარიტი ბუნება, ნამდვილი რეალობა, არის *ატმანი*, სიწმინდე და სისავსე. ისინი ამბობდნენ, რომ სინამდვილეში არ არსებობს ის, რომ ჩვენ რაღაც „არ გვეყოფნის“. ასეთი დარიგება მისცეს ბჰარატელებმა მსოფლიოს. სულიერი ძალის ამ ნაკადმა ინდოეთიდან აიღო გეზი და მსოფლიო გააჯერა.

სიცოცხლის მიწურულს ადამიანმა ცნობიერებამდე უნდა მიიტანოს მასთან მოსული დიადი აზრები, მაღალი გრძნობები, რომლებიც მან განიცადა – ასეთი იყო ინდოეთის ბრძენთა განკარგულება. ისინი არ მოითხოვდნენ, რომ სიცოცხლის ბოლოს ადამიანს ცხოვრებაში დაშვებული ყველა შეცდომა და გადაცდომა გაეხსენებინა. ისინი გარდაუვალია და მათ ყველა უშვებს. არა, ბრძენებმა განაცხადეს, რომ ადამიანი მუდამ უნდა აცნობიერებდეს თავის ჭეშმარიტ არსს და მის სილამაზესა და დიდებაზე ფიქრობდეს ყოველთვის. ისინი ამბობდნენ, რომ სწორედ ეს არის სრულყოფილებისკენ უდიდესი ნაბიჯი.

კიდევ არის ერთი რამ – ის, რასაც ყველაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ. ბჰარატელებისთვის რელიგია ნიშნავს გამოცდილებას და მხოლოდ გამოცდილებას. ძალიან, ძალიან დასანანია, რომ მეტისმეტად ხშირად გვავიწყდება ამის შესახებ. ეს საიდუმლო საიმედოდ უნდა ინახებოდეს გულში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ადამიანი დაცული და დამშვიდებული. და არა მხოლოდ ეს. ბჰარატელები არ თვლიან, რომ ნებისმიერი რამის მიღწევა საკუთარი დიდი ძალისხმევით შეიძლება. ბჰარატელებმა იცის, რომ ღვთაებრივი ნებაა ყველაფრის საფუძველი. რელიგიური დოქტრინები პრაქტიკაში უნდა დამყარდეს და მათი უტყუარობა გამოცდილებით უნდა შემოწმდეს აუცილებლად.

აზრი არა აქვს უბრალოდ უსმენდე ამ დოქტრინების განმარტებებს. საკმარისი არ არის იზეპირებდე მოსაზრებებსა და დასკვნებს და თუთიყუშივით იმეორებდე. თუ ისინი მხოლოდ ინტელექტითაა გამაგრებული, და ინტელექტითაა აღიარებული როგორც სწორი, მაშინ ეს ვერ დაგვეხმარება. ამ დოქტრინამ უნდა გარდაგვექმნას. მიზეზი იმისა, რომ

ბჰარატელებისთვის ღმერთი უდავოა, რომ იგი მათთვის ყოფიერებაა და ჩამოყალიბებაც, მათი უშუალო გამოცდილებაა, ეს კი ყველაზე უფრო მთავარი დასაბუთებაა. დარწმუნებულობა თავში არ იბადება, იგი განმსჯელი ფიქრის (*იუქთის*) პროდუქტი არ არის.

წინაპრებმა გამოაცხადეს, რომ ყოველ ადამიანშია რაღაც არსი, *ატმანი*, და ეს *ატმანი* სამყაროს *ატმანის* ნაპერწკალია. ამის შესახებ მათ იმიტომ გამოაცხადეს, რომ ღრმად გააცნობიერეს იგი ეჭვის ნატამალის გარეშე. წარსულში ათასობით ადამიანს სწყუროდა ეს გამოცდილება და იღებდა კიდევ მას. ასეთი ადამიანები დღესაც არ გამქრალან. ისინი მომავალშიც გამოჩნდებიან. ეს წყურვილი სტანჯავს ადამიანს. სანამ ადამიანი ღმერთს არ იხილავს, სანამ ნეტარებაში არ შეხვდება მას პირისპირ, სანამ *ატმანის* – თავისი ჭეშმარიტი არსის – გაცნობიერებას არ მიაღწევს, მას გატანჯავს ეს წყურვილი, „დასრულების არარსებობის“ ეს მტანჯველი გრძნობა.

უპირველეს ყოვლისა ადამიანი ჭეშმარიტებას უნდა ჩასწვდეს. როგორც კი მას არსი გაეხსნება, ყველა რელიგიური უთანხმოება და შეხლა-შემოხლა გაქრება. რადგან, ვინც ღმერთი „გამოსცადა“ და მის დიდებას ჩასწვდა, მხოლოდ მას აქვს უფლება თავს უწოდოს „თეისტური ზნეობრივი წესდების მიმდევარი“. ვინც თავის გულში გახსნა **ის**, მხოლოდ მას შეუძლია გაწყვიტოს ჯაჭვი, რომელიც მის სულს დაბადებისა და სიკვდილის ბორბალზე აბამს. დეკლარაციები ტრიბუნიდან იმაზე არ მიუთითებს, რომ ჭეშმარიტება გაცნობიერებულია. ჭეშმარიტებას რელიგიის დახმარებით უნდა მიაღწიო.

ღმერთის რწმენა უშუალო გამოცდილებაზეა დამყარებული. როგორც კი ადამიანი ამას აღიარებს, იგი თავისი თავის შესწავლას იწყებს და უნარს იძენს შეაფასოს, რამდენად მიუახლოვდა ან პირიქით დაშორდა მიზანს. იგი ხვდება, რომ ხელის ცეცებით დაეხეტება სიბნელეში და ამ სიბნელეში სხვებსაც ითრევს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იტყვის იგი უარს „უცხო რჯულის“ სიძულვილზე და „წმინდა ომის“ ნიშნით სხვა სარწმუნოებების მიმდევრებზე თავდასხმას შეწყვეტს. უნდა ვკითხოთ იმათ, ვინც რელიგიურ ომებს აჩადებს: „გინახავთ ღმერთი? გააცნობიერეთ ღვთაებრივი *ატმანი*? და

თუ არა, მაშ რა უფლება გაქვთ ღმერთის **ეს** სახელი უარყოთ ან შეურაცხყოფა მიაყენოთ მას? თუ თქვენ, სიბნელეში მავალნი, ცდილობთ მეც წყვილიადში ჩამითრიოთ? ნუთუ ბრმას შეუძლია ბრმა ატაროს გზაზე? ცხადია, რომ არ შეუძლია. ამიტომ, სანამ ჩემს ჭეშმარიტებას უარყოფდეთ და გაუტეხდეთ სახელს, მანამაღე თქვენი ჭეშმარიტება გაიგეთ“.

თავი 7

იყავ თავისთავადი

ვინც *ატმანის*, ყველაფრის გამასულიერებლის, პრინციპი დაინახა, იგი არასოდეს გაკიცხავს სხვების სარწმუნოებას, არავითარ რელიგიურ კინკლაობაში და კონფლიქტში არ ჩაერთვება, არ ილაპარაკებს სხვების რწმენაზე ქედმაღლურად ან უპატივცემულოდ. მხოლოდ უმეცრები გაკიცხავენ სხვების რწმენას. ასეთ ადამიანებს არავითარი სულიერი გამოცდილება არ გააჩნიათ და ჭეშმარიტებათა სიღრმეებზე წარმოდგენა არა აქვთ. ადამიანს არ შეშვენის რელიგიურ დავაში ჩაბმა ან მათი მიდგომა, მათი რიტუალებისა და ცერემონიების დაცინვა და სხვების რელიგიური წესებისთვის „ცრურწმენის“ დარქმევა. ყოველმა ადამიანმა თავისი წეს-ჩვეულება ამოირჩია და მას იცავს, რადგან ამას ნეტარება მოაქვს მისთვის!

ისინი, ვინც **იციან**, **ერთზე** ლაპარაკობენ როგორც **მრავალზე**. სხვადასხვა ადამიანები ამ **ერთს** სხვადასხვაგვარად ხედავენ და განიცდიან, თავისი თვალთახედვის შესაბამისად, გაცნობიერებისა და ინტელექტის დონის თანახმად. სხვადასხვა ადამიანები ერთი და იგივე საგანს ან ერთი და იგივე განცდას სხვადასხვაგვარად აღწერენ. ვის აქვს უფლება ეს მათ აუკრძალოს? ვის აქვს უფლება თქვას, რომ მათი აღწერა არასწორია? არავის აქვს დამცირებისა და უარყოფის უფლება.

ვინც ცდილობს გადააჭარბოს „აქ და ახლა“ და მივიდეს უმაღლესის (რომელიც ყველაფერს აღემატება) გაცნობიერებასთან, მხოლოდ ის იმსახურებს „ინდუისტის“ სახელს. ვინც სხვების წყენინებით სიამოვნებას იღებს, იგი ამ სახელის ღირსი არ არის.

ბჰარატის კულტურის თვით გული *ატმანის* არსის ერთიანობის შეგნებაა; ეს *ატმანი* სამყაროს სიყვარულით ავსებს ყოველ გულს. ვინც ეს ერთიანობა შეიგნო და მასში განმტკიცდა, ბჰარატელების ნათესავი და ახლობელია, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს და რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი.

ადამიანთა მრავალ გაერთიანებაში არსებობს თეორია, რომ ადამიანი მატერიის შენადელია და რომ ეს მატერია ფიზიკისა და ქიმიის კანონებს ემორჩილება. დასავლეთის ენაზე სიკვდილი განისაზღვრება როგორც „*ჯივის* ცხოვრების დასასრული“, ბჰარატის ენაზე კი „სიკვდილი“ ნიშნავს სხეულის, ანუ *დეჰას* მიტოვებას. რატომ? იმიტომ რომ დასავლეთის ადამიანი თავს სხეულად თვლის, ბჰარატელს კი სწამს, რომ იგი სხეული არ არის. ბჰარატელი ამტკიცებს და იცის, რომ მისი არსი *ატმანია* და რომ *ატმანი* სხეულშია მოთავსებული. ეს ორი აზრი აბსოლუტურად უთანაზომოა. ამქვეყნიური სიამოვნებების მერხევ ქვიშაზე აგებულ ცივილიზაციას დიდხანს არსებობა არ შეუძლია, იგი აღიგვება პირისაგან მიწისა. და, პირიქით, ბჰარატის და იმ ქვეყნების ცივილიზაცია, რომლებმაც ბჰარატის ცივილიზაცია შეაფასეს და მის კანონებს იცავენ, მრავალი საუკუნე არსებობს და დღემდე სიცოცხლისუნარიანია. ასეთი ცივილიზაციები აშკარად ახალ, შემოქმედებითი აქტიურობის ცოცხალი ნაკადის შემტან ნიშნებს გამოავლენენ. ამ ფაქტზე ის ბჰარატელები უნდა დაფიქრდნენ, ვინც თავისი ცხოვრება სხვა ცივილიზაციებისა და კულტურების მიბაძვას მიუძღვნეს.

მიბაძვის საფუძველზე ძლიერ კულტურას ვერ შექმნი. იგი „ცივილიზაციად“ ვერასოდეს იქცევა. მიბაძვა სულმოკლეობის ნიშანია და პროგრესთან ვერ მიგვიყვანს. ეს პირდაპირი გზაა დაცემისკენ. სად უნდა მიიღოს ადამიანმა აღმაფრენა თვითსრულყოფილებისთვის, თუკი იგი საკუთარი თავის მიმართ სიძულვილს განიცდის და თავის მიღწევებს აუფასურებს? ბჰარატელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა რცხვენოდეს თავის წინაპართა, ბრძენ კაცთა და წარსულ მასწავლებელთა ხსოვნისა, რომლებმაც შექმნეს ის კულტურა, იგი რომ გამოზარდა.

პირიქით, უნდა ეამაყებოდეს თავისი წინაპრების, ბრძენებისა და მასწავლებლებისა – ჩირაღდნებისა ბჰარატელებს შორის. იგი უნდა ამაყობდეს, რომ ასეთი პიროვნებები მისი წინაპრებია, რომ მისი ერი ასეთ სიწმინდეს ფლობს, რომ მისი ქვეყანა ასეთი წმინდა თვისებებითაა მდიდარი. ბჰარატის შვილებმა სიამაყის გრძნობით უნდა აივსონ გული მშობლიური მიწა-წყლის გამო, რომელმაც ბრძენი პიროვნებები შობა. ამ პიროვნებებმა თვითშეცნების სიმაღლეებს მიაღწიეს, სრულყოფილების მწვერვალები დაიპყრეს.

გამოავლინეთ ძალა, რომელიც საკუთარ ძალისხმევაში იფარება! ნუ აირჩევთ სუსტთა სტრატეგიას – სხვების მიბადვას! უკეთესია ის ღირსებები შეიძინოთ, სხვებს რომ გააჩნიათ. მიწაში თესლს ვთესავთ. შემდეგ აუცილებელ პირობებს ვუქმნით – ვაფხვიერებთ, რომ ჰაერი მიეწოდოს, ვრწყავთ, სასუქს ვაყრით. თესლი აღმოცენებას იწყებს, ნორჩ ყლორტად, ბოლოს კი – უზარმაზარ ხედ იქცევა. თქვენ ხედავთ, რომ იგი არც მიწად იქცევა, არც ჰაერად, არც სასუქად ან წყლად. იგი მათ იყენებს, მაგრამ თავისი ბუნების ერთგული რჩება და ხედ იზრდება.

თქვენც ამ ხესავით იცხოვრეთ. რა თქმა უნდა, ბევრის სწავლა გვიხდება სხვებისგან. ამაში ეჭვი არ არის, და ვინც ასეთ სწავლაზე უარს ამბობს, იგი თავის სულელობას ღიად აცხადებს. რაც თქვენს სულიერ განვითარებას ეხმარება, შეგიძლიათ სხვებისგან ისწავლოთ. ეს ყველაფერი სრულად შეითვისეთ, მაგრამ იმ ქცევის ხაზის თანახმად, თქვენი საკუთარი წინსვლისთვის რომ არის დადგენილი *ღჰარმის* თქვენს საკუთარ ზნეობრივ გზაზე. **თქვენ** უნდა იცხოვროთ როგორც **თქვენ**, და არა როგორც ვინმე სხვამ. არავის მისცეთ უფლება თქვენს თანდაყოლილ ბუნებას ჩამოგაშოროთ. ჩაეფაღით თქვენს ღმერთში, თქვენს წარმოდგენაში, თქვენს გრძნობებში, ნეტარებაში, რომელიც საკუთარი გულიდან მოდის, სიამოვნებაში, რომელსაც თქვენი *სადჰანა* გაძლევთ.

თუ ვინმე ცდილობს ამაში ხელი შეგიშალოთ, რა განზრახვაც არ უნდა ჰქონდეს მას, რა ხერხსაც არ უნდა ხმარობდეს, მთელი ძალით გაუწიეთ წინააღმდეგობა, სიცოცხლის ფასადაც თუ დაგიჯდათ ეს. ნუ დატოვებთ თავს

ღვთაებრიობის გაცნობიერების, ღვთაებრივი ექსტაზის გარეშე. ეს არის მოწოდება, რომელიც ექოდ უღერს ბჰარატელთა უმაღლესი სულიერი ნაკადის (*პარამარტჰა ვაჰინი*) გზაზე. ჩამოიცილეთ ყველა წინააღმდეგობა, გზაზე რომ გხვდებათ და ამ მიწა-წყლის კულტურის თავისუფალ დინებას უშლის ხელს; ეს კულტურა ხომ ასეთ სიტკბოებას, ასეთ ძაღას იძლევა! გაათავისუფლეთ კალაპოტი, რომელშიაც იგი გზას თელავს, და გაწმინდეთ ეს კალაპოტი. მაშინ იგი დაუბრკოლებლივ გასწევს წინ. საიმ ისურვა, რომ ამ ქვეყანამ, ბჰარატამ, ასეთ *სადჰანას* მოკიდოს ხელი. ძალიან დიდხანს დგას ამ მიწა-წყლის ღვთაებრივი *დჰარმა* ერთ ადგილზე. უკვე დიდი ხანია მისთვის დამახასიათებელი თვისება უძრაობაა. ახლა მას მოძრაობა უნდა მიეცეს. *დჰარმამ* სიცოცხლე უნდა შეიტანოს ყოველი ადამიანის ყოველ დღეში. უნდა შეადწიოს ამ მიწა-წყლის დიდებულ სამეფო სასახლეებსა და უღატაკეს ადამიანთა უბადრუკ ქოხებში და მოსავლის მომყვანი თესლი ჩათესოს.

ეს საუნჯე საერთო საკუთრებაა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება სამკვიდრო მიიღოს და მისგან სარგებელი გამოიტანოს. ვინც ადამიანად არის დაბადებული, თამამად შეუძლია თავისი კანონიერი წილი ითხოვოს. ამ მიზეზის გამო ბჰარატელებმა თითოეულის კარამდე უნდა მიიტანონ და ყოველ სახლში ითხოვონ, რომ მიიღონ იგი. როგორც ღვთის ქმნილებაში არსებული ჰაერი, რომელსაც ჩვენ შევისუნთქავთ, ყველასათვისაა ხელმისაწვდომი, ასევე ღმერთის გაცნობიერების, მისი ძაღისა და წყალობის *დჰარმაც* ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ბჰარატელები ასეთ ფართო მსოფლმხედველობას, ერთიანობისაკენ სამყაროს ამ მოწოდებას უნდა მისდევდნენ, და მაშინ ყველა რელიგიური უთანხმოება თავისთავად მოისპობა და დედამიწაზე მშვიდობა და სიყვარული აღდგება.

წარმოიდგინეთ სახლი, სადაც საუკუნეების განმავლობაში სიბნელე იყო. თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ და სიბნელეს სთხოვოთ, რომ დატოვოს სახლი, შეგიძლიათ ყოველდღე სწყევლოთ, აშინოთ და დაემუქროთ. სიბნელე არ წავა და არც შემცირდება. ვერავითარი ხერხით ვერ გამოიტყუებთ, ვერავითარი დამუქრებით ვერ შეაშინებთ მას. ანთეთ ლამპარი

და სიბნელე იმავე წამს გაქრება. სიბრძნის ლამპარს შეუძლია ადამიანი მრავალსაუკუნოვანი სიბნელისაგან იხსნას. ეს ჭეშმარიტება ადამიანმა ძალიან კარგად უნდა შეითვისოს, და როდესაც შეითვისებს, ცხოვრება მის თანახმად მოიწყოს.

ადამიანს შიგნით უსაზღვროება აქვს; ეს არის ბჰარატული აზრის თვით გული. უბრალოდ გამოცანაა, იქამდე როგორ მივიდა ადამიანი, რომ თავს დასაღუპად განწირულს უწოდებს! ჩვენ გვაოცებს, რომ ერთნი დემონებივით არიან, სხვანი – როგორც ღმერთები. მაგრამ ორივეთა არსი *ატმანია*, ამასთან თანაბარზომიერად. ვერ იტყვით, რომ ერთში *ატმანი* უფრო მეტია, ვიდრე მეორეში. თუკი ვინმე ცუდად იქცევა, ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მასში კულტურა არასაკმარისად არის.

ნუ დაასკვნით, რომ „ცუდ ადამიანში“ დვთაებრივი *ატმანი* არ არის. მანკიერებები მასში შეიძლება ცუდი კამპანიის ან მისი აღმზრდელი საზიანო საზოგადოების გამო განვითარდა. მაგრამ ეს მანკიერებები მის *ატმურ*, ჭეშმარიტ ბუნებას არ ენათესავენ. მისთვის მხოლოდ შესაფერისი კამპანიისა და სასიკეთო გარემოცვის მოძებნა და მისი დარწმუნებაა საჭირო, რომ ამ ახალ გარემოებას მიუერთდეს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისგან თავის არიდება და მისი მიტოვება, გაკიცხვა როგორც დაბადებიდან გამოუსწორებლისა.

სხეული უჯრედებისგან შედგება, უჯრედები კი – ატომებისგან. ატომებიც ფიზიკური სამყაროს მოვლენაა. თავის საფუძველში ისინი ინერტულია (*ჯადა*), ისინი შემადგენელი უგრძნობი მასალაა. ვედანტელები ლაპარაკობენ ამ უხეში სხეულისგან ცალკე მყოფ ფაქიზ სხეულზე. ისიც ფიზიკური ბუნებისაა. ეს არის ძალისა და ნატიფ შესაძლებლობათა ცენტრი. სწორედ ამ სხეულში ხდება ყველა რთულ სულიერ გრძნობათა და მღელვარებათა განცდა. ნებისმიერ ძალას მხოლოდ შუამავლის მეშვეობით შეუძლია მოქმედება, ამა თუ იმ მატერიალური ინსტრუმენტის მეშვეობით. იგივე ძალა, რომელიც უხეში სხეულის მეშვეობით ოპერირებს, აზროვნების რთული პროცესების დახმარებითაც მუშაობს. ეს არ არის ორი სხვადასხვა არსი. ერთი მხოლოდ და მხოლოდ „მეორის“ ფაქიზი ფორმაა.

როგორია ამ ძალების წყარო? თუ ამ კითხვას ღრმად ჩავუფიქრდებით, აღმოვაჩინებთ, რომ ბუნებაში ორი მოვლენაა – *აკაშა* (სივრცე) და *პრანა* (სასიცოცხლო ძალა). *აკაშა* ყველა უხეში და ფაქიზი საგნის წყაროა, რომლებთანაც ჩვენ გვაქვს საქმე; როდესაც სასიცოცხლო ძალა სივრცეს შეეხება, მისი ზემოქმედების შედეგად სივრცის არსი გარდაიქმნება უხეშ ან ფაქიზ ფორმებად სხვადასხვა პროპორციებში. *პრანა*, ისევე როგორც *აკაშა*, ყველგან მსუფევია, მას ყველგან და ყველაფერში შეღწევის უნარი აქვს. როგორც სიცივის ზეგავლენით წყალი იქცევა ყინულის ხორგად, რომელიც წყლის ზედაპირზე ცურავს, ასევე *პრანა* მოქმედებს *აკაშაზე* და სხეულები ჩნდება. *პრანა* ძალაა, რომელიც *აკაშას* სხვადასხვა ფორმას აძლევს. ფიზიკური სხეული *პრანას* გადაადგილების საშუალებაა, რომელიც (სხეული) *აკაშასგან* შექმნა მან. ფაქიზი სხეული აზროვნების, გრძნობების და ა.შ. ფორმაა.

როდესაც ფაქიზი სხეულის ზღვრებს გადალახავთ, რეალობის გაცნობიერება ხდება. ფრჩხილები, როგორც უხეში სხეულის ნაწილი, ზრდას აგრძელებს, რამდენიც არ უნდა დაიჭრათ. ასევე ფაქიზი სხეულიც ადამიანის სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია.

თავი 8

დამოკიდებულება

ადამიანს იმდენჯერვე შეუძლია ადამიანური სხეულის მიტოვება, რომელშიაც იგი დროებით თავშესაფარს პოულობს, რამდენჯერაც სიცოცხლის განმავლობაში ფრჩხილებს იჭრის. მაგრამ ფაქიზი სხეულის შეცვლა შეუძლებელია, იგი რჩება და არსებობას განაგრძობს. ეს არის ბჰარატას სულიერი აზრის ყველაზე უფრო საიდუმლო დოქტრინა. თუ კვლევის ამ ხაზით უფრო შორს წავალთ, შეიძლება მივიღეთ აღმოჩენამდე - **რას** წარმოადგენს ადამიანი: ეს არის უხეში სხეულის, ფაქიზი სხეულისა და *ჯივის* (ინდივიდუალობის) ერთობლიობა. ვედანტას ფილოსოფიის თანახმად, *ჯივიში* მოთავსებულია მარადიულის, უცვლელის, უსასრულოს (*ნიტიას*) ნაწილი.

პრაკრიტიც (ბუნება, ობიექტური სამყარო) მარადიულია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი მუდმივ ცვლილებებს განიცდის; ყოველ მომდევნო წამს იგი უკვე სხვაა, მაგრამ მუდმივად განაგრძობს არსებობას.

ინდივიდუალური *ატმანი* (*ჯივატმანი*) არ წარმოიქმნება არც *აკაშადან*, არც *პრანიდან*. მისი ბუნება არამატერიალურია. იგი არ გაჩენილა *აკაშაზე პრანის* გავლენით ან *პრანაზე აკაშას* გავლენით. რაც კი რაღაცისგან არის „შედგენილი“, გარდაუვალად დაიშლება. მაგრამ არსებს, რომლებიც დასაბამიდან „თავისთავად“ არიან, არ შეუძლიათ ნაწილებად დაიშალონ. რადგან დაშლა ნიშნავს „პირველყოფილ ბუნებასთან დაბრუნებას“, ნიშნავს, რომ საგანი „იმაღ იქცა, რაც დასაწყისში იყო“, „იმთავითვე მისთვის დამახასიათებელ მდგომარეობამდე შემცირდა“.

უხეში სხეული *პრანის* და *აკაშის* შეთავსების შედეგია და ამიტომ იგი ამ კომპონენტებად იშლება. ფაქიზი სხეულიც იშლება! - მაგრამ ამისათვის ძალიან, ძალიან დიდი დრო უნდა გავიდეს. მაგრამ *ჯივი* (*ატმანი* სხეულში) არ არის რაღაცისგან „შედგენილი“, და ამიტომ შეუძლებელია მისი დაშლა. მთლიან, ცალკე ნაწილებისგან არშემდგარ არსს შეუძლებელია წარმოშობის თარიღი ჰქონდეს.

ბუნების სამყარო, ანუ ობიექტების სამყარო, რომელიც მილიარდობით სხვადასხვა საგნისგან არის შედგენილი, ღმერთის მიერ იმართება. ღმერთი ყოვლისმცოდნეა, ყველგან მსუფვეია, ყველაფერს მოიცავს. იგი *პრაკრიტის* აქტიურს ხდის და *პრაკრიტის* მეშვეობით მოქმედებს. *პრაკრიტი* ყოველთვის მისი კონტროლის ქვეშ არის. ღმერთის ძლიერება უსაწყისო და უსასრულოა. ეს არის დუალისტების, ანუ *დვაიტის* (ორობითობის) მომხრეთა დოქტრინა.

ამ შემთხვევაში იბადება კითხვა. თუ სამყაროს ღმერთი მართავს, რატომ უშვებს იგი ამდენ ბოროტებას და მანკიერებას? ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: ღმერთი პასუხისმგებელი არ არის უბედურებასა და გულისტკივილზე. ჩვენი მტანჯველი უბედურებების წინაპრები ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვებია. სიხარული და მწუხარება ადამიანის მიერ ჩადენილი სიკეთისა და ბოროტების შედეგებია. ღმერთი მოწმეა. იგი ადამიანებს არ სჯის, უბედურებას არ ახვევს

თავს. *ჯივის* (ინდივიდუალურ სულს) „დასაწყისი“ არა აქვს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არ იბადება, მაგრამ სხეულში განხორციელებული სული განუწყვეტლივ ჩაბმულია მოღვაწეობაში და ამიტომ აუცილებლად უნდა განიცადოს ამ მოღვაწეობის შედეგები.

ეს გამოცდილება ყველასთვისაა დამახასიათებელი, ეს ყოველი გონების თვისებაა. ეს ბუნების, ობიექტური სამყაროს ურღვევი კანონია. მწუხარება და სიხარული ადამიანის მიერ შესრულებულ მოქმედებათა ექოა. ეს არის გამოხმობა, არეკვლა, საპასუხო რეაქცია. *ჯივი* მოწმე შეიძლება იყოს, მას არ ეხება „ცუდი“ და „კარგი“ მოქმედებაში. მაგრამ თუ ის „ცუდში“ ან „კარგში“ იხლართება, მაშინ „კარგის“ შედეგებს იგი განიცდის როგორც სიხარულს, „ცუდის“ შედეგებს კი – როგორც ბოროტებას ან მწუხარებას.

ვედანტა ამტკიცებს, რომ ბუნებით *ჯივი* სუფთა და უმწიკვლოა. ბჰარატას აზრისთვის ეს დოქტრინა უდავოა. მაგრამ ეს ჭეშმარიტება უმეცრებითა და უგულუბელყოფით იქნა გაბუნდოვნებული. ასე აბინძურებს ნამდვილ გამოცდილებას *მაია* (ილუზია), და უმეცრების აჩრდილი ბოროტებას ბადებს. როცა ადამიანი *სატკარმაშია* (კარგ, წმინდა მოქმედებაში) ჩაბმული, *მაიას* ღრუბლები იფანტება და ჭეშმარიტი „მე“-ს რეალობის შეგნება ხდება. ყველა არსება, ყველა *ჯივი* თავისი ოდინდელი ბუნებით სუფთაა. სასიკეთო საქმეებს შეუძლია ცუდი საქმეების ლაქები ჩამორეცხოს და მისი პირველქმნილი სიწმინდე დაიცვას. მაშინ *ჯივი* ღმერთის გზას – *დევაიანას* – ადგება. ღმერთისკენ სწრაფვა ინდივიდუუმის სიტყვებს, აზრებსა და საქმეებს გარდაქმნის.

ჩვენ არ შეგვიძლია სიტყვების გარეშე ფიქრი; სიტყვები აზროვნებისთვის აუცილებელი მასალაა. როდესაც *ჯივი* (ინდივიდუალური სული) სხეულს ტოვებს, სიტყვები გონებაში გადადის; გონება *პრანაში*, ანუ სასიცოცხლო ძალაში გადადის, *პრანა* კი *ატმანს* ერწყმის. როდესაც *ატმანი* (სხეულში ინდივიდუალიზებული) თავისუფლდება, იგი სურიალოკაში, ანუ სურიაში, მზის არსის სფეროში ისწრაფის. ამ სფეროს რომ მიაღწევს, ინდივიდუალიზებული *ატმანი*, ანუ *ჯივატმანი*, აღარაა *პრაკრიტისთან* დაკავშირებული. იგი იქ დროის დასასრულამდე იარსებებს. იგი უსაზღვრო ნეტარების

განცდაში იქნება. მას ყველა ძალა ექნება, გარდა შექმნის ძალისა.

კოსმოსის მართვის უფლება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ღმერთი ყოველგვარი სურვილებისგან თავისუფალია. ადამიანს მხოლოდ ერთი ვალდებულება აქვს – ღმერთს თავისი სიყვარული შესთავაზოს და ამ სიყვარულის მეშვეობით თავიანთი სცეს მას. ამას მთელ არსებებს შორის ადამიანი უმაღლეს ღონეზე აჰყავს. ისინი, ვინც ამ სტატუსზე არც კი ფიქრობენ ან თავისი ვალდებულებების შესრულების უნარი არა აქვთ, სხვა კატეგორიებს მიეკუთვნებიან. ისინიც სწირავენ მსხვერპლს და თავიანთ სცემენ, ისინიც კეთილისმყოფელი მოღვაწეობით არიან დაკავებულნი. მაგრამ მათ ამისი შედეგები სურთ, მათი იმედი აქვთ, იმ მოქმედებებს ასრულებენ, რომლებიც გამოწვეულია სურვილებით - ამ მოქმედებების შედეგად სარგებელი ნახონ. „ჩვენ საწყლებისთვის ვწირავდით, ამიტომ ჩვენი ცხოვრება ბედნიერი და მშვიდი უნდა იყოს. ჩვენ დაცემულებს ვეხმარებოდით წამოდგომაში, ამიტომ გზაზე სიძნელებები არ შეგვხვდება. ჩვენ ღმერთის სადიდებელ გალობებს დიდ დროს ვუთმობდით, ამიტომ სამოთხეში ადგილი განაღდებული გვაქვს“ - ასეთია ანგარიში ამ სახის ადამიანებისა, რომლებიც „კეთილი მოქმედებებით“ არიან დაკავებულნი. როცა ასეთი ადამიანები სხეულებს ტოვებენ, ანუ „კვდებიან“, მათი სიტყვები გონებას ერწყმის, გონება *პრანას* ერწყმის, *პრანა*, თავის მხრივ, *ჯივიში* ზავდება, და *ჯივატმა* მიდის მთვარის არსის სფეროში (ჩანდრალოკაში), სვა სიტყვებით, სფეროში, სადაც გონების ღვთაება მეფობს, ეს კი ნიშნავს, რომ მათ ისევ გონების არეში შესვლა მოუწევთ, მთელი თავისი მღელვარებებითა და სურვილებისა და იმედების გაწამაწით.

ჩანდრალოკაში ასეთი *ჯივიები* კმაყოფილებასა და სიამოვნებას განიცდიან იმ დრომდე, სანამ კარგი საქმეების შედეგები არ ამოიწურება. სწორედ ამიტომაც საღვთო წერილებში ნათქვამი: „როდესაც დაგროვილი დამსახურებები ამოიწურება, ისინი კვლავ მოკვდავთა სამყაროში მოხვდებიან“ (*ქშენე პუნიე მარტილოკამ ვიშანტი*). *ჯივატმა* თავის თავს ათავსებს სხეულში, რომელიც გრძნობათა ორგანოებით და სხვა ინსტრუმენტებითაა აღჭურვილი, და იწყებს ცხოვრების

ახალ ციკლს შესაბამისად იმ საქმეების შედეგებისა, რომლებიც წინა სხეულში იყო დაგროვილი.

ინდუიზმის ხატოვან გამოთქმებში ჩანდრალოკაში სულის ყოფნა არის ზეცაში გატარებული დრო ღვთაების (ნახევადმერთის) ხარისხში. ქრისტიანობაში და ისლამში ასეთ არსებებს ანგელოზები ჰქვიათ. ამ ღვთაებების მეთაურისთვის მიცემული სახელი დევენდრა მიუთითებს უმაღლესი ძალაუფლების ქონაზე. ათასობით სული ავიდა ამ დონემდე.

ვედების თანახმად, უაღრესად მართლქმედებითი ცხოვრების ადამიანი ღმერთების სავანის დონემდე ადის, სადაც დევენდრაა მმართველი. ამ დონეზე წინათ ასული სული როდესმე მაინც ჩამოვა დედამიწაზე და თავის ცხოვრებას აღადგენს ადამიანის ფორმაში. როგორც დედამიწაზე იცვლებიან მეფეები, ასევე ზეცაშიც გვერდს ვერ აუვლენ მმართველები „აღმასვლას“ და „ვარდნას“. სამოთხის, ანუ ზეცის მობინადრენიც ემორჩილებიან აღმაფრენებს და ვარდნებს. მხოლოდ ბრაჰმალოკაა დაბადებისა და სიკვდილისაგან, აღმავლობისა და დაცემისაგან, აღმაფრენისა და ვარდნისაგან თავისუფალი. ეს არის ბჰარატული აზრის მთავარი დოქტრინა, მისი დაუღვეველი ნექტარი, რომელიც კაცობრიობისთვისაა მიძღვნილი.

როდესაც *ჯივატმა* ჩანდრალოკაში იმყოფება როგორც *დევა* (ღვთაება), მას არავითარი *კარმის* შესრულება არ შეუძლია. მხოლოდ ადამიანი გამოხატავს თავს *კარმის* მეშვეობით; ეს *კარმა* თავისი შედეგებით ბოჭავს მას. *კარმა* ნიშნავს მოქმედებას, რომელიც სურვილითაა შთაგონებული და შედეგზეა გამიზნული. როდესაც სული ჩანდრალოკაში *დევას* სხით იმყოფება, იგი კმაყოფილებითა და სიამოვნებითაა აღვსილი, ამიტომ მას არ ექნება სწრაფვა მოქმედებისკენ, რომელიც სიხარულს ან რაიმე წარმატებას მოუტანდა.

ამ *ლოკაში* სულის ყოფნა ჯილდოა, რომელიც მის მიერ წინათ შესრულებული კარგი საქმეებისთვის მიიღო მან, პრიზია, რომელიც განსაკუთრებული მართლქმედებისთვის მოიგო. როდესაც კარგი საქმეების მიერ შობილი სიამოვნება განცდილი და დახარჯულია, დაგროვილ შედეგთა ნარჩენი უნდა „ბოლომდე განიცადოს“, და სული იძულებულია დედამიწაზე ადამიანად დაბრუნდეს. და მაშინ, როდესაც იგი

მთავარი მიზნისკენ გაემართება და იმ საქმეებს მიუძღვნის თავს, რომლებიც უმაღლესი ძალის დამსახურების მატარებელია, ადამიანს შეუძლია მთლიანად გაწმინდოს თავისი გული და ბრაჰმალოკას მიაღწიოს, საიდანაც უკან წამოსასვლელი გზა არ არსებობს.

სიტყვა *ნარაკას* (ჯოჯოხეთს, ქვესკნელს) ვერც ერთ ვედაში ვერ ნახავთ. ჯოჯოხეთის გაგება ბჰარატიელების სულიერი აზრისთვის უცხოა. ქვესკნელისა და ჯოჯოხეთის მრავალგვარი აღწერები შედარებით მოგვიანებით გამოჩნდა შასტრებსა და პურანებში. ამ ტექსტების ავტორები თვლიდნენ, რომ რელიგია სრულფასოვანი არ არის, თუ მასში ჯოჯოხეთის იდეა არ არის. მათ განაცხადეს, რომ ჯოჯოხეთში სული მრავალგვარ წამებას გადის, მაგრამ მაინც წამებებს რაღაცა ზღვარი დაუდეს – კერძოდ, დაამოწმეს, რომ ჯოჯოხეთში სიკვდილი არ არსებობს. მიზანი, რისი გულისთვისაც ჯოჯოხეთი „შეიქმნა“, მხოლოდ ერთი იყო – ადამიანთა გულებში შიში ჩაენერგათ, რომ ასეთი ხერხით ისინი ცოდვებისგან აეცილებინათ.

ადვაიტა (ერთიანობის ფილოსოფია) არავითარ სამოთხეს ან ჯოჯოხეთს არ გვახვევს თავს. მასში მხოლოდ დამოკიდებულებასა და განთავისუფლებაზე, უმეცრებასა და გონების განათებაზეა ლაპარაკი. *ადვაიტას* ამ ნაწილს ვედანტა ჰქვია. არ არსებობს მის მტკიცებაზე უფრო მაღალი რწმენა.

თავი 9

მთლიანთან ერთიანობა

ღმერთმა *ჰაგატბი*, ანუ კოსმოსი თავისი თავისგან შექმნა, ამიტომ იგი (ღმერთი) წარმოადგენს როგორც ქმნილების წყაროს, ასევე სამყაროს მატერიას, ქსოვილს. აქედან გამომდინარე ღმერთი მთლიანია, სავსეა (*პარიპურნა*). ქმნილებაც მთლიანია, და ინდივიდუალური *ატმანიც* მთლიანია. ამრიგად, ვედანტა რამდენიმე მთლიან არსს აღიარებს. ღმერთმა კოსმოსი თავისი თავიდან გაამჟღავნა. როდესაც ამ მტკიცებას ვხვდებით, ბუნებრივი უნდობლობა

ჩნდება: „როგორ იქცა ღმერთი მთელ ამ კედლებად, მაგიდებად?“ „ღმერთი აბსოლუტურად წმინდაა, როგორ შეუძლია მას მთელ ამ უსუფთაო საგნებად ქცევა?“ - ეს არის კიდევ ერთი ეჭვი, რომელიც უცებ იპყრობს მრავალს.

მოდით ვცადოთ პასუხების პოვნა. თავისი ჭეშმარიტი ბუნებით ადამიანი *ატმანია*. მაგრამ იგი სხეულის გარსშია მოთავსებული, ხომ ასეა? ერთი მხრივ, აი ჩვენ წინ დგას ადამიანი, ანუ მისი სხეული, ხომ ასეა? მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრძნობს, რომ იგი არ არის უბრალოდ სხეული, რომ მისი არსი ფიზიკური გარსისგან განსხვავდება, რომ იგი არც ბავშვია, წინათ რომ იყო, და არც მოხუცია, რაც ახლა გახდა, არც კაცი და არც ქალია, და რომ **ის, თვითონ ის** რჩებოდა ერთი და იგივედ ბავშვობაშიც, სიჭაბუკეშიც, მოწიფულობაშიც, მოხუცებულობაშიც, მამაკაცურ ან ქალურ საწყისშიც, ყველა სხვა მდგომარეობაში და ცვლილებაში.

ასევე კოსმოსი, და მთელი ქმნილება მხოლოდ ღმერთის მილიარდობით სხეულებია. იგი ეს ყველაფერია და ამ ყველაფერშია, მაგრამ თვითონ უცვლელი და მარადიულია. ბუნებას ცვლილებების მიმართ აქვს მიდრეკილება. ისე მოჩანს, რომ *ატმანსაც* შეუძლია სხეულში „შევიწროება“ ან „გაფართოება“, „აყვავება“ ან „ჭკნობა“. ცუდ საქმეებს შეუძლია მისი ჩინებულება შეასუსტოს, მისი ნათება გააბუნდოვოს. მისი ოდინდელი, ნამდვილი სიმართლე და სიბრძნე შეიძლება ცუდი აზრებითა და ქცევებით იყოს დაფარული. საქმეები და ქცევები, რომლებსაც შეუძლია *ატმანის* პირველქმნილი ჩინებულება და დიდება გამოავლინოს, „კარგის“ კატეგორიას მიეკუთვნება.

თავიდან *ატმანი* „არ არის შებოჭილი“, მაგრამ შემდეგ შევიწროებული და შეზღუდული მოჩანს. კარგი საქმეებისა და ქცევების დახმარებით იგი აღიდგენს თავის სიფართოესა და უსაზღვროებას. ყოველ ადამიანს, გამოუკლებლად, გააჩნია შესაძლებლობა ეს ცვლილება განახორციელოს. როცა შესაფერისი დრო დგება, ნებისმიერს შეუძლია ეს გააკეთოს და დამოკიდებულებისა და შეზღუდულობისაგან განთავისუფლდეს. მაგრამ *ჯაგატი* (კოსმოსი) არსებობას არ შეწყვეტს. იგი მარადიულია, მისი მოსპობა შეუძლებელია. ეს განმარტება ეკუთვნის ინდური ფილოსოფიის მეორე შლოკას.

პირველია დუალიზმის (დუაიტის) ფილოსოფია. მეორეა ვიშიშტ-ადვაიტა* ან „სახეშეცვლილი მონიზმი“.

ეს არის სულიერი კვლევისა და გამოცდილების უფრო მაღალი სტადია. იგი სამ არსს მიიხნევს პოსტულატად – ღმერთს, ატმანს და ბუნებას და ამბობს, რომ ისინი ერთ მთლიანში არიან გაერთიანებულნი. დუალისტების თანახმად, კოსმოსი გიგანტური მექანიზმია, რომელიც ღმერთის მიერ დამუშავდა და იმართება. ვიშიშტ-ადვაიტა აცხადებს, რომ კოსმოსი მოვლენაა, რომელიც ღვთაებრივითაა გაჯერებული და გამსჭვალული. მაგრამ ადვალისტები, ანუ არა-დუალისტები, აცხადებენ, რომ ღმერთი კოსმოსის გარეთ არ არის, რომ იგი კოსმოსი (ჯაგატი) განდა და რომ მთელი არსებული არის ღმერთი.

არ არსებობს არაფერი, გარდა ღმერთისა, არ არის სხვა, მეორე. ეს ჭეშმარიტება ყველამ უნდა მიიღოს. ეს არის უმაღლესი ჭეშმარიტება. არ არის სწორი იმის თქმა, რომ ღმერთი ატმანია და რომ კოსმოსი სხეულის მსგავსია, რომელსაც ის მართავს და რომელშიაც ცხოვრობს. არც ის მტკიცებაა სრულფასოვანი, რომ ატმანი (ღმერთი) მარადიული და უცვლელია, მაგრამ კოსმოსი, რომელიც მის სხეულს წარმოადგენს, ცვლილებასა და გარდაქმნას შეიძლება ექვემდებარებოდეს.

რა აზრი დევს ფრაზაში: „ღმერთი უპადანა-კარანაა, ანუ სამყაროს უშუალო მიზეზია“? უშუალო მიზეზი ის მიზეზია, რომელსაც შედეგი მოაქვს. მაგრამ „შედეგი“ არის „მიზეზი“ სხვა ფორმაში. მას არ შეუძლია მიზეზისგან განცალკევებული იყოს. ყოველი შედეგი, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით, ეს იგივე მიზეზია, რომელმაც სხვა ფორმა მიიღო. როდესაც ამტკიცებენ, რომ სხეული (კოსმოსი) შეზღუდული და არამდგრადია, და რომ მას მიზეზთან, ანუ ღმერთთან მიყვავართ, ანუ რომ სხეული ღმერთიდან განვითარდა და ჩამოყალიბდა, არა-დუალისტები უპასუხებენ, რომ თვითონ ღმერთი გამჟღავნდა კოსმოსის ფორმით.

* ვიშიშტ-ადვაიტა (პირდ. სწავლება განსხვავებთა იგივეობაზე) – ვედანტის ნაირსახეობა, რომელიც, ადვაიტა-ვედანტისგან განსხვავებით, რეალურად არსებულად თვლის მატერიალურ სამყაროს, ადამიანის ინდივიდუალობას და პრაქმანს როგორც გამჟღავნებულ, პიროვნულ ღმერთს. რამანუჯას სკოლის დამფუძნებელი.

შეიძლება ეჭვი გვქონდეს იმაში, რომ მთელი ეს მრავალფეროვანი საგნები და არსებები სინამდვილეში ღმერთია. დიახ, ეს სიმართლეა. ყოველივე ის, რასაც გრძნობათა ორგანოები შეიცნობენ, ყველაფერი ის, რასაც ვაცნობიერებთ, ღმერთია. მის გარდა არაფერი არსებობს. ჩვენი სხეულები, გონება, ინტელექტი, ცნობიერება, **ეს ყველაფერი** ღმერთია.

აქ ეჭვებისთვის კიდევ ერთი საბაბი ჩნდება. რისთვის უნდა ღმერთს ასეთი დიდი სიმრავლის ინდივიდუალიზებული არსებად გახდომა? რატომ გახდა იგი მრავალი *ჯივატმა*? რაში სჭირდებოდა ღმერთს, რომელიც არის ერთი ფორმა, ასეთ სიმრავლედ გამჟღავნება? და როგორ მოხდა ეს? თუ ღმერთმა თავისი თავი კოსმოსად გარდაქმნა, მაშინ მას უნდა ცვალებადობისთვის დაექვემდებარებინა თავი; ბუნებაში მთელი საგნები და არსებები, რომლებიც თავისი სტრუქტურის შედეგად ცვალებადობას ექვემდებარება, წარმოშობასა და მოსპობას, დაბადებასა და სიკვდილს გადიან. და თუ ღმერთი ცვლილებების ზღვრებს შიგნით შევიდა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისიც გაქრება, მოკვდება? უნდა გაიაროს თუ არა მან ცვლილებები და სრულ დასასრულამდე მივიდეს? დაიმახსოვრეთ ეს კითხვა. მანადე კი კიდევ ერთი მომენტი განვიხილოთ. ღმერთის „რა ნაწილი“ ხდება კოსმოსი?

ადვაიტისტები ამას შემდეგნაირად პასუხობენ: „რა „პორციასაც“ არ უნდა გამოყოფდეთ, რამდენსაც არ უნდა ფიქრობდეთ ამის შესახებ, ერთი რამ გახსოვდეთ: კოსმოსი **არ არსებობს**. ეს ილუზიაა. იგი არასოდეს ყოფილა, არ არის და არ იქნება. კოსმოსის შექმნა, კოსმოსის განზავება, მილიარდობით წარმოშობილი და გამქრალი არსებები, მხოლოდ და მხოლოდ ცდუნებაა, სიზმარია. არ არსებობს არავითარი ინდივიდუალიზებული *ჯივატმანი*, ანუ განკერძოებული *ატმანი*. ნუთუ შესაძლებელია მილიარდობით *ჯივატმანი* არსებობდეს?”

არსებობს მხოლოდ ერთი განუყოფელი და მთლიანი აბსოლუტი. როგორც ერთი მზე მილიონ მზედ ირეკლება მილიონ ტბაში, წყალსაცავში, წყლის წვეთში, ასევე

ჭივატებიც მხოლოდ ერთის ანარეკლებია გონებებში, რომლებშიაც ბრწყინავს იგი. აი ბჰარატელების ყველაზე მთავარი და ნათელი აზრი, რომელიც ადვაიტას ფილოსოფიაშია გამოსახული. ვისაც უნარი არ გააჩნია შეიგნოს იგი, ის მაიას, ცდომილების, ილუზიის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება.

ნებისმიერი სიზმრის, ანუ ცდუნების საფუძველში მაინც რეალობა უნდა იდგეს. ფუძემდებლური რეალობის გარეშე „დამოკიდებულ იდეას“, ანუ ფაქტს, არსებობა არ შეუძლია. თუ საფუძვლის შემადგენელი საგანი არ არის, მაშინ „მომდევნო“ საგნები ვერ გაჩნდება. ეს საფუძველი ღმერთია, იშვარაა. იგი საესეა, მთლიანია. იგი გონებაცაა, სხეულებაცაა, ატმანიცაა. თქვენ რეალური ხართ მხოლოდ როგორც სიზმარი. თვალისთვის, რომელსაც რეალობის დანახვის უნარი აქვს, კოსმოსი უამრავ სახელთა და ფორმათა ეს თავმოყრა კი არ არის, არამედ მხოლოდ სატ-ჩიტ-ანანდაა – სუფთა ყოფიერება-გაცნობიერება-ნეტარება. დაფიქრდით, რა არის თქვენი სიზმარი. იგი სადღაც თქვენ გარეთ არ ჩნდება ისევე, როგორც სიზმარში ნანახი სახეებისა და მოქმედებების მთელი კალეიდოსკოპი არ მიდის გარე სამყაროში.

ეს ყველაფერი თქვენში ჩნდება და თქვენში მიდის. როდესაც სიზმარს ხედავთ, ყველა მოვლენა და არსება თქვენთვის რეალურია და, ისევე, როგორც მღვიძარობის დროს, თქვენ მრისხანების, აღტაცების, შიშის, მღელვარების, სიხარულის გრძნობას განიცდით. სანამ გძინავთ, არ უარყოფთ ყველა ამ განცდას როგორც ილუზორულს. კოსმოსი ღმერთის სიზმარია. იგი ღმერთში იქმნება და ღმერთში მიდის. კოსმოსი ღმერთის გონის პროდუქტია. ეს ცხოვრებები, განმეორებითი „მოსვლები“ ამ ქვეყანაზე, ეს ყველაფერი მაიას უცნაური ქსელია, არარეალური ფანტაზიები, ილუზორული მღელვარებები, მოჩვენებითი სახეებია. თქვენ ხართ სისავსე, მთლიანი, თქვენ ღმერთი ხართ. ღმერთი თქვენი თავია. ვინც ეს უმაღლესი სიბრძნე გამოცდილებით განიცადა, მას შეუძლია ამ ერთთან ერთიანობას მიაღწიოს - აქ, ამ ცხოვრებაში, ახლავე.

იოზეპი

ფილოსოფიურმა ძიებამ, ანუ ვედანტის აზროვნებამ, განვითარების სამი სტადია განვლო. ეს არის *ადვაიტა*, *ვიშიშტ-ადვაიტა* და *დვაიტა*. არავითარ ადამიანურ ძალისხმევას არ შეუძლია ამ სამ საფეხურზე უფრო მაღლა ასვლა. *ადვაიტის* ჭეშმარიტებები ჩვეულებრივი ადამიანის გაგებისათვის ხელმიუწვდომელია: მათში ჩაწვდომა ადვილი არ არის. ინტელექტის მუშაობის დახმარებით მათი ათვისება რთული ამოცანაა. *ადვაიტის* შეგრძნებისთვის არსში ღრმად ჩაწვდომის მძლავრი უნარია საჭირო. ამიტომ უკეთესია დუალიზმის, ანუ *დვაიტის* საფეხურიდან დაწყება, და მისი როგორც რეალობის განცდა, რაც საგანთა ზღვრებს მიღმაა; და მაშინ უფრო ადვილი იქნება მეორე საფეხურის, *ვიშიშტ-ადვაიტის* დაძლევა. ინდივიდუუმი ისევე ინტენსიურად და განუხრელად უნდა ვითარდებოდეს, როგორც საზოგადოება. ჩვენ გავდივართ ჩვილი ყრმის ასაკს, ბავშვობას, სიყრმეს, სიჭაბუკეს, მოწიფულობას და სიბერეს; ეს არის შეუმჩნეველი, მაგრამ გარდაუვალი განვითარება. ასაკის ყოველ სტადიას მხოლოდ მაშინ განვიცდით, როდესაც მასში ვიმყოფებით. სწორედ ასეა ფილოსოფიური კვლევის სამი სტადიის საკითხშიც. აქედან ყოველი სკოლა ფარულად მომდევნოში იმყოფება და ყოველი სკოლა წინ იწევს წინამავლის გამოცდილებიდან გამომდინარე. შეუძლებელია აზრის სამივე სკოლის ერთდროულად გაცნობიერება. ჩვენი *სადჰანის* (სულიერი პრაქტიკის) და მისგან მიღებული გამოცდილების შესაბამისად ყოველი თვალსაზრისი აღწევს ცნობიერებას და მოქმედებისა და აზრის წყაროს ფორმირებას ახდენს.

ვინც ამტკიცებს, რომ სამყარო რეალურია და ამავე დროს იმ აზრზე დგას, რომ ღმერთის არსებობა მონაგონია, ოცნებაა, უგუნურობის დემონსტრირირებას ახდენს. ვინაიდან, თუ შედეგი, კერძოდ კი კოსმოსი, რეალურია, მას მიზეზი უნდა ჰქონდეს, რადგან ხომ არ შეიძლება შედეგი მიზეზის გარეშე არსებობდეს? ღმერთის უარყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართლზომიერი, თუკი სამყარო იქნება უარყოფილი.

ღმერთი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაქრეს, თუ კოსმოსი გაქრება.

ის, რაც ახლა კოსმოსის სახით მოჩანს, სინამდვილეში ღმერთია; ასეთ ხედვას იძენს ჭეშმარიტი სულიერი მოღვაწე, რომელმაც თავის გზაზე დიდ წარმატებებს მიაღწია. სინამდვილეში ჩვენ მიერ აღქმული სამყარო ზმანებაა. როგორც კი ამ ოცნებიდან გამოვერკვევით, მაშინვე ჭეშმარიტება („კოსმოსი ღმერთია“) გამოვრწყინდება ცნობიერებაში. ოდითგან ღმერთი, რომელსაც ჩვენ მიმართ რაღაც გარეშე არსებად ვთვლით, ასევე ჩვენი შინაგანი არსიც იყო. ეს ჭეშმარიტებაც გახდება რწმენის განუყოფელი კომპონენტი.

რა თქმა უნდა, არ არსებობს ისეთი ფილოსოფია, რომელიც ადამიანური მენტალიტეტის ყველა ტიპსა და დონეს დააკმაყოფილებდა. ყოველ სკოლას აქვს თავისი განსაკუთრებული ღირებულება. ადამიანები განსხვავდებიან გონებრივი განვითარების, მსჯელობის უნარის მიხედვით. ამიტომ ყოფიერების სამი ფილოსოფიური განმარტებიდან, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი (*დეაიტა*, *ვიშიშტ-ადეაიტა*, *ადეაიტა*), ყოველი განმარტება პოულობს აღიარებას სხვადასხვა სოციუმის, გონებრივი წყობის ადამიანებში. ამასთან დაკავშირებით არც ერთ სკოლას არა აქვს უფლება თავისი უპირატესობის შესახებ გამოაცხადოს ან სხვა სკოლა დაამციროს. ასეთ მეთოდებს მხოლოდ არაკეთილგონიერი ადამიანები იყენებენ.

როდესაც ფანატიკური შეხედულების მქონე პიროვნებებს ვხვდებით, მათთან ურთიერთობა უნდა ვაწარმოოთ კეთილმოსურნე ღიმილით, გულწრფელი რწმენით, მათი ინტერესით მოსმენის სურვილით. დიახ, ადამიანს შეუძლია დათვრეს, მაგრამ მხოლოდ *პრემას* (ღმერთის სიყვარულის) ღვინით. თუ ვინმე მუშაობის დიდი სურვილით მოდის, ჩვენი ჩვევები და ძალა უნდა გავუზიაროთ და მათთან ერთად მუშაობაში ჩავებათ.

ასეთი ხერხებით შეგვიძლია სხვადასხვა სარწმუნოებისა და ფილოსოფიური მიმდინარეობის მიმდევრებს შორის თანხმობას მივაღწიოთ. ამას შეუძლია რელიგიური მოძღვრებები და მრწამსები დაახლოოს. რა მშვენიერი იქნებოდა, თანხმობისა

და მშვიდობიანი თანაარსებობის ეს იდეა ყოველი ადამიანის „უძრავი ქონება“ რომ გამხდარიყო! რა ბედნიერი იქნებოდა მსოფლიო, თითოეულს რომ გაეგო: აღქმის მისი წახნაგი უკეთეს შემთხვევაში შეიძლება არასრული იყოს და, ამ წახნაგმა რომ თავისი თავი ჭეშმარიტებად გამოაცხადოს, მას მრავალ სხვა წახნაგთან ჰარმონიული შეთანხმება ესაჭიროება!

იოგა ნიშნავს „ერთად შეერთებას“. ინდოეთში, სადაც ოდითგანვე *იოგა* ყოველ ადამიანს სისხლში აქვს, მრავალი სარწმუნოებისა და მრწამსის ჰარმონიულ თანაარსებობასთან შეიძლება მისვლა, და სწორედ ეს არის საყოველთაო რელიგიის იდეალური ვარიანტი. ვისაც თავისი რწმენა ყოველდღიურ ცხოვრებაში გმირულად გადააქვს, მას აქვს უნარი ადამიანთა საზოგადოებაში ეს ერთიანობა განახორციელოს.

დაახლოება, ანუ ერთიანობა შეიძლება გარეშე ქცევასა და შინაგან ბუნებას შორის დამკვიდრდეს. *პრემას* (უანგარო სიყვარულის) გზაზე შეუპოვარ *სადჰაკას* შეუძლია თავისი თავისა და *პრემას* განხორციელებას (ღმერთს) შორის ერთიანობისაკენ ისწრაფოდეს. ვედანტიცტს, რომელმაც მიიღო იდეა „ყველაფერი არის ღმერთი“, შეუძლია მთელ არსებულთან ერთიანობას მიაღწიოს. *იოგას*, ანუ „შეერთების“ გზა, შეიძლება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად უღერდეს სანსკრიტულ ენაზე, მაგრამ ისინი, რომლებსაც ამ ერთიანობის მიღწევისა და რეალიზაციის უნარი აქვთ, *იოგებს* მიეკუთვნებიან.

ვინც ერთიანობისკენ აქტიური მოღვაწეობის საშუალებით მიღწევის დახმარებით ისწრაფის, იგი *კარმა-იოგს* წარმოადგენს. ვინც სუფთა სიყვარულისა და ერთგულების გზით მიდის, იგი *ბჰაქთი-იოგია*; ვინც ცდილობს თავისი დაფარული ძალები გამომამუღავნოს და საჭირო კალაპოტში მიმართოს, იგი *რაჯა-იოგია*; ვისაც ლოგიკური ანალიზისკენ, რაციონალური მსჯელობისკენ აქვს მიდრეკილება და ინტუიციურ აღქმას აღწევს, იგი *ჯნიანა-იოგია*. ამ ოთხი გზით ისევ და ისევ მიდიან მაძიებელნი ბჰარატის მთელი სულიერი ისტორიის მანძილზე.

პირველი ტიპი *კარმა-იოგია*. უზენაესთან ერთიანობისთვის იგი ირჩევს მოქმედების, *კარმის* გზას – კეთილშობილ, დიად

საქმეებს ასრულებს. ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც თითქოს გარკვეული მისიის ან გეგმის შესრულებისთვის დაიბადნენ. მათი გონება მხოლოდ ოცნებებითა და წარმოდგენით არ კმაყოფილდება, იგი სავსეა რეალური, საჭირობოროტო ამოცანებით, რომელთა განხორციელებაც მათ სწყურიათ. ასეთ ადამიანებს სახელმძღვანელოდ გზის მაჩვენებელი – შასტრა (წმინდა წერილი) სჭირდებათ, რომელიც მათ კეთილი გზით ატარებს.

მსოფლიოში ნებისმიერი ადამიანი მუდამ ამა თუ იმ მოღვაწეობით არის დაკავებული. და, ამის მიუხედავად, ძალიან მცირედთათვისაა ცნობილი *კარმის* აზრი და ნამდვილი ღირებულება, კერძოდ კი – რა არის საუკეთესო ხერხი იმისათვის, რომ ადამიანის ამ გარდაუვალი ხვედრისგან საუკეთესო შედეგები შეიძინონ. ამ ცოდნის გარეშე ცხოვრება რუტინად იქცევა და ფუჭად გაივლის. *კარმა-იოგა* ადამიანებს ასწავლის, *კარმას* შეგნებულად როგორ მიუდგნენ, რა გზით უნდა მიიღონ მოღვაწეობიდან მაქსიმალური სარგებელი. სად, როდის, როგორ უნდა შესრულდეს მოქმედება, სულიერი მისწრაფებები როგორ ამტკიცებს გონების ძალას *კარმის* შესრულებაში, როგორ უნდა მიუდგეს ადამიანი *კარმას*, რომ მისი შედეგი სულიერი განვითარება იყოს – ყოველივე ამას *კარმა-იოგა* გვასწავლის.

„მოღვაწეობის გზის“ საწინააღმდეგოდ არის ერთი არსებითი მოსაზრება, რომელსაც ადამიანთა ერთი ნაწილი წამოაყენებს. ეს მოსაზრება იმაში გამოიხატება, რომ *კარმა-იოგა* მეტისმეტად დიდ ფიზიკურ ძალისხმევას საჭიროებს. მაგრამ, როგორც წესი, გონებისა და სხეულის მიერ განცდილი ყველა დაძაბულობის, ყველა სტრესის მიზეზი ის კომპანიაა, რომელსაც ადამიანი ირჩევს. „ეს ძალიან მომწონს და მხოლოდ ამის კეთება მინდა“; „მისთვის მხოლოდ სიკეთე მსურდა, მაგრამ ჩემი სურვილი მან უგულვებელყო და ჩემთვის ვნების მიყენებასაც კი ცდილობდა“ - აი დაძაბულობისა და სტრესის ჩვეულებრივი მიზეზები. გულგატეხილობის შემდეგ ადამიანი მოღვაწეობის მიმართ ინტერესს კარგავს. ადამიანს შეიძლება კარგი განზრახვები ჰქონდეს, უნდოდეს ვინმეს სიკეთე გაუკეთოს ამა თუ იმ სახით და იმედი ჰქონდეს, რომ სიხარულს თვითონაც მიიღებს და სხვებსაც მოუტონს. მაგრამ

როდესაც ეს სიხარული არ მოდის, მის ადგილს სასოწარკვეთილება იკავებს.

მაგრამ *კარმა-იოგა* გვასწავლის: მოქმედებისთვის, თვით *კარმისთვის* შეასრულე მოქმედება; ნუ მიეხვეები იმას, რასაც აკეთებ, ნუ ფიქრობ იმაზე, შენი საქმეები დაეხმარება თუ არა ვინმეს. რატომღაც *კარმა-იოგის* ხელები მუშაობით დაკავებული? მისთვის ეს ბუნებრივია, მისი ბუნებაა, მუშაობა მას სიამოვნებას ჰგვრის. ეს არის მიზეზი. იგი არ ვაჭრობს, არ სურს მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს, არ ანგარიშობს. იგი გასცემს და სამაგიეროს არ ელის და ამიტომ არ იცის რა არის მწუხარება და გულგატეხილობა.

მეორე გზა: *ბჰაქთი-იოგა*. ეს ყველაზე უფრო შესაფერი გზაა ემოციური ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც უნარი აქვს გული სიყვარულით შეავსოს. ასეთ ადამიანებს სწყურიათ, რომ ღმერთი მათი საყვარელი გახდეს. *ბჰაქთას* მოქმედება სხვაა: იგი დაკავებულია გუნდრუკის კმევით, უზენაესის სახელის დიდებით, თაყვანისცემის წეს-ჩვეულებებისთვის იგი ყვავილებს კრეფს, სალოცავებსა და ტაძრებს აგებს, სადაც შეუძლია სილამაზის, სიბრძნისა და ძლიერების სიმბოლოები დადგას და თაყვანი სცეს მათ.

თქვენ გინდათ შემედავოთ, რომ ეს არასწორი გზაა, რომ იგი არ მიგვიყვანს ღვთაებრივთან ერთიანობასთან. მაგრამ გახსოვდეთ, რომ სულიერი მოღვაწეობის სწორედ ამ სტადიამ – ერთგულებამ და თაყვანისცემამ – წარმოშვა წმინდანები და ბრძენები, დიადი სულიერი ბელადები და მასწავლებლები მთელ მსოფლიოში. ზოგიერთმა რელიგიურმა სწავლებამ, რომელსაც ღმერთი წარმოუდგენია როგორც ფორმის არმქონე, ღმერთის თაყვანისცემის ყოველგვარი წეს-ჩვეულებები მკრეხელობად გამოაცხადა. ისინი ცდილობდნენ კიდევ *ბჰაქთის* რიტუალები აეკრძალათ, მაგრამ, როდესაც ამას ასრულებდნენ, იგნორირებას უკეთებდნენ რეალობას მთელ მის სიდიადესა და ძლიერებაში.

დარწმუნებულობა იმაში, რომ ღმერთი არ შეიძლება სიმბოლურად იქნას ფორმაში გამოსახული, სულიერი სიბრძნის ნიშანია; ღვთაებრივი ფორმის თაყვანისცემის უსარგებლოდ გამოცხადება იგივეა, რაც ფუჭი ვაზნებით სროლა. კაცობრიობის მთელი ისტორია *ბჰაქთის* ეფექტურობას

ამოწმებს. ცუდია *ბჰაქთების* წეს-ჩვეულებების, ცერემონიებისა და რიტუალების დაცინვა, აგრეთვე იმ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერისა, რომლებიც ამ რიტუალებს იცავდნენ, რომ ღვთაებრივთან ერთიანობისთვის მიედწიათ. დაე შეასრულონ თავისი რიტუალები იმათ, ვისაც გამოსახულების თაყვანისცემით მიღებული სიხარული სწყურიათ! მათი რწმენის შერყევის მცდელობა, ამ რწმენის ფუჭად და უნაყოფოდ ჩათვლა უდავოდ დიდი ცოდვაა.

უმაღლესი სულის დიადი გმირების დიდება, რომლებმაც თვითრეალიზაციის უდიდესი მწვერვალები დაიპყრეს და სულიერ სრულყოფილებას – ადამიანური მისწრაფების მიზანს – მიაღწიეს, უდიდეს გავლენას ახდენს მთელი კაცობრიობის გონიერებაზე. ინდოეთში ოდითგან ამ ბრძენ წინასწარმჭვრეტა შთამომავლობის შტოები ნარჩუნდება. სწორედ ამიტომ იპყრობდა ამ ქვეყნის სულიერი მემკვიდრეობა მსოფლიოს ხალხთა ყურადღებას. და იმის მიზეზი, რომ ინდოეთმა მთელი მსოფლიოს პატივისცემის მოპოვება შეძლო, უნდა ვეძებოთ დაუფასებელ განძში, რომელიც ამ ბრძენებმა გახსნეს და შემოგვინახეს. აქ, ამ ქვეყანაში, ღმერთის სიყვარული და ცოდვის შიში ცხოვრებაში მთავარი დასაყრდენი და უცვლელი სახელმძღვანელო იყო ყოველი დღისთვის. ბჰარატა დამსახურებულად იწოდება წმინდა ქვეყნად, რომელიც გაჯერებულია განდგომილობითა და სულიერი მოღვაწეობით, რაც აბსოლუტთან შერწყმაზეა გამიზნული. ეს არის ქვეყანა, რომელიც განთქმულია შეწირულობითა (*ტიაგით*) და *იოგათი*. ამ კულტურით წახალისებული სწრაფვები გონების კაპრიზების მოთვინიერებისკენაა მიმართული.

ნუთუ სასიამოვნო იქნება რეალობის ბუნებისა და თვისებების შესახებ მსჯელობები იმათთვის, რომლებსაც დაუოკებელი ვნებებისა და ემოციებისკენ აქვთ მიდრეკილება? ამ კულტურის დიადი მშენებლებისთვის ღმერთი აშკარად საგრძნობი ჭეშმარიტება, ერთადერთი რეალური ფაქტი იყო, ის, ვისაც მთელ თავის სიყვარულს აძლევდნენ. ამიტომ ამ კულტურის მემკვიდრეებსა და მიმდევრებს ნიჰილისტების მოსაზრების მიმართ, რომელიც წინასწარ შეზღუდულ „მტკიცებულებებზეა“ დაფუძნებული, ისეთივე

დამოკიდებულება აქვთ, როგორც ზღაპარში ხალხს - „სულელთან“. ამ სულელმა კერპი დაინახა და მასში ღმერთის პოვნის სურვილით ჩაქუჩით დაამსხვრია!

ასეთ ადამიანებს *ბჰაქთი-იოგა* სიყვარულის გზებს ასწავლის. იგი მოუთხრობს, როგორ უნდა უყვარდეთ და სამაგიროს არაფერს ელოდნენ. გიყვარდეთ ყველა. გიყვარდეთ ყველა, როგორც გიყვართ თქვენი თავი. მაშინ ცუდი არაფერი გადაგხდებათ თავს და თქვენგან სიხარული და ბედნიერება გამოსხივდება. ღმერთი ყველა არსებაში იმყოფება სიყვარულის სახით. ამიტომ თქვენი სიყვარული განკუთვნილია არა ინდივიდუუმისთვის, და მას მიიღებს არა ინდივიდუმი, არამედ მასში მკვიდრი ღმერთი. სულიერი მაძიებელი, რომელმაც სიყვარულისა და ერთგულების გზა აირჩია, ძალიან მაღე იგნებს ამას.

ზოგიერთებს ღმერთი უყვართ როგორც დედა, სხვებს როგორც მამა, კიდევ სხვებს როგორც ყველაზე უფრო ახლობელი და ძვირფასი მეგობარი. არიან ისეთები, რომლებიც ღმერთს ხედავენ როგორც შეყვარებულს, როგორც ერთადერთ სასურველ მიზანს. ყველა ისინი ისწრაფვიან თავისი სიყვარული გააზაგონ სიყვარულის ოკეანეში, რაც ღმერთს წარმოადგენს. სადაც არ უნდა შეიგრძნოთ სიყვარულის აშკარა თანდასწრება, ჩათვალეთ, რომ ეს თვით ღმერთის სიყვარულია. კაცობრიობის მიმართ ღმერთი უდიდეს სიყვარულს განიცდის. ამიტომ, თუ ვინმე საყვარელ ადამიანზე მზრუნველობას თავის თავზე იღებს, ღმერთი მათ წყალობის კალთას უხვად გადმოაბერტყავს. თუ ახლობლის ტანჯვის დანახვისას ადამიანს თანაგრძნობა ეუფლება, მისი გული ღებება და ფართოვდება, გჯეროდეთ, რომ ღმერთი თქვენთან არის. ეს არის ერთგულების გზის, *ბჰაქთი-იოგას* ნიშანი.

ახლა *რაჯა-იოგას* შესახებ. *რაჯა-იოგა* ნიშნავს გონების კონტროლის გამაგრების პროცესს. *რაჯა-იოგისთვის* არ არის აუცილებელი ინტელექტი რომელიმე რელიგიურ ლიდერს დაუმორჩილოს და მის მითითებებს მიჰყვეს. ეს შესაძლო შეცდომებისა და არასწორი ნაბიჯებისგან იცავს მას გზაზე. ყოველ ეტაპზე იგი მხოლოდ თავის გონიერებასა და გამოცდილებას უნდა ენდოს, რის გავლაც თვითონ მოუხდა.

ყოველ არსებას ინსტრუმენტების სამი ტიპი გააჩნია ცოდნის შესაძენად, ცოდნის დახმარებით კი – სიბრძნის შესაძენად. პირველია „ინსტინქტური“, იგი ძალიან ძლიერია, მეტად მომქმედი და განვითარებულია ცხოველებში. ეს ტიპი ყველაზე უფრო ძველი და პრიმიტიულია და ამიტომ სამთა შორის ნაკლებად ნაყოფიერია. მეორე ტიპია „რაციონალური“, ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც ცდილობს გამოიცნოს მიზეზი და მისგან გამომდინარე შედეგი. ამ ინსტრუმენტმა უმაღლესი განვითარება ადამიანში მიიღო. ინსტინქტს მხოლოდ გრძნობათა ორგანოებისა და სენსორული აღქმის შეზღუდულ არეში შეუძლია იმუშაოს.

ადამიანში ინსტინქტური ცოდნა მნიშვნელოვანწილად რაციონალური აზროვნების ინსტრუმენტებსაა დაქვემდებარებული. მაგრამ „რაციონალურის“ ზღვრებიც ძალიან ვიწროა; გონიერებას შედარებით ფართო არეები შეუძლია მოიცვას. ამის მიუხედავად, გონიერების მოქმედების სფეროც გარკვეული ჩარჩოებითაა შემოსაზღვრული. გონიერებას მხოლოდ მოკლე მანძილზე შეუძლია წინ გვატაროს, ამის იქით მას გზა ჩაკეტილი აქვს. ლოგიკის მიერ არჩეული გზა არ არის პირდაპირი. ლოგიკური გონიერება წრიულად მიდის და ისევ და ისევ საწყის წერტილში, საწყის პუნქტში ბრუნდება.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი ცოდნა ობიექტებისა და მისი შემადგენელი ელემენტებისა და ძალების შესახებ. ის, რაც ამ ობიექტურ სამყაროს ამოძრავებს, მაგრამ ამავე დროს მის ზღვრებს გარეთაა, ის, რაც მისი „აღმგზნებია“, ამ ცოდნის ჩარჩოებში არ თავსდება. და ამიტომ იმის ზღვრები, რისი მოცვაც და ახსნაც გონიერებას შეუძლია, იგივეა, რაც ერთი ციციქნა მოლექულის დილეგში მოთავსებული „ცნობიერება“, ტრანსცენდენტური (რაც ყველაფერს აღემატება) სისავსის სიფართოვესა და გრანდიოზულობასთან შედარებით.

იმისათვის, რომ გონიერების ზღვრების გადაბიჯება შევძლოთ და ინტუიციის ამ ყოვლისმომცველ თავისუფალ სფეროში დავმკვიდრდეთ, გარკვეული სულიერი პრაქტიკა და შინაგანი დისციპლინაა საჭირო. ეს დისციპლინები და პრაქტიკული ვარჯიშები შეიძლება მოვაქციოთ ერთი დასახელების ქვეშ – სიბრძნე (ჯანიანა), რომელიც ღმერთს

მოჰყავს მოქმედებაში. არსებობს *ჯნიანას* მხოლოდ სამი სტადია: *საპაჯა-ჯნიანა* („ბუნებრივი“, რომელიც მოქმედებისა და აღქმის ორგანოებითაა მიღებული), *იუქთი-იუქთაჯნიანა* (ცოდნა, რომელიც ამოცნობისა და შეფასების პროცესშია მიღებული) და *იშვარა-პრერიტა ჯნიანა* (ღმერთის მიერ შთაგონებული ცოდნა, რომელიც მისი წყალობითაა შექმნილი შინაგანი ხედვის, ანუ ინტუიციის საშუალებით). ცოდნის პირველ ტიპს ცხოველები ფლობენ; მეორე ჩვეულებრივი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი; მესამე კი მაღალი სულიერი პიროვნებების განსაკუთრებული განძია. მაგრამ ყოველ ადამიანს შეუძლია თავს ევლებოდეს, ავითარებდეს ამ „მესამე“ სიბრძნის ნაზარდს, რადგან მისი დაუფლების უნარი ყოველ ადამიანშია დაფარული.

ამასთან ერთი რამ მუდამ უნდა გვახსოვდეს. სიბრძნის სამი ტიპი ზრდის სამი სტადიაა და ამიტომ ცოდნის ურთიერთგამომრიცხავ სფეროებს არ წარმოადგენს. ღმერთის მიერ შთაგონებული ცოდნა (მესამე ტიპი) არ ეწინააღმდეგება მეორეს (ლოგიკურს), იგი მხოლოდ შეუქს ჰყენს, რომელიც ლოგიკურ (*იუქთი-იუქთა*) ცოდნაში არ არის გამჟღავნებული. შედარებით გვიანი სტადია წინას ადასტურებს და ამდიდრებს. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც გონების ახირებებს არ ეწინააღმდეგება, თავის გაუკუღმართებულ შეხედულებებს ღმერთისგან მიღებულად ან შთაგონებულად თვლის. იგი სხვებსაც კი მოუწოდებს მის რჩევებს მიჰყვნენ. ასეთი ადამიანების უაზრო ხელმძღვანელობის ქვეშ სხვებიც გადადიან გზიდან. ასეთი შტერები აცხადებენ, რომ მათი უაზრო ყბედობა ღმერთისგან მოცემული ცოდნაა.

ჭეშმარიტი სწავლება არასოდეს დაიყვანება *იუქთი-იუქთა ჯნიანამდე* – დასკვნებამდე, რომლებიც ამოცნობისა და შეფასების გზითაა გამოტანილი. ზემოთ ხსენებული ყველა *იოგა* მთლიანად ეთანხმება ამ აზრს. *რაჯა-იოგას* პრაქტიკა ძირითადად ხორციელდება გონებით და მისი გადაწყვეტილებებით. ეს ძალიან ვრცელი საკითხია და აქ მხოლოდ მის ცენტრალურ თემას განვიხილავთ. არსებობს ის რაღაც, რაც ერთადერთი თავშესაფარია როგორც ყველაზე უფრო დაბალი დონის ადამიანებისთვის, ასევე ძალიან წინ წაწეული იოგებისთვის, კერძოდ კი – ერთმიმართული

მედიტაცია. მეცნიერისთვის, რომელიც ლაბორატორიული კვლევითაა დაკავებული, გზაზე მიმავალი მგზავრისთვის, წიგნის მკითხველ სწავლულისთვის, ადამიანისთვის, რომელიც წერილს წერს ან ავტომობილს ატარებს, ყურადღების კონცენტრაცია უახლოეს ობიექტებზე ან თავის მოქმედებაზე ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინ მას ესმის იმ საგნის ბუნება და განსაკუთრებულობები, რაზედაც იგი მოცემულ მომენტში მუშაობს. რაც უფრო ძლიერია კონცენტრაცია, მით უფრო წარმატებული იქნება მუშაობა. როდესაც მთელი გონებრივი უნარი ერთ ძალისხმევაშია მოკრებილი, ცოდნის დაუფლება უფრო სწრაფად და უფრო ფართო მასშტაბით ხდება. სწორედ ეს არის ცოდნის მიღების ერთადერთი გზა.

ნებისმიერ ადამიანს, რითაც არ უნდა იყოს იგი დაკავებული, კონცენტრაცია საშუალებას აძლევს სამუშაო უკეთესად შეასრულოს, ვიდრე მის გარეშე. განსაკუთრებულ ამქვეყნიურ წამოწყებებში, ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმეებში გსურთ წარმატებას მიაღწიოთ თუ სულიერ პრაქტიკაში, გონებრივი ენერჯის კონცენტრაცია აუცილებელია. ეს არის *რაჯა-იოგას* ყველაზე მთავარი ასპექტი. მილიონობით არასასურველი, უღირსი, არასაჭირო და მავნებელი აზრებიც კი სტუმრობენ ჩვენს გონებას და მის მოღვაწეობას არღვევენ. ეს აზრები ახლოს არ უნდა მოვუშვათ, ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალ-ყური გონებას და დავიცვათ იგი. *რაჯა-იოგა* შეუცვლელი თავშესაფარია მათთვის, ვინც ამ გზაზე წარმატების მიღწევა გადაწყვიტა.

ჯნიანა-იოგა ძირითადად მიძღვნილია საგანთა არსის – ფუძემდებლური პრინციპების – შესწავლას. კოსმოსი, ანუ სამყარო, რომელსაც ვაცნობიერებთ როგორც ჩვენგან გარეშეს, შეიძლება ცოდნის სხვადასხვა თეორიული სისტემების დახმარებით აიხსნას, მაგრამ საქმეში ჩაუხედავისთვის არც ერთი მათგანი საკმაოდ დამაჯერებელი არ იქნება. *ჯნიანა-იოგი* ცდილობს ასეთი თეორიების ძაფი დაწინას. იგი დარწმუნებული არ არის სამყაროში ნებისმიერი ობიექტის რეალობაში, ნებისმიერ მოღვაწეობაში, იმის რეალობაშიც კი, ვინც რაიმე სხვა განმარტებას ქადაგებს. მას სჯერა იმისი, რასაც შეუძლია ყოველდღიური ცხოვრების რუტინას სძლიოს და სოციალური და სხვა ვალდებულებებისაგან

დამოუკიდებელი გახდეს. ყოფიერების (სატ) უსაზღვრო ოკეანეში ობიექტები, მისი თვალსაზრისით, მხოლოდ და მხოლოდ ქაფის ბუშტებია. ცდილობენ წრეწირიდან ცენტრისკენ გადაადგილდნენ, რისგანაც ისინი *მაიას*, ილუზიის საშუალებით გამჟღავნდნენ. *ჯნიანა-იოგიც* ცდილობს შეერწყას ამ ცენტრს, რეალობის იდუმალ არსს, თავი დაადწიოს ხილული მრავალფეროვნების ხაფანგს. *ჯნიანა-იოგი* ამოცანას ისახავს არა მარტო გააცნობიეროს ჭეშმარიტება, არამედ თვითონ **იქცეს** მად. რა თქმა უნდა, როგორც კი *ჯნიანა-იოგი* ჭეშმარიტებას გააცნობიერებს, უმაღლვე მად იქცევა. იგი ვერ იტანს იმ აზრს, რომ ის და ჭეშმარიტება ერთმანეთისგან განცალკევებულებია, განკერძოებულებია.

მხოლოდ ღვთაებრივია მშობლიური და ახლობელი მისთვის. არ აინტერესებს სხვა მისწრაფებები, არ განიცდის სხვა მიბმულობებს, არ გააჩნია სხვა სურვილები. მისთვის ღმერთი ყველაფერია ყველაფერში. მას არ ეხება უბედურება და სიხარული, წარმატება და წარუმატებლობა. იგი მხოლოდ ნეტარება-ცნობიერების ერთ მთლიან, განუწყვეტელ ნაკადს ხედავს და შეიგრძნობს, რადგან პიროვნებისთვის, რომელიც ამ მდგომარეობაში გამყარდა, წუთისოფლის ცხოვრება მისი აღმაფრენებითა და დაცემებით ტრივიალური და ილუზიური მოჩანს. ამ დონეზე რომ გაჩერდეს, იგი გრძნობით აღტყინებებს წინ უნდა აღუდგეს და წუთისოფლის ცდუნებებს გონების სულ მცირე აღელვების გარეშეც კი უყუროს.

ჯნიანა-იოგი ფხიზლად არის ცდუნებების მიმართ, რომლებსაც გრძნობები აწვდის მას. იგი მათ გვერდზე გასწევს, ღვთაებრივს უახლოვდება და ძალას და სიმშვიდეს მასში ეძებს. მისთვის ცნობილია, რომ ენერგია და ძალა, რომელიც სიცოცხლეს აძლევს უმცირესთა შორის უმცირესს და უდიდესთა შორის უდიდესს, ერთი და იგივე ღვთაებრივი პრინციპია. მისი აზრები, სიტყვები და მოქმედებები თავის მსოფლშეგრძნობას გამოსახავს. ეს არის უმაღლესი ხედვა, *პარამართჰა-დრიშტა*. იგი ელემენტებს - მიწას, წყალს, ცეცხლს, ჰაერსა და სივრცეს - ხედავს როგორც თვით ღვთაებას, ყველა არსებას კი – ადამიანს, მხეცს, ფრინველს, ჭიას – როგორც ღმერთიდან გამჟღავნებულს და ამიტომ მთლიანად ღვთაებრივს.

აქ კიდევ ერთ რამეზეც უნდა ითქვას. თუ ადამიანს აქვს უბრალოდ ცოდნა იმის შესახებ, რომ ღვთაებრივი ყველაფერს ახასიათებს და იმის შესახებაც კი, რომ იგი ყველაფერს აღემატება, იგი ჯერ კიდევ არ შეიძლება *ჟნიანად* ჩაითვალოს, რადგან ცოდნა ცხოვრებისეული გამოცდილებით უნდა შეითვისოს. ეს გადამწყვეტ ტესტს წარმოადგენს. საკმარისი არ არის, რომ ინტელექტი თანხმობას იძლევა და იმის დამტკიცების უნარიც კი აქვს, რომ ყველაფერი უზენაესს წარმოადგენს. ეს რწმენა მორწმუნის ცხოვრების ყოველ მომენტს და ყოველ მოქმედებას უნდა ავსებდეს და ამხნევებდეს. *ჟნიანა* არ შეიძლება უბრალოდ აზრთა საწყობი ან პრინციპების წყობა იყოს. რწმენა ყოველ აზრს, ყოველ სიტყვასა და მოქმედებას უნდა აცოცხლებდეს. მთელი თქვენი არსება *ჟნიანას* ნექტრით უნდა იყოს გაჯერებული.

ინტელექტი სუსტი ინსტრუმენტია. დღეს იგი რაღაცას სწორად აღიარებს, მეორე დღეს კი თვითონვე უკუაგდებას და ერთ აზრს მეორით ცვლის. ინტელექტს არ შეუძლია საბოლოო და უცვლელი აზრის გამოტანა. ამიტომ ეცადეთ გამოცდილება დააგროვოთ. როდესაც ეს უკანასკნელი შექმნილ იქნება, *ატმანი* გაგებულ იქნება როგორც „ეს ყველაფერი“. ეს არის *ჟნიანა-იოგა*. ბჰარატული მსოფლმხედველობის თანახმად, ვედები ღმერთის ხმად ითვლება. ამიტომ ბჰარატის მცხოვრებლებისთვის ვედები მთელი ცოდნის თავდაპირველი წყაროა. ყველაფრის შემოწმება ვედების საფუძველზე ხდება. ძველმა ბრძენებმა დაადგინეს, რომ ყველაფერი, რაც კი ვედებს ეთანხმება, ადამიანისთვის მისაღებია, ხოლო რაც არ ეთანხმება, არ შეიძლება მისაღები იყოს.

ვედები ადამიანის (მამაკაცების ან ქალების) მიერ არ ყოფილა თქმული, შედგენილი. ისინი ბრძენების მიერ იქნა **შესმენილი** და მიღებული, *გურუები* მათ თაობიდან თაობებს ზეპირად გადმოსცემდნენ მოსწავლეების მეშვეობით. *გურუ* დეკლამირებას ახდენდა, მოსწავლე უსმენდა და ზუსტად ისე ახდენდა დეკლამირებას, როგორც ამას *გურუ* აკეთებდა, ისევე მონდომებით და უზადოდ. ასე მოადწია ვედებმა საუკუნეების სიდრმიდან ჩვენამდე. არავის შეუძლია ზუსტი თარიღი დაასახელოს, როდის იქნა ვედები შესმენილი და პირველად

წარმოთქმული. ამიტომ ისინი ითვლება როგორც მარადიული, სანატრანა.

აქ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე უნდა შევჩერდეთ. მსოფლიოში გაბატონებული დანარჩენი რელიგიები ავტორიტეტულად თვლიან წმინდა წერილებს, რომლებიც წმინდანებმა მიიღეს თვით ღმერთისგან ან უშუალოდ მისი სამყაროებრივი ფორმისგან, ან რომელიმე ღმერთკაცის მეშვეობით, ან ღვთაების რაიმე იპოსტასის ან ასპექტის მეშვეობით. ბჰარატელებს სხვა თვალსაზრისი აქვთ. ისინი აცხადებენ, რომ ვედების ავტორიტეტი „ადამიანის ფაქტორზე“ არ არის დაფუძნებული. თავის ნამდვილობაში დამოკიდებული არ არის რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე როგორც „შუამავალზე“. ისინი პირდაპირ ღმერთისგანაა გამოსული, პირველქმნილია, თავისი თავისთვისაა ავტორიტეტიც და უტყუარობაც, არ ყოფილა დაწერილი ან შეთხზული, ხელოვნურად შეკრებილი ან ვინმეს მიერ შედგენილი.

კოსმოსი, ანუ ქმნილება, უსაზღვროა, მარადიულია და არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. ასევე ღმერთის ხმასაც, კერძოდ კი ვედებს, საზღვრები არ გააჩნია, მარადიულია, არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. ძირი, რისგანაც სიტყვა ვედა შედგება, არის ვიდ (ცოდნა). როდესაც ცოდნა „დაიწყო“, სწორედ მაშინ გამოჩნდა ვედები. *რიშებმა* სულიერი განათება განიცადეს და ვედები გააჟღერეს. *რიშები მანტრების* „გამნათებლებია“, წინასწარმჭვრეტეები კი – *მანტრა-დრიშტასი*.

ვედებს ორი ძირითადი განყოფილება აქვს – კარმა-კანდა და ჯნიანა-კანდა (განყოფილება მოქმედების შესახებ და განყოფილება სიბრძნის შესახებ). პირველ ადგილზეა კარმა-კანდა, მას მოჰყვება ჯნიანა-კანდა. კარმა-კანდაში აღწერილია მრავალი სხვადასხვა *კრატ* (მოქმედება), ანუ მსხვერპლად შეწირვა, რომლებშიც საკუროთხევლის ცეცხლს წმინდა ძღვენები მიეცემა. ჩვენს დროში ბჰარატელებმა მრავალ ასეთ რიტუალზე თქვეს უარი, რადგან ძალიან ძნელია მათი ისეთი ზედმიწევნით ზუსტი შესრულება, როგორსაც ვედები მიუთითებს. მაგრამ ზოგიერთები მაინც ასრულებენ მეტისმეტად უბრალო ფორმაში. კარმა-კანდაში ასევე უდიდესი ყურადღება ექცევა მორალურ წესდებას. განსაკუთრებული ზნეობრივი წესები და შეზღუდვები, რომლებიც ყოველდღიურ

ცხოვრებასა და ქცევას არეგულირებს, ცხოვრების ყოველ სტადიას ეხება – მოწაფეობას (*ბრაჰმჩარიას*), ოჯახურ ცხოვრებას (*გრიჰასთჰას*), განმარტოებისა და მზერის სტადიას (*ვანაპრასთჰას*) და განდევნილობას (*სანიასას*). კარმა-კანდაში ასევე მითითებულია, რა არის სწორი და რა - არასწორი სხვადასხვა მოღვაწეობისა და პროფესიის, საზოგადოებაში სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანებისათვის. ინდოეთის ხალხი ამ წესებს ასე თუ ისე, ფარულ თუ ღია ფორმაში, დღესაც იცავს.

ჯნიანა-კანდას სხვაგვარად ვედანტა, ანუ ვედების დაგვირგვინება ჰქვია. ეს არის მიზანი, საბოლოო შედეგი. ჯნიანა-კანდა უპანიშადებშია მოთავსებული. ფილოსოფიური სკოლების – *დვაიტის*, *ვიშიშტ-ადვაიტისა* და *ადვაიტის* მომხრეები, შივას, ვიშნუს, შაქთის, სურიას ან განაპატის* თაყვანისმცემლები ვედების უმაღლეს ავტორიტეტს აღიარებენ. ვედები და უპანიშადები მათ შეიძლება განმარტონ თავიანთი საკუთარი წინაპირობებიდან და ინტელექტის დონიდან გამომდინარე, მაგრამ არც ერთი მათგანი ეჭვქვეშ არ დააყენებს ვედების ან ვედანტის ავტორიტეტს. ამიტომ ერთი და იგივე ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ ინდუისტიც, ვედანტისტიც, ბჰარატელიც.

ფილოსოფიური აზრის სხვადასხვა სკოლები, რომლებიც დღესაა გავრცელებული, შეიძლება აღქმისთვის ძნელი ან უმწიფარი ჩანდეს, მაგრამ თუ თემაზე სერიოზულად დაეფიქრდებით, ტექსტებს დაწყნარებული გონებით შევისწავლით და წინაპირობების გარეშე მივუდგებით, ნათელი გახდება, რომ ისინი იმ საკითხებზეა დამყარებულია, რომლებზეც უპანიშადებშია ყურადღება გამახვილებული, და იმ შედეგებზე, რომლებიც უპანიშადებმა გამოიტანა. უპანიშადები სიმბოლური სახე გახდა, რომელსაც ტაძრებსა და სახლის სალოცავებში სცემენ თაყვანს. ეს არის მათი უნივერსალური მოწოდების ჯეროვანი დაფასება. ისინი ჩვენი ცხოვრების თვით ქსოვილშია მაგრად ჩაწნული.

ვედები უსასრულოა (*ანანტო ვაი ვედაჰ*). მაგრამ ამასთან ერთად ისინი ოთხ კრებულამდეა შემცირებული და ამ

* განაპატი (განეშა) – სპილოსთავიანი ღვთაება, შივას ვაჟი; თაყვანს სცემენ როგორც ოჯახური კერის დამცველს და წინააღმდეგობების მომსპობს.

ფორმით შემოინახა მათი არსი. ამ ოთხ ვედას მშვიდობისა და აყვავების გულისთვის ქადაგებდნენ და ასწავლიდნენ დედამიწაზე. მათი დასახელებებია რიგ-, სამა-, იაჯურ- და ადჰარვა-ვედა. მათში დაცულია *დჰარმა* (ზნეობრივი კანონი), დამტკიცებულია რეალობა, ისინი მშვიდობასა და კეთილდღეობას უწყობს ხელს, ადამიანებს ღმერთის თაყვანისცემისთვის, პატივისცემისთვის აღძრავს, მუსიკის მიმართ გემოვნებას ავითარებს, ასევე სამხედრო საქმესა და იარაღის ხმარების ხელოვნებას ასწავლის. ისინი ადამიანს ცხოვრების იდეალურ ნიმუშს უჩვენებს და მოუწოდებს, რომ მას მიჰყვეს.

აცნობიერებს ამას ბჰარატელი თუ არა, ყოველთვის, როდესაც იგი სწორად იქცევა, ამის უკან ვედების რომელიმე მითითება ან აკრძალვა დგას, რომელიც გზას უნათებს და მასზე მიუთითებს. ცხოვრებისეულ რიტუალებში, ქორწილით დაწყებული და დაკრძალვით დამთავრებული, და წინაპართა შეწყალების ადათ-წესებშიც კი, ვედები გზის მაჩვენებელს წარმოადგენს. ჭეშმარიტ ბჰარატელს არასოდეს უნდა ავიწყდებოდეს ვედები და მათ მიმართ მაღლიერების გრძნობას არ კარგავდეს. დუალისტები, სახეშეცვლილი მონიზმის მიმდევრები და ერთიანობის ფილოსოფიის მომხრეები თავის ცხოვრებას იმ კანონებით აწყობენ, რომლებიც წარსულის ბრძენებმა დაამყარეს. მაგრამ ახლა მათ არ იციან, რა არის ამ სახელმძღვანელოებისა და წესების თავდაპირველი წყარო. ამის შესახებ რომ სცოდნოდათ, მათი წამოწყებების შედეგები უფრო დამაჯერებელი და უცვლელი იქნებოდა.

ღირებულებები ვედებში

შეტყობა, ცოდნა არის ვედა (*ვეტი იტი ვედაჰ*). ეს გულისხმობს, რომ ადამიანს ვედებიდან შეუძლია გაიგოს სწორი მოღვაწეობის კანონები და სწორი ცოდნის არსი. ვედები ადამიანს უხსნის, როგორია მისი ვალი დაბადებიდან სიკვდილამდე, აღწერს მის უფლებებსა და ვალდებულებებს, მიუთითებს პასუხისმგებლობაზე, ვალდებულებაზე ცხოვრების ყველა სტადიის განმავლობაში – მოსწავლის, ოჯახის უფროსის როლში, საქმეებისგან განდგომის პერიოდში და განდევილობის დროს. ვედების გამონათქვამები და ფორმულები რომ უფრო უბრალო და გასაგები ყოფილიყო, ყველას რომ შეეძლებოდა გაეგო მათი „შეიძლება“-ს და „არ შეიძლება“-ს აზრის გაგება, დროთა განმავლობაში გაჩნდა ვედანგები, პურანები და ეპიკური ტექსტები.

ამიტომ, თუ საკუთარი დანიშნულებისა და ჭეშმარიტი არსის გაცნობიერებას აპირებს, ადამიანმა უნდა გაიგოს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს უფრო გვიანდელი „განმარტებითი“ თხზულებები. სწორედ ამ მიზეზით შთააგონებდნენ მოსწავლეებს ძველი დროის მასწავლებლები ვედანგებისა და ვედებთან დაკავშირებული სხვა ტექსტების აზრს მანამაღ, სანამ თვით ვედების სწავლებას შეუდგებოდნენ. გასული წლების *გურუკულებში*, ანუ სკოლა-აშრამებში, ეს აუცილებელი იყო. იმ დროში ბჰარატელები „14 ცოდნას“, ანუ საგანს სწავლობდნენ. ვედები დამახსოვრებით, სმენით ისწავლებოდა. ვედების მცოდნე, რომელმაც ისინი ასეთი სახით შეითვისა, იღებდა ტიტულს *ჯადა* (რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „უძრავს“, „ინერტულს“). მაგრამ ეს სიტყვა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ მან არაფერი იცის. მისი აზრი იმაშია, რომ *ჯადას* აღარაფრის შესწავლა დარჩენია და ამიტომ იგი „არააქტიური“ და „თვითკმარია“. ვედების შეთვისებით იგი მთელ დანარჩენ ცოდნას დაეუფლა. ვედების შესწავლა უაღრესად აუცილებლად ითვლებოდა, რადგან ადამიანის არსებობას ამართლებდა.

ინდური კულტურის ნაკადი ყოველთვის გამოყოფდა ვედების ავტორიტეტს როგორც ადამიანური ყოფიერების ღირებულებების განსაზღვრისათვის უმაღლესს. ვედებიდან პირველი **რიგვედაა**. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ იგი შედგება 10 *მანდალისაგან*, ანუ განყოფილებისაგან. პირველი 10 *მანდალა* შეიცავს ჰიმნებს, რომლებიც ღმერთს განადიდებენ სხვადასხვა სახელით – აგნი, მარუტი, უშასი და სხვ. ამ ჰიმნების გაჩენის შესახებ ისტორიკოსები და მკვლევარები რიგ თეორიებს წამოაყენებდნენ. ძველ დროში ადამიანებს ესმოდათ, რომ ცეცხლი (*აგნი*), ქარი (*ვაიიუ*), ჰაერი (*მარუტ*) და სხვა სტიქიები თვით მათზე ბევრად უფრო მძლავრია და ამიტომ მათს ღვთაებრივ თვისებებს ხოტბას ასხამდნენ და გულს უღბობდნენ მათ.

ვედებიდან მეორეა **იაჯურვედა**. ამ ვედას ორი ვერსია აქვს – კრიშნა-იაჯურვედა და შუკლა-იაჯურვედა. ამ ვედას მდინარე განგასთან და მის მიმდებარე მხარესთან აქვს კავშირი. იგი წყაროა სამეცნიერო-ფილოსოფიური სკოლისა *უტარა-მიმანსა*, რომელიც ყოფიერების მრავალი საკითხის ახსნას გეოთავაზობს. ამ დროისთვის ადამიანები ტყიდან „გამოდდიოდნენ“, სადაც თემური წყობილებით ცხოვრობდნენ, და სოფლის დასახლებებს აფუძნებდნენ მიმდებარე კულტივირებადი მიწებით. ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რატომ გამოეყო ვედების ზოგიერთი ნაწილი და იაჯურვედა ჩამოაყალიბა. იაჯურვედაში 7 განყოფილება არსებობს, რომლებსაც არანიაკები (ტყიური ტექსტები) ჰქვია. თუ მათი დასახელების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი უმეტესწილად სულიერ დისციპლინებსა და პრაქტიკებს ეხება, რომლებიც განმარტოებულად და ტყის სიწყნარეში უნდა შესრულდეს.

მესამე ვედა **სამავედაა**. ამ კრებულში რიგვედის მრავალი ჰიმნი (*რიკი*) მეორდება, მაგრამ დამატებითი მუსიკალური გადაწყობით – იმისათვის, რო ჰიმნების გალობა ვედური რიტუალებისა და ცერემონიების დროს იყოს შესაძლებელი. ასე რომ სამავედა უმეტესწილად *სვარა*, ანუ „მუსიკალური თანხლებაა“. არიელები, რომლებმაც რიგვედა „მოიტანეს“, მდინარე სინდჰუს სანაპიროებზე სახლდებოდნენ, იაჯურვედა კი მათთვის მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც ისინი განგას

სანაპიროებთან მოვიდნენ. სამავედის გალობა-ჰიმნები იმავე ეპოქის თვალის ახელაა, მაგრამ ადამიანები, როგორც ჩანს, ბჰარატის ცენტრალურ რაიონებშიც კი სახლდებოდნენ. სამავედას სხვაგვარად გაანავედა ჰქვია, რომ რიტმთან და მელოდიასთან მის კავშირს ხაზი გაესვას. ყველა მომდევნო მუსიკალური სკოლა სამავედას მიერ დასახული მუსიკალური სტილებისაგან წარმოიქმნა. ყველა მელოდია, ტონალობა და გამა ამ ვედაშია მოთავსებული.

მეოთხე ვედაა **ათჰარვანა**, ანუ **ათჰარვავედა**. ურიცხვია მისი მრავალგვარი განმარტება. ზოგიერთები იმასაც კი უარყოფენ, რომ იგი ვედებს ეკუთვნის. სხვები ამბობენ, რომ თითქოს მასში შევიდა ის, რაც სხვა ვედების სისტემატიზაციის შემდეგ დარჩა. პირველ სამ ვედაში აღწერილია ღმერთების სიძლიერე და იღუმალება. მაგრამ ამ ვედაში ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანს თვითონ აქვს უნარი გარკვეული სიძლიერე და მისტიკური ძალები შეიძინოს – საკუთარი ძალისხმევითა და ვარჯიშით. *ჰათჰა-იოგა*, *ტირაშკარანი-ვიდია*, *აშტა-იოგა* – ყველა ეს ცოდნა ადამიანისთვის მხოლოდ ათჰარვავედიდან გახდა ხელმისაწვდომი. მაგრამ, რა თქმა უნდა, როდესაც ღვთის წყალობას მოიპოვებს, ადამიანს შეუძლია ისეთი უნარი განავითაროს, რომლის დაუფლებაც არავითარი სხვა ხერხით არ შეიძლება.

მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა გავიგოთ, რომ ადამიანისთვის ვედები უაღრესად მნიშვნელოვანია და რომ ისინი ცოდნის მთელ დიაპაზონს მოიცავს. ვედები ინდური კულტურის პირველმშობელია. ისინი ჩაწერილი გონების განათება და გამაგრებული ღვთაებრივი გამოცდილებაა; თავის წარმოშობაში არავითარ კონკრეტულ პიროვნებას არ უნდა უმაღლოდეს. ვედები, თვით ღმერთის მიერ მისთვის დამახასიათებელი წყალობით მოცემული გამოცხადებაა. ვედური მემკვიდრეობა დღესაც სიწმინდესა და უმწიკვლოებაშია დაცული, რადგან მასწავლებელი მოსწავლეს გადასცემდა შთამომავლობათა უწყვეტ მემკვიდრეობაში. ვინაიდან ეს მემკვიდრეობა დროის გარეშეა და მას ავტორი (ადამიანის სახით) არ ჰყავს, ამიტომ იგი ყველას მიერ მიღების ღირსია. ვერავინ გაბედავს ვედების ღირებულება უარყოს.

რა განსხვავებებიც არ უნდა იყოს ოთხი ვედის შინაარსში, კომენტატორები ერთ რამეში თანხმდებიან: ყველა ვედის სწავლების არსი ერთი და იგივეა. ის განყოფილებები, რომლებიც რიტუალებსა და თაყვანისცემის ხერხებს ეხება, დასკვნები და გამოკვლევები ადამიანს ეხმარება ცხოვრების ოთხ მიზანს მიაღწიოს – *ღჰარმას*, *ართჰას*, *კამას* და *მოკშას* (მართლქმედებას, კეთილდღეობას, სურვილთა შესრულებას და გათავისუფლებას). ვინაიდან ვედების დაუფლება ძალიან ძნელია, ამიტომ გაჩნდა განშტოებული ლიტერატურა (სმრიტი), რომელიც შრუტის (მოსმენილის) ტექსტს განმარტავს. შორსმხედველმა წინასწარმჭვრეტებმა ისტორიული და ლეგენდარული მოვლენებისა და ეპიზოდების საფუძველზე შეადგინეს ეს ტექსტები.

კარმა და *ჯნიანა* ერთმანეთთან დაკავშირებულია როგორც მიზეზი და შედეგი, და ამიტომ შრუტისა და სმრიტის განყოფილებები *კარმას* (მოღვაწეობას) ეყრდნობოდნენ და ხელს უწყობდნენ ჭეშმარიტების ახალ წახნაგთა გახსნას, და იდეები ტრანსცენდენტური ღმერთის შესახებ ადამიანებისთვის უფრო ახლობელი და ნათელი ხდებოდა. ამასთან ერთად, სულიერი კვლევების დახმარებით ღმერთის კონცეფციის უფრო ნათელი გაგება *ჯნიანის* გზაზე უფრო ღრმა აზრით აჯერებდა *კარმას* და მის წინაშე უფრო მაღალ მიზანს ისახავდა. *კარმისგან* სარგებელი რწმენის პროპორციული იყო, *კარმის* რწმენა კი პროპორციული იყო ღმერთის გაცნობიერების ხარისხთან, რომელიც შეძენილი იყო *ჯნიანის* – სიბრძნის, ცოდნის საშუალებით. *ჯნიანა* აუცილებელი ატრიბუტია საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის, *კარმისთვის*. ამ სიბრძნის მოპოვება კი მხოლოდ ვედებიდან შეიძლება, იგი ვედების მოძღვრებაზეა დამყარებული.

არსებითად, *კარმა* *ღჰარმის* პრაქტიკული გამოყენებაა. უპანიშადები სახელმძღვანელოს გვაძლევენ იმის თაობაზე, სულიერ სარბიელზე რა უნდა ვაკეთოთ და რას უნდა ვერიდოთ. ისინი მოგვიწოდებენ თაყვანი ვცეთ დედას და მამას როგორც ღმერთს, პატივს ვცემდეთ მოძღვარს როგორც ღმერთს, მივიღოთ სტუმარი როგორც ღმერთი და გვაფრთხილებენ, რომ ჭეშმარიტების უგულებელყოფა არ შეიძლება. ვხედავთ, რომ უპანიშადები მოიცავს როგორც

წამახალისებელ, ასევე „ამკრძალავ“ მითითებებს: მხედველობაშია ის, რომ სწორედ ამ რჩევებს უნდა მივყვეთ და არა სხვებს. მიიღე ყველაფერი ის, რასაც შენში ყოველივე კარგისა და კეთილის განვითარებასთან მიჰყავხარ; იმ რჩევებს, რომლებიც ამას არ განაპირობებს, ერიდე, ამას გვასწავლიან უპანიშადები.

იმ დროს მეფეებიც კი სწავლობდნენ *აშრაბებთან* მდებარე სკოლებში, უპანიშადების მცოდნე მასწავლებლის ფეხებთან ისხდნენ და სხვებს ეხმარებოდნენ სწავლაში – გულუხვ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ სწავლების ცენტრებს, რომლებიც ბრწყინავდა როგორც ვედური კანონის საცავები. როგორცაა მეფე, ისეთივენია ქვეშევრდომები. ვედებზე მზრუნველობა ნიშნავს მზრუნველობას ვედების მცოდნეებზე და იმათზე, ვინც მათ მიჰყვება ცხოვრებაში – *ვედავიდებზე*. ახლანდელ დროში სწავლების სხვა ფორმებს მიესაღმებიან და განადიდებენ. ძველი სწავლების მცოდნეებს იმდენად აღარ სცემენ პატივს და მატერიალურად არ ეხმარებიან, და სხვათა შორის, ამ მნიშვნელოვან საკითხს ძალიან სერიოზულად უნდა მოვეპყროთ

შრუტები ამბობენ: *დჰარმა* იმათ იცავს, ვინც *დჰარმას* იცავს (*დჰარმო რაკშატი რაკშიტაჰ*). თუ ადამიანები *დჰარმის* წყაროებზე მზრუნველობას დაიწყებენ, მათი კარგი საქმეები თვითონ დაიცავენ მათ. ამჟამად ვედების სწავლება ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცა. ადამიანები შეურიგდნენ ამ სამწუხარო და საცოდავ სიტუაციას, და ამ პირობებში ეზიარებიან ვედურ ცოდნას. დიახ, ვედების სწავლება ასეთ სამარცხვინო დონეზე დაეშვა. თვით *პანდიტებიც* (ღვთისმეტყველები) კი, რმლებმაც ვედების ტექსტები შეისწავლეს, ცოდნას იყენებენ როგორც საქონელს. ისინი ვედური ცოდნის ღირებულებას თავისი ცხოვრების სიმშვიდითა და ჰარმონიით არ დემონსტრირებენ, რომ საკუთარ მაგალითზე გამოიწვიონ ვედების მიმართ პატივისცემა. ისინი არასწორად იყენებენ ვედებს, მათი დახმარებით პურის ფულს უფრო შოულობენ, ვიდრე გათავისუფლებასა და შინაგან სიმშვიდეს იძენენ.

სწორედ ამ მიზეზით გადაიწია *დჰარმამ* უკანა პლანზე და ადამიანთა შორის შიში და მღელვარება მეფობს. მსოფლიოში მხოლოდ მაშინ შეიძლება სიმშვიდე და წონასწორობა აღდგეს,

როდესაც ვედების მცოდნეებს დავარწმუნებთ, რომ მათ ვედებში ჩადებული იდეალები პრაქტიკაში უნდა დანერგონ და ამით გზის მანათობელი ვარსკვლავები გახდნენ, რომლებსაც ადამიანები სწორ გზაზე მიჰყავს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცემა გარდაუვალია.

ბოლო დრომდე ბჰარატის სულიერი ნაკადი ვედების სწავლებასა და ცხოვრებაში მათს გამოყენებას იცავდა. მისი გზავნილი უცვლელი იყო: იარე წინ ვედური გზით. ნებისმიერს შეუძლია იმსჯელოს ვედანტიისა და ვედების შესახებ, მაგრამ სანამ ეს იდეალები მისი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და პრაქტიკული გამოყენებით არ იქნება გამაგრებული, ეს დროის ფუჭად კარგვა იქნება. ასეთმა ადამიანებმა დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება. დაე დადგეს მათი გამოღვიძების დრო – იმისათვის, რომ მარადიული ვედური კულტურის ტრადიციები და ღირებულებები გადარჩეს.

თავი 12

ღირებულებები

უფრო ბვინდელ ტექსტებში

იმის შემდეგ, რაც ვედანტა უპანიშადებისა და სხვა ტექსტების ფორმით იყო წარმოდგენილი, *ტაპასში** ჩაფლულმა და ამ *ტაპასით* მოპოვებული სულიერი გამოცდილებით მდიდარმა ბრძენებმა (*რიშებმა*) შეადგინეს სმრიტები (პირდ. „ხსოვნა“) – ტექსტები, რომლებიც ყოფაქცევის ნორმებს აწესებს ადამიანებისათვის, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან და საზოგადოებაში სხვადასხვა მდგომარეობა უკავიათ. თუმცა სმრიტები არასოდეს სარგებლობდა ისეთი დიდი ავტორიტეტით, როგორც თვით ვედანტის ტექსტები, რამდენადაც დაკავშირებული იყო ადამიანთა უფლებებთან და ვალდებულებებთან, საზოგადოების წინაშე ვალთან და პასუხისმგებლობის ზომიერებასთან.

* *ტაპასი* - „წვა“, ასკეზის სიმხურვალე, მოღვაწეობა, მონანიება, ამქვეყნიურ და ხორციელ მისწრაფებათა აღაგმვა, ინტენსიური სულიერი პრაქტიკა.

ასეთივე სმრიტები, ანუ „სახელმძღვანელო ცხოვრებისთვის“, შეიძლება ვიპოვოთ სხვა რელიგიების საღმრთო წერილებში. მათში მდებარე საზოგადოებრივი წესდება და ყოფაქცევის წესები სხვადასხვა დონისა და სტატუსის ადამიანებისთვის მათ ამ რელიგიების წინასწარმეტყველებმა და წინასწარმჭვრეტებმა მემკვირვებით გადასცეს. ამ წესდებს და წესებს მორწმუნეები თაყვანს სცემენ როგორც ძვირფასს და შესრულებისთვის აუცილებელს. ჩვენც პატივს ვცემთ სმრიტებს და მომავალშიც უნდა ვცეთ პატივი როგორც წესებს, რომლებიც ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობისთვის და კერძოდ ინდივიდუუმის განვითარებისთვის იქნა დადგენილი. უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი დიდმა პიროვნებებმა (*მაჰაპურუშებმა*), კაცობრიობის გამომჩენილმა ბრძენებმა და კეთილისმყოფლებმა დაგვიტოვეს.

მაგრამ დროთა განმავლობაში სმრიტებმა ცვლილება განიცადა, რაღაც ამოღებულ იქნა, რაღაც დაემატა, მრავალმა აქცენტმა გადაინაცვლა. წმინდანმა ბრძენებმა „გაამაგრეს“ ცალკეული, განსაკუთრებული სმრიტები ყოველი ეპოქისთვის, ანუ *იუგასთვის*, რადგან სმრიტების მეტისმეტად დიდი რაოდენობა საპირისპირო მითითებებით გაუგებრობასა და ეჭვებს ბადებდა. *რიშებმა* დაადგინეს: კრიტა-იუგას ადამიანები ერთ სმრიტას უნდა მიჰყვნენ როგორც უმაღლეს ავტორიტეტს, ტრეტა-იუგას ადამიანებმა მეორე სმრიტის ხელმძღვანელობა უნდა მიიღონ, დვაპარა-იუგას ადამიანები მესამე სმრიტის მიერ დადგენილ გზას უნდა მიჰყვნენ, კალი-იუგაში კი უნდა მეოთხე სმრიტას დაეყრდნონ. საუკუნეები ერთმანეთს ცვლის, ახალი სირთულეები და პრობლემები იქმნება, ადამიანის წინაშე ახალი სიტუაციები და გარემოებები ჩნდება, ამიტომ წარსულის კანონები და შეზღუდვები ამა თუ იმ ხარისხში უნდა გადამოწმდეს და შეიცვალოს. ეჭვგარეშეა, ახალ პირობებთან ამგვარი შეგუება ღვთიური განგების განუყოფელი ნაწილია. ცვალებად პირობებში ადამიანებისთვის საჭიროა სულიერი წინსვლის გზის ჩვენება, და ამიტომ *რიშებმა* განაცხადეს, რომ ახალ ეპოქაში აუცილებელია მის შესაბამის სმრიტებს მიყოლა.

ზემოთქმულის მიუხედავად, მკითხველს უნდა კარგად ახსოვდეს და გონებაში ჰქონდეს შემდეგი. ვედანტაში გაცხადებული *ატმა-დჰარმა* (სულიერი კანონი) მარადიული და უცვლელია. იგი ვერასოდეს „შეეზავება“ ან შეეგუება დროის საჭიროებებს. რწმენა *ატმანისა* როგორც ყველაფრის არსისა, როგორც რეალობისა, როგორც მიზნისა, დროის გარეშე სწავლებაა და ყველა დროებაში სარწმუნოა. *ატმა-დჰარმის* ჭეშმარიტებები დგას მარადიულ ბორცვებზე – *პურუშასი* და *პრაკრიტის* (უმაღლესი სულისა და მატერიის), ადამიანისა და ბუნების (რომლებიც ღვთაებრივი ნების გეგმილებს წარმოადგენენ) არსზე. ამიტომ ისინი არავითარ ცვლილებებს არ ემორჩილებიან და დღესაც აქტუალური და სარწმუნოა, როგორც ათასობით წლის წინ. და კიდევ ათასობით წლების შემდეგაც მათი აქტუალობა და ღირებულება სულ ოდნავაც კი არ შესუსტდება. ვედანტა მყარად იდგება, მიუხედავად წარსულისა, რომელიც აწმყოში გადმოდის და აწმყოსი, რომელიც მომავალში გადაედინება.

მაგრამ ზნეობრივი პრინციპები, სწორი ყოფაქცევის ნორმები, სულიერი პრაქტიკა, რომელსაც ადამიანმა გონებისა და გრძნობების მოთვინიერებისთვის უნდა მიმართოს, რომ ინტელექტი გაწმინდოს – ეს ყველაფერი ადამიანთა ცხოვრების მიმდინარე პირობებს უნდა შეესაბამებოდეს, ჯგუფებისა და საზოგადოებების შიგნით მიღებული წესების ჩარჩოებში იმყოფებოდეს. ცვალებადი სოციალური პირობების გავლენით ეს ასპექტებიც უნდა განიცდიდეს ცვლილებებს და მათ უნდა შეეგუოს. რომელიდაც მორალური წესდება, რომელიდაც სულიერი დისციპლინები დროის გარკვეულ პერიოდს, გარკვეულ ადგილს შეესაბამება და სარგებლობა მოაქვს, მაგრამ სხვა პირობებსა და გარემოებებში ეს შეიძლება ასე არ იყოს. მაგალითად, „სწორი“ კვების მიმართ დანაწესები ადამიანებისთვის დროის რომელიდაც მონაკვეთში მისაღებია, მაგრამ შემდეგ ისინი უკუივდება და ახალი წესები დგინდება. ხშირად კლიმატური პირობები განსაზღვრავს, რა საკვებს ეძლევა უპირატესობა. სმრიტები მხედველობაში იღებს ამ დეტალებს და კვების შემცველობაში ცვლილების ნებას იძლევა – იმისათვის, რომ ადამიანმა ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. ეს ცხოვრების სხვა ასპექტებსაც ეხება. რიგი

მიზეზების გამო თანამედროვე პირობებში სასურველია ზოგიერთი ცვლილება მოხდეს წესებსა და შეზღუდვებში, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას მართავს. მაგრამ, რა თქმა უნდა, *დჰარმის* ფუძემდებლური პრინციპები ხელშეუხებელი უნდა დარჩეს. შეუძლებელია ისინი როდისმე შესუსტდეს ან შეირყას.

ახლა პურანების (მითების, ძველი ლეგენდების) შესახებ ვისაუბროთ. პურანების თემაა ისტორიული მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია შექმნასთან და ევოლუციასთან (*პურანამ პრანჯალი ქშანამ*). უძველესი ისტორიის ეპიზოდები ისეთი სახით არის შერჩეული და მოთხრობილი, რომ ძირითადი ფილოსოფიური ჭეშმარიტებების ილუსტრაცია ხდება. პურანები იმისათვის შეიქმნა, რომ ჩვეულებრივი ადამიანის ცნობიერებადე მიიტანოს ვედებისა და ვედანტის სწავლება, ამიტომ ისინი შედგება წარმტაცი მითოლოგიური და ლეგენდარული სიუჟეტებისაგან. ვედების ენა უძველესია, მათი ლექსიკონი და გრამატიკა არქაული ელემენტებითაა სავსე. დიდ მეცნიერებსაც კი უჭირთ განსაზღვრა, რომელ საუკუნეებში მოხდა წინასწარმჭვრეტების მიერ გაგონილი ჰიმნების ფორმულირება. მაგრამ პურანების ენა ყველასთვის ხელმისაწვდომი და იოლია, მისი გაგება ყველასთვის იოლია. ის, რაც ჩვენ ვიცით როგორც „თანამედროვე“ სანსკრიტი, ეს პურანების ენაა. ეს ენა ხელმისაწვდომი და გასაგებია არა მხოლოდ მეცნიერებისთვისა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებისთვისაც.

პურანების ლეგენდები მოგვითხრობენ ისტორიულ მოვლენებზე ღვთაებრივი პიროვნებების, დიადი მმართველებისა და მეფთა დინასტიების ცხოვრებიდან, მათში მოთხრობილია სახელმწიფოებისა და საზოგადოებების ბედის შესახებ. მათი გმირები *დჰარმის* ელვარე ჩირაღდნები და სულიერი იდეალების გამომხატველები არიან.

ეს ტექსტები კანონიკური ნაწარმოებებია, წმინდა წიგნები და თქმულებები ცნობილია ერთი საერთო დასახელებით – ინდუიზმის შასტრები (სადმართო წერილები). გასაკვირი არ არის, რომ ხალხებმა, რომლებიც ათასობით წლების განმავლობაში ასეთ რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის ვრცელ და უმდიდრეს ლიტერატურას ადგენდნენ და პატივს

სცემდნენ, დროთა განმავლობაში სექტებად და შტოებად დაყოფა განიცადეს და სარწმუნოების რაღაც გარკვეულ სწავლებებსა და შტოებს მისცეს უპირატესობა. ზოგი მათგანი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ახლა შესაძლებლობა არ გვაქვს დაწვრილებით შევჩერდეთ იმ ფაქტზე, რომ სექტებს შორის განსხვავებები იმ შეხედულებებზეა დამყარებული, რომლებიც თავისუფალი აზროვნების მიერ წარმოიშვა, რაც ძველი ბრძენების მიერ სავსებით დაიშვებოდა. არ არის აუცილებელი ამ დეტალების გარჩევა. აი რა უნდა შევითვისოთ: არის პრინციპები, რომლებიც ყველას მიერ მიიღება, აზრები, რომლებსაც ყველა მხარს უჭერს, და ეს არის ის პრინციპები, რომლებიც უნდა სწამდეს იმ ადამიანს, რომელიც თავს ინდუისტს უწოდებს.

რა არის ქმნილების ნამდვილი მიზეზი? რა ბუნებისაა პირველადი სუბსტანცია, რომელიც შექმნის პროცესს დაექვემდებარა, და როგორ მოხდა ეს? ეს საკითხები არა მხოლოდ ბჰარატელებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ იმ ადამიანებისთვისაც, რომლებსაც ძიება ახასიათებთ. შეუძლებელია შედეგი მიზეზის გარეშე იყოს, არ შეიძლება დანაშენი საძირკვლის გარეშე არსებობდეს. დავუშვათ დარწმუნებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ მთელი ამ ხილული შექმნილი სამყაროს პირველმიზეზი *ბრაჰმანია*. *ბრაჰმანი* მარადიულია, სუფთაა, იგი ყველაფრის მარადიული მოწმეა, ყოვლისმცოდნე, განუყოფელია, მას ფორმა არ გააჩნია. *ბრაჰმანი* ამ კოსმოსის, ანუ *ჯაგატის* წყაროა, *ბრაჰმანი* ამ სამყაროს ფორმირებას ახდენს, ავითარებს და იცავს.

აქ ადამიანთა გონებაში ეჭვები შეიძლება გაჩნდეს. როგორ მოხდა, რომ ქმნილებაში ასე ბევრია „წინასწარადებულობა“? ერთნი ჯანმრთელნი იბადებიან, მეორენი – ავადმყოფები, ერთნი წარმატებულ და უზრუნველ ცხოვრებას ეწევიან, მეორენი სიკვდილამდე სიდუხჭირეს ებრძვიან. სრულიად ცხადია, ბევრი დაგვეთანხმება, რომ ქმნილებაში ან შემქმნელის განზრახვაში უთანასწორობის აშკარა ნიშნებია. ნათლად უნდა გავარკვიოთ, რომ ცხოვრება სიკვდილის ველზე ყვავის. სიცოცხლე სიკვდილზეა დაფუძნებული! ერთი ცოცხალი არსება მეორეს ჭამს, რომ საკუთარი სიცოცხლე დაიცვას, ძლიერები სუსტებს ფეხქვეშ თელავენ. ერთის მიერ

მეორის შთანთქმის პროცესი უწყვეტად გრძელდება. ასეთია ამ სამყაროს თვით ბუნება. როდესაც ადამიანები ასეთ ბუნებას აკვირდებიან, ასკენიან, რომ თუ სამყარო ღმერთმა შექმნა, მაშინ ღმერთი თვით სისასტიკეა. რიგითი ადამიანის თვალსაზრისით ეს დასკვნა გამართლებულად მოჩანს. მაგრამ ბჰარატის სულიერი კულტურის სუფთა ცოდნა (*პარამართჰა გაჰინი*) გვაუწყებს, რომ ეს სულაც არ არის ასე! ამ კულტურის სწავლების თანახმად, ღმერთი არ წარმოადგებს მიზეზს არც მწუხარების, არც სიხარულის, არც ბედნიერების, არც უბედურებისა. ასეთ შემთხვევაში, რა იწვევს ბოროტებას და სიკეთეს სამყაროში?

პასუხი: ჩვენ თვითონ! წვიმა განურჩევლად აწვიმს როგორც მოხნულ, ასევე დაუმუშავებელ მიწას. მაგრამ მხოლოდ მოხნული მიწა იღებს ამ წვიმისგან სარგებელს. ღრუბლებს ვერაფერში დავადანაშაულებთ! მიზეზი უზრუნველ ზარმაცშია, რომელმაც მიწის დამუშავებაზე არ იზრუნა. ღვთის წყალობა ყოველთვის აქვეა, არ არსებობს მეტი ან ნაკლები, უფრო ძლიერი ან უფრო სუსტი. ჩვენ მას ვიზიდავთ მეტად თუ ნაკლებად, ან ხელიდან ვუშვებთ, ან სასიკეთოდ ვიყენებთ. მაგრამ რჩება კითხვა: რა მიზეზით იბადებიან ერთნი ბედნიერები, მეორენი – უბედურები? მათ ჯერ არც ბოროტება ჩაუდენიათ, არც სიკეთე, მაშ რატომაა ასეთი უთანასწორობა? დიახ, ამ ცხოვრებაში მათ ჯერ არაფერი ჩაუდენიათ, მხოლოდ დაბადება მოასწრეს. მაგრამ გასულ ცხოვრებებში ჩაიდინეს სიკეთე ან ბოროტება. გასულ ცხოვრებებში ჩადენილის შედეგები ამ ცხოვრებაში უნდა გასწორდეს.

ახლა ორი დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომლებსაც ინდუიზმის ყველა განშტოება ეთანხმება. მათ აგრეთვე ბუდისტები და ჯაინებიც ეთანხმებიან. ყოველ ჩვენგანს სწამს, რომ სიცოცხლე მარადიულია. იგი არსაიდან ვერ წარმოიშვებოდა, ეს უბრალოდ შეუძლებელია. თუ იგი ღორწოს კოშტში ან „მიწაში“, ანუ ინერტულ სუბსტანციაში იქნა ჩასახული, მაშინ სწორედ ინერტული იქნებოდა, მას არ ექნებოდა სასიცოცხლო ძალა. ყოველივე ის, რაც რაღაცისგანაა შედგენილი, აუცილებლად დაიშლება. რაც კი დროში არსებობს, რაღაც მომენტში დამთავრდება, გაქრება. თუ სიცოცხლე მხოლოდ „გუშინ“ დაიწყო, „ხვალისზე“ უფრო

მეტ ხანს ვერ გაგრძელდება. თუ მას ფესვები აქვს, ისინი როდისმე გახმება, როგორც ხეს არ შეუძლია მარად სიცოცხლე. სიცოცხლე იმ დროიდან უნდა არსებობდეს, რა დროიდანაც კოსმოსი არსებობს. ამ ფაქტის გაგებისთვის არავითარი მტკიცებულებები და დასკვნები არაა საჭირო. განა ვერ ვხედავთ, როგორია თანამედროვე მეცნიერების ტენდენცია? სულ უფრო დარწმუნებით აღიარებს იგი გამოცხადებების უტყუარობას, რომლებიც ბჰარატის ტექსტებში და წერილებშია. მოვა დრო, როდესაც სიცოცხლის მარადიულობაზე ჭეშმარიტებაც იქნება მიღებული.

ყველა ავტორიტეტული ტექსტი, რომელიც ეხება ბჰარატის სულიერი კულტურის - უპანიშადების, ბრაჰმასუტრის, ბჰაგავად გიტას (პრასთჰანა-ტრაია - „სამი წყარო“) – ძირითად პოსტულატებს, ყურადღებით უნდა იქნას განხილული.

ბევრი ინდუისტი თვლის, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ *ადვაიტა-ვედანტაში* (სწავლებაში მთელი არსებულის აბსოლუტური ერთიანობის შესახებ) იმყოფება. მაგრამ ეს არასწორი შეხედულებაა. უპანიშადები თვით უზენაესის ხმაა. ბრაჰმასუტრა კონცეფციებისა და დოქტრინების (რომლებიც დიდმა ბრძენმა ვიასამ საქვეყნოდ გამოაცხადა) შეუფასებელი განძია. გამონათქვამების ეს კრებული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია იმათგან, რომლებიც ფილოსოფიურ თეორიებს ხსნის. იგი ფილოსოფიურ-რელიგიური თვალსაზრისის მთელ უზარმაზარ მასას აერთმნიშვნელებს. მიუხედავად იმისა, რომ უძველეს ტექსტებსა და თხზულებებზეა დაფუძნებული, მასში არ არის წინააღმდეგობები „ადრეულსა“ და „გვიანდელს“ შორის. ბრაჰმასუტრის გამონათქვამებში ყოველი დასკვნა სრულყოფილებამდეა დაყვანილი და წუნდაუდებლადაა დასაბუთებული. ბჰაგავად გიტა გამოდის როგორც თვით ღმერთის მიერ გამოგზავნილი ვედების კომენტარები.

ინდუიზმის ყველა შტო, რომლებსაც ნამდვილობისა და ჭეშმარიტებისადმი შესაბამისობის პტეტენზია აქვს, „სამ წყაროს“ აღიარებს როგორც ძირითად კანონს – ამას ეთანხმებიან როგორც დუალიზმის, ასევე სახეშეცვლილი მონიზმისა და მონიზმის მიმდევრები. ვინც არ უნდა ქადაგებდეს ახალ სწავლებას, ახალ თვალსაზრისს ან

კონცეფციას, იქნება ეს შანკარა, რამანუჯა, მადჰვაჩარია, ვალაბჰაჩარია თუ ჩაიტანია* – ყველა ისინი უცილობლად იმ მსჯელობებს ეყრდნობოდნენ, რომლებიც მხოლოდ სამ წყაროზეა (პრასტჰანა-ტრია) დამყარებული. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ვედანტას მხოლოდ უპანიშადებთან და მათში გადმოცემულ დოქტრინებთან აქვს შეხება, დიდი შეცდომაა.

დასკვნები, რომლებიც სამი წყაროდან გამომდინარეობს, ნამდვილობაა და ღირსია იწოდებოდეს ვედანტა. *ვიშიშტ-ადვაიტასაც*, *დვაიტასაც* ისეთივე საფუძველი აქვს ვედანტაში ირიცხებოდეს, როგორც *ადვაიტას* აქვს. ეს ერთიანობა მრავალფეროვნებაში, ეს ჰარმონია პოლიფონიაში, ბჰარატის სულიერი აზრის ნაკადის იდუმალი არსია.

ძროხის სხეულში რძე იმყოფება. რძეში *გჰია* (ერბო) დაფარული. ძროხა უნდა მოიწველოს, რძე აღუდღეს, და, ჩუმა-მაწვნად რომ იქცეს, ცოტა მაწვნის დედა უნდა დაემატოს. ჩუმა-მაწონი უნდა შეიდღვიბოს, კარაქი გამოცალკევდეს და გუნდა გაკეთდეს. შემდეგ ეს კარაქი უნდა გადნეს, გაიწმინდოს, და ამის შემდეგ მიიღება *გჰი* – სუფთა ერბო. იგი შეიძლება ძროხის საკვებს დაემატოს, ეს ძალას მისცემს ძროხას. ამ თვალსაჩინო მაგალითის შემდეგ წარმოიდგინეთ: ღმერთი ყველგან მყოფია (როგორც კარაქი რძეში). მაგრამ ადამიანი მას ვერ მიუახლოვდება, სანამ სულიერ პრაქტიკას (*სადჰანას*) არ აწარმოებს.

ქუნჯუტის თესლში მცენარეული ზეთი იმყოფება, *გჰი* (ერბო) რძეში იმყოფება, მიწის სიბრქეში წყალია დაფარული, ხეში – ცეცხლი. ასევე ყველგან მსუფვეი ღმერთიც ადამიანის სხეულში და გონებაშია. თუ გვინდა იგი „გამოვიღოთ“, გამოვიცნოთ, ამისათვის ძალისხმევა და *სადჰანა* საჭირო. მაშინ ამ ძალისხმევის, ამ *სადჰანის* შედეგად აღმოჩნდება, რომ ღმერთი ჩვენ თვითონ ვართ და ჩვენ და ღმერთს შორის განსხვავება არ არის. *ადვატის* თანახმად, სწორედ ეს არის განთავისუფლება, სიბრძნე, თვითრეალიზაცია. ამ პროცესს

* შანკარა, რამანუჯა, მადჰვაჩარია, ვალაბჰაჩარია, ჩაიტანია – დიდი მასწავლებლები და ფილოსოფოსები, სკოლების ადვაიტის, ვიშიშტ-ადვაიტის, დვაიტის, კრიშნაიტების მოძრაობის „სულის აყვავების გზა“ და ბჰაქტის მოძრაობის დამფუძნებლები.

შანკარა *ადვაიტის უპასანას** (თყვანისცემის, მიღწევის ხერხს, პრაქტიკას ერთიანობის გზაზე) უწოდებს.

ახლა ვისაუბროთ *უპასანის* შესახებ *ვიშიშტ-ადვაიტაში* (სახეშეცვლილ მონიზმში). უნდა აღიქვას თუ არა *სადჰაკამ* ღმერთი, რომლის თაყვანისცემაც მას სწყურია, როგორც საკუთარი თავის მიმართ რაღაც გარეშე, მისგან განკერძოებული, თუ როგორც თავისივე ნაწილი, რაიმე სახით მასთან დაკავშირებული? ახლა ჩვენ ვუპასუხებთ ამ კითხვას. *ჯივა* (განხორციელებული სული) ეს არის სხეულის „სული“. ღმერთი „სულია“ *ჯივაში*. რამანუჯა, *ვიშიშტ-ადვაიტის* შემქმნელი, მოუწოდებდა ამ ჭეშმარიტებაში მტკიცე რწმენით ეცათ ღმერთისთვის თაყვანი. მთელი კოსმოსი ღმერთის ნაწილია, კოსმოსი ღმერთშია. ღმერთი ყველაფრის შინაგანი აღმპყრელია, იგი ყველაში იმყოფება. ამ უმაღლეს არსებასთან მიღწევა მხოლოდ მტკიცე ერთგულების პირობებში შეიძლება, როდესაც მას მთლიანად ვაბარებთ თავს. „შენ სრულად ჩემთვის ხარ, ღმერთების ღმერთო, მხოლოდ შენ ერთი ხარ ჩემი მბრძანებელი“ (*ტვამევა სარვამ მამა დევა დევა*) – ასეთი გრძნობა უნდა განგავითაროთ ჩვენში და ამ გრძნობასთან ერთიანი გავხდეთ.

დვაიტის (დუალიზმის) *უპასანა* ასეთია: *ჯივატმასა* და *პარამატმას* (განხორციელებულ სულსა და სამყაროებრივ „მე“-ს, ღმერთს) შორის ურთიერთდამოკიდებულება ცოლ-ქმრის დამოკიდებულებას ჰგავს. ვიშნუ - მთლიანი, თავისუფალი, უმაღლესი – არის ქმარი, ბატონი, მბრძანებელი, მმართველი, რომელიც ყველაფერს იძლევა; ინდივიდუუმი – დაქვემდებარებული, დამოკიდებული – ცოლია. სულიერი პრაქტიკის ამ ხერხს ასწავლიდა მადჰვაჩარია – *დვაიტის* ფუძემდებელი. თქვენი გონება და ემოციები სუფთაც თუა, გადაბადებათა ციკლისგან (*სამსარისგან*) ვერ გათავისუფლდებით, თუ გულში არა გაქვთ *ბჰაქთი* – უფლის ღოტოსის ტერფებზე მოკრძალებული მიბმულობა. მაგრამ ვისაც გულში ღვთაებრივი თანდასწრების ექსტაზური ერთგულების წყარო აქვს გახსნილი, ღმერთის სილამაზის, წყალობისა და ძლიერების შესახებ ერთი გაფიქრებაც კი

* *უპასანა* – პირდ. „გვერდით ჯდომა“; მყარი სულიერი პრაქტიკა რწმენისა და დარწმუნებულობის შერწყმული მიმართულების თანახმად.

ზეცნობიერი *ბჰაქთის* ნეტარებას მოუტანს მას, არავითარ სულიერ ტექსტებზეც კი თუ არ უშრომია. შეუძლებელია წინასწარ გამოიცნო, რა სახეს მიიღებს გულწრფელი განცდა. ექსტაზის მდგომარეობაში *ბჰაქთა* ინდივიდუალობისა და მოკრძალების გრძნობას კარგავს, მას სწყურია ღმერთის შეყვარებული გახდეს, ნეტარებაში შეერწყას მას. იგი ცეკვავს და მთელი ხმით მღერის, შეუდარებელ სიხარულში და აუწერელ ბედნიერებაში დაცურავს. ასეთი ტიპის რწმენისა და ერთგულების *სადჰანა* მადჰვაჩარიას მიერ იქნა ადამიანებისთვის შეთავაზებული. შეყვარებულის ტანჯვები, რომელსაც საყვარელთან შეერთება სწყურია, *დვაიტა-უპასანის* უტყუარი ნიშანია. *ბჰაქთის* თემა ათასი ხერხით ვითარდებოდა სხვა მასწავლებლების მიერ, რომლებიც მოგვიანებით მოვიდნენ.

გიტაში გამოცხადებული *უპასანა* „მეხუთე ვედის“, მაჰაბჰარატას ნაწილს წარმოადგენს. მაჰაბჰარატა ფასდაუდებელი საგანძურია, რომელიც ნათელი მარგალიტებითაა სავსე; იგი შეუქს ჰფენს იმ პრობლემებს, რომლებსაც ადამიანი ყოველდღიურად ხვდება წუთისოფლის და სულიერ საქმეებში. მაჰაბჰარატა გრანდიოზული დრამაა, რომელიც კრიშნამ გაითამაშა სცენაზე დასახელებით *დჰარმაქშეტრა* („დჰარმის ველი“), სადაც ერთად შეყარა დადგმისთვის აუცილებელი დეკორაციები. კრიშნა, ანუ მადჰვა, ანუ თვით უზენაესი, რეჟისორი იყო. მან მსახიობებს მოუყარა თავი და როლები გაანაწილა; თვითონ შეარჩია სიმღერები, რომლებიც თითოეულს უნდა ემღერა, გმირებისთვის ყოველი რეპლიკა შეთხზა და სცენაზე გასვლისა და უკან გამოსვლის დრო განსაზღვრა. იგი თვითონვე იყო მსახიობიც, მაყურებელიც, პროდიუსერიც, ყველა როლი თვით იგი იყო. ერთი მხრივ – განუზომელი ამქვეყნიური ძლიერება, რომელიც არამართლქმედებით არის გაჯერებული, მეორე მხრივ – სულიერი ძალა, რომლის შესაძლებლობები გარედან უმნიშვნელო ჩანდა. ამაშია მაჰაბჰარატას მიმზიდველობის თვით არსი. „იმას ვიზამ, რასაც შენ მიბრძანებ“ (*კარიშიე ვაჩანამ ტავა*). „ბედნიერებას და უსაფრთხოებას შენი ვალის შესრულებაში იპოვი“ (*სვადჰარმე*

ნიდანამ შრეიაჰ). არჯუნასი და კრიშნას ეს სიტყვები ნებისმიერი *ღჰარმის* კრიტიკიუმებია ამ ქვეყანაზე.

ის, ვინც თვალდასუჭული გონებამოკრებილი იმეორებს „*მე ბრაჰმანი ვარ*“ (*აჰამ ბრაჰმასმი*) და შემდეგ ასეთი მედიტაციის მიერ წარმოშობილი თავის თავზე დიდი წარმოდგენით იტანჯება და *ბჰაქთის* გზიდან (რომელსაც უნარი აქვს აყვავებისკენ და გამოდვიძებისკენ მიმართოს იგი) მთლიანად გადადის, ჯილდოდ მხოლოდ უბედურებას მიიღებს. თუ ბრინჯის მარცვლებს ჩენჩოს მოვაცლით, ნუთუ შევძლებთ ბრინჯის მოხარშვას? ვინც გონების დიქტატს მისდევს და კრიშნას სიტყვებს ყურად არ იღებს, ვერ მიაღწევს საბოლოო ჭეშმარიტებას, *ბრაჰმატატვას*. თვით ბჰაგავად გიტა გამომხატველი მაგალითებითა და ნათელი ეპიზოდებით გვასწავლის, რომ სწორედ კრიშნაა *პარაბრაჰმანი*! გიტა ყველა ვედანტის არსია. ეს არის ჭურჭელი *ამრიტით*, უკვდავების ნექტრით, რომელიც შასტრების მთელი ოკეანიდანაა ამოდებული. ეს არის ინდოეთის სულიერი აზრის წმინდა ნაკადი, რომელიც ერთადერთ ტექსტშია ჩატეული. გაბედავს ვინმე ამის უარყოფას?

თავი 13

ავატარი როგორც ბურუ

კოსმოსი, ანუ ქმნილება, დრო, *კარმა* (მოღვაწეობა), ეს ყველაფერი ღმერთის ნების გამჟღავნებაა და მის დაქვემდებარებაშია. ზოგიერთები მათ არარეალურად, მაცდუნებლად თვლიან, მაგრამ როგორ შეიძლება ღმერთმა, *სატიას*, ჭეშმარიტების თვით განხორციელებამ, რაიმე არაჭეშმარიტი ისურვოს? ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად ქმნილება, დრო და *კარმა* რეალურია. მაგრამ როდესაც ევოლუციას ინვოლუცია ცვლის და ყოველივე ცნობიერის და არაცნობიერის შერწყმის ბოლო სტადია დგება, მაშინ არსებობს მხოლოდ და მხოლოდ იშვარა, უზენაესი.

დრო ღმერთის ძლიერების გამომჟღავნებაა და ამიტომ მას არა აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული, რომელთა გაზომვაც შესაძლებელი იქნებოდა. *კარმაც* უმნიშვნელოვანესი

ჭეშმარიტებაა და თაყვანი უნდა ეცეს როგორც ასეთს. იშვარა არ არის მოუწესრიგებელი ძალა, შეზღუდვებისა და ზღვრების მიმართ გულგრილი. იგი სიტუაციებსა და პირობებს ქმნის, რომლებიც მკვეთრად შეესაბამება ადამიანის მოღვაწეობას, რომელშიც იგი წინა ცხოვრებებში იქნა ჩათრეული. ქმნილება, დრო, *კარმა* – ყველა სამი მოვლენა ჭეშმარიტია იშვარაში, იშვარასთან შესაბამისობაში. ისინი ინსტრუმენტებია, რომლებსაც იშვარა იყენებს და მას ექვემდებარებიან.

იშვარა ჩვეულებრივ გრძნობათა ორგანოების აღქმისათვის ხელმიუწვდომელია, მაგრამ შეიძლება იმ ერთგულის მიერ იქნას ამოცნობილი, რომელიც იმდენად ღრმად არის მით გატაცებული, რომ მხოლოდ ერთი რამ სწყურია – შეერწყას მას. რატომაა ასე? ასეთი ერთგულები ღმერთს ისევე მკვეთრად აღიქვამენ, როგორც მათს გარემომცველ საგნებს. ნათქვამია, რომ იშვარას, უზენაესს, ფორმა არ გააჩნია, მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მას შეუძლია ნებისმიერი ფორმა, ნებისმიერი სახე მიიღოს. მისი ფორმები ურიცხვია. მაშ რომელი ფორმით ავლენს იგი თავის მკაფიო სახეს ერთგულისთვის? იგი იმ ფორმით მუდგანდება, რომლის დანახვასაც თაყვანისმცემელი ნატრობს, იმ სახით, რომელიც თაყვანისმცემელს უმაღლეს ბედნიერებას აძლევს. ეს ფორმები მისი *ავატარებია* („ღვთის დაშვებებია“). ყოველ *ავატარში* იგი სიძლიერის მთელი სისრულით მოდის.

ითვლება, რომ ზოგიერთი ფორმით იგი ნაწილობრივ მუდგანდება, სხვა ფორმებით კი – სრულად, რომ *ავატართა* ერთი ნაწილი დროებით მოდის, მეორე კი მარადიულია. მაგრამ ასეთ გამუდგანებებს ადამიანები მხოლოდ პატივისცემის გრძნობის გამო უწოდებენ *ავატარებს*. ნარადა, სანატკუმარა და მათი მსგავსი სხვა წმინდა ბრძენები ზოგ ტექსტებში *ავატარებად* იწოდებიან. მაგრამ მათ არ გააჩნიათ ყველა ღვთაებრივი ნიშანი. ამიტომ ისინი არ გამოდიან როგორც თაყვანისცემის ობიექტები.

თავისი ბუნებით *ჯივა* (სული ცოცხალ არსებებში) მარადიული და უკვდავია. შეუძლებელია განისაზღვროს, როდის წარმოიშვა და როდის გაქრება იგი. *ჯივას* არა აქვს არც დაბადება, არც სიკვდილი. იგი საკუთარი სინათლით კაშკაშებს. *ჯივა* მცოდნე და თვით ცოდნაა, მოღვაწე და

მოქმედებათა შედეგების მიმღებია. იმისგან დამოუკიდებლად, დაკავშირებულია ჯიჯა სხეულთან თუ თავისუფალი, ეს თვისებები უცვლელი რჩება. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ჯიჯა, მას არა აქვს ისეთი თავისუფლება, როგორც ღმერთს აქვს. ყოველ საქმეში ჯიჯა (განსხეულებული) იძულებულია გამოიყენოს სხეული, გრძნობათა ორგანოები – თვალები, ყურები და სხვ., სასიცოცხლო ენერჯია (პრანა), რომელიც სხეულს მართავს. ეს ატრიბუტები ინდივიდუუმში ღვთაებრივთან თანაარსებობს. და ისევე, როგორც არ უნდა იყოს ჯიჯა, იგი არ არის მექანიზმი, რომელსაც საკუთარი ნება არა აქვს. ისევე, როგორც ამ ცხოვრების მოქმედებები განისაზღვრება გასული ცხოვრების მოქმედებებით, ამ ცხოვრების მოღვაწეობა განსაზღვრავს მომავალი ცხოვრების მოღვაწეობას. იშვარა აწესებს დროს და ადგილს, გარემოებებს და შედეგებს მიმდინარე მოღვაწეობის შესაბამისად, რომელსაც ინდივიდუუმი ასრულებს. ღმერთს აქვს ძალა, რომ ადამიანის ბუნების ჩამოყალიბება მოახდინოს, მაგრამ იგი ამ ძალას არ იყენებს და ამ ბუნებას მრავალფეროვნებას ანიჭებს. იგი ადამიანს თავისუფალი ნების უფლებას უტოვებს, რომ მან საკუთარი გამოცდილებით გაკვეთილი მიიღოს. კლდის ნატეხი, რომელიც მას გამოეყო, კლდის ნაწილია, მისი სრული მსგავსებაა. მაგრამ ინდივიდუუმის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის, როგორც ამ მაგალითშია, ღმერთის ნაწილს წარმოადგენს და მთლიანად მასთანაა გაიგივებული. რაღაც გაგებით ჯიჯა და ჯაგატი (სამყარო) ღმერთისგან განკერძოებული და განსხვავებულია, სხვა გაგებით ისინი განუყოფელია. განსხვავებისა და იგივეობის ეს საიდუმლოება შეუძლებელია გონებითა და ინტელექტით იქნას გამოცნობილი. იგი მხოლოდ ვედებისა და მათი გზავნილების დახმარებით შეიძლება გახსნილ იქნას. ეს არის ძირითადი გაკვეთილი, რომელიც ბჰარატის სულიერი დინების მიერაა მოცემული.

ყოველი ახალშობილი წუთისოფელში მოდის იმ საქმეთა ასანაზღაურებელი შედეგების ტვირთით, რომლებიც მან წინა ცხოვრებებში დააგროვა. იგი დედამიწაზე ბუნების წიაღიდან არ ვარდება, როგორც მეხი ღრუბლებიდან. იგი წუთისოფელში იმისათვის იბადება, რომ განიცადოს კარგი და ცუდი შედეგები

– გასულ ცხოვრებებში მისი საკუთარი მოქმედებების შედეგები. ეს ხსნის, რატომ არიან ადამიანები განსხვავებულნი. ეს *კარმის* კანონია. ადამიანთა სამყარო ისეთია, რომ ყოველი ადამიანი თვითონაა მიზეზი თვისი ბედისა, კარგის თუ ცუდის. თვითონაა მისი მშენებელი, არქიტექტორი. ბედი, განგება, განჭვრეტა, წინასწარ განსაზღვრა, ღვთის ნება – ეს „განმსაზღვრელი“ სიტყვები მხოლოდ ერთ კანონს ასახავს – *კარმის* კანონს. ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია ღმერთს „შეურიგდეს“ და მიუახლოვდეს, როდესაც *კარმის* ამ კანონის შესახებ სწავლებას მიიღებს. როდესაც ადამიანი გააცნობიერებს, რომ ღმერთი სულაც არ არის მისი ტანჯვების მიზეზი და რომ ამის ერთადერთი მიზეზი თვითონ ადამიანია, რომ ამაში არ შეიძლება სხვა ადამიანები დაადანაშაულო, რომ იგი თვითონაა ინიციატორიც და „მიმღებიც“, ანუ თავისი მოქმედებების მიზეზიც და შედეგიც, მაშინ იგი თავისუფალია თავისი მომავლის შენებაში, მაშინ იგი მყარი ნაბიჯით და ნათელი გონებით მიუახლოვდება ღმერთს.

თუ დღეს ადამიანს უბედურებები დაატყდა თავს, ეს, უდავოდ, თვით მის მიერ ნამოქმედარის შედეგია. ამასთან ერთად ადამიანს უნდა სწამდეს, რომ ბედნიერება და კარგი ბედი მხოლოდ მის ხელშია. თუ იგი გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ წარმატებას მიაღწევს და ბედნიერი იქნება.

თუ დღეს ადამიანს ნათელი გონება აქვს, ამის მიზეზი თვითონაა. სანამ რაღაცას ძალიან არ მოინდომებ, მანამდე ვერ მიიღებ. აქედან ნათელი შედეგი იკვეთება: ადამიანში დაფარული ნება ყველა მდგომარეობის და პირობის, ყველა წარმოქმნისა და გარდაქმნის ზღვრებს მიღმაა. ამ თავისუფლების გამოსახვის ხარისხი ადამიანის გასულ მოქმედებათა შედეგია. ეს არის უმაღლესი ნება, იგი მძლავრი და უსასრულოდ ნაყოფიერია.

შემდეგი ძნელი თემაა *მუკთი*, ანუ გათავისუფლება. *ატმანს* არ გააჩნია სქესი – მამრობითი ან მდედრობითი. ასეთი მახასიათებლები მისთვის შეუფარდებელია. ეს არის ფიზიკური სხეულის ატრიბუტები და მხოლოდ მას განეკუთვნება. როდესაც ლაპარაკია *ატმანზე*, მსგავსი იდეები მხოლოდ უმეცრებას მოწმობს. აზრი მათ მხოლოდ მაშინ გააჩნია,

როდესაც ფიზიკური სხეული განიხილება. *ატმანის* „ასაკის“ შესახებ საკითხი ასეთივე უმეცრების შედეგია. *ატმანი* მარადიულია, და ეს ოდინდელი არსი მუდამ ერთიანი და ერთია, მეორის გარეშე.

როგორ ხდება, რომ *ატმანი* სხეულში ხორციელდება? შასტრებში ამის მხოლოდ ერთი ახსნა არსებობს. ნებისმიერ დამოკიდებულებას, ნებისმიერ არათავისუფლებას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს – ეს არის *ავიღია*, ყოფიერების ბუნების სწორი გაცნობიერების არქონა. *ავიღიას* მიზეზით ადამიანი დამოკიდებულებაში ვარდება. განკურნების საშუალება სიბრძნეა. მხოლოდ სიბრძნე გადაიყვანს მას *სამსარის* ოკეანეზე. როგორ უნდა შევიძინოთ ეს შეგნებულობა?

ამისათვის სამი ხერხი არსებობს. პირველია *პრემა*, *ბჰაქთი* – თავდადებული ერთგულებითა და მოწიწებით ღმერთის თაყვანისცემა, სიყვარულით მისი მსახურება ყოველ არსებაში და მისი თაყვანისცემა ყველა ქმნილებაში, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის ცოცხალი ტაძრები, რადგან იგი ყოველ მათგანში ბინადრობს. მაშინ მცდარი ცოდნა, *ავიღია*, გაიფანტება და დამოკიდებულების ბორკილები დაიმსხვრევა. ინდივიდუუმი გათავისუფლებულ იქნება.

შასტრებში ღმერთის აღწერის ორი კონცეფცია არსებობს. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჩაწვდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას გარკვეულ თვისებებს მივაწერთ; მეორე კონცეფცია ვარაუდობს, რომ მას არავითარი ატრიბუტი არ გააჩნია და ამიტომ არ შეიძლება აღიწეროს როგორც ასეთი და ასეთი. სხვა სიტყვებით, ეს არის *საგუნა* და *ნირგუნა*, ღმერთის ასპექტები („თვისებებით“ და „თვისებების გარეშე“). ღმერთი ატრიბუტებით (*საგუნა*) იგულისხმება როგორც ყველგან მსუფევი, როგორც შემქმნელი, ყველაფრის მცველი და გამანადგურებელი, როგორც სამყაროს დედა და მამა. ამიტომ იგი არსებებისა და საგნების გარეთ და ზემოთაა და ადამიანისგან მარად შორს და განსხვავებულია. *საგუნას* კონცეფციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ თვისებების მქონე ამ პრინციპის ამოცნობა და ჩაწვდომა გათავისუფლებას, ანუ *მუკთის* იძლევა. გათავისუფლება მაშინ დგება, როდესაც ადამიანი მტკიცდება ამ ცოდნაში, მასში და მის თანახმად არსებობს.

მეორე ხერხი *ნირგუნას* (თვისებების არმქონე) პრინციპზე ყურადღების მოკრებაა. ამ გზის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მედიტაციის დროს ღვთაებრივი არსისთვის რაღაც თვისებების მიწერა არასასურველი და არაუფლებამოსილობითია, ამიტომ ამ კონცეფციაში ღმერთი ატრიბუტების გარეშეა. ასეთ შემთხვევაში ცნობიერებაში მხოლოდ სამყაროებრივი არსება მყარდება, რომელსაც თვისებები არა აქვს. მას არ შეიძლება მცოდნე ეწოდოს, ვინაიდან *ჯნიანას*, სიბრძნეს მხოლოდ ადამიანური გონიერებისა და ცნობიერების არსებობის დროს აქვს აზრი. იგი არ შეიძლება განისაზღვროს როგორც მაძიებელი, რადგან ძიება არასრულყოფილების, სისუსტის ნიშანია. იგი ასევე არ შეიძლება აღიწეროს როგორც გონიერება, რადგან გონიერების თვისება გამოცნობაა, გაყოფისა და დახარისხების მცდელობა კი ისევ და ისევ არამდგრადობას მოწმობს. იგი არ შეიძლება შემქმნელად იწოდებოდეს, რადგან შექმნა მოღვაწეობაა, რომელიც იმას ახასიათებს, ვინც რაღაცითაა შეკრული, „ვალდებულებითაა“ შემოსაზღვრული, ხოლო **მას** კი არა აქვს საზღვრები. ნებისმიერი მოღვაწეობა გულისხმობს სურვილს, საჭიროებას, ნდომას, სხვა მიზეზები მას არ გააჩნია. ნებისმიერ მუშაობას საფუძველში შინაგანი დაძაბულობის რაღაც ნაწილი აქვს, რომლის მოხსნაც ამ სამუშაოს შემსრულებელს სურს.

ვედებში ღვთაებრიობის შესახებ ლაპარაკია როგორც „იმის“ შესახებ. ღვთაებრივი ვედებში არის **ის** (ტატ), ვედები მხოლოდ **მას** მიმართავენ, რომ ხაზი გაესვას, რომ იგი შეხედულებისა და ჩარჩოებისაგან თავისუფალია, რომლებიც წარმოიქმნება, როდესაც ღვთაებრივს კონკრეტულ თვისებებს მიაწერენ. ეს არაორობითობის ფილოსოფიის თვით არსია, რადგან თვისებები, ანუ ატრიბუტები, განაცალკევებენ და კონკრეტიზირებენ.

თვითრეალიზაციასთან მისვლა, ანუ ცხოვრების მიზნის განხორციელება ყოველი ადამიანის გარდაუვალი ბედია. ყოველმა ცოცხალმა არსებამ ბოლოს და ბოლოს სრულყოფილებას უნდა მიაღწიოს – თავისი დანიშნულება შეასრულოს. დროის მოცემულ მომენტში ყოველი ადამიანი ამ გზის რომელიღაც წერტილში იმყოფება – იმ მოქმედებათა

შედევების მიხედვით, რომლებიც წინა ცხოვრებებში შესრულდა და წარსულში განცდილი გრძნობების მიხედვით. მომავალი შენდება პირდაპირ ახლა, აწმყოში – მიმდინარე მოქმედებების, გრძნობების და მოტივების მასალით, რომლებიც ამ მოქმედებებს აღძრავდა და მოქმედებაში მოჰყავდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ის, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, ვგრძნობთ, რაზედაც ვფიქრობთ, იმის მთავარი მიზეზია, რა ბედიც ჩვენ მოგველის – კარგი ან ცუდი.

თავის გადარჩენის სურვილი და ძალა, რომელიც თქვენ გათავისუფლებისკენ გიბიძგებთ, შეუძლებელია წიგნებიდან ამოიღოთ. ეს ძალა მხოლოდ თვითონ ინდივიდუუმიდან შეიძლება მოდიოდეს. შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში გულდასმით სწავლობდეთ დაწერილ წიგნებს, შეიძლება უმაღლესი ინტელექტუალის სახელი გაითქვათ, მაგრამ სრულიად სავარაუდოა, რომ ამ სარბიელის ბოლოში გაირკვას, რომ სულიერ სფეროში ერთი ნაბიჯიც კი არ გადაგიდგამთ წინ. დიდი შეცდომაა გამოიტანო დასკვნა, რომ სწავლულმა, უმაღლესი დონისამაც კი, სულიერი სიბრძნის ასეთივე მაღალ დონეს მიაღწია. თვითონ ამ სწავლულმა შეიძლება წარმოიდგინოს, რომ წიგნებიდან სულ უფრო და უფრო მეტი ცოდნის დაგროვებასთან ერთად სულ უფრო სწრაფად წაიწევს წინ სულიერ გზაზე. მაგრამ თუ იგი თავისი ძიების შედეგს ყურადღებით განიხილავს, მიხვდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი ინტელექტი უფრო მახვილი და მძლავრი გახდა, *ატმანის* (თავისივე თავის) გაცნობიერებაში სულ მცირე წარმატებასაც კი ვერ მიაღწია.

მრავალი ადამიანია ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, შესანიშნავად გამოდის სიტყვით სულიერ თემებზე, მაგრამ, მართალი რომ ვთქვათ, პრაქტიკულად არავინ ცხოვრობს იმ სულისკვეთებით, რომელიც დიადი მიზნის (*პარამარტჰას*) საკადრისია. რა არის ასეთი სავალალო სიტუაციის ნამდვილი მიზეზი? საქმე იმაშია, რომ ამჟამად ადამიანები სულიერ ტექსტებს გულდასმით სწავლობენ იმ მიზნით, რომ სწავლულობაში და ოსტატობაში სხვებს აჯობონ, რომ მეტი ფული გააკეთონ, თავისი თავი რაღაც განსაკუთრებული შეხედულებების დამცველად გამოაჩინონ, მოკლედ რომ ვთქვათ, *პანდიტის* (დიდი სწავლული ღვთისმეტყველის)

რეპუტაცია მოიპოვონ. მას შეუძლია გიტას ვრცელი კომენტარები წეროს, მაგრამ თუ იგი თავისი ქცევით, მოქმედებებით, ხასიათით არ ამტკიცებს, რომ გიტამ მის ყოველ უჯრედში შეაღწია, მთელი მისი სწავლულობა მხოლოდ და მხოლოდ მძიმე ტვირთია, რომელსაც იგი ზიდავს. ეს არის გაკვეთილი, რომელსაც ბჰარატას კულტურა ცდილობს ადამიანებს შთააგონოს. წყარო, რომლიდანაც ეს გაკვეთილი მოდის, არის *გურუ, პურუშა* (უმაღლესი სული), რომელიც თვით თქვენშია დაფარული! დიახ, წმინდა წერილების და სხვა წიგნების შესწავლამ შეიძლება სულიერი მისწრაფება გამოაღვიძოს, რომელიც ადამიანისთვის დასაბამიდანაა დამახასიათებელი და აიძულოს იგი წიგნებში არსებული დარიგებები ცხოვრებაში დანერგოს. ამიტომ ნუ თვლით წერილებიდან მიღებულ ცოდნას ტვინისთვის მძიმე ტვირთად. ცოდნა „მსუბუქი“ უნდა გახდეს, მისი ნეტარებაში, *ანანდაში* სუბლიმაცია უნდა მოხდეს! შური, ტრაბახი, ეგოიზმი – ყველა ეს თვისებები უნდა მოცილებულ იქნას.

სულიერი განძის მიღება სხვისგანაც შეიძლება. მაგრამ საჩუქრის მომცემი უმაღლესი დონის უნდა იყოს, საჩუქრის მიმღებს კი განსაკუთრებული დამსახურებები უნდა ჰქონდეს, რომლებიც მას საჩუქრის მიღების უფლებას აძლევს. თესლი შეიძლება სიცოცხლისუნარიანი იყოს, მაგრამ ნიადაგი უნდა მოიხნას და აღმონაცენის ზრდისთვის ვარგისი გახდეს. როდესაც ორივე პირობა დაცულია, სულიერი ზრდის მოსავალი უზრუნველყოფილია. მასწავლებელი რელიგიურ სფეროში სრულყოფილებას უნდა ფლობდეს, მსმენელი კი, თავის მხრივ, – მახვილ და ნათელ აღქმას. როდესაც ერთიც და მეორეც უაღრესად ამაღლებულნი არიან, როდესაც მათ თავგამოდებული სწრაფვა აქვთ, შედეგი უმაღლესი ხარისხის სულიერი გამოღვიძება იქნება. სხვა შემთხვევაში მსგავსი შედეგი ნაკლებად სავარაუდოა. ასეთი მოძღვარი ნამდვილი *გურუა*. ასეთი *გურუ* თქვენს გულს იტაცებს, და არა ფულებს. ადამიანებმა *გურუს* მსახურებაზე უნდა გადაიტანონ ყურადღება, ღრმად დაფიქრდნენ მის დარიგებებზე. მოსწავლე უნდა ცდილობდეს ცოდნა ყოველდღიურ მოღვაწეობაში მთელი ძალით მოიხმაროს და პრაქტიკაში დანერგოს. მან გული ერთგულებით უნდა შეავსოს და მთელი თავისი ნიჭი *გურუს*

რჩევების შესრულებას მიუძღვნას. ასეთი ადამიანი იმსახურებს სახელს *შიშია* – მოსწავლე.

როდესაც გათავისუფლების და თავისი ჭეშმარიტი არსის გახსნის წყურვილი ძლიერი ხდება, ბუნებაში იდუმალი და საოცარი ძალა იწყებს მუშაობას. როდესაც ნიადაგი მზადაა, საიდანღაც თესლი ჩნდება! სულიერი *გურუ* „მზადყოფნის“ მდგომარეობაში მოდის და სულიერი წყურვილი იკვლება. მიმღებმა გონების განათების მხუჭებლის მოზიდვის ძალა განავითარა. ეს ძალა მძლავრი და სრულია. ამიტომ, ბუნებრივი სახით, განათების მოცემის უნარის მქონე ჩირაღდანი კურთხევისთვის მზად იქნება.

მკითხველო! რიგითი *გურუები* სულ უფრო მეტი და მეტი ხდებიან, მაგრამ ადამიანის განკარგულებაში შედარებით უფრო მაღალი და თანამგრძობი *გურუა*, ვიდრე ჩვეულებრივი სახის ნებისმიერი მასწავლებელი. ეს არის უზენაესის *ავატარი*. თავისი ნების ერთი გამოვლინებით მას შეუძლია ადამიანს უმაღლესი სულიერი მიზნის მიღწევა გარდმოუვლინოს. მას შეუძლია ეს ნიჭი უბოძოს და აიძულოს - მიიღოს იგი. ნებისმიერ ადამიანს, წუთისოფელში სულ დაბლაც თუ დგას იგი, ერთ წამში შეუძლია უმაღლეს სიბრძნეს დაეუფლოს. *ავატარი* ყველა *გურუს* *გურუა*. იგი ადამიანია, რომელშიც სრული სიდიდით განსხეულდა ღვთაებრივი. ადამიანს ღმერთის ამოცნობა მხოლოდ ადამიანის ფორმაში შეუძლია. ბჰარატას სულიერი მოძღვრება ისევ და ისევ იმეორებს, რომ ადამიანის ფორმაში ღმერთის თაყვანისცემა ადამიანთა უმაღლესი დანიშნულებაა. სანამ ღმერთი არ განსხეულდება როგორც ადამიანი, იმედი არ უნდა გქონდეთ, რომ დაინახავთ მას ან მის ხმას შეისმენთ. რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია ღმერთი მრავალი სხვა სახით გამოსახოს, მაგრამ ეს ვერასოდეს დაახლოებს მას ღმერთის ჭეშმარიტ ფორმასთან. როგორც არ უნდა ვეცადოთ, ვერ შევძლებთ ღმერთის წარმოდგენას ადამიანის ფორმისგან განსხვავებულ სხვა რაიმე ფორმაში. ადამიანებს შეუძლიათ შთამაგონებელი სიტყვები თქვან, ღმერთი და ბუნება აღწერონ, მთელი არსებულის მოწყობილობა და შემადგენლობა აღწერონ. მათ შეუძლიათ საკუთარი თავი დაარწმუნონ, რომ თითქოს ღმერთის ყველა მოსვლა დედამიწაზე უაზრო ზღაპრებია. მაგრამ ეს

შეხედულებები მწირი და შეზღუდულია. ეს უცნაური თვალსაზრისები სიბრძნეზე არ არის დაფუძნებული. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთ განცხადებებში და აზრებში საერთოდ არ არის სიბრძნე. ერთადერთი, რის დანახვაც შეიძლება მათში, ეს ეჭვთა ტალღებზე წარმოქმნილი ქაფია.

„ვინ ვარ მე?“ (კოჰაბ). „საიდან მოდის გრძობა, რომ მოქმედებებს თითქოს მე ვასრულებ?“ „რისთვის ვიბადებით, ბოლოს კი ვკვდებით?“ „რითი დავიმსახურე ეს ცხოვრება?“ „და შემიძლია თუ არა გავთავისუფლდე ამ სამხარიდან, მოსვლებისა და წასვლების მწკრივიდან?“ ამ კითხვებზე პასუხების პოვნა არის პროცესი, რომელსაც ძველი რიშები უწოდებდნენ *ტაპასს* (მოდვაწობას, ინტენსიურ სულიერ ძიებას). როდესაც ინდივიდუუმის გონება შეუპოვარი ძიებისთვის მწიფდება, იგი *ტაპასის* გზას ადგება.

ეს არის პირველი საფეხური. როგორც კი ადამიანი ამ საფეხურზე ფეხს დგამს, მას მიესალმებიან შასტრები – წმინდა წინასწარმჭერეტელთა კოლექტიური სიბრძნე, რომელიც წერილებშია აღბეჭდილი. ვედები მას უბრძანებენ ბრძენთა უდავო რჩევები „ისმინოს, გაიაზროს და საქმეში დანერგოს“. ისინი ირწმუნებიან, რომ იგი მიაღწევს მიზანს – გადარჩენას და გათავისუფლებას ხილული სამყაროს მაცდური მომხიბვლელობებისგან, რომელიც მისი საკუთარი წარმოსახვის მიერაა დახატული.

მხოლოდ დვთაებრივი შეიძლება იყოს ადამიანისთვის მეგზური, თანამგზავრი და მრჩეველი ამ გრძელ გზაზე. მათ, ვისაც *გურუს* უწოდებენ, არ შეუძლიათ დაეხმარონ ან ხელი გაუმართონ. შრუტები ურჩევენ მხოლოდ იმ *გურუებს* მიმართონ, რომლებიც *სტოტრიებს* ან *ბრაჰმანიშტებს* წარმოადგენენ. ისინი აფრთხილებენ, რომ სხვებისთვის მიმართვა არ ღირს. რას ნიშნავს სიტყვა *სტოტრიია*? ეს იმ ადამიანის ტიტულია, ვინც სრულად მიიღო შრუტი, ანუ ვედები, და ყოველგვარი გადახვევების გარეშე იცავს მათში მითითებულ ყველა წესსა და შეზღუდვას. *ბრაჰმანიშტა* ტიტულია იმ ადამიანისა, რომელიც *ბრაჰმანის* ცნობიერებაში გამყარდა. მას არ ტანჯავს ეჭვები, მისი ყურადღება არაფერზე გადადის. მას *ატმანის* უპირობო რწმენა აქვს და მატერიალურ სამყაროსგან განდგომილია. ყველა სამყაროს ხედავს როგორც

ბრაჰმანს, როგორც ღვთაებრივი საწყისის გამოვლინებას. მისი მოქმედებები და მოძრაობები მთლიანად ამ გაცნობიერებას შეესაბამება. მისი ხედვები და ცოდნა მოიცავს დროის ყველა იპოსტასს – წარსულს, აწმყოს და მომავალს, ყოველგვარი განსაზღვრის მიღმაა, რადგან სამი *გუნა* უძლურია მის წინაშე. იგი იმყოფება ერთადერთში – *ატმანში*. მას არ ეხება განსხვავებები და უთანხმოებები, წინააღმდეგობები და უთანასწორობები. იგი მუდმივ ნეტარებაში იმყოფება.

ვედები მოუწოდებენ მაძიებელს ასეთი *გურუ* იპოვოს. მაგრამ მხოლოდ ერთ არსებას გააჩნია ასეთი თვისებები. ეს არის უზენაესი, სარვეშვარა, ყოველივეს მბრძანებელი. ღვთისმეტყველები, რომლებმაც თეორია შეისწავლეს და ოსტატურად ფლობენ მის პოსტულატებს, არ მიეკუთვნებიან *სტოტრიების* და *ბრაჰმანიშტების* კატეგორიას. თქვენ ასეთი *გურუ* არ გჭირდებათ.

იოგავასიშთჰა* მოგვითხრობს, რომ შრი რამაჩანდრამ ბრძენ ვასიშთჰას კითხვა დაუსვა: „ღვთაებრივო მასწავლებლო! არის თუ არა საშუალება, რომ სიკვდილს ვძლიოთ?“ იგივე კითხვამ გაუტამა ბუდას წუთისოფლისგან განდგომის გზისკენ უბიძგა და აიძულა ყველა მიბმულობისთვის უარი ეთქვა. ამან უდიდესი ადამიანის მარადიული დიდება მოუტანა მას. პრახლადა, რომელიც უზენაესის მიმართ თავდადებული ერთგულებითაა ცნობილი, ჯერ კიდევ ბავშვობის დროს ეკითხებოდა თავის თანატოლ მოსწავლეებს: „მეგობრებო! შენიშნეთ, რომ ზოგიერთი ჩვენი თანატოლი მოკვდა და დამარხეს ან დაწვეს?“ ასე აიძულებდა იგი ყურადღება მიექციათ სიკვდილის არსებობაზე და ურჩევდა დაფიქრებულებიყვნენ, რომ იგი გარდაუვალია. იგი მათ უმაღლეს სიბრძნეს ასწავლიდა.

თუ ამ უმაღლესი სიბრძნისკენ მისწრაფება გაქვთ, რომელიც განთავისუფლებას იძლევა, უნდა დაფიქრდეთ მოვლენაზე სახელად სიკვდილი, და მის აზრს ჩასწვდეთ.

* იოგა-ვასიშთჰა – უძველესი წიგნი სანსკრიტულ ენაზე. წარმოადგენს კრებულს დიალოგებისა მეფის კარზე შეკრებილ უდიდესი რაოდენობის ბრძენებს შორის უფლისწულ რამასთვის უმაღლესი ცოდნა გადასაცემად. რამა იძლევა კითხვებს, რომლებსაც ძირითადად ბრძენი ვასიშთჰა პასუხობს. ვასიშთჰას სწავლება ეხება ყველა საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია საკუთარი ბუნების შინაგან ცოდნასთან, აგრეთვე სამყაროს შექმნის, შენახვისა და მოშლის ციკლებს.

სიკვდილმა შიში არ უნდა გამოიწვიოს, მას არ უნდა ეპყრობოდეთ როგორც რაღაც თვალბედითს. არ უნდა გაუბოდეთ ამ თემას და ფიქრობდეთ, რომ სიკვდილი მხოლოდ სხვებს ემართებათ და თქვენ არასოდეს დაგემართებათ. ნუ გადადებთ სიკვდილზე ფიქრს და ნუ თვლით, რომ ახლა ეს ფიქრი არააქტუალური და უსარგებლოა. იცოდეთ: სიკვდილის გამოცნობა ნიშნავს საკუთარი არსის საიდუმლოს გახსნას. თქვენ ეს ჭეშმარიტება უნდა გაიგოთ.

ხილული სამყაროს საიდუმლოება, ბუნება და ნამდვილობის ხარისხი რომ გავხსნათ, უნდა ვისარგებლოთ განსხვავების უნარით, ადამიანის განსაკუთრებული უნარით. სიკვდილის არსებობა მთავარი მიზეზია კითხვისა „ვინ ვარ მე“. ამიტომ არ ღირს ამ ფაქტის უგულებელყოფა, რომ თითქოს ყურადღებას არ იმსახურებდეს. არ ღირს ამ ფაქტს შიშით გაუბოდეთ. თუ ასე იქცევით, მაშინ *აჯნიანისკენ*, უგუნურებისკენ დიდ ნაბიჯს დგამთ და თქვენს გონებაში სისულელის ხის მარცვალს თესავთ. ამით *მაიას*, ილუზიის გოდოლს ამაგრებთ.

ყოველი საიდუმლო, რომელიც ადამიანურ ყოფიერებაშია დაფარული, სიკვდილის არსში ჩაწვდომასთან განუყოფელია. ღვთაებრივის დიდებულება და ძლიერება სრული სახით მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგება, როდესაც სიკვდილი შესწავლილია. სამ ჯილდოს შორის, რომლებიც ნაჩიკეტამ სიკვდილის ღმერთს იამას*, დჰარმარაჯას სთხოვა, მთავარი იყო ის, რაც სიკვდილის საიდუმლოს შეეხებოდა. „არსებობს თუ არა ადამიანი სიკვდილის შემდეგ? ზოგიერთები ამბობენ, რომ არსებობს, სხვები ამბობენ, რომ არ არსებობს. მინდა ეს შენგან გავიგო. ეს ჩემი მესამე თხოვნაა“ - ამას ითხოვდა ნაჩიკეტა და კვლავ და კვლავ მოითხოვდა, რომ იამას ეპასუხა მისთვის. იამამ თქვა: „ჩემო შვილო! ეს გამოუცნობი გამოცანაა. წმინდა ტექსტებში იგი ურთულესთა შორის ურთულესადაა აღიარებული. ჩემთვის ღმერთებისთვისაც კი ძნელია ამ მოვლენის არსის ახსნა. და ახლა შენ სწორედ ამას მთხოვ! რატომ გტანჯავს ეს კითხვა? შენ გულებრყვილო პატარა ბიჭი ხარ. დიდი ხნის სიცოცხლეს იმსახურებ, რომ მრავალი

* კათპა-უპანიშადა. ახალგაზრდა ნაჩიკეტა, ვაჯრაშრავას, ვაჟი, მამის უნებლიე დაწყევლის თანახმად, სიკვდილის სამეფოში მოხვდა.

ბედნიერი მოვლენით გაიხარო. მე ჯილდოდ უზარმაზარ სიმდიდრეს მოგცემ, მიიღე ჩემი საჩუქრები და იცხოვრე ბედნიერად. ნებისმიერი ამქვეყნიური ნეტარება ითხოვე – ყველაფერი შენი იქნება. გაბედულად, გაბედულად! ითხოვე და წუთისოფლის ყველა სიხარული შენი იქნება!“

მაგრამ ნაჩიკეტამ უპასუხა: „ო დჰარმის მბრძანებელო! რა უზარმაზარიც არ უნდა იყოს სიმდიდრე, რა ნეტარ განცდებსაც არ უნდა იძლეოდეს იგი, დადგება დრო, და ეს ყველაფერი მორჩილად მიიღებს შენს დარტყმას, ხომ ასეა? ქმნილებაში შენ ვერაფერი დაგისხლტება ხელიდან, ხომ მართალი ვარ? ეს ყველაფერი განწირულია დასაღუპავად. რა საჭიროა ის საგნები ვინატრო, რომლებსაც მხოლოდ დროებითი მოსვენება მოაქვს? გარდამომივლინე მხოლოდ ის საჩუქარი, რომელსაც ჩემი გული ითხოვს“.

პანდავების უფროს ძმას, დჰარმარაჯას, ერთხელ ასეთი კითხვა დაესვა: „დაასახელე უდიდესი სასწაული დედამიწაზე“. ამ კითხვას დჰარმარაჯამ ასეთი პასუხი გასცა: „მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღე ვხედავთ, ადამიანები როგორ კვებიან, მაინც ვფიქრობთ, რომ თვითონ ჩვენ არასოდეს მოვკვდებით. შეიძლება ამაზე უფრო საოცარი სასწაული არსებობდეს?“ სხვა ლეგენდის თანახმად, ცნობილმა ბრძენმა იაჯნავალკიამ, მიიღო რა გადაწყვეტილება განდევნილი გამხდარიყო, მოიხმო თავისი ორი ცოლი, კატიანი და მაიტრეი, და აცნობა, რომ მთელ თავის უძრავ და მოძრავ ქონებას თანაბარწილად მათ გადასცემს. უფროსმა ცოლმა, მაიტრეიმ, რომელიც ღრმა გონებითა და ინტუიციით იყო დაჯილდოებული, უთანხმოება გამოხატა და ღიმილით თქვა: „ბატონო! ნუთუ ამ სიმდიდრეს, შენ რომ მიტოვებ, შეუძლია სიკვდილისაგან მიხსნას და მარადიული სიცოცხლე მომცეს? თუ დამარწმუნებ, რომ ასე მოხდება, მაშინ აუცილებლად მივიღებ პატივისცემით შენგან მემკვიდრეობას“. იაჯნავალკიამ ახსნა: „სიმდიდრე ცხოვრებას სასიამოვნოს და მშვენიერს ხდის, რადგან მისი ბედნიერად გატარების შესაძლებლობას იძლევა. შენ გინდა თქვა, რომ არ გჭირდება ეს უდიდესი ღირებულების საჩუქარი?“ მაგრამ მაიტრეი თავისას არ იშლიდა. მან თქვა: „თუ შენი სიტყვები სწორია, მაშინ თვითონ შეგეძლო ამ ფუფუნებით კვლავ დამტკბარიყავი და ბედნიერად

გეცხოვრა. მაშ რატომ გადაწყვეტე ამ ყველაფრისთვის უარი გეთქვა და განდევილი გამხდარიყავი? არა, არა, არ ვარგა, რომ გვატყუებ ჩვენ, სულელ ქალებს, და ცდუნებებით გვხიბლავ. როგორ შეუძლია სიმდიდრეს, რომელსაც **შენ** უარს ეუბნები, სიმშვიდე და ბედნიერება **ჩვენ** მოგვცეს? ეს ყველაფერი დროებითია, დასაღუპავადაა განწირული, სიმდიდრე უფრო მაგრად შეგვბოჭავს, იგი უმეცრებას ამრავლებს, რისი თავიდან მოცილებაც ჩვენ გვინდა. სიმდიდრე მწუხარებისა და მღელვარების მიზეზია, დასაბამიერიდან უსუფთაოა, რაგან *ატმანის* სფეროს გარეთ იმყოფება“.

როდესაც მაიტრეიიმ ეს მართალი სიტყვები წარმოთქვა, იაჯნავალკია ცოტა ხანს ჩუმად იყო, არ იცოდა რა ექნა, და მის წინ თავჩაქინდრული იდგა. მაშინ მაიტრეიი ქმრის წინ დაიხარა და თქვა: „ბატონო! შენთვის ყველა საიდუმლოა ცნობილი. ალბათ მოგვიხმე და შენი სურვილი გაგვიმხილე, რომ ჩვენი გონება გამოგეცადა. მე არ მაქვს ლტოლვა ფუფუნებისა და ჩვეულებრივი ცხოვრებისეული კეთილდღეობისაკენ. არ მსურს არც სიმდიდრე, არც საკუთრება. მაჩვენე გზა, რომელიც მარადიულ ნეტარებასთან მიმიყვანს“.

სინამდვილეში არის მხოლოდ ერთი – *პარაბრაჰმანი*. *ადვაიტას* შასტრები აცხადებენ: „მხოლოდ *ბრაჰმანია* ჭეშმარიტება. ქმნილება მითია“ (*ბრაჰმამ სატიამ ჯაგატ მიტიათ*). „ინდივიდუუმი ეს თვით *ბრაჰმანია*“ (*ჯივო ბრაჰმაივა ნაპარათ*). ყველაფერი ის, რაც ამ სამყაროში ადამიანის თავს ხდება, არარეალურია ისევე, როგორც სიზმარში განცდები. ისინი ქრება, შემდეგ კვლავ ჩნდება. სიხარული და მწუხარება, რომლებსაც ჩვენ ცხოვრებაში განვიცდით, მირაჟებს ჰგავს, წარმოქმნილს უდაბნოში – სიძულვილის, შურის, ეგოიზმის, სიხარბის ქვიშაში. ნუთუ შეუძლიათ ადამიანებს, რომლებსაც ამ ცდუნებების რეალობის სჯერათ და მათი დაწვევა სურთ, *გურუ* გახდნენ? ნუთუ იმსახურებენ *ჯნიანების*, ბრძენების წოდებას? ისინი ცრუ ავტორიტეტების მაღალ ტახტებზე სხედან. იმას ასწავლიან, რასაც თვითონ არ მისდევენ. ისინი გვაწვდიან იდეებს, რომლებსაც თვითონ იგნორირებენ. როგორ უნდა გახდნენ ასეთი პიროვნებები მაგალითი იმ მაძიებლებისთვის, რომლებსაც სულიერი განვითარება

ესაჭიროებათ? ასეთები არ არიან ნამდვილი *გურუები*, რადგან თავისი ბუნებით სრულიად მოკლებულნი არიან ჭეშმარიტი *გურუს* თვისებებს.

უზენაესი, სარვეშვარა, ერთადერთი ნამდვილი *გურუა*. იგი გზაა ყველა ასკეტისთვის. დაე ისინი მტკიცედ იყონ ამ რწმენას ჩაჭიდებულნი.

თავი 14

მს და ის

ყოველი ადამიანი თავის თავზე ამბობს „მე, მე, მე“. მე რამაია ვარ, მე კრიშნაია ვარ, მე სიტა ვარ, მე რადჰა ვარ. ყოველი ადამიანი ამ „მე“-ს თავის თავთან ასოცირებს და ხმარობს ყოველთვის, როცა თავის „გამოჩენა“ უნდა. ფრინველებს, მხეცებს და სხვა ქმნილებებს ლაპარაკი რომ შესძლებოდათ, ზუსტად ასევე მოიქცეოდნენ და თავის თავს „მე“-ს უწოდებდნენ. უფრო მეტიც, მთის მწვერვალებიც, ჭიანჭველების ბუდეებიც, ხეებიც, ენა რომ ჰქონოდათ, აუცილებლად განაცხადებდნენ: „მე მწვერვალი ვარ“, „მე ბუდე ვარ“, „მე ხე ვარ“. თუ ამის შესახებ ცოტა ხანს დაეფიქრდებით, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ სიტყვა „მე“-ში რაღაცა ღრმა საიდუმლო იმალება. ამ გამოთქმას ხმარობს უზრდელი, უხეში ადამიანიც და წმინდანიც, რომელიც ღვთაებრივ ხედვას ფლობს. ღმერთიც კი, როგორც ნათქვამია, თავის თავზე აცხადებს - „მე“. და მიუხედავად ამისა, ვინ ცდილობს ამ საიდუმლოს ჩასწვდეს? მათ შორის კი, ვინც მასში ჩაწვდომას ცდილობს, ბევრმა წაიწია წინ ამ საიდუმლოს გახსნის საქმეში? და თუ მაინც არიან ერთეულები, რომლებმაც შესძლეს მისი გახსნა, მრავალი მათგანი იყენებს ამ გახსნას თავისი ცხოვრების გარდაქმნისათვის? დიდ წარმატებებს მიაღწიეს ცნობილმა მოაზროვნეებმა, *პანდიტებმა*, *პარამაჰამსებმაც* კი ამ „მე“-ს აზრსა და მნიშვნელობაში ღრმად ჩაწვდომაში?

არა და არა. მოდით ვნახოთ, მოახერხეს თუ არა გიტას მქადაგებლებმა და კომენტატორებმა, რომლებსაც შეუძლიათ

სხაპასხუპით თქვან ზეპირად ყველა 18 თავი მათი 700 შლოკით, ამ სიტყვის, „მე“-ს მნიშვნელობის სრულად გაგება.

გიტაში კრიშნა აცხადებს: „მე გიხსნით თქვენ“ (*აჰამ მაკშიაიშიამი*), „მხოლოდ ჩემში ეძებე თავშესაფარი“ (*მაამ ეკამ შარანამ ვრაჯა*) და „შემიციან მე როგორც ველის მცოდნე“ - ანუ ამ ქვეყნის მცოდნე (*ქშეტრაჯნიანმ ჩა აპი მაამ ვიდჰი*). ყველა ამ სამ გამოთქმაში იგი სიტყვა „მე“-ს ხმარობს, ხომ ასეა? აქედან ნათელი ხდება, რომ გამოთქმა „მე“ მის ყველგანმსუფეობაზე ლაპარაკობს. იგი ნიშანი და სიმბოლოა ყველა *ჯივატმასი* - ინდივიდუალური სულისა, ამ „მე“-ს უთვალავი ფორმა და სახე აქვს. ძაფივით, რომელზეც კრიალოსნის მარცვლებია ასხმული, ეს „მე“ ყველა ფორმას და სახელს გამსჭვალავს და ერთად კრავს.

რა ცვალებადიც არ უნდა იყოს სახელები და ფორმები, „მე“, შეუხებელი, მუდამ აგრძელებს არსებობას. ამიტომ, რომ გავიგოთ ყველაფერი ის, რაც გაგებულ უნდა იქნას, ეს ყველგან მსუფევი „მე“ უნდა გავიგოთ. ვინც იგი იცის, *ჯაგატ გურუა* (ყველა არსების მასწავლებელია), *სადგურუა* (ტეშმარიტი მასწავლებელია, ვისთვის მიყოლაც მართებს ადამიანს).

სხეული მხოლოდ სათავსია (*უპადჰი*), გარსია. ამის მიუხედავად ადამიანები, რომლებიც განსხვავებებს და უთანასწორობებს აძლევენ მნიშვნელობას, რაც სხეულთა თვისებებსა და მატერიალურ გაგებებზეა დამყარებული, ზოგიერთებს ადიდებენ და მათი ტერფების შეხებას დიდ პატივად მიიჩნევენ, სხვებს ხელშეუხებლებს უწოდებენ, ზოგიერთებს მაღლა მდგარად თვლიან, სხვებს კი – დაბლა. მძლავრი ინტელექტი დიდ პატივისცემას არ იმსახურებს, და ადამიანებს უფლება არა აქვთ თავი *პანდიტებად* გამოაცხადონ, თუ ცოდნას იმისათვის იძენენ, რომ გამდიდრდნენ და შესაძლებლობა ჰქონდეთ კომფორტულად იცხოვრონ. ასევე განსაკუთრებულ პატივისცემას არ იმსახურებს უნარი ბრწყინვალედ წარმართოს დისკუსია და სწავლულთა კამათში გაიმარჯვოს.

თუ მის აზრს ღრმად ჩასწვდებით, ამ სიტყვას, „მე“-ს, სინამდვილეში უზენაესთან მიჰყავხართ. „**ის** შენ ხარ“, „**ის** მე ვარ“, „მე და **ის** ერთი ვართ“ - აი რას ამბობს ვედების

დიდებული გამოთქმა „ის შენ ხარ“ (ტატ ტვაშ ასი). ეს არის სწავლების თვით გული, აღთქმათა შორის უდიდესი.

მხოლოდ წიგნური ცოდნის დახმარებით, ხელმძღვანელებისა და დამხმარეების გარეშე მე-ში დაფარული ეს წმინდა ჭეშმარიტება თვით განათლებული მეცნიერებისთვისაც კი მიუწვდომელია. მაგრამ ეს ხელმძღვანელები თვითონ უნდა ფლობდნენ ჭეშმარიტების ცოდნას და თვალთმაქცობის გარეშე უნდა **ცხოვრობდნენ** ამ ჭეშმარიტებაში. ჭეშმარიტება თეორიულ ცოდნათა, გონებრივი და ლოგიკური აზროვნების ზღვრებს მიღმაა. შენიშნეთ, რომ ამაზე აფრთხილებენ თვით შრუტები და სმრიტები.

ვისაც უნდა, რომ ამ „მე“-ზე და მის შინაგან აზრზე საერთო წარმოდგენა მიიღოს, მისთვის შეიძლება საიდუმლო გავხსნათ და სამი ფრაზა წარმოვთქვათ: „მე აქტიური ვარ დღისით, როცა მღვიძავს“; მე ღამით მძინავს და სიზმრის მოვლენებს განვიცდი“; „ამის შემდეგ, როდესაც მღვიძარობისას და სიზმარში მოვლენები განვიცადე, მე ვკვდები“. ამ ფრაზებზე რომ დავფიქრდებით, რომლებიც ნებისმიერს შეუძლია თავის თავზე თქვას, ჩვენ ვასკვნით, რომ ისინი იმ ცოდნაზეა დაფუძნებული, რომელიც ინდივიდუუმის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის მიღებული. იგი დარწმუნებულია: „მე“ იმ მომენტიდან იწყება, როდესაც იგი იბადება. ის იკითხავს: ეს „მე“ არსებობდა ჩემს დაბადებამდე? თუ არსებობდა, მაშ რაგორ შეიძლება ითქვას - „იგი დაიბადა“ იმის შესახებ, რაც წინათ უკვე არსებობდა? თუ დავუშვებთ კიდევ, რომ იგი არსებობდა, რა სახით და სად? იყო თუ არა იგი „განსხეულებიდან გამოსული“, სახელ და ფორმაწარმეული, რომელიც სადღაც „დანავარდობდა“ გრძნობათა ორგანოებთან ყოველგვარი კავშირის გარეშე?

დაურწმუნებულობით სავსე ეს ვარაუდები ტალღებივით აწყდება ადამიანს. მაგრამ მან უნდა ნათლად გაარკვიოს, რომ ეს „მე“ არავითარ ობიექტთან, ფაქტთან, არსებასთან, სახელთან და ფორმასთან დაკავშირებული არ არის და არ შეესაბამება მათ. გახსოვდეთ: როდესაც ამ „მე“-ს გამოიცნობთ და მის ბუნებას გახსნით, ანუ შესძლებთ სწორი პასუხი გასცეთ კითხვას „ვინ ვარ მე“, მთელი სამყაროს და მის საიდუმლოებათა ბუნება გაგეხსნებათ.

ხშირად სვამენ კითხვას: რა სასწრაფო აუცილებლობაა „მე“-ს აზრის გაგება, როდესაც სამყაროში ურიცხვი ობიექტი არსებობს, შესწავლას რომ საჭიროებს? დიას, შეიძლება დიდი ენთუზიაზმით გაეხსნათ სამყაროს კანონები. ანდა შეიძლება ძალისხმევა იქითკენ იყოს მიმართული, რომ *ჯივას* და *დევას* (განსხეულებული სულის და ღმერთის) არსი გავარკვიოთ. როცა ასეთი უმნიშვნელოვანესი და უღრმესი აზრით სავსე მოვლენები, როგორცაა „სამყარო“, „ინდივიდუალიზებული ღვთაებრიობა“, თვით ღვთაება – დაჟინებულ ყურადღებას მოითხოვს, ნუთუ საჭიროა უარი ვთქვათ მათში ჩაწვდომაზე და იმ შეუთანხმებელი გამოთქმის აზრის გამოკვლევას მივყოთ ხელი, რომელსაც ყველა ხმარობს, მდაბიო ხალხის და მცირეწლოვან ბავშვთა ჩათვლით – ამ „მე“-ს? რა სარგებელია ამაში? ეს არის ჩვეულებრივი კითხვა, რომელსაც ადამიანები სვამენ.

დიას, რა თქმა უნდა, „მე“ მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ნაცვალსახელია. მაგრამ მისი აზრი უსასრულოა, იგი ყველა დანარჩენ კითხვას ამოწურავს. ამ მიზეზით ყველა დიდი მასწავლებელი მაძიებლებს მოუწოდებს: შეიცან შენი თავი, ღრმად გამოიკვლიე საკუთარი თავი, მხოლოდ ეს მოგცემს შევებას. ეს მოწოდება შასტრების მიერაა დადასტურებული: „როდესაც **ის** შეცნებულია, ყოველივე დანარჩენი ცნობილი ხდება“ (*იად ვიჯნიანენა სარვამ ვიჯნიატამ ბჰავატ*). შასტრები დაჟინებით მოითხოვენ ამ კვლევის მნიშვნელობას და ღირებულებას, ნათლად მიუთითებენ, რომ *ატმანის* (საკუთარი თავის) შეცნება პირველი საჭიროების საგანია. წმინდა გამოთქმაში „**ის** შენ ხარ“ (*ტატ ტვამ ასი*) შასტრები გვარწმუნებენ, რომ *ატმანი* (ჭეშმარიტი „მე“) ეს სწორედ თქვენ თვითონ ხართ.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: თქვენს მისწრაფებათა მიზანთან რომ მიხვიდეთ, უპირველეს ყოვლისა უნდა გახსნათ საიდუმლოება „ვინ ვარ მე“. მაშინ თქვენთვის გასაგები გახდება, რომ თქვენ მარადიული (*ნიტია*) ხართ, რომელიც დროს არ ემორჩილება. შასტრები დაგეხმარებათ უმეცრება, *აჯნიანა* მოიცილოთ, უცოდინრობის შავი ღრუბლები გაფანტოთ, რომლებიც თქვენს გონებას ჭეშმარიტებას უმაღავს, და მაშინ საკუთარი ნამდვილი ბუნების

გაცნობიერების გამოცდილებით დატკბებით. ეს გაცნობიერება მაშინ დგება, როცა თქვენს თავზე შუქი ეშვება, რომელიც ჭეშმარიტებას აშუქებს.

მაგრამ ამჟამად შასტრები, რომლებსაც ადამიანი ამ დიდ საიდუმლოებათა შეცნებასთან მიჰყავთ, იმ სფეროებთან, სადაც ამ ნეტარების შეძენა შეიძლება, არ შეისწავლება. ამის ნაცვლად ადამიანი ბეცი თვალებით თავის საკუთარ ღრმა აზრს მოკლებულ თხზულებებს გულდასმით კითხულობს. ნუთუ შეუძლია მას ასეთ პირობებში სულიერი (*ატმური*) არსი მოიცვას? ნუთუ შეუძლია მას *ანანდას* თვით შუაგულს მიაღწიოს? ამქვეყნიური მეცნიერებების დახმარებით იგი ვერ შეძლებს შრუტის აზრში ჩაწვდომას. ღმერთის წყალობას უნდა მიაღწიოს – რწმენით და ერთგულებით – და მხოლოდ ამ წყალობას, ღვთის თვალის ამ მოწყალე შემოხედვას შეუძლია საღვთო წერილების ჭეშმარიტი აზრი შთააგონოს მას. მხოლოდ იმ პიროვნებებს, რომლებშიაც ღვთაებრივი სიბრძნე და თანაგრძნობაა განხორციელებული, შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ, რა უნდა იყოს ადამიანის სულიერი პროგრესისა და კეთილდღეობისათვის ნაყოფიერი. სხვანი თვითონვე ძლივს ფარფატებენ ზედაპირზე. მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდება ამ ამოცანისთვის თავის გართმევა. დაფიქრდით, როგორ უნდა უშველოს *გურუშ* სხვებს სულის გადარჩენაში, თუკი საკუთარი სულის გადარჩენის უნარი არა აქვს. ახლანდელი *გურუ* ცდილობს საზოგადოება გაწმინდოს, თავისი საკუთარი სახლი კი გაპარტახებულია. ასეთი *გურუების* რიცხვი სულ უფრო იზრდება და ამიტომ შეცდომები და წარუმატებლობები მრავლდება. მათს მონაგონებებს იჯერებენ და სხვადასხვა სახით სხვებს გადასცემენ, ამიტომ უწესრიგობა იზრდება. შედეგად დაუსრულებელი დისკუსიები მრავლდება, ჭეშმარიტება კი მხედველობიდან ქრება. ასეთი *გურუები* თავისი ცრურწმენებისა და მჯობინებების სასარგებლოდ ხსნიან შასტრებს, და სახელის მოსახვეჭ ინსტრუმენტად იყენებენ მათ.

ასეთ უმძიმეს გარემოებებში ღმერთის წყალობა ადამიანისთვის ერთადერთი იმედია, შუქურაა, რომელიც მას გზას უნათებს. ეს კეთილგანწყობა ადამიანს მისი სულიერი

სწრაფვისთვის ჯილდოდ ეძლევა. ეს მტკიცე საიმედო გემია, რომლითაც შეუძლია *სამსარის* ოკეანე უშიშრად გადაცუროს.

მოძღვართა და მასწავლებელთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ადამიანისთვის თვითშეცნების გზა განთავისუფლების გზაა. „თვითშეცნებას განთავისუფლებასთან მიჰყავს ადამიანი“ (*სვა ვიმარსო მოკშაჰ*) – ასეთია შასტრების რწმუნება. „*ის ატმანია, ის მე თვითონ ვარ*“, „ჩემსა და *ატმანს* შორის განსხვავება არ არის“, *ატმანი* და *პარამატმანი* ერთია“. „მე“ ძაფიცაა (ქსოვილის საფუძველი), და მისაქსელიც (მისი ფაქტურა). *ატმანი* ქსოვილია.

რდესაც „ძაფი-მე“ სხვადასხვა სხეულში აღმოჩნდება და ამასთან გრძნობს, რომ ყოველ სხეულში იგი (ძაფი) სხვადასხვაა, მაშინ „მას“ ეჩვენება, რომ *ატმანი* (ერთიანი ქსოვილი) არ არის. მაგრამ ძაფშიც და ქსოვილშიც ყოველთვის ერთი და იგივე სუბსტანცია იმყოფება, მას ბამბა ჰქვია. ასევე *პარამატმანიც* (ღმერთი, სმყაროებრივი „მე“) განხორციელებულ *ატმანში*, „მე“-ში იმყოფება როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება. ბამბის, *პარამატმანის* გარეშე შეუძლებელია „ძაფი-მე“ არსებობდეს. „ძაფი-მე“-ს გარეშე შეუძლებელია ქსოვილი-*ატმანი* არსებობდეს. მაგრამ ეს „სამი“ - *პარამატმანი*, *ატმანი* და „მე“ - მხოლოდ და მხოლოდ გამოსახვები და ფორმებია ერთი და იგივეს, ერთადერთის – უმაღლესი „მე“-სი, *ატმანისა*, ღვთაებრივი *ატმანისა*.

თავი 15

ღონეები და სტადიები

„ინდუიზმის რელიგია მრავალი ღმერთის თაყვანისცემისკენ უბიძგებს; ამან მრავალ სექტას შორის უთანხმოება და კინკლაობა გამოიწვია, რასაც ქვეყანაში შიში და მღელვარება მოაქვს. ინდუიზმის ეს მთავარი ნაკლი ყველა შიდა კონფლიქტისა და შეხლა-შემოსხლის მიზეზია“ - ასეთია „გარე მიმომხილველთა“ უცილობელი განაჩენი. მაგრამ ეს აზრი არასწორია! ეს არის იმ ადამიანთა უფიქრელი ფანტაზია, რომლებსაც ღრმად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ.

დასავლეთში მორწმუნეთა უმრავლესობა ქრისტიანობას აღიარებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქრისტიანი ერთ ღმერთს სცემს თაყვანს, ისინი მხეცებზე უფრო უღმობელი ხერხებით ანადგურებდნენ ერთმანეთს. განა ისინი ომებს არ აჩაღებდნენ, სადაც „უცხო რჯულად“ წოდებულ ხალხებს აღგვიდნენ პირისაგან მიწისა, სადაც უდანაშაულო ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს ცეცხლში წვაავდნენ? ნუთუ შეიძლება ითქვას, რომ ამ უსულგულო, სასტიკ, სულელურ და დემონურ აოხრებაში და ძმათა სისხლისღვრაში დამნაშავეა მათი რელიგია – ქრისტიანობა? დიახ, ყველა ისინი ერთ რელიგიას მიეკუთვნებიან და ერთ ღმერთს სცემენ თაყვანს, მაგრამ ამ თაყვანისცემის საფარვლის უკან ადამიანში რაღაცა შხამიანი თვისება უნდა იმალებოდეს, რომელიც მთელ მის პიროვნებას წამლავს. რელიგია როგორც ასეთი არავითარი სახით არ არის დამნაშავე უთანხმოებებში, კონფლიქტებში და ომებში.

გერმანიაში არ ყოფილა კასტებად დაყოფა, არ ყოფილა, სექტანტური შუღლები. ამ ქვეყანამ მეცნიერებასა და ტექნიკაში დაუჯერებელ პროგრესს მიაღწია, სახელი გაითქვა როგორც ყველაზე უფრო მოწინავე სახელმწიფომ, რომელიც ძალით, მამაცობით, გმირობით იყო ცნობილი. ამის მიუხედავად, იგი ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი იმ ძალების მიერ, რომლებმაც მასზე გამარჯვება მოიპოვეს, და ყოველ ნაწილში ოთხი სხვადასხვა ერის მბრძანებლობა დამყარდა. იაპონია, სადაც სექტებს შორის რელიგიური უთანხმოებები და კონფლიქტები არასოდეს ყოფილა, მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდა სხვა ხალხების მხრიდან ტერორის გამო. რატომ არის ასე? სახელმწიფოს დაცემა სულაც არ არის ყოველთვის რელიგიასთან დაკავშირებული.

არავის შეუძლია ისეთი მსოფლიოს წარმოდგენაც კი, სადაც განსხვავებები არ არსებობს. განსხვავებები ადამიანური გონების შინაგანი წყაროებიდან და მისი ზემოქმედების ერთობლივი შედეგიდან წარმოიქმნება. ადამიანის ცხოვრება ამ გონებისა და მისი ზემოქმედების გარე ასახვაა. ყველა არსება – ცოცხალი თუ არაცოცხალი – სხვა არა არის რა, თუ არა ამ გონების გამჟღავნება სხვადასხვა დონეზე. თუთიყუში და ყვავი შეიძლება ერთი და იმავე მიმართულებით იყურებოდნენ, მაგრამ სხვადასხვას ხედავდნენ. ტურა სულ სხვანაირად

აფასებს სიტუაციას, ვიდრე ძაღლი. ცხოველებს თავისი ბუნება აქვთ, ადამიანებს – თავისი. ერთი ადამიანი მიღებული ცოდნის დონით მეორისგან განსხვავდება. არა მარტო ცოდნაში, არამედ გარეგნობის, პირადი მომხიბლაობისა და ა.შ. უამრავი ვარიაცია არსებობს. მჯობინება, ანტიპათია, აზრები, გრძნობები უსასრულოდ მრავალფეროვანია და მიღებული ინფორმაციის, პროფესიის, საქმიანობის სახის მიერაა ფორმირებული. არ არის საჭირო ასე შორს წასვლა. ტყუპებიც კი ხშირად არ ჰგვანან ერთმანეთს – მათში ერთმანეთისგან განსხვავებული ბუნება იჩენს თავს. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი იმაშია, რომ მათი გონებები ერთმანეთისაგან განსხვავებულად ვითარდებოდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ კაცობრიობა მრავალფეროვნებისგან ვერასოდეს გათავისუფლდება. საყოველთაო ერთგვარობა მიუღწეველი ფანტაზიაა, ყველას შორის თანასწორობის დამყარება სრული უტოპიაა, ეს იგივეა, რომ ყვავილები ცაში ვეძებოთ.

ცხოველი იმ შეგრძნებით ცხოვრობს, რომ იგი ცხოველია, ფრინველი – იმ შეგრძნებით, რომ იგი ფრინველია, ქალი თავის თავს ქალად აცნობიერებს, და მისი მოქმედებები ამ თვითშეცნობას შეესაბამება; ასევე იქცევა მამაკაციც. თვითშეგნება, რომელიც დაძინებამდე ყოველი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, თავის სამუშაოს ყოველგვარი ცვლილების გარეშე გამოდვიძების შემდეგ აგრძელებს. ცოცხალი არსება აღადგენს მოქმედებას, რომელსაც დაძინებამდე ასრულებდა, ადამიანი იმ „ადგილიდან“ აგრძელებს მოქმედებას, სადაც იგი ძილის მიერ იყო შეწყვეტილი. ამის მსგავსად, ადამიანი ამ ცხოვრებაში იმ მოქმედებებს აგრძელებს, რომლებიც საკვდილის მიერ იქნა შეწყვეტილი, იმ „ადგილიდან“, სადაც ისინი წარსულ ცხოვრებაში დასრულდა. „ბოლოში იგი სხეულს ტოვებს, მაგრამ გრძნობები რომლებიც მის მოქმედებებს ასე ძლიერ აღძრავდა, მასთან რჩება“ (*იამ იამ ვააპი სმარან ბჰავამ ტიაჯატიიანტე კალებარამ*); „იგი სწორედ ისეთ მდგომარეობასთან მიდის, რომელზედაც მისი ყველა გრძნობა იყო მიმართული“ (*თჰამ თჰამაივეტი კაუტეიია სადა ტად ბჰავა ბჰავიტაჷ – გიტა*).

შემდეგი ცხოვრების ხასიათი ზუსტად შეესაბამება იმ გრძნობებს, რომლებითაც გონება იყო დაკავებული იმ მომენტში, როდესაც ადამიანი თავის მკვდარ სხეულს ტოვებდა, რადგან ეს გრძნობები ზუსტ შესაბამისობაში იქნება იმ გრძნობებთან, რომლებიც მას სიცოცხლეში სამოქმედოდ აღძრავდა. თუ ამას უფრო ღრმად ჩაუკვირდებით, სრულიად ნათელი გახდება, რომ მთავარი ჭეშმარიტება შემდეგში მდგომარეობს: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად წინ წავიდა ადამიანი გონების ამაღლების სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად არსებები შეიძლება ერთმანეთს ჰგავდნენ, მათს შინაგან ბუნებაში განსხვავებათა უდიდესი დიაპაზონი შეიმჩნევა. ცოცხალ ორგანიზმთა გვარი ან სახე გარეგნული მსგავსებით განისაზღვრება. მაგრამ სინამდვილეში ისინი შიდა ბუნების გამოვლინებას ასახავს. ნებისმიერი ინდივიდუალში თავდაპირველად რაღაც ფორმას წარმოადგენს. ადამიანი, ხე, ბორცვი, მერცხალი, მელა, ძაღლი, ძროხა, გველი, მორიელი – ეს „ხმები“ იმ სახეობის წარმომადგენელზე მიუთითებს, რომლისთვისაც ეს ფორმაა დამახასიათებელი. ცალკეული „ინდივიდი“ შეიძლება დაიღუპოს, მაგრამ სახეობა არსებობას აგრძელებს. ადამიანები კვდიან მაგრამ კაცობრიობა რჩება; ხეები ეცემიან და ნაცრად იქცევიან, მაგრამ სახეობა ათასწლეულობით არსებობს.

თუ ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე უმნიშვნელო მოვლენებსაც კი გავაანალიზებთ და გამოვიკვლევთ, ეს ფაქტები ჩვენთვის აბსოლუტურად ნათელი გახდება. ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანთა მოღვმის ყველა წარმომადგენლისთვის ადამიანური თვისებებია დამახასიათებელი, მაგრამ როდესაც კონკრეტულ ადამიანს ვაფასებთ, ამ შემთხვევაში მნიშვნელობას ვაძლევთ მის პირად ღირსებებსა და ჩვეულებებს, მის მდგომარეობას ამჟამად და იმედებს მომავალში.

ყველა ძროხა ერთ სახეობას ეკუთვნის. მაგრამ როდესაც ძროხის ყიდვას ვაპირებთ, მისი „გენეალოგიის“ გაგება გვინდა. მის სხეულზე სასიკეთო ნიშანს ვეძებთ, გვინდა, რომ ბევრ რძეს იძლეოდეს, რომ მორჩილი, წყნარი ცხოველი იყოს. ჩვენ მხოლოდ „კარგ“ და სრულფასოვან ძროხას ვირჩევთ, და არა

ნებისმიერს უბრალოდ იმის გამო, რომ ცხოველი ძროხების სახეობას ეკუთვნის. ეს ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს. არ ვიყიდით უმეწველო, შფოთიან ძროხას. ასევე ადამიანების მიმართაც: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები რაღაცით ერთმანეთს ჰგვანან როგორც ერთი ბიოლოგიური სახეობის წარმომადგენლები, ადამიანს ძირითადად მისი შინაგანი თვისებების მიხედვით ვაფასებთ.

სხვა მომენტიც არის, რომელიც ღრმა განხილვას მოითხოვს. ის, რომ „მაღალსა“ და „დაბალს“ შორის განსხვავებას ვგრძნობთ, ბუნებრივი რეაქციაა. მიუხედავად იმისა, რომ შარდი და ექსკრემენტი ჩვეულებრივად უსუფთაობად ითვლება, ძროხის შარდს და ნეხვს წმინდად თვლიან. ეს მხოლოდ ძროხას ეხება – სხვა ცხოველების გამონაყოფი უდავოდ უსუფთაობად ითვლება. ანდა, მაგალითისთვის, ავიღოთ ცეცხლი, აგნი. ცეცხლი ცეცხლია, როგორც არ უნდა იყოს მისი ფორმა. სახლებს ზეთის ლამპებით ვანათებთ, კერაში ცეცხლს ვანთებთ, არის სამსხვერპლო ცეცხლი. ამ რიტუალურ ცეცხლს თაყვანს სცემენ, მის წინ ადამიანები განერთხმებიან. მაგრამ ლამპის ან კერის ცეცხლს ასე დიდად არ ვაფასებთ. ნეშთის კრემაციის დროს კოცონის ცეცხლი უსუფთაოდ და სხვა მიზნებისთვის აბსოლუტურად გამოუსადეგად ითვლება. ამ კოცონზე კვერებს არავინ გამოაცხობს, მის წინ თაყვანისცემით არავინ დაიხრება. იგი დაბლად, გაჭუჭყიანებულად, სიწმინდის არმქონედ ითვლება.

ასევე ადამიანებიც ერთმანეთს სახეებით ჰგვანან, მაგრამ ყოველ ფიზიკურ სხეულს და სხვა გარსებს, რომლებშიც ადამიანი იმყოფება, თავისი განსაკუთრებულობები აქვს; ადამიანებიც ასევე განსხვავდებიან შინაგანი თვისებებისა და მოღვაწეობის ხასიათის მიხედვით, ამიტომ ადამიანებს შორის განსხვავება **აუცილებელია**. „ამაღლებულ“ და „დაბალ“ ადამიანებს შორის ზღვარი უნდა გავავლოთ და შესაბამისად მოვეპყროთ. ელექტრული ნათურები სხვადსხვანაირად ანათებს, ზოგიერთები ძალიან კაშკაშაა, ზოგი კი – მკრთალი. ელექტრული დენი მათში ერთი და იგივეა, მაგრამ ზოგი ნათურა ამ დენს სრული ძალით ავლენს, ზოგს კი ასეთი შესაძლებლობა არა აქვს.

ჩვენ ვაღივებთ ვართ ის ჭეშმარიტება მივიღოთ, რომ სამყაროს განვითარებისთვის გაცნობიერების სხვადასხვა დონეები, სრულყოფილების სხვადასხვა საფეხური, „მაღლის“ და „დაბლის“ ტიპის განსხვავებები, წმინდანი და არაწმინდანი, რელიგიური თუ არარელიგიური - აუცილებელი ფაქტორებია, ისინი გარდაუვალია და ღვთაებრივი ნებითაა ჩაფიქრებული.

თავი 16

ადამიანი და ღმერთი

ადამიანის ევოლუციის დასრულებისათვის, ადამიანის მიერ თავისი უმაღლესი მიზნის გაცნობიერებისათვის რელიგია და სულიერი მოღვაწეობა აუცილებელია. რელიგია დამაკავშირებელი რგოლია ინდივიდუუმსა და სამყაროს შორის, ჭივასა და დევას შორის. რელიგია რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება ქაოსად იქცეოდა. ბორცვზე ასულ ძროხას, რომელსაც მეზობელ ბორცვზე სურს გადასვლა, გზად ბობოქარი მდინარის ნაკადი ხვდება. მდინარეზე გადასასვლელად ხიდია საჭირო. ეს ხიდია სწორედ რელიგია. ინდივიდუალური ცხოვრების „ბორცვსა“ და სამყაროებრივ სფეროს შორის ბუნების ადიდებული მდინარე მიედინება მთელი თავისი ჭორომებითა და მორევებით. ძნელია განსაზღვრა, სად არის მისი სათავე, სად იწყებს მომძლავრებას და ბოლოს და ბოლოს სად ჩაედინება. მაგრამ საბედნიეროდ, ყოველ ადამიანურ საზოგადოებაში არიან ხიდის მშენებლები, რომლებიც ადამიანებს მდინარეზე გადასვლაში ეხმარებიან.

ხიდები შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ დანიშნულება ყველას ერთნაირი აქვს. ინდოეთის ბრძენთა და წინასწარმჭვრეტთა მიერ აგებული ხიდი ატარებს დასახელებას სანატანა დჰარმა. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ იგი მარადიულია, შეურყეველია, დროს არ ემორჩილება, ვედების მტკიცე საყრდენზე დგას და იმდენად საიმედოა, რომ ყოველი ქვეყნის ადამიანის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას

ყველა დროში. ამიტომ მას ზოგჯერ უწოდებენ ვედურ ხიდს ან ვედურ გზას, აგრეთვე არიების გზას. ყველა მცდელობა იმათი წარმოშობის წყაროს მიაკვლიონ, ვინც გზა გაკვალა, წარუმატებლობით დამთავრდა. ამიტომ ადამიანებმა, რომლებმაც ამ წყაროების მიკვლევის სურვილი დაიტოვეს, ეს გზა განსაზღვრეს როგორც *აკართჰა* (პირდ. „არ აგებული“, „ადამიანების მიერ არ გაკეთებული“), ანუ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხიდის კონსტრუქტორი თვით ვედებია, ანუ სხვა სიტყვებით - თვით ღმერთი.

ყველა რელიგია და სულიერი გზა, რომელთა საფუძვლებიც საუკუნეების განმავლობაში იყო ჩაყრილი, უდავოდ წმინდაა, რადგან ისინი უზენაესის დესპანთა მიერ იქნა დაფუძნებული, რომლებიც არჩეულ იქნენ როგორც ადამიანთა შორის ყველაზე უფრო გამჩენილნი. ბუდას, იესო ქრისტეს, ზოროასტრას, მუჰამედის სახელები მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი. მათი იდეალები, სწავლებები, აზრები იმდენად ფასდაუდებელი გახდა მათი მიმდევრებისთვის, რომ მათი სახელები თვით რელიგიასთანაა გაიგივებული. რამდენადაც ქრისტეს დროს ადამიანებს სწამდათ, რომ ჭეშმარიტი რელიგია ღმერთის გზავნილი უნდა ყოფილიყო და რამდენადაც ეს გზავნილი იესო ქრისტემ გამოაცხადა და იქადაგა, ამიტომ რელიგიას მისი სახელი დაერქვა. ასევე ბუდიზმსაც ბუდას საპატივცემულოდ დაერქვა ბუდიზმი, რადგან მისი განათებული ცნობიერების მიერ აღქმულ და გავრცელებულ იქნა მისი, როგორც ღვთაებრივი ინსტრუმენტის, მეშვეობით. მუჰამედმა, ღმერთის გზავნილი რომ გაიგონა, რელიგიური დოქტრინები და სწავლება გამოაცხადა. ისინი, ვინც მას მიჰყვებიან, თავიანთ თავს მაჰმადიანებს უწოდებენ. ამიტომ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ რელიგიებს ადამიანთა შორის უდიდესთა, უზენაესის იდეალურ დესპანთა მიერ, ჩაეყარა საფუძველი.

ღვთაებრივი გონება სამყაროებრივია, იგი ყველაფერს მოიცავს. ადამიანური გონება ვიწრო ჩარჩოებითაა შემოსაზღვრული, მისი დიაპაზონი არ არის დიდი. ყველა საღვთო წერილი ერთი მიზნის შესახებ ამბობს, მაგრამ მისი მიღწევის სხვადასხვა გზებს აღწერს. ყოველი გზა შეიძლება რომელიმე კონკრეტული რელიგია იყოს, და მისი დოქტრინები

და მეთოდები ისეთად არ ითვლება, როგორც სხვებისაა. ამიტომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რამას, ქრისტეს, ბუდას, მუჰამედსა და სხვა წინასწარმეტყველებს შორის არავითარი განსხვავება არ არის.

ქრისტიანობა აცხადებს, რომ შემქმნელმა ინდივიდუალური არსებები ისეთები შექმნა, როგორებიც ისინი არიან. ისლამშიც იგივეა ნათქვამი ალაჰის შესახებ. ზოროასტრიზმი და ბუდიზმიც კი დაახლოებით ასე აღწერენ ქმნილებას. მაგრამ ვედურ რელიგიას ამ საკითხთან სხვა მიდგომა აქვს. ინდივიდუში მარადიულია ისევე, როგორც ღმერთი. თუ ცოცხალი არსებები (*ჯივეები*) არ არიან, მაშინ *დევა* (ღმერთი) არ არის! ვედებში ამას განსაკუთრებულად აქვს ხაზი გასმული. სხვა რელიგიების მიმდევრები ბოლო დროს ამ ჭეშმარიტების აღიარებას იწყებენ. მიმდინარე ცხოვრება წინა და მომდევნო ცხოვრებებს შორის რაღაც პერიოდია, ეს მხოლოდ ნაბიჯია შემდეგი ნაბიჯის წინ – ასე ამბობენ ვედები. ვედები განმარტავენ, რა კავშირია გასულ და მომავალ დაბადებებს შორის. არცერთი სხვა რელიგია ასე დაწვრილებით არ ჩერდება გასულ და მომავალ ცხოვრებებს შორის კავშირზე.

კიდევ ერთი მომენტი: სხვადასხვა რელიგია სხვადასხვანაირად ხსნის ადამიანის ცხოვრების ოთხი მიზნიდან ერთ-ერთს (ეს ოთხი მიზანია: *დჰარმა*, *ართჰა*, *კამა* და *მოკშა*) – კეძოდ კი *მოკშას*, განთავისუფლებას. ყოველი რელიგია თავის კონცეფციას წამოწევს წინ და მის უდავო რწმენას მოითხოვს. ამიტომ „განთავისუფლების გამოცდილების“ მათს აღწერაში არ არის იგივეობა და ერთგვაროვნობა. მაგრამ ამ მდგომარეობის აღწერა ინდუიზმში ყველა რელიგიის მიმდევრებისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს. განთავისუფლების აღწერის დეტალებში სხვადასხვა რელიგიების აზრები შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგრამ განთავისუფლების მდგომარეობა ისე არსად არ აღიწერება, როგორც ეს ინდუიზმში ხდება. მიზეზი იმაშია, რომ დროთა დასაწყისიდან მოსული ინდუიზმი სხვა რელიგიებზე მაღლა დგას. სხვა სარწმუნოებრივი მოძღვრებები დაფუძნებულია ინდუიზმის ამა თუ იმ დოქტრინებზე, რომლებიც მათი დამფუძნებლების მიერ იქნა არჩეული,

განვითარებული და გაფართოებული მათი ტრადიციებისა და კულტურის შესაბამისად. ამ მიზეზის გამო თავდაპირველად ინდუიზმისთვის დამახასიათებელი მრავალი ჭეშმარიტება ხშირად შეიძლება სხვა სარწმუნოებრივ მოძღვრებებში შევნიშნოთ.

ინდუიზმი და ინდური კულტურა ერთიან უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა. ინდუიზმი ადამიანს უწესებს დაიცვას *კარმა* (განსაკუთრებული რელიგიური წეს-ჩვეულებები, აგრეთვე რიტუალები და ცერემონიები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებას თან ახლავს) გათენებიდან დაღამებამდე შეუსვენებლად. მრავალი წეს-ჩვეულება რთული *იაჯნები* (შიდა სამყაროსკენ მიმართული მსხვერპლის შეწირვები), *იაგიები* (გარე სამყაროსკენ მიმართული მსხვერპლის შეწირვები) და ღვთაებრივ ძალებთან ძღვნის მიტანაა. მაგრამ ინდუიზმი ამას არასაკმარისად მიიჩნევს: რიტუალებისა და თაყვანისცემის ცერემონიების გარდა, რომლებიც იმ მომენტიდან სრულდება, როგორც კი ბავშვი მუცელში ჩნდება, და ადამიანის სიკვდილამდე გრძელდება – მის მიერ უმაღლეს სამყაროებამდე შემდგომი მიღწევისათვის – სპეციალური პრაქტიკული დისციპლინებია რეკომენდირებული. არავითარი სხვა რელიგია არ გამოიმუშავებს ასეთ დაწვრილებით წესებს ყოველი სასიცოცხლო ციკლისთვის. ამიტომ, იმის გამოცხადება, რომ ყველა რელიგია ერთნაირია, არასწორია. მათ ინდუიზმის ზოგიერთი (ან ბევრი) რიტუალი და წესი გადაიღეს, რადგან ინდუიზმი თავიდანვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ რიტუალებსა და წესებს.

თუ ხის ზრდის სტადიებში რაღაც შესვენება დგება, თუ რაღაცის უკმარისობა შეინიშნება, უბრალოდ რომ ვთქვათ, თუ *დჰარმის* რაღაცა წესი მიშვებულია, მაშინ ხეზე მომწიფების პერიოდში მყოფ *ჯნიანას* ნაყოფს სერიოზული ზარალი მიადგება. სულიერი მოღვაწისთვის ასეთი მკაცრი მითითებები მხოლოდ ინდუიზმში შეიძლება ვიპოვოთ, არცერთ სხვა რელიგიაში არ არის ისინი. მიზეზი იმაშია, რომ ინდუიზმი ნექტარია, რომელიც ძველმა *რიშებმა* თავისი საკუთარი გამოცდილების „რძიდან“ მოამზადეს. ეს წესები წიგნური თხზულებების ნაწყვეტებიდან არ არის შედგენილი.

არავინ უნდა აირჩიოს ის რწმენა და მორალი, რომელიც მას უბრალოდ უფრო მეტად მოსწონს. ადამიანები თვლიან, რომ ცხოვრება ხანმოკლეა და ამიტომ შეუძლიათ, რაც მოეხასიეთებათ, ის აკეთონ. მაგრამ ცხოვრება ხანგრძლივი მგზავრობაა დროში, და ამიტომ ზნეობრივი წესდება და თვითკონტროლი აუცილებელია. რელიგია იძლევა სიმშვიდეს აწმყოში და თანადგომას მომავლისთვის. უდა შევიგნოთ, რომ წარსულში ჩვენი მოქმედებების შედეგებს ამჟამად განვიცდით. თუ ადამიანი კმაყოფილია იმ პირობებით, რომლებშიც ცხოვრებამ ჩააყენა, მაშინ ამ დაკმაყოფილებიდან უზომო სიმშვიდეს ხაპავს. მან იცის, რომ თავისი ახლანდელი მდგომარეობის მიზეზი მხოლოდ თვითონაა და თუ ახლა მისი ქცევები ღირსეული და კეთიშობილია, მას შეიძლება ბედნიერი მომავლის იმედი ჰქონდეს. ეს დიდ მხარდაჭერას იძლევა ცხოვრებაში. თუ ადამიანი ასეთ პოზიციაზე დგას – აწმყოზე არ ჩივის და კარგ მომავალს „აშენებს“, ზნეობაზე და თვითკონტროლზე იგი ყოველნაირად იზრუნებს. ამ ორი იდეალის მიმართ ერთგულება ძალას იღებს მხარდაჭერიდან და ენთუზიაზმიდან, რომლებსაც რელიგია იძლევა.

ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რელიგია როდის დაიწყო და როდის დამთავრდება. ასევე ძნელია ვიპოვოთ ინდივიდუუმის, ანუ ჯივის „დასაწყისი“ და „დასასრული“. ინდუიზმის თანახმად ჯივი „დაუსრულებელია“, და ეს ცხოვრება გრძელი მწკრივის მხოლოდ მორიგი რგოლია, რომელიც მისი საკუთარი აზრებისა და მოქმედებების წყალობით იქმნება. ჯივი პირდაპირ ახლა არ გაჩენილა დვთის რისხვის ან წყალობის შედეგად. არც ერთი, არც მეორე არ წარმოადგენს მისი დღევანდელი მდგომარეობის მიზეზს. ამას აცხადებს სანატანა-დჰარმა – ინდუიზმის რელიგია.

რელიგიური შეხედულება არ შეიძლება ყოველი ადამიანის პირად საქმედ ჩავთვალოთ. შესაძლოა, მრავალი სწორედ ასე ფიქრობდეს, რამდენადაც თითოეულის რწმენა თვით მასში გამყარდა და თითოეული მას თავისებურად გამოხატავს ქცევებში. მაგრამ რამდენად სწორია ეს აზრი? რის საფუძველზე ამტკიცებს ბევრი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანი (თავმოყვარეობის შესაქცევად), რომ არ არსებობს არც ღმერთი, არც რელიგია, არც ადამიანთა ოთხი წოდება?

ამჟამად სულ უფრო მეტი ადამიანი აცხადებს, რომ ღმერთი არ არის და რომ ყველა რელიგიური მითითება, რომლებიც ადამიანთა მოღვაწეობის ამალლებისა და მართვისკენაა მოწოდებული, ცრურწმენაა და მეტი არაფერი. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანები უმეცრები არიან, რომ მათ არავითარი განათლება არა აქვთ, მაგრამ როგორ უნდა ვეპყრობოდეთ მათს სიტყვებს, როცა ისინი სულიერ რწმენებს და მოღვაწეობას ბნელეთის მოციქულობად აცხადებენ? პასუხი ასეთია: თუ ისინი „ჩემად არიან“ და თავის მრწამსს თავში ინახავენ, საზოგადოებას საჩივარი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს არ ავნებს მას. მაგრამ ეს ადამიანები ჩემად არ არიან და წყნარად არ სხედან! ეს შეიძლება შევადაროთ ალკოჰოლის მიღებას, რომლის მიმართ ახლა ბევრს აქვს მიდრეკილება. განა შეგვიძლია ამ მიდრეკილებას ვეპყრობოდეთ როგორც ყოველი ადამიანის პირად საქმეს? განა არ ვიტანჯებით ალკოჰოლიკებისგან, მათი ქცევებისგან? რა პათოსითაც არ უნდა იხილებოდეს „პირადი საქმის“ შესახებ, ეს მაგნე ჩვევა დაფარულადაც და ღიადაც ანადგურებს საზოგადოებას მრავალ დამოკიდებულებაში. ყოველივე ამის მიუხედავად, მისი დამღუპველი ზემოქმედება აშკარაა. როდესაც ასეთი ცუდი ჩვევები ჩვეულებრივ ადამიანს ახასიათებს, საფრთხე მთელი საზოგადოებისთვის არც თუ ისე მნიშვნელოვანია. მაგრამ როდესაც ამას აკეთებენ უკვე არაახალგაზრდა და საზოგადოებაში გარკვეული წონისა და რეპუტაციის მქონე ადამიანები, მაშინ ჩვეულებრივი ხალხი ცუდ მაგალითს მიბაძავს.

ვიასას და ვალმიკის თხზულებები ძალიან ძველია. საუკუნეების სიღრმიდან მოსულ ამ ნაწარმოებებს ასეც ჰქვია – პურანები („ძველები“). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ათასობით წლების წინ გაჩნდნენ, ისინი დროს მაინც არ ემორჩილებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ნუთუ ასეთი საყვარელი და პოპულარული იქნებოდნენ მთელ ამ ქვეყანაში – ჰიმალაებიდან სეტუმდე*? ეს ტექსტები მუდამ ახალია. მათზე დრო გაველენას არ ახდენს. მართალია, ისინი ათასობით წლის

* სეტუ „ხილია“, ზღვის ისარა, ინდოეთის სამხრეთ ნაპირზე, სადაც, ლეგენდის თანახმად, რამამ ხილი ააგო ლანკაზე.

წინ გაჩნდა, მათი წაკითხვისას ნებისმიერი ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს, *ანანდას* მიიღებს, თუკი სწყურია იგი.

ასევე უნიკალურია მანუ-დჰარმა-შასტრაც (კაცობრიობის ლეგენდარული პირველმშობლის მანუს კანონთა კრებული). მთელ ისტორიაში ვერ ნახავთ ნაწარმოებს, მას რომ შეედრებოდეს. განა შეეძლო კიდევ ვინმეს ამ ტექსტის მსგავსი რამ შეექმნა? ინდუიზმის დოქტრინები და შასტრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევენ საერო მეცნიერებებს. რა თქმა უნდა, ცოდნის ეს დარგები დღითი დღე ვითარდება, მაგრამ დღეს დიდად პატივცემული თეორიები ხვალ უკუივლება; წამოიწვეა ახალი თეორია, რომელიც იმავე მოვლენას ხსნის. განა შეუძლიათ უმაღლესი სულის მარადიულ და ყველა დროში ნამდვილ ჭეშმარიტებებს მატერიალური მეცნიერებები განადიდონ? თანამედროვე მეცნიერები ამ სულიერ მსოფლმხედველობას აფასებენ როგორც ბრმა რწმენას, სურთ, რომ ჩამოაგდონ, დაამცირონ იგი. მათ სურვილი კლავს მეცნიერული მეთოდებით გამოიკვლიონ სუბიექტური და ობიექტური მოვლენები და ზუსტ ექსპერიმენტში მოაქციონ, მაგრამ ისინი თავს იტყუებენ, როდესაც თვლიან, რომ ჭეშმარიტების გახსნის საკუთარი, სხვებისგან დამოუკიდებელი ხერხი აირჩიეს. მათი აზრი არასწორია. არ არის საჭირო ასე ღრმად ქექვა, თეორიების დაგროვება. ყველა კანონი, ყველა გზა უკვე მზად არის, ხელმისაწვდომია. ჩვენ მხოლოდ უნდა მათი გაგებისკენ ვისწრაფოდეთ.

დასავლეთის ფილოსოფოსები, კანტიდან დაწყებული სპენსერით დამთავრებული, არსებითად, აზრის ძველი სკოლების – *დეაიტის*, *ვიშიშტ-ადვაიტის* და *ადვაიტის* - ცალკეულ ასპექტებს ამუშავებდნენ. ინდურმა აზრმა ამ საკითხებში დიდი ხანია ღრმად შეაღწია და კანონების და დოქტრინების სახით გააფორმა ისინი.

რასები და კასტები

ინდუიზმის *დჰარმა* და მისი კანონები შედგენილია *ვარნის* (წოდებების) და *აშრამის* (ცხოვრების სტადიების) პრინციპებზე. თავიდან განვიხილოთ *ვარნის* პრინციპი რელიგიაში. ვედანტაში განხილული სიტყვა *მაია*, ილუზია, როგორც წესი, კრიტიკისა და უარყოფის ობიექტი იყო ან სულაც იგნორირდებოდა. იგივე ეხება *ვარნახაც*. *ვარნა* და მასთან დაკავშირებული გამიჯვნები განიხილებოდა როგორც ადამიანის გონების გამონაგონი. მიუხედავად ყველა გონიერი მოსაზრებისა, *მაია* ასეთივე სახით იკიცხებოდა, რადგან იგი სამყაროს არარეალობას, მის ილუზორულობას გულისხმობს. სმრიტები ამბობენ: „ოთხი *ვარნა* იყო ჩემ მიერ შექმნილი“ (*ჩატურ ვარნიამ მაია შრიშტამ*). შრუტებში ნათქვამია: ბრამინები სახიდან გამოჩნდნენ, ქშატრიები – ხელებიდან, ვაიშიები – სხეულიდან, შუდრები ფეხებიდან. ცხადია, რომ *ვარნა* ღმერთის მიერაა შექმნილი. და თუ ვინმე ქადაგებს, რომ *ვარნების* სისტემამ კატასტროფული უთანასწორობა წარმოშვა, შეცდომა სიტყვის აზრის არასწორ გაგებაშია.

არის თუ არა თანამედროვე საზოგადოებაში ნამდვილი *ვარნები*? რა არის სინამდვილეში *ვარნა*? ცდილობს ვინმე ამაში გაერკვეს? არა. *ვარნა* რაღაცა სიტყვაა. ყოველ სიტყვას აზრი გააჩნია, და *ვარნაც* რაღაცას უნდა ნიშნავდეს, ხომ ასეა? ხის არსებობის დამტკიცებისთვის საკმარისია სიტყვა „ხე“. თვითონ სიტყვა უბრალოდ ბგერაა, მაგრამ იგი რაღაც არსებულზე მიუთითებს. ბგერა „სპილო“ ამ ცხოველის არსებობას მოწმობს. როდესაც გვესმის ბგერები „კატა“, „ძაღლი“, „მელა“, ამ ცხოველთა გარეგნობა შიდა მხედველობაში ჩნდება. ბგერები ამქვეყნად ჩვენს გაჩენამდე არსებობდა. ჩვენ ხმების სირთულეში ვიბადებით, თვითონ არ ვქმნით მათ. თუკი არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ახალი ბგერა შევქმნათ და აზრის შემცველ სიტყვად ვაქციოთ, ადამიანთა მთელი ჯგუფები და ობიექტებია საჭირო. ამიტომ ჩვეულებრივი საუბრის ყოველ სიტყვაზე მისი შინაარსია „მიბმული“. ჩვენი ახირების გამო ვერ შევავსებთ სიტყვას შინაარსით. სიტყვები და ის, რაც მათ უკან დგას, უკვე არის

და იყო ჩვენს დაბადებამდე. უბრალოდ ჩვენი შეხედულების მიხედვით ვხმარობთ, როცა საჭიროდ ვთვლით.

სიტყვას საუბარი მოსდევს. სანსკრიტულ ენაზე ეს არის გაგება *ჰადა* (პირდ. საყრდენი, საფუძველი). ამ სამყაროს ყოველ ობიექტს სანსკრიტულ ენაზე ჰქვია *ჰადართჰა* - „სიტყვის მნიშვნელობა“, ანუ „მატერიალური ობიექტი“. ბორცვი მიწის გროვას, რომელიც სიტყვა „ბორცვითაა“ აღნიშნული. ამის მსგავსად, სიტყვები ბრამინი და შუდრა გვეუბნებიან იმის შესახებ, რომ არიან ამ სიტყვების შესაბამისი ადამიანები. კითხვა „ვინ არის ბრამინი და ვინ არ არის ბრამინი“ მოცემულ შემთხვევაში არააქტუალურია. უნდა შევითვისოთ მხოლოდ ერთი რამ: გაგება „სიტყვა“ და „მნიშვნელობა“. მთელი კოსმოსი განეკუთვნება კატეგორიას „სიტყვა და მნიშვნელობა“, ეს არის უბრალოდ სახელი და ფორმა (სახელი სიტყვაა, ფორმა – სიტყვის მნიშვნელობა).

ასეა ვედებში ნათქვამი. სახელი და ფორმა ერთი განუყოფელი ერთობაა (*ვაჩა რამბჰანამ ვიკარო ნამადჰეიათ*), როგორც შივა-პარვატი, აქტიური-ინერტული, ობიექტი-ანარეკლი, მთვარე-მთვარის შუქი. მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს სამყაროსთან, სიტყვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. სიტყვა აზრიდან იბადება, აზრი გამოცდილებიდან იღებს ფორმას. გამოცდილება სურვილზეა დამოკიდებული, სურვილს კი წარმოქმნის უმეცრება, *აჯნიანა* – სხვა სიტყვებით *მაია* (სამყაროს ილუზია, უცოდინარობა, ანუ *პრაკრიტი*, მატერია). მატერიის ძირი და ძირი ღვთაებრივია.

რამდენადაც სიტყვის საფუძველია ღვთაებრიობა, უზენაესი, სიბრძნის ჩირაღდანი, პირველქმნილი ჩინებულების განძი, ამიტომ *მაიას* - უმეცრების, უცოდინარობის, ანუ მატერიალური ბორკილების (*პრაკრიტის*) – სიბნელე არ უნდა გვძალავდეს. უზენაესმა გამოაცხადა: „მე მრავალი გავხდები“, და ეს ნება სამყაროს შექმნის მიზეზი გახდა და მართავს მას. ვხედავთ, რომ სახელი და ფორმა ამ ნების გამოვლინებაა, ადამიანის ნება აქ არაფერ შუაშია. და თუ ადამიანი იტყვის, რომ სახელი-ფორმები თვითონ გამოიგონა, ეს იქნება უაზრობის მწვერვალი. მხოლოდ უზენაეს ღმერთს შეეძლო ესურვა ეს. სწორედ ამ მიზეზის გამო იხსენებენ მას უზენაესად.

ადამიანები კითხულობენ, არსებობს თუ არა ღმერთი. სიტყვა ღმერთის თვით არსებობა წარმოადგენს უდავო მტკიცებას.

სამყარო სხვადასხვაგვარი ობიექტების სიმრავლისგან შედგება, ყოველ მათგანს თავისი დასახელება აქვს. ვერავინ შეძლო გაერკვია, რატომ და როგორ მიემაგრა ეს დასახელებები ობიექტებს. რა თქმა უნდა, მცდელობები კეთდებოდა, მაგრამ შედეგები მხოლოდ ჰიპოთეზები იყო, და არა პირველი ინსტანციის ჭეშმარიტება. ამიტომ უფრო კეთილგონიერი იქნებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ სიტყვები ჩვენთან ზემოდან მოვიდა. სიტყვები, რომლებსაც ვხმარობთ დაბადებიდან სიკვდილამდე, დაბადებამდე და სიკვდილის შემდეგ, სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს დედას, შვილებს, მართლქმედებას, არამართლქმედებას, სამოთხეს, ჯოჯოხეთს – ისინი, უდავოდ, ადამიანის მიერ არ იქნა გამოგონილი და ღვთის განგებას წარმოადგენს. ამ მტკიცებას ვედებში ვნახულობთ.

დაფიქრდით: შეგიძლიათ ერთი მაგალითი მაინც მოიყვანოთ – ამ ან სხვა სამყაროდან – ერთი სიტყვა მაინც, აზრი რომ არ იდგეს მის უკან? არა, ეს შეუძლებელია. ყოველ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა ღვთაებრივ განზრახვაზე მიუთითებს. ადამიანი ცხოვრების საიდუმლოებას მაშინ ამოხსნის, როცა ამ ჭეშმარიტებას სრულად გააცნობიერებს.

ასევეა სიტყვა *ვარნა* მიმართაც. თუ ნათქვამია, რომ „ბრამინი სახიდან გაჩნდა“ (*ბრაჰმანა ასია მუკჰამ ასეტჰ*) და ა.შ. ან რომ „ოთხი ვარნა ჩემ მიერ იყო შექმნილი“ (*ჩატურ ვარნა მათა შრიშტატი*), განა არ იგულისხმება, რომ უნდა არსებობდეს ოთხი ვარნა, რომლებიც სიტყვებითაა აღნიშნული, ასევე ადამიანები, რომლებიც შეიძლება აღიწერონ როგორც შესაბამისი სიტყვების აღმნიშვნელი მაგალითები? განა ამ გამოთქმებიდან აბსოლუტურად ცხადი არ ხდება, რომ იმავე ღმერთმა, ვინც ეს ადამიანები შექმნა, ჯგუფებად, ვარნებად დაყო ისინი, მათი მიდრეკილებებისა და მოღვაწეობის სახის საფუძველზე?

მაშ ასე, სიტყვა *ვარნა* და მისი მნიშვნელობა შეიძლება ღრმა ფიქრის პროცესში და სრულიად ნათელი აზრის დროს გავიგოთ. ყოველდღიურ საუბარში სანსკრიტულ სიტყვა *ვარნის*

ყველაზე უფრო გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობაა „ფერი“, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მიეცა სიტყვას ეს აზრი. სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა რომ გავარკვიოთ, ეს უნდა გავიგოთ. სიტყვაში *ვარნა* ძირი *ვრ* ნიშნავს „აღწერას“, „დაწვრილებით განხილვას“, აგრეთვე „გამოთვლის პროცესს“. ძირები *რ*, *რნ*, რისგანაც ისეთი სიტყვები იქმნება, როგორიცაა *რამანა*, აღნიშნავს „სიხარულს“, „ტკბობას“ და ა.შ. ამიტომ სიტყვა *ვარნა* ნიშნავს „დაწვრილებითი განხილვის შემდეგ სიხარულით მიღებას“. რაც შეეხება ფერს, ძირითადი ფერებია თეთრი, წითელი და შავი, ყველა სხვა ფერი მათი შეთავსებაა. თეთრი *სატვეურ* (სუფთა) საწყისს სიმბოლიზირებს, წითელი – *რაჯასურს*, შავი – *ტამასურს*. ეს ქმნილების საიდუმლოებაა. ადამიანის დაბადება განისაზღვრება მისი საყვარელი მიდრეკილებებით, რომლისკენაც იგი ისწრაფის და რომელსაც „შეეზრდება“. ადამიანი **თვითონ** განსაზღვრავს წინასწარ დაბადებას ამა თუ იმ *ვარნაში*, ეს არ არის ძალაუფლების მქონე რაღაც გარეშე ძალის გადაწყვეტილება. ხოლო ის, თუ რომელი მიდრეკილებების შერჩევას და განვითარებას ამჯობინებს იგი, დამოკიდებულია მისი გონების განვითარების დონეზე. გონება მოქმედებისთვის აღძრავს, მოქმედება კი ცხოვრების ხასიათს და ხარისხს განსაზღვრავს. ასეთია ნამდვილი განმარტება გამოთქმისა „თვისებები *კარმას* აყალიბებს“ (*გუნა კარმა ვიბჰვაშაჰ*). მიუხედავად იმისა, რომ შრუტისა და სმრიტის ტექსტებში ის მიზეზები განიხილება დაწვრილებით, რომლებიც ინდივიდუუმის დაბადებას, ცხოვრებასა და სიკვდილს იწვევს გარკვეულ კასტაში, რელიგიაში, ოჯახში, საზოგადოებაში, ადამიანები, რომლებსაც ამის გაგების უნარი არ გააჩნიათ, საკუთარი შეზღუდული ინტელექტიდან გამომდინარე თეორიებს გვთავაზობენ და ამით კმაყოფილდებიან.

ჩვეულებრივი უმეცრების გარდა ამას სხვას ვერაფერს დაარქმევ. ან ისინი თავმოყვარე ქედმაღლები არიან, რომლებსაც სურთ დაანახონ, რომ ყველაფერი იციან, მაგრამ განა ეგოიზმი იმავე უმეცრების ნაშიერი არ არის? აქედან დასკვნა ასეთია: კასტა, მდგომარეობა საზოგადოებაში, ოჯახი და რელიგიაც კი *გუნათი* და *კარმით* განისაზღვრება. არც

ერთის, არც მეორის მანიპულირება ადამიანს არ შეუძლია. ასე ამბობენ ვედები. ისინი აცხადებენ, რომ ეს ღვთაებრივი ნებითაა წინასწარ განსაზღვრული.

ბჰარატას უწოდებენ კარმა-ბჰუმის, კარმა-ქშეტრას – წმინდა მხარეს, სადაც *კარმა* ღმერთსაა მიძღვნილი. ამქვეყნად ყველა ადამიანი მომლოცველია ღვთაებრივი *კარმის* წმინდა მხარისკენ. *კარმა* არის ბჰარატის *sin qua non* (განუყოფელი თვისება). ბჰარატა *კარმის* ღვთაებრიობას პირველ ადგილზე აყენებს და მთელ მოღვაწეობას სულიერ პრაქტიკად აქცევს. ამ მიზეზით ატარებს იგი ასეთ სახელებს.

ამ ქვეყნის საღმრთო წერილები, შრუტები, მთელი ხმით აცხადებენ, რომ თვითონ ადამიანია თავისი ბედის შემქმნელი, თვითონაა მიზეზი მაღალი ან დაბალი სტატუსისა საზოგადოებაში, ფუფუნების ან სიღატაკის, თავისუფლების თუ დამოკიდებულებისა. სიკვდილის შემდეგ ადამიანი ისეთ მდგომარეობას აღწევს, რომლისკენაც ცხოვრების განმავლობაში ისწრაფის ამქვეყნად (*სა იადჷა კრატურასმინ ლოკე პურუშო ბჰავატი ტატე ტატ პრატიე ბჰავატი*). ასე ამბობენ შრუტები. აქედან გამომდის, რომ *კარმა* გადაბადების ტიპს განსაზღვრავს, და რომ სიმდიდრე თუ სიღატაკე, ხასიათი და შეხედულებები, ინტელექტის დონე, ამ ცხოვრების სიხარული და მწუხარება იმის შედეგია, რაც გასულ განსხეულებებში დაგროვდა. აქედან გარდაუვალია დასკვნა, რომ შემდეგი ცხოვრება ზუსტ შესაბამისობაში იქნება იმ ინტელექტის დონესთან, რომელიც ადამიანს აქ და ახლა მართავს და მოქმედებებისთვის აღძრავს. ზოგიერთები, მიუხედავად კეთილშობილი განსხეულებისა, ცუდ ქცევებს ასრულებენ. სხვები კი, თუმც კასტაში არიან დაბადებულნი, რაც დაბალი ითვლება, მართლქმედით ცხოვრებას ეწევიან. ჩვენ ხშირად გვაწუხებს კითხვა, რატომ ხდება ეს. ბრამინების გვარში დაბადებული ადამიანები უღირს ცხოვრებას ეწევიან, სხვა სიტყვებით, *რაჯასის* და *ტამასის* დონეზე ჩამოდიან. ადამიანები დაბალი კასტიდან *სატვის* დონემდე აღიან და ღირსეულად იქცევიან. ეს ბრამინები მხოლოდ დაბადების მიხედვით არიან ბრამინები (*ჯანმა-ბრამინები*), და არა *კარმა-ბრამინები* (თავიანთ საქმეებში ზნეობრივები). სხვანი მხოლოდ დაბადების მიხედვით არიან „დაბალნი“, ზნეობრიობით კი

მაღლები არიან. ვედები აცხადებენ, რომ კასტებში აუცილებელია წარმოშობისა და ქცევის შესაბამისობა.

ამქვეყნად ადამიანები „არაშეზავებული“ *სატეური* ბუნებით ძალიან იშვიათნი არიან. უმეტესწილად მათ *სატეური* ბუნება აქვთ *რაჯასის* მინარევით. ასეთ ადამიანებს კეთილშობილი წარმომავლობა აქვთ, მაგრამ მათს მოქმედებას *რაჯასი* ხელმძღვანელობს. თავისი საქმეებით დემონსტრირებენ, რომ მათი კასტა შერეულია. ვედები ითვალისწინებენ ასეთ შესაძლებლობას და მის შემდგომ ზეგავლენას კასტაზე მთლიანად. ვედებს წინასწარადებულობა არ გააჩნია, მათში არ არის ერთთა გაკიცხვა და მეორეთა მჯობინება. ისინი არ ამადლებენ ადამიანთა ერთ ტიპს და არ უკუაგდებენ მეორეს, მხოლოდ არსებულ ჭეშმარიტებას უკეთებენ კონსტატაციას.

ავიღოთ რაიმე მაგალითი. კაუშიკა (ვიშვამიტრა) ქშატრია იყო, ანუ ადამიანი *რაჯასური* ნატურით. მაგრამ წინა ცხოვრებებში მოქმედებების შედეგად მის ცნობიერებაში *სატეურმა* მიდრეკილებებმა და თვისებებმა შეადწია და იგი ჭეშმარიტების მტკიცე მომხრე გახდა. მან თავისი თავი გარდაქმნა და ცნობიერება *სატეის* დონემდე ასწია. „მოისმინა“ *მანტრა*, რომელსაც იგი იმეორებდა; ეს *მანტრა* ამ სუფთა ცნობიერებიდან მოდიოდა და ეს იყო გაიატრი-*მანტრა**. ახლა კაუშიკა მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია როგორც ვიშვამიტრა – მთელი ქმნილების მეგობარი, რადგან მთელი მსოფლიოსთვის კეთილმოსურნე გახდა. ბრამინებმა ეს *მანტრა* მიიღეს და ღვთაებრივ ჯილდოდ გამოაცხადეს იგი. ისინი პატივს სცემდნენ და იმეორებდნენ, და ამით შეუდარებელ ნეტარებას ღებულობდნენ. ჩვენ ვხედავთ, რომ კაუშიკა იყო *ჯანმაქშატრია* (მეომარი დაბადების მიხედვით), მაგრამ *კარმაბრამინი* (ბრამინი მოქმედების მიხედვით) გახდა და ვედების მიერ ასეთად იქნა აღიარებული, ვედები კი თვით ღმერთის ხმაა. ცხადია, რომ ვედები მთელ კაცობრიობას გზას უჩვენებენ ყოველგვარი წინასწარადებულობის გარეშე, მათთვის უცხოა უთანასწორობები და გამიჯვნები. ისინი

* გაიატრი – რიგვედის ცნობილი *მანტრის* დასახელება, რომელიც მიმართულია სავიტრისკენ (მხსნელისკენ – მზის ერთ-ერთი ჰიპოსტასისკენ) და ერთიან ღმერთს აღიღებს; ითვლება ვედური *მანტრების* „ღელად“.

ინდივიდუუმის მხოლოდ აზრებსა და საქმეებს აძლევენ მნიშვნელობას.

ამის შესახებ თანამედროვე მოაზროვნეებს შეიძლება ეჭვები გაუჩნდეთ. ეს სრულიად ბუნებრივია. რა ეჭვებია ეს? თუკი ნათქვამია, რომ *ვარნები* ღვთაებრივი ნებით წარმოიქმნა, განა მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს? სრულიად ცხადია, რომ ისინი მხოლოდ ერთ ქვეყანაზე, ბჰარატაზე არ უნდა იყოს მიბმული. მაგრამ არ არის ისეთი წესი, რომ ყველაფერი, რაც კი შექმნილია, აუცილებლად ყველგან უნდა არსებობდეს! ასეთი მოთხოვნის განხორციელება შეუძლებელია, ეს ბუნებრივია, რომ წესები და მჯობინებები, რომლებიც ცხოვრების სახეს და მორალურ წესდებას ეხება, ყოველი ქვეყნის პირობების, ქვეყნის სულისკვეთების, თავისებურებების, კლიმატისა და სხვა უნიკალური თვისებების გათვალისწინებით უნდა მყარდებოდეს. არ არის ისეთი წესი, რომ ინდოეთში მზარდი ხეები დედამიწაზე ყველგან იზრდებოდეს! არავინ მოითხოვს, რომ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავები დედამიწაზე დაეშვას. არ არის ისეთი კანონი, რომ წყალში მცხოვრები თევზები ასევე ბორცვებზე ცხოვრობდნენ.

მხოლოდ ღმერთმა იცის, როდის და რა უნდა გადახდეს თავს თითოეულ ადამიანს. ყველა დანარჩენი აქ უძღურია. დაბადების მაგვარი მოვლენები განისაზღვრება ადგილის, დროის, მიზეზობრიობისა და ა.შ. პირობებით. ეს მოვლენები დამოკიდებული არ არის იმაზე, მოგვწონს ისინი თუ არა, გვინდა თუ არ გვინდა. ამიტომ ზედაპირული დაკვირვებები და ცხადის შესწავლის მცდელობა მხოლოდ გონების ამრევ ეჭვებთან მიგვიყვანს *ვარნების* შესახებ. ასეთი ეჭვები გარდაუვალია, რადგან მათ ეგოიზმი ბადებს. რეალობის იდუმალი არსი შორს არის და განსხვავებულია ეგოისტური გონების წყობისგან. როდესაც ადამიანები თავისი ახირებებიდან და ფანტაზიებიდან გამომდინარე იწყებენ მოქმედებას და დაუფიქრებლად გამოთქვამენ იმას, რაც თავში უჩნდებათ, ჩვენ შეგვიძლია ეს შევაფასოთ მხოლოდ როგორც შეუწყნარებელი უმეცრების მაგალითები.

მოქმედებები და ქცევები

მსოფლიოში ქვეყნები ორ ტიპად იყოფა, ერთნი არიან *კარმა-ბჭუმები*, მეორენი – *ბჭოგა-ბჭუმები*. *კარმა-ბჭუმები* ის ქვეყნებია, სადაც ადამიანთა ქცევებს სულიერი მოტივები ამოძრავებს, *ბჭოგა-ბჭუმები* კი ის ქვეყნებია, სადაც ადამიანები გრძნობების მითითებებს მიჰყვებიან და მაღალ მიზნებს არ ისახავენ. ყოველი ტიპისთვის დამახასიათებელი იდეალები ადამიანებს ოდითგანვე მართავენ. ბჰარატა არის *კარმა-ბჭუმი*, მხარე, სადაც ადამიანებმა მთელი მოღვაწეობის ჭეშმარიტი მიზანი გახსნეს, კერძოდ განდიდება ღმერთისა, რომელიც ბინადრობს როგორც გარეთ, ასევე მათ შიგნით.

კარმა გარდაუვალია. იგი ყოველ აზრშია ჩადებული. *კარმის* ორი სახე არსებობს – მატერიალური და სულიერი (*ლოკიკი*, რომელიც ამ სამყაროსთანაა დაკავშირებული, და *ვაიდიკი*, რომელიც ვედებიდან, ანუ სულიერი წერილებიდან გამომდინარეობს). *კარმა*, რომელიც მხოლოდ ცხოვრების შენარჩუნებაზეა გამიზნული, მატერიალურია. ვედური *კარმა* (*ვაიდიკი*) არის ის, რომელსაც ადამიანი ღვთაებრიობამდე აჰყავს და დამყარებულია ვედებზე ან უფრო გვიანდელ ტექსტებზე, შასტრებსა და სმრიტებზე. *კარმას* მიეკუთვნება მოქმედების სამივე სახე – მენტალური, ემოციური და ფიზიკური. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, განისაზღვრება ცხოვრების წესით, რომელიც ინდივიდუუმმა წარსულ ან ამჟამინდელ დაბადებაში აირჩია. იმ მოქმედებების შედეგებს, რომლებიც წინა ცხოვრებებშია შესრულებული და ახლანდელზე ახდენს გავლენას, ჰქვია *პრარაბდჰა*. *კარმას*, რომლითაც ადამიანი ახლანდელი დაკავებული და რომელიც მომავალზე გარდაუვალად მოახდენს გავლენას, ჰქვია *აგამი*. დაგროვილი *კარმა*, რომელიც ინდივიდუუმის მიერ ცხოვრებიდან ცხოვრებამდე თანდათან ანაზღაურდება, *სანჩიტა* ჰქვია.

კარმის ეს კვალიფიკაცია, შედეგების საფუძველზე, რომლებიც მან ცხოვრებაში შექმნა, შრუტებმა და სმრიტებმა მოგვცა. სიტყვა *კარმა* მოკლე და ხმოვანია. იგი ყველას მიერ

განურჩევლად ყოველ ნაბიჯზე იხმარება. მაგრამ გაგებებს და იდეალებს, რომლებსაც ის ატარებს, კაცობრიობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. *კარმა* უბრალოდ სხეულის მოქმედება არ არის, ეს არის ცნობიერების, სიტყვის და ხელების მუშაობა. ადამიანის გონიერების განვითარების დონეზეა დამოკიდებული, რამდენად სრულად გაიგებს მის ღირებულებას და მნიშვნელობას. *კარმა* ადამიანის მთელ მოღვაწეობას მოიცავს – ამქვეყნიურს, სულიერს, რომელიც წერილების რჩევებთანაა დაკავშირებული. მაგრამ მისი ყველა შტო არსებითად ერთმანეთზეა გადახლართული. ამქვეყნიური *კარმა* დამსახურებას ან ცოდვებისთვის „დასჯას“ იწვევს. *კარმა* წერილების შესწავლის მიხედვით სულიერ მოღვაწეთა თაობების გამოცდილებითაა გაჯერებული. სულიერი *კარმა* გულის გაწმენდისკენაა მიმართული – იმისათვის, რომ ამ სუფთა გულში ღმერთი აისახოს. *კარმა* ღინებაა, რომელიც სულ უფრო და უფრო სწრაფად მიედინება, იგი ცხოვრების ბორბალს აბრუნებს და მის განუწყვეტელ სვლას უზრუნველყოფს.

კარმა ნიშნავს მოძრაობას და იმას, რაც მოძრაობას აღძრავს. ჰაერი სივრცეში მოძრაობს. ჰაერის მოძრაობა სითბოს შექმნას იწვევს. „ხახუნი“, რომელიც მოძრავი ჰაერის ობიექტებთან შეხებითაა გამოწვეული, დაფარულ სითბოს აიძულებს გამოვლინდეს. ცოცხალ არსებებს შეუძლიათ სხეულის ტემპერატურა შეინარჩუნონ მანამდე, სანამ ჰაერს ჩაისუნთქავენ და ამოისუნთქავენ. რაც უფრო ხშირია სუნთქვა, მით უფრო მაღალია სხეულის ტემპერატურა. სითბო ცეცხლისთვისებაა. ცეცხლი წყლის წარმოქმნის წყაროა. მზე, როგორც ვიცით, ღრუბლებს მაღლა ცაში „სწევს“. წყლის ნაწილაკები სხვა ელემენტებში ირევა და ბოლოს და ბოლოს მიწად (ნიადაგად) „მყარდება“. მიწა შობს და კვებავს ბალახებს და ხეებს, რომლებიც ადამიანს კვებავს და ინარჩუნებს, მის ჯანმრთელობას და სიცოცხლისუნარიანობას იცავს. მცენარეები იძლევა მარცვლეულს – ადამიანის ძირითად საკვებს, მაგრამ ამავე მარცვლეულში იმყოფება განსაკუთრებული უნარი – ცოცხალი თესლი, რომელიც გამრავლების შესაძლებლობას იძლევა. ასე მოქმედებს და

თავს იგრძელებს ქმნილების *კარმა*. ეს პროცესები სმრიტებშია აღწერილი.

ორი სიტყვით შეიძლება განვსაზღვროთ *კარმა* როგორც მოძრაობა, როგორც პროგრესი, როგორც ევოლუცია და როგორც მემკვიდრეობის ეფექტი შთამომავლობაში. სრულიად გონივრული და ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ამ ვრცელ დინებას, ამ დაუსრულებელ მოძრაობას რაღაც მყარი, უძრავი უნდა ჰქონდეს როგორც საფუძველი. ასეც არის, და ნათქვამია, რომ ეს არსი *ატმანი*, ანუ *პარაბრაჰმანია*. ამ საფუძვლის ყველაზე პირველი რხევადი მოძრაობა მოხდა მაშინ, როცა *პარაბრაჰმანი* გახდა *პარამეშვარა* (უმაღლესი ღვთაებრივი პიროვნება, უზენაესი) და სამი მისწრაფება გამოაჩინა: *ჯნიანას* (სიბრძნის), *იჩის* (ნების გამოვლინების) და *კრიიას* (შემოქმედების ნების) მიმართ. ეს პირველი ვიბრაცია ცნობილია როგორც თავდაპირველი *კარმა*, ყოფიერების *კარმა*, რომელიც ჩამოყალიბებდა, ანუ ქმნილების *კარმად* (*შრიშტად*) გარდაიქმნა.

სწორედ *კარმის* მნიშვნელობამ გამოიწვია ღვთაებრივის სამერთიანობა მის ასპექტებში – შექმნა (ბრაჰმა), დაცვა და შენახვა (ვიშნუ), განადგურება და გაზავება (შივა). მხოლოდ *კარმის* კანონი და სხვა არაფერი მართავს ვარსკვლავების, პლანეტების, გალაქტიკების და სხვა ციური სხეულების მოძრაობას სამყაროს სივრცეში. იგივე კანონი მართავს და ამოძრავებს ყოველივე იმას, რაც ყველა სამყაროში ხდება. მთელი თავისი არსით ეს კანონი უდავოა. არავის ძალუძს შეაღწიოს იმ დროში და სივრცეში, სადაც შეიძლება, რომ *კარმა* არ იყოს. იმის წინასწარმეტყველება, რა მოვლენა, რატომ, როდის და სად მოხდება, ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვრებს მიღმაა. *კარმის* კანონი მარადისობიდან მარადისობაში გადადის.

ისევე, როგორც შესრულებული ან მიმდინარე სამუშაო *კარმას* განეკუთვნება, შეუსრულებელი სამუშაოც და მოქმედებაში მონაწილეობის არმიღებაც *კარმაა*! როდესაც ვხედავთ ადამიანს, რომელიც წყნარად ზის და არაფერს აკეთებს, ჩვენ ვთვლით, რომ იგი არავითარ მოქმედებაში არ არის ჩაბმული. ნუთუ შეიძლება ითქვას, რომ ის რაღაც *კარმას* ასრულებს?

სინამდვილეში რას ნიშნავს სიტყვები „არ მუშაობს“, „არავითარი მოქმედებით არ არის დაკავებული“? ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი დაკავებულია იმით, რომ ყოველგვარი საქმისა და მოქმედებისგან იცავს თავს. ასე, რომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგჯერ ადამიანი დაკავებულია რაიმე სამუშაოს შესრულებით, ზოგჯერ კი დაკავებულია იმით, რომ თავისი ყურადღების სფეროდან სამუშაოს იცილებს. ანუ ადამიანები დაკავებულნი არიან როგორც *კარმით*, ასევე *აკარმით*. თუ ადამიანი თავისი *კარმით* არ ამაყოფს, მასთან მიბმული არ არის, ასრულებს მას როგორც უმაღლეს ვალდებულებას, როგორც უზენაესის თაყვანისცემის წესს, თუ მის შედეგებს არ ელის, მაშინ, მოქმედებს რა, იგი ერთდროულად არ მოქმედებს კიდევ (*აკარმა კარმაში*, ანუ *კარმა*, რომელიც შედეგებს არ იძლევა). ეს *სადჰანას* უმაღლესი ტიპია.

პირველი აქტი, რომლითაც ცოცხალი არსების სიცოცხლე იწყება, არის შესუნთქვა და სასიცოცხლო დენების (*პრანების*) ვიბრაცია. როგორც კი ამის შესახებ დავფიქრდებით, ჩვენ ვიგებთ, რაოდენ გასაოცარია ეს. დაბადების მომენტში არცერთი ბავშვი გადაწყვეტილებას არ იღებს, რომ მან უნდა ჰყერი შეისუნთქოს და ამოისუნთქოს. ეს ხდება უნებლიედ, ყოველგვარი სურვილის გარეშე. არა მარტო ადამიანი, ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი ამ დიდი სასწაულის მოწმეა. შეიძლება იკითხოთ: როგორ ხდება ადამიანის თავს ის, რაზედაც არც კი ფიქრობს და რაზედაც მისი ნება არ არის? ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხი იმის აღიარებაა, რომ ეს საიდუმლოებები ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია. თუ ვეცდებით კიდევ ვუპასუხოთ და ვიტყვი, რომ მიზეზი ბუნებაა, მაინც რჩება კითხვა: კაცმა რომ თქვას, რა არის ეს ბუნებრივი, უნებლიე პროცესია. ჩვეულებრივად ასე ვამბობთ. მაგრამ ეს იგივეა, ოღონდ სხვა სიტყვებით გამოხატული, ეს არაფერს ხსნის. უფრო მეტიც, ჩვენ გვაქვს უფლება ვამტკიცოთ, რომ უძლურნი ვართ გავიგოთ სახელდობრ ის, რაც უფრო მეტად არსებითია! ჭეშმარიტად გასაოცარია, რომ სუნთქვის პროცესი გამოცანაა იმისთვისაც კი, ვინც სუნთქავს.

თუ ღრმად დავფიქრდებით იმ ფაქტზე, რომ *იოგები* თავისი ნების ვარჯიშის დროს (ანუ ამ ნების ღვთაებრივის ნებასთან მიახლოების დროს) გულისცემას აჩერებენ და სუნთქვას წყვეტენ, მაშინ გავიგებთ, რომ *კარმას* ღვთაებრივი ნება იწვევს. ჩვენ დასკვნას ვაკეთებთ, რომ *კარმა* არის რაღაც ცასა და დედამიწას შორის დაკიდული. სანამ მოქმედნი არ გავხდებით, მოქმედებები არ ჩნდება! „რის შესახებაც ვიცით, ის გვსურს; რაც გვსურს, იმას ვაკეთებთ“ (*ნა ჯაატი იხატი ჯეტატე*) – ასეთია სამეცნიერო-ფილოსოფიური სკოლის *ნიაიას* აქსიომა. ვედანტა ამასვე ამბობს: „ჩვენ ის გვსურს, რაზეც ვფიქრობთ“ (*იად დჰიაიატი ტად იხატი*); „ჩვენ იმას ვაკეთებთ, რაზეც ჩვენი სურვილია მიმართული“ (*იად იხატი ტად კაროტი*); „რის გულისთვისაც ვასრულებთ საქმეებს, იმად ვხდებით“ (*იად კაროტი ტად ბჰავატი*).

არსების ინდივიდუალური ბუნება სურვილებით ყალიბდება. იგი თავის თავს იმედებით, მისწრაფებებით, ძალისხმევით და მიღწევებით აგებს. მისი მომავალი ცხოვრებაც კი მისითვე იგება – თავისივე გადაწყვეტილებებით და ქცევებით. ძალა, რომელიც ადამიანის გონებას ამოძრავებს და მის ნებას ამა თუ იმ კალაპოტში მიმართავს, ცნობილია როგორც *პრაკრიტი*, ბუნება. როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი გაარკვევს, რომ მხოლოდ მისი საკუთარი გონების დონე განსაზღვრავს მის მიდრეკილებებსა და სურვილებს, მაშინ მისთვის იოლი ხდება იმ ხერხებს მიმართოს, რომლებიც *პრაკრიტის* კლანჭებიდან გაათავისუფლებს მას.

სიტყვა *კარმის* ყველაზე უფრო გავრცელებული მნიშვნელობაა მუშაობა. მუშაობა შეიძლება დავარქვათ ყველა ტიპის მოქმედებებს და ურთიერთმოქმედებებს. თავისთავად მუშაობა არ შეიძლება იყოს კეთილშობილი ან „შავი“. ყველა მუშაობა წმინდაა, თუკი იგი ცხოვრების დასაცავად და ასამაღლებლად სრულდება. სწორედ ამ მიზეზის გამო ხდება *კარმის* განდიდება როგორც უაღრესად წმინდის და სასურველის, აგრეთვე როგორც კეთილისმყოფელი, ასევე დამღუპველი შედეგების მომტანისა. ინდუიზმი კარგ ან ცუდ ბედს, სიხარულს და უბედურებას, სიამოვნებას და ტკივილს *კარმის* გარდაუვალ შედეგებს მიაწერს. სამწუხაროდ დღეს ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ ზოგიერთები სიძულვილით

გმობენ სხვებს, რომლებსაც უნარი არა აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ უიმედობას, ავადმყოფობას და ტკივილს; ისინი ამ ადამიანებს არაფრის მაქნის უსაქმურებს უწოდებენ („შენი ბრალია“). მაგრამ ეს დასკვნა უადრესად ცინიკური და უსაფუძვლოა, იგი *კარმის* ღრმა ფილოსოფიის მთავარ პრინციპებს იგნორირებას უკეთებს. ისინი *კარმის* გამოვლინებას მხოლოდ ამქვეყნიურ, მატერიალურ პლანზე ხედავენ. ასეთი შეხედულებების წახალისება და დანერგვა იმისათვის ხდება, რომ ამან კეთილმოწყობილ ადამიანთა ცალკეული შრეების შემდგომ აყვავებას შეუწყოს ხელი.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. ავიღოთ „ჩვეულებრივი“ შრომით დაკავებული ადამიანები. ქალაქგარეთ მცხოვრები, რომელიც ყოველდღე ქალაქში მიემგზავრება, რომ კანტორაში იმსახუროს, ფერმერი, რომელიც თავისი ხელების შრომით ცხოვრობს, მეზარეული, მექოთნე, დურგალი, მრეცხავი, პარიკმახერი – ყველა ისინი სერიოზულად ეკიდებიან მათ წილად ხვედრილ მოდვაწეობას და თავის ვალად თვლიან. მათ იციან, რომ „ნორმალური“ ცხოვრების შესანარჩუნებლად თავისი ვალდებულებები კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ. ამიტომ ყოველი მათგანი მთელი შესაძლებლობით იყენებს უნარს, ჩვევებს და ენთუზიაზმს. ასეთი ადამიანები არ საჭიროებენ იმას, რომ მათ ვიღაც ეჩიხინებოდეს, აფრთხილებდეს, უფრო „ნაყოფიერი“ მოქმედებისკენ უბიძგებდეს. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიზამთ, თუ ადამიანს რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია ან უარს ამბობს თავისი მოვალეობა შეასრულოს.

აქ შეიძლება არჯუნას მაგალითი მოვიყვანოთ. ვალდებულებების თაობაზე მას ეჭვები გაუჩნდა, და განდგომის გრძნობით აღვსილმა ბრძოლის დაწყების წინ იარაღი დაყარა. მაშინ შრი კრიშნამ თქვა: „ყურადღება მხოლოდ თვით მოქმედებაზე უნდა მოკრიბო და მთელი შესაძლებლობით შეასრულო იგი. მოქმედება და მხოლოდ მოქმედება – აი შენზე დაკისრებული ვალდებულება“. ეს არის უზენაესის ფასდაუდებელი და უკვდავი რჩევა. მას მრავალი ციტირებს, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს რჩევა ისეთ სიტუაციაში იქნა მიცემული, როდესაც ლაპარაკი იყო *დჰარმის*, მართლქმედების აღდგენაზე. ეს რჩევა იმ მოქმედებას

ეხება, რომელიც მოწონებულია საღმრთო წერილებისა და შასტრების მიერ, და არა ამქვეყნიური გრძნობებისა და ინსტიქტური აღტყინებების მიერ – ისეთების, როგორცაა საკვების, თავშესაფრის და პარტნიორის ძებნა გამრავლებისთვის.

დჰარმარაჯა და სხვა პანდავები მიწიერი საქმეებით იყვნენ გატაცებულნი, ისინი ამქვეყნიური სიტუაციების განმუხტვის საქმეში გამოცდილ ოსტატებს წარმოადგენდნენ. მთელი ცხოვრების მანძილზე ისინი სრული მცდელობით იცავდნენ იმ ვალდებულებებსა და წესებს, რომლებიც საზოგადოების ოთხი *ვარნისთვის* და ოთხი *აშრამისთვის* (ცხოვრების სტადიისთვის) იყო დანაწესი. არ საჭიროებდნენ რჩევა-დარიგებას, იძულებას, მათთვის საჭირო არ იყო ბრძოლაში ჩაბმასზე ბრძანების მიცემა. მხოლოდ არჯუნას შესთავაზა კრიშნამ მშვილდ-ისარი აელო ხელში, და ამისათვის მრავალი დასაბუთება წარუდგინა. „შენ ქმატრიების კასტაში დაიბადე. ამ კასტას განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, მას დაკისრებული აქვს საზოგადოების წინაშე თავისი ვალდებულების შესრულება – სამართლიანობისთვის ბრძოლა. ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა შენი ვალია. ნუ უარყოფ ამ ვალს და პასუხისმგებლობას ნუ გაურბიხარ. ადამიანი დამოკიდებულია იმ მიდრეკილებებზე, რომლებიც მას ბუნებამ მისცა. სხვაზეც იფიქრე. ადამიანებს წილად ხვდათ ესა თუ ის მოღვაწეობა გასწიონ, მათ ერთი წამითაც არ შეუძლიათ უმოქმედოდ სიცოცხლე. ამიტომ კარგი იქნება, თუ მოქმედებას პირდაპირ ახლავე დაიწყებ, იმ მიდრეკილებების და ცოდნის შესაბამისად, რომლებიც წინაპრებისგან მემკვიდრეობით შეიძინე“. ეს იყო კრიშნას გაკვეთილი – *დჰარმის* გაკვეთილი, რომელიც კასტის ან იმ კლასის დანიშნულებაზე მიუთითებს, რომლებსაც ადამიანი განეკუთვნება.

მუშაობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მოქმედებებით, რომლებიც მიმართულია საკვების და ა.შ. შოვნაზე. თვითმფრინავები, გემები, საავადმყოფოები, ქარხნები – ეს ყველაფერიც მუშაობის შედეგია. ამ მუშაობასაც შეიძლება ამქვეყნიური, მატერიალური ეწოდოს. მაგრამ ასეთი მუშაობა ჩვენი ცხოვრებისთვისაა მნიშვნელოვანი, ბედნიერი ცხოვრება კი დღეს ნიადაგის მომზადებაა სულიერი წინსვლისთვის

მომავალში. რაც უფრო ცუდად და არაკეთილსინდისიერად მუშაობს ადამიანი ამ სამყაროში, მით უფრო ნაკლები წარმატება ელის როგორც თვით მას, ასევე საზოგადოებას და ერს მთლიანად. ამ მხრივ არავის ექნება საწინააღმდეგო აზრი. მაგრამ სამწუხაროდ, სულიერი წინსვლისთვის ადამიანი არასოდეს შრომობს ისე გულმოდგინედ და თავგამოდებით, როგორც ამას ამქვეყნიური კეთილდღეობისა და დიდებისთვის აკეთებს. ეს ძალიან სამწუხაროა.

თავი 19 ლოცვა

ახლა ამქვეყნიურ და სულიერ კარმას შორის კავშირს უნდა დავაკვირდეთ. ჩვენ მინდორს ღრმად ვხნავთ, რომ იგი თესვისთვის მოვამზადოთ. კარგ თესვს ვარჩევთ და რიგებად ვთესავთ. სათუთად ვზრუნავთ ნაზარდზე: ვმარგლავთ, რომ სარეველა ბალახი ზრდაში ხელს არ უშლიდეს, რეგულარულად ვრწყავთ, ვლობავთ და მოსავალს ვიცავთ, გულდასმით ვუთვალთვალებთ, რომ მავნებლები არ შეესიონ. დავუშვათ, რომ ეს მნიშვნელოვანი მოქმედებები კეთილსინდისიერად და დროულად შევასრულეთ, ანუ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული. მაგრამ მიუხედავად მთელი ამ ძალისხმევისა, ასი პროცენტით არასოდეს ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ შრომის ნაყოფი ჩვენს მაგიდაზე მოხვდება და საწყობებს შეავსებს. სარწყავი არხი ნებისმიერ დროს შეიძლება დაშრეს, კოკისპირულ წვიმას შეუძლია ნერგები დატბოროს ან წალეკოს. შეიძლება იმდენად ბევრი მავნებელი აღმოჩნდეს, რომ მათ ვერ გავუმკლავდეთ და ნათესები მოსავლის აღებამდე ერთი კვირით ადრე მოისპოს. მაგრამ თუ ეს უბედურებები დაატყდა კიდევ თავს, ადამიანი სულით არ უნდა დაეცეს და არ წუხდეს, რომ „ყველაფერი დაკარგა“.

ახლა ადამიანებმა, ვერ „იღებენ“ რა დროზე მინდვრებისთვის წვიმას, ისწავლეს ცაში ფრენა და ღრუბლების ქიმიკატებით მორწყვა, რომ ხელოვნური წვიმა გამოიწვიონ. მაგრამ არსებობს კი იმის გარანტია, რომ ყალბი

წვიმა ფერმერის გამომშრალ მიწაზე წამოვა? ხელოვნური ხერხები ღმერთების განწყობაზე ვერ მოახდენს გავლენას. ისინი თავისი ნების შესაბამისად ეხმარებიან ან დაბრკოლებებს უქმნიან. როდესაც სხვა გამოსავალი არ არის, ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილებას იღებს ღმერთს წვიმის თაობაზე შეევედროს. აქ იგი კარგად ფიქრდება: როგორ უნდა უღერდეს ლოცვა, რა სიტყვებით უნდა გამოიხატოს? უბედურება გარდაუვალად ახლოვდება, ერთადერთი მხსნელი ლოცვაა. იგი ამბობს: „ღმერთო! ჩემს მინდორზე მოსავალი სწრაფად ხმება, წყურვილით იტანჯება და წვიმას ითხოვს. არხში წვეთი წყალი არ არის, ადამიანებს და ცხოველებს დასალევი წყალი არა აქვთ. შეგვიბრალე, ძლიერი წვიმა გამოგვიგზავნე, პირდაპირ ახლავე!“

მაგრამ აქ, ასე ვთქვათ, დაბრკოლება იქმნება. ფერმერის მეზობელმა საოჯახო ზეიმის მოწყობა გადაწყვიტა, ამისათვის ყველაფერი მოამზადა და ეშინია, რომ წვიმას შეუძლია მოწვეულ სტუმრებს უხეხულობა შეუქმნას. ისიც გულმოდგინედ ლოცულობს: „ღმერთო, ზეიმის დასრულებამდე წვიმას ნუ გამოგზავნი“.

ორივე მთხოვნელი – ის, ვინც ღმერთს წვიმას ევედრება და ის, ვინც წვიმის გადადებას ითხოვს – გულწრფელად მორწმუნეა. ასეთ გარემოებაში ღმერთმა რა უნდა გააკეთოს, ვის ლოცვას გამოეხმაუროს? ცნობილია, რომ ღვთაებრიობის განუყოფელი თვისებაა გულწრფელ ლოცვებს გამოეხმაუროს. მაგრამ თუ ურთიერთსაპირისპირო ლოცვა ხვდება ერთმანეთს, როგორ უნდა გამოავლინოს მან თავისი წყალობა? ღმერთი თავისუფალია, მისი ნება კანონია. მაგრამ რაღაცა სახით იგი „შეზღუდულია“ - საკუთარი სიყვარულით და თანაგრძნობით. სახელმწიფოს მმართველს არ ძალუძს ყოველი ქვეშევრდომის სურვილი შეასრულოს. მას არ შეუძლია თავი ყოვლისშემძლედ გამოაცხადოს მათი ყველა საჭიროების დაკმაყოფილებაში. რატომ? იმიტომ, რომ ისიც კი არ შეუძლია, რომ თავისი ყველა სურვილი შეასრულოს. თუ ეცდება ყველაფერი მიიღოს, რასაც კი მოისურვებს, მაშინ ალბათ ქვეშევრდომები აუჯანყდებიან და ტახტიდან ჩამოაგდებენ. ასეთი ხიფათი მას მუდამ ემუქრება. რადგან რა მძლავრიც არ უნდა იყოს მმართველი, კანონთა კრებულს უნდა

ემორჩილებოდეს და იმ შეზღუდვებს იცავდეს, რომლებიც სახელმწიფოზე სამართლიანი ბატონობისთვისაა დაწესებული. ეს კანონები თვით მმართველის მიერ შეიძლება იყოს დამყარებული, მაგრამ მათი გამოქვეყნების მომენტიდან თვითონაც ემორჩილება და ვალდებულია იცავდეს მათ. თუ თვითონვე უკუაგდებს, გადაუხვევს ან დაარღვევს მათ, შედეგად ქვეყანაში ქაოსი დამყარდება. ქვეშევრდომები დაუყოვნებლივ რეაგირებას მოახდენენ კანონებისგან თავისი თავისუფლების დემონსტრირებით. „როგორიცაა მეფე, ისეთივენი არიან ქვეშევრდომებიც“ (იათჰა რაჯა ტათჰა პრაჯა).

აღამიანი, რომელმაც კანონები შექმნა, თვითონ უნდა ემორჩილებოდეს მათ. მას უფლება არა აქვს გამონაკლისი გახდეს. მმართველის მიზანი ქვეშევრდომთა მხოლოდ კეთილდღეობა და ბედნიერება უნდა იყოს. და თვითონ შეუძლია იყოს ბედნიერი და მშვიდობიანი მხოლოდ მაშინ, როცა მისი ქვეშევრდომები აყვავებულნი და ბედნიერნი არიან. მმართველსა და მის ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. ქვეშევრდომთა სამართლიან და საქებარ თხოვნებზე გამოსმაურება სახელმწიფოს მეთაურის უპირველესი ვალია, და სწორედ ამიტომ მმართველი, რომელსაც სურს თავისი ვალდებულებები ქმედითად და სწრაფად ასრულოს, პირადად თვითონ არ არის დაკავებული ქვეყნისა და ხალხის საქმეებით, იგი ამ ამოცანას მინისტრებს და სხვა „მოადგილეებს“ ავალებს.

მსოფლიოს სახელმწიფოთა მმართველები იძულებულნი არიან მკაცრი კანონები დაამყარონ, შემოიღონ შეზღუდვები, წესდებები, წესრიგის კანონები, ვალდებულებები და პირობები დაამყარონ – იმისათვის, რომ ქვეყნის პროგრესი, კეთილდღეობა და აყვავება უზრუნველყონ. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენად უფრო მეტად მომთხოვნი უნდა იყოს უზენაესი, რომელმაც სამყაროზე პასუხისმგებლობა აიღო თავზე. ბუნების ყველა მდგენელი რომ მკაფიოდ და უწყვეტად მუშაობდეს, იგი იძულებულია წუნდაუდებელი წესები დაამყაროს. წარმოიდგინეთ, რა მრავალრიცხოვანი და მასშტაბური უნდა იყოს ისინი! ეს კანონები მართავენ ყველაფერს, რაც მოქმედებს და არ მოქმედებს ბუნებაში.

ყოველი „უწყებისთვის“ განსაკუთრებული შეზღუდვები და წესები უნდა არსებობდეს. ყოველი უწყება შედარებით დამოუკიდებელია უფრო ფართო სტრუქტურის შიგნით. და ყოველ მათგანს გააჩნია თავისი „პრეზიდენტი“ „მინისტრთა კაბინეტთან“ ერთად, რომელთა შორისაც ვალდებულებები და პასუხისმგებლობაა განაწილებული, და რომლებიც სხვა „პრეზიდენტებთან“ თანხმობაში მოქმედებენ.

უბედურებაში ჩავარდნილთა ვედრებები სასწრაფო დახმარებაზე ან სასარგებლო რჩევაზე მხოლოდ შესაბამისი უწყების მიერ მიიღება. ამიტომ თუ უმეცრების ან დაუფიქრებლობის გამო თხოვნა საჭირო პრეზიდენტისკენ არ არის მიმართული, რა უნდა ქნას მან? მხოლოდ ამ თხოვნის გადადება და იმის აღნიშვნა შეუძლია, რომ იგი მისკენ არ არის მიმართული და მისი კომპეტენციის სფეროში არ შედის. ამ მიზეზის გამო ლოცვები კონკრეტული კეთილდღეობის შესახებ იმ უწყებაში უნდა იქნას გაგზავნილი, რომელიც მით არის დაკავებული. ღვთაებას, რომელიც წვიმას მართავს, ვარუნა ჰქვია. ამიტომ ყოველი ლოცვა, რომელიც წვიმას ეხება, მას უნდა გაეგზავნოს, რამდენადაც მხოლოდ მას აქვს უფლებამოსილება ასეთ საქმეებს განაგებდეს. ანალოგიურად, სურია ჯანმრთელობისა და ჩინებულების სფეროს მეთაურია. განაპატი იმ უწყების მეთაურია, რომელიც კეთილ წამოწყებათა დაბრკოლებებს სპობს. ბჰუდევი ქალღმერთია, რომელიც ნაყოფიანობაზეა პასუხისმგებელი. კულტურული და სამკურნალო მცენარეები ჩანდრას (მთვარის) საზრუნავია. ასე რომ ღვთაებრივი გამოვლინებისა და ნების გამომჟღავნების ყოველი სფერო დაქვემდებარებული ღვთაებრივი მმართველის მიერ იმართება, რომელსაც ძალაუფლება აქვს მიცემული ამ სფეროს განაგებდეს და მართავდეს. ამ მმართველებს ღვთაებები, ანუ ნახევარღმერთები ჰქვიათ. ადამიანის ყოველ გრძნობათა ორგანოსაც ღვთაება-მფარველი ჰყავს, რომელიც მართავს, მფარველობს და მის მუშაობას არეგულირებს.

შეიძლება იკითხონ: ღმერთი ერთია. თვითონ მას რატომ არ შეუძლია ჩვენი ლოცვები მოისმინოს და შეასრულოს? მაგრამ ეს შეკითხვა ძირშივე არასწორია, იგი სუსტ რწმენაზე მიუთითებს. ცხადია, ღმერთი ერთია. მაგრამ კოსმოსურ მოწყობილობაში მოღვაწეობის ყოველ სფეროს თავისი

მმართველი და მეთვალყურე უნდა ჰყავდეს. ამით დაქვემდებარებული ღვთაებები (ბუნებრივი ძალები) უნდა იყვნენ დაკავებულნი. თუ წერილს მე მომწერთ, მისამართს კი სხვას დაწერთ, იგი სხვა ადრესატთან მოხვდება. წერილი იმ პირთან არ მოხვდება, თქვენ რომ გინდოდათ. ამიტომ იმ უწყების უფროსს უნდა მიმართოთ, რომელიც თქვენი თხოვნების შესრულებით ან უკუგდებით არის დაკავებული. მაშინ ღვთაება თქვენს პრობლემას მიაქცევს ყურადღებას და გაარკვევს, მისი გადაწყვეტისთვის რა უნდა მოიმოქმედოს.

სანამ ღოცვის ფორმულირებას მოახდენდეთ, აუცილებელია საკუთარი „მანდატი“ შეამოწმოთ. თქვენ უნდა დარწმუნდეთ, პირდაპირ გულიდან მოდის თუ არა აზრები, გადაწყვეტილებები, იმედები. როგორ უნდა ჩატარდეს ეს შემოწმება და საქმის ჭეშმარიტი ვითარება გაირკვეს? ადამიანები ოქროს ნატეხით ქვაზე ხაზს უსვამენ. ამის შემდეგ ამ ნაკაწრს იკვლევენ და მეტალის ხარისხს არკვევენ. თქვენს თავს ჰკითხეთ, რამდენად გულწრფელად ასრულებთ უზენაესის მიერ დადგენილ მიწერილობებს. სწორედ ეს იქნება ტესტი, რომელიც თქვენი რწმენის ხარისხს განსაზღვრავს. თქვენმა დარწმუნებულობებმა და მოქმედებებმა რწმენა უნდა გამოსახოს. საფუძველში ისინი წმინდა და სიყვარულით და თანაგრძნობით იმდენად აღსავსე უნდა იყოს, რომ ღმერთის წყალობის მოხიდვა შეეძლოს.

ვედების განყოფილებაში *კარმის* შესახებ ისეთი მოქმედება, რომელსაც წმინდა დარწმუნებულობა და მტკიცე რწმენა აღძრავს, ადამიანის მიზნად ითვლება. ეს ცენტრალური ფესვია, რომელიც ადამიანური პროგრესის ხეს კვებავს, ბედნიერი ცხოვრების თვით სუნთქვაა. ეს ერთადერთი საკვებია, რომელიც შიმშილს სრულად აცხრობს, ცოცხალი წყალია, რომელიც წყურვილს კლავს. მოდვაწეობა, ანუ *კარმა*, ისევე განუყოფლადაა ადამიანთან დაკავშირებული, როგორც მისი მოთხოვნილება თავისი ჭეშმარიტი არსი აღმოაჩინოს. ამიტომ ადამიანის მთავარი და დაუსრულებელი ვალია ისე იცხოვროს და იმოქმედოს, როგორც ვედებშია მითითებული, როგორც ვედების მიერაა მოწონებული.

მოქმედების სამი სახე აღწევს ღმერთამდე და მის კეთილგანწყობას იწვევს:

- 1) მოქმედებები, რომლებიც საკუთარი სურვილით არ არის გამოწვეული;
- 2) უანგარო სიყვარულით გამოწვეული მოქმედებები;
- 3) სუფთა გულიდან გამოსული ღოცვები;

ღმერთი *კარმის* ამ სამ სახეს აძლევს მნიშვნელობას, და ისინი

უშუალოდ მასთან აღწევს. შასტრებში არ არის ასეთი ტიპის მიწერილობები: „სანამ საჭმელს შეჭამდეთ, სათანადოდ მოამზადეთ იგი“ ან „თესვის წინ მიწა დაბარეთ“. ვინ ბრძანა და სად ნახავთ ბრძანებას, რომ ახლად დაბადებულმა ხბომ უმაღლეს ეძებოს ცურში, სადაც იგი უკვე მზადაა მისი შიმშილი დააცხროს? როდესაც არსება იბადება, მასთან ერთად საკვებიც ჩნდება მისთვის.

სინამდვილეში საკვები უფრო ადრე ჩნდება, შემდეგ კი არსება იბადება, რომლისთვისაც საკვები უკვე მზად არის. საკვების ხარისხი და ინდივიდუუმის ცხოვრების პირობები დამოკიდებულია იმ დამსახურებებსა და ცოდვებზე, რომლებიც წინა ცხოვრებებშია დაგროვილი, იმაზე, თუ რა სახით იძენდა იგი ამ საკვებს და რა ცხოვრებას ეწეოდა წინა დაბადებაში. იგი თავის გონებას წინააღმდეგობათა გადასალახავად იყენებს და უნარს ავითარებს, რომ უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაში წარმატებას მიაღწიოს. მაგრამ მისი პროგრესის გზაზე ნამდვილად ღირებული ორიენტირები მისი გაგებისა და გონებრივი შესაძლებლობების ზღვრებს მიღმაა. და მაინც, მისი საქციელისა და ცხოვრების სახის წრფე, შეხედულებათა და მსოფლმხედველობის ხასიათი მისთვის ვედებშია გაწერილი და შასტრებშია დეტალიზებული. **ვედებში და შასტრებში რეკომენდებული კარმა ადამიანისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ჩვეულებრივი მოქმედებები ყოველდღიური ცხოვრების დონეზე.** გამგებიანმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ საღმრთო წერილებში შემოთავაზებული *კარმა* ადამიანის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება ამქვეყნად და სიმშვიდესა და ჰარმონიასთან მიიყვანს იმ ქვეყანაში.

კეთილისმყოფელი მოღვაწეობის ხელოვნებაში მთავარი ადგილი უკავია ამოცანას „მსახურება კაცობრიობას“. ცხადია, თვითონ ინდივიდუუმიც, რომელმაც ამ ამოცანას მოკიდა

ხელი, იმ საზოგადოების ნაწილია, რომელსაც მსახურებს. იგი გრანდიოზული მოძრაობის მონაწილეა. თუ მსახურების დროს ამას გეგულობს და აცნობიერებს, ეს უკვე უძლიერესი სტიმულია.

საყოველთაოდ გაგრცვლებული გახდა დღეს დევიზები: მსახურება კაცობრიობას ეს არის მსახურება ღმერთს (*მანავა სევა მადჰავა სევა*); მსახურება სამყაროს ეს არის მსახურება სამყაროს მბრძანებელს (*ლოკა სევა ლოკეშა სევა*); ხალხის მსახურება ეს არის ხალხის მბრძანებლის მსახურება (*ჯანა სევა ჯანარდჰანა სევა*); განსხეულებულის მსახურება ღვთაებრივის მსახურებაა (*ჯივა სევა დევა სევა*). ეს დევიზები იმ აზრს ახმოვანებს, რომ მსახურება, ადამიანის დახმარება ღმერთის თაყვანისცემაა. ეს აზრი უდავოდ სწორი და ძალიან ღირებულია. მოწოდება „მსახურება კაცობრიობას“ ყველას ესმის, ყველა იწონებს მას. მაგრამ მრავალნი არ ფიქრდებიან მსახურების წესებზე. არ განიხილება და არ ზუსტდება, როგორ და სად უნდა ტარდებოდეს ეს მსახურება. ყოველი ადამიანი თავის პირად მიდრეკილებებსა და სწრაფვებს მიჰყვება. ყველაზე უფრო მძლავრი სტიმული, რომელიც მსახურებით ინიღბება, საკუთარი ავტორიტეტის ამადლებაა. ასეთ „მსახურებას“ არც მსოფლიოს შემდგომი აყავება მოაქვს, და არც სულიერი წინსვლა. იგი უფრო მოშლას იწვევს, ვიდრე შექმნას. ერთის დახმარება, მეორესთან თანამშრომლობა, ქმედითი თანაგრძნობა იმის მიმართ, ვინც წარუმატებლობა განიცადა, ვინც ავადაა, ვინც სასოწარკვეთამ მოიცვა – ეს ყველაფერი არა მარტო ინდივიდუუმის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, არამედ მთელი მსოფლიოს ჰარმონიასა და ბედნიერებას უწყობდეს ხელს.

როგორ უნდა დავნერგოთ ცხოვრებაში მსახურების მოთხოვნილება, რა კალაპოტში მივმართოთ ეს მოთხოვნილება – ეს ყველაფერი ჩვენი წინაპრების მიერ იყო დამუშავებული და საუკუნეების განმავლობაში საქმეში ხორციელდებოდა. ეს წინაპრები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თავისთავად *დჰარმის* (მართლქმედებისა და სამართლიანობის) დაცვას მთელი კაცობრიობისთვის სარგებლობა მოაქვს და შეიძლება განხილულ იქნას როგორც მსახურება. სპილოს ფეხის უზარმაზარ კვალში მრავალი ცხოველის კვალი შეიძლება

მოთავსდეს და წაიშალოს კიდევ. ასევე *დჰარმის* „ბეჭედიც“ იტევს საზოგადოების და ადამიანთა მოდგმის მსახურებას. ასეთი იყო ძველი ხალხის რწმენა.

დჰარმა უმაღლესი იდეალების შთამაგონებელია. ჩვენი წინაპრები ბავშვობიდანვე იძენდნენ მათ. ამიტომ *დჰარმის* დაცვის საქმეში უბადლონი იყვნენ და ქებას იმსახურებდნენ, რასაც უმაღლესი სიკეთე მოჰქონდა. იმ ძველ დროში ეჭვს არ იწვევდა ის, რომ ბედნიერი ცხოვრებისთვის საჭირო იყო რელიგიური დღესასწაულების დროს მრავალი მშვიდობის კვება, უსახლკაროებისთვის სახლების აშენება, ტაძრების აგება, ჭვების ამოთხრა და ხელოვნური წყალსაცავების შექმნა. განსაკუთრებით სცემდნენ პატივს ღვთისმოსავ ადამიანებს, რომლებიც ამ საქმეებისკენ სხვებსაც მოუწოდებდნენ, მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდნენ. მათ ეძებდნენ, აგროვებდნენ და მათთვის სპეციალურ სოფლებსაც კი აშენებდნენ ნაყოფიერი მიწებით. მთვარის სუფთა დამამშვიდებელი სინათლე, რომელსაც ამ მასწავლებლებისა და უხუცესების დიდება ასხივებს, დღესაც გვეფინება და სიყვარულის, გულმოწყალებისა და სიბრძნის ჩაუქრობელ სახეებს ავლენს კაცობრიობის მსახურებაში.

თავი 20

მთავარი მიზანი

ყოველი ადამიანისათვის უპირველესი ნაბიჯი დედამიწაზე მშვიდობისა და წესრიგის განმტკიცებისათვის *დჰარმის*, ანუ ქცევის იმ ნორმების დაცვაა, რომელსაც მისი რელიგია უწესებს. მყარად იცავდე შენს რწმენას და მის ძირითად პრინციპებს – საუკეთესო დახმარებაა საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. ამ შემთხვევაში *დჰარმა* ნიშნავს მოქმედებას საკუთარი კულტურის ტრადიციებთან შეთანხმებით. ნებისმიერი ქვეყნის *დჰარმაში*, მის ყოველ ასპექტში ჩადებულია მშვიდობის იდეალი და ყველა ადამიანის აყვავება.

„ახლა – *კარმის* გამოკვლევა“ (*ატატო კატმა ჯიჯნიასა* – ბრაჰმა სუტრა). ასეთია პირველი ნაბიჯი *კარმაში* გონების ჩაფლობის დროს, რომელსაც ჩვენი საღმრთო წერილების

უამრავი ტომია მიძღვნილი. მაგალითად, რაიმეს სახუქრად მიცემა ან ქველმოქმედების კეთება *კარმის* ძალიან საქები სახეა. მაგრამ ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი, რომ მას ეგოიზმი არ წამლავდეს და არ აფუჭებდეს. შასტრებში ნათქვამია, რომ გულუხვი ქველმოქმედება ამ ცხოვრებაში ბედნიერებას უზრუნველყოფს შემდეგში; როდესაც ამ უპირატესობას აცნობიერებს, ადამიანი შესაძლებლობას იღებს კარგი *კარმა* დააგროვოს. მართალია, ბევრს არ აქვს ეს „სამიზნე მომავალზე“, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ უმრავლეს საქველმოქმედო აქტებს ეგოისტური მოტივები ამოძრავებს. ეს ფაქტი სრულიად ცხადია. როდესაც სხვებს ეხმარებიან, ადამიანები ამით ამაყოფენ. მოლოდინში არიან, რომ გულკეთილობისთვის და არაჩვეულებრივი გულუხვობისთვის შეაქებენ. ასეთი დამოკიდებულება მათს უმეცრებაზე, *აჯნიანაზე* ლაპარაკობს. იგი იბადება *მაიადან* – საქმეთა ჭეშმარიტი მდგომარეობის არცოდნიდან. ვედებსა და შასტრებში *რიშები* დაწვრილებით წერდნენ ყველა „შეიძლება“ და „არ შეიძლება“ და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ არაძალადობაზე, თანაგრძნობაზე, მსოფლიოს მსახურებაზე, ქველმოქმედებაზე და ა.შ., როგორც ზნეობრიობებზე, რომელთა განვითარებაც საკუთარ თავში აუცილებელია. წმინდა ვიდიარანია მათ ინდური სიბრძნის თვით გულს უწოდებდა.

სიბრძნე ძვირფასი ნექტარია, რომელიც ცოდნის ყველა წყაროდან და მისი შეძენის ხელოვნების ყველა სახეობიდან გროვდება. ეს არის რბილი, ნოყიერი კარაქი, რომელიც ყველა შასტრადან იდღვებება და გროვდება. სიბრძნე არ შეიძლება განისაზღვროს უბრალოდ როგორც ერთის მეორისგან განსხვავების უნარი, რომ განაცხადო – ეს ბრტყელია, ის კი მრგვალია, ეს ბორცვია, ეს სახლია, ეს კი ეკალია. ასე თვლიან ბევრნი, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ცოდნაა, *ჯნიანაა*. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ის, რასაც შეიძლება დავარქვათ „კარგი ცოდნა“. ეს არის *სუჯნიანა* – უნარი გავარჩიოთ სწორი არასწორისაგან, კარგი ცუდისაგან, უნარი განვსაზღვროთ: „ეს მოქმედებები უკეთესს გაგვხდის თუ არა მე და სხვებს“. მაგრამ *ჯნიანაც* და *სუჯნიანაც* მხოლოდ ინტელექტთანაა დაკავშირებული. არის უფრო მაღალი სტადია,

ვიჯნიანა, და ვინც მას მიაღწია, გული ეცვლება: იგი აღსავსეა ჭეშმარიტებისადმი ერთგულებით, თანაგრძნობით, ძალადობისა და სისასტიკის უუნარობით. ასეთ ადამიანს შეუძლია შეიცნოს თავისივე თავი, მთელ კოსმოსთან და ამ კოსმოსის შემქმნელთან თავისი ნათესაობა. სწორედ ამ გაგებით ცხოვრობს იგი, ეჭვებისა და მერყეობის გარეშე. აჯნიანა, უმეცრება, გულგატეხილობას და მწუხარებას იწვევს. ვიჯნიანა სიხარულს იძლევა. თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ სახელდობრ ვიჯნიანას განიცდით, შეამოწმეთ თქვენი მდგომარეობის ბუნება – მატერიალური თვისებებისაა იგი თუ სულიერისა – შემდეგი ტესტით: მაძლევს მე იგი დაუნადვლიანებელ ბედნიერებას? – და მაშინ ამა თუ იმ კატეგორიას მიაკუთვნეთ. ვიჯნიანას კრიტიკრიუმია *დჰარმა*. რაც უფრო მეტ *დჰარმას* იყენებს ადამიანი ცხოვრებაში, მით უფრო ღრმად ეფლობა იგი ვიჯნიანაში.

ვიჯნიანადან მომდინარე მოქმედებებს ერისთვის უცილობლად მშვიდობა და აყვავება მოაქვს. *დჰარმის* დაცემა ვიჯნიანას გაქრობაზე მეტყველებს. იუგები, ანუ ეპოქები, ერთმანეთისგან *დჰარმის* ერთგულების ხარისხით ან მისგან მოწყვეტით განსხვავდება.

როდესაც ზნეობრიობა, სამართლიანობა და თანხმობა უხვადაა და დაბრკოლებებს არ ხვდება, ხატოვნად ამბობენ, რომ *დჰარმა* ოთხ ფეხზე თავისუფლად დადის ქვეყანაში. ამის დამახასიათებელი ეპოქა ატარებს სახელწოდებას კრიტა-იუგა, ანუ სატია-იუგა. როცა სამართლიანობა და ჰარმონია ნაკლები ხდება, ადამიანები გრძნობენ, რო *დჰარმა* მოიკოჭლებს – ახლა იგი იძულებულია სამ ფეხზე იაროს. ასეთ ნაწილობრივ არასრულფასოვნობით ტანჯულ ეპოქას ტრეტა-იუგა ჰქვია. როდესაც, კრიტა-იუგასთან შედარებით, რჩება სამართლიანობისა და ჰარმონიის მხოლოდ ნახევარი, *დჰარმა* გაჭირვებით გადაადგილდება ორ ფეხზე. ეს ეპოქა ცნობილია როგორც დვაპარა-იუგა. როდესაც ადამიანები თითქმის წყვეტენ მორალისა და პატივის თაყვანისცემას და ისინი პრაქტიკულად არ არის, *დჰარმა* ერთ ფეხზე დგას და ვერ გადაადგილდება. ეს არის კალი-იუგა. ასე ხატოვნადაა აღწერილი სიტუაცია ჩვენს საღმრთო წერილებში.

ბჰარატელების სიბრძნე *დჰარმით* საზრდოობს. მართალია, ბჰარატული აზრის სკოლა ამტკიცებს, რომ ობიექტების სამყარო არსებითად არარეალურია და რომ ცხოვრებაში და მის პრობლემებში ჩვენი აქტიური მონაწილეობა ილუზორული თავგადასავალია და ჩვენს შინაგან არსზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს, შასტრები – ამ აზრის ფესვები – არ გუთავაზობენ, რომ *დჰარმა* უარყვით! ცხოვრების უმაღლესი და საბოლოო მიზნის შეგნებისათვის *დჰარმა* გარდაუვალია. ადამიანის ცხოვრებისეული ძალისხმევების ოთხი ტრადიციული მიზანი (*პურუშართჰები* – *დჰარმა*, *ართჰა*, *კამა* და *მოკშა* – მართლქმედითი ცხოვრება, კეთილდღეობის მიღწევა, საქებარ სურვილთა აღსრულება და გათავისუფლება), რომლებიც შასტრებშია მითითებული, იმათ ესადაგება, ვინც ცხოვრობს დარწმუნებულობით: ობიექტური სამყარო რეალურია.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მიზნებს შორის *დჰარმა* მთავარია და პირველ ადგილას დგას. სტადია, რომელსაც პირველი სამის დახმარებით უნდა მივაღწიოთ, არის *მოკშა*, გათავისუფლება, იგი ბოლოში დგას. მაგრამ საბოლოო გამარჯვება მხოლოდ იმისთვისაა შესაძლებელი, ვინც მიწიერ კეთილდღეობას (*ართჰას*) პატიოსანი გზით აგროვებს და მხოლოდ მართლქმედით სურვილებს (*კამას*) ისრულებს. მხოლოდ ამ გზას მიჰყავს ადამიანი გათავისუფლებისაკენ. იგი უმაღლეს ნეტარებას იძლევა. მაგრამ რამდენადაც *ჯივა*, ანუ ინდივიდუალიზებული, სხეულით შეზღუდული სული, სურვილების ბორკილებითაა (*კამათი*) შებოჭილი, ამიტომ ოთხი მიზნიდან ორი – *დჰარმა* და *მოკშა* – ადამიანის თვალსაწიერის გარეთ რჩება და არავითარ ინტერესს არ იწვევს. ასეთი ადამიანი სიამოვნებით დაცურავს და ანცობს გრძნობითი სიამოვნებების ტალღებში. და არაფერი გასაოცარი არ არის იმაში, რომ ასეთი ადამიანები უმრავლესობას შეადგენენ.

საკვების ძებნა, შიშის გრძნობა, რომელიც აიძულებს ნებისმიერ ხიფათს გაექცეს, მცონარობისა და ძილისკენ მისწრაფება – ამ ყველაფრის მიმართ ადამიანებსაც და ცხოველებსაც ძლიერი მიდრეკილება აქვთ და ამ თვისებებს ისინი ერთნაირად ავლენენ. მაგრამ გათავისუფლებისკენ

მიმავალი გზის ძიებას და *ღჰარმის* დაცვას ადამიანი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე აჰყავს, ვიდრე ცხოველისაა. ასეთი მისწრაფების გარეშე ადამიანებს არსებითად უფლება არა აქვთ თავის თავს ადამიანი უწოდონ.

თვითონ ინდოელებიც, და სხვა ხალხებიც, აღიარებენ, რომ ინდოეთი მყარად დგას *ვიჯნიანას*, უმაღლესი სიბრძნის იდეალზე. ინდოელებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ ღმერთი ყველა მხარეში და ყველა ქვეყანაში იმყოფება. ინდოეთის ადამიანები მუდმივ ძალისხმევას იჩენენ იმისთვის, რომ განსაზღვრონ, რა არის მართლქმედითი და რა არა. დიდად ფასობს სამართლიანობა და ზნეობრიობა. თანაგრძნობა ცოცხალი არსებების მიმართ, არაძალადობა მათი ქცევის მთავარ ორიენტირად რჩება. ადამიანები ცდილობენ სიმართლე სიცრუისაგან განასხვავონ. ტაძრები დღემდე ყვავის და სულიერი ვიბრაციებით ივსება. სხვა ქვეყნებში ბევრია ადამიანის ხელით შექმნილი ეკლესიები, ტაძრები და მეჩეთები, მაგრამ ისინი არც ისეთი ძველებია და არც ისე დიდი ხანი და არც ისე ღრმად არის ღვთაებრიობით დამუხტული.

ყველა რელიგია საფუძველში ერთიანია, ასეთია ბჰარატის დევიზი. რწმენის სიმბოლოები და სხვადასხვა განშტოებათა რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ყველა ერთი და იგივე გზავნილს ატარებს. ეს აღმოჩენა ინდოეთმა გააკეთა და ამის შესახებ მსოფლიოს განუცხადა. ლოცვის დროს ღმერთს ვიღაც ქვაში ხედავს, მეორე – მეტალის ნაჭერში, მესამე – ხის ფიგურაში. მაგრამ ყველასთვის მთავარია თვით ლოცვა და მის კეთილისმყოფელ მოქმედებაში რწმენა. ლოცვისას ერთნი სახეს აღმოსავლეთისკენ მიაპყრობენ, მეორენი წმინდა მხარედ დასავლეთს თვლიან. მაგრამ ლოცვა ყველასთვის ერთი და იმავეს ეხება – ცხოვრების საჭირბოროტო საჭიროებებსა და უკუღმართობებს. ამ დასკვნამდე მივიდნენ ბჰარატის ბრძენები და მოაზროვნეები. ყოველ სარწმუნოებრივ მოძღვრებას თავისი კანონები და პოსტულატები აქვს. მაგრამ ბჰარატელების ზოგიერთ თვისებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. მაგალითად, ღმერთი იმ ზომამდე ახლობლად, „თავისად“ შეიძლება აღიქმებოდეს, რომ მორწმუნე სულ უბრალოდ მიმართავს მას „შენობით“, შინაურულად, და შეიძლება ასე ეკითხებოდეს: „შენ რა, ამის

გაკეთება არ შეგიძლია?! განა არ შეგიძლია დამიცვა მე? ყურთ ხომ არ დაგაკლდა?“ ურთიერთობის ეს ხერხი ყველაზე უფრო დამახასიათებელია ინდოელებისთვის.

ადამიანი გრძნობებისა და აზრების განხორციელება ხდება, როგორც არ უნდა იყოს ისინი. თუ ფიქრი (ჭეშმარიტების შესატყვისი) დაეუფლა, რომ იგი ღმერთია, შეიძლება ის ღვთაებრივი გახდეს. მაგრამ თუ აკვიატებული იდეა (ჭეშმარიტებასთან არაფერი საერთო რომ არ აქვს) სძლევს, რომ იგი მთელი დედამიწის მეფეა, მაშინ მას უგუნურად ან თვითმარქვიად ჩათვლიან. შეიძლება თავიც მოკვეთონ როგორც სახელმწიფო დამნაშავეს! მაგრამ ღმერთი არავის თვლის უგუნურად ან ურჩად. ყოველი არსება ღვთაებრივია. ეს არის ბჰარატის სულიერი აზრის უდავო დასკვნა.

ლოგიკურმა და გონებრივმა აზრთაწყობამ შეიძლება ნაწილობრივი წარმოდგენა მოგვცეს ჭეშმარიტებაზე. ქმნილებაში ყველაფერს მრავალი სტადია და წახნაგი აქვს. გონებას შეუძლია მოვლენა ხედვის ერთი კუთხიდან შეისწავლოს, რაღაც ერთი სტადია განიხილოს; ვედების მიერ მითითებული მოქმედებებით (*კარმით*) გაწმენდილ ინტელექტს შეუძლია ორი სტადიის ან წახნაგის დაკვირვებაში მიაღწიოს წარმატებას. მაგრამ სანამ გონება მთლიანად არ გაივლის გაწმენდისა და სრულყოფის პროცესს, მანამდე იგი მხოლოდ მატერიალური სამყაროს ჩარჩოებში იმოქმედებს და მის მიერ შემოთავაზებული დასკვნები მხოლოდ ნაწილობრივ იქნება სწორი. მაგრამ გაწმენდისა და გამახვილების ვედური მეთოდებით დამუშავებულ გონებას შეუძლია კარგი სამსახური გაგვიწიოს და მატერიალური სამყაროს სწორი, მთლიანი სურათი წარმოგვიდგინოს. სხვა დანარჩენი რელიგიების უმეტესობა იმ პრინციპს ეყრდნობა, რომელიც ვედებით მითითებული „სადისციპლინო დამუშავების“ გაუვლელი გონებისთვისაა ხელმისაწვდომი. ბჰარატელებს, გარდა ამისა, აქვთ შასტრები, რომლებიც შეუქს ჰფენს იმ საგნებს, რომლებიც დროებითის და წარმავლის ზღვრებს იქითაა.

სამყარო არის მაკროკოსმოსი (*ბრაჰმანდა*, ელემენტების ფაქიზ ძალთა ერთობლიობა), ცალკეული ცოცხალი არსება კი – მიკროკოსმოსი (*პინდანდა*, მატერიალური პლანი). მაგრამ როგორც ერთის, ასევე მეორის საფუძველში ერთი და იგივე

ჭეშმარიტებაა. ეს **ერთი**, ანუ **ის** დამოუკიდებელია და რაიმე ფაქტების, საგნების ან მოვლენებისგან დამოუკიდებლად არსებობს. როდესაც **ის** აღიქმება როგორც ასეთი, ანუ როგორც მიკროკოსმოსის და მაკროკოსმოსის საფუძველი, მას შეიძლება *ბრაჰმანი* ეწოდოს. როდესაც იგი ცნობიერებაში აღწევს როგორც მთელი სამყარო, მაშინ მას *პარაბრაჰმანს* უწოდებენ. სამყაროს ძირეული ჭეშმარიტებაა *ატმანი*, ინდივიდუუმის ძირეული ჭეშმარიტებაც *ატმანია*. რაც *ატმანისაგან* განსხვავებულად მოჩანს, განეკუთვნება ილუზიას, ცდუნებას, ანუ *მიტიას*. ეს ცდუნება, მირაჟი არის ყოველივე ის, რაც გამოკვლევამდე მოჩანს როგორც რეალური, გამოკვლევის შემდეგ კი გამოდის როგორც ილუზორული. ეს ყველაფერი მხოლოდ გვეჩვენება, გველანდება – სამყაროც, მისი სავარაუდო საფუძველიც კი, ეს ყველაფერი საცდურია, რომელიც უმეცრებით, *მაიათია* გამოწვეული. ეს არის ძალა, რომელიც გვაიძულებს გვეჯეროდეს, რომ შექმნილი კოსმოსი რეალურია, ნამდვილია და ისიც *ატმანიდან* გამოდის. როდესაც *მაიას* ეს ძალა მუშაობს და *ატმანი* „დამალულია“, მისითაა შეფუთული, *მაიას* მოქმედებას *პარამატმანს*, სამყაროს „მე“-ს მიაწერენ.

ატმანი არის *სატჩიტანანდა* ან *სატ-ჩიტ-ანანდა* (ჭეშმარიტი ყოფიერება, სრული გაცნობიერება, ნეტარება), რომელიც განიხილება როგორც სამერთიანი განუყოფელი მთლიანი. *მაიაც* სამი *გუნასაგან* (თვისებისგან), ანუ ბუნებრივი მდგომარეობებისგან – *ტამასის*, *რაჯასის* და *სატვისგან* - შედგება. იგი თავის თავს გამოსახავს როგორც *იხა-შაქთი* (ნების ძალა), *კრიია-შაქთი* (შემოქმედებითი ძალა) და *ჯნიანა-შაქთი* (შემეცნებითი ძალა). თვისება სახელად *ტამასი* ერთიან და ერთადერთ საფუძველს მაღავს და მრავალფეროვნების მოჩვენებითობას ქმნის. თვისება სახელად *რაჯასი* ჭეშმარიტებას და შემეცნების სიხარულს აქტიურად იყენებს. თვისება სახელად *სატვა* სუფთა სარკეა, იგი იმ საგნებისა და მოვლენების სწორ სურათს იძლევა, რომლებიც ჩვენ წინ წარმოიქმნება. იგი *პარაბრაჰმანს* ასახავს და იშვარას, უზენაესს (ღმერთს როგორც უმაღლეს პიროვნებას) აჩენს. ამ სახით გამუდავებული ღმერთი სამყარო, ანუ *ჯაგატი* ხდება, რომელიც მისი ნებითაა შექმნილი. თვითონ „ასახული“, ანუ

იშვარა ილუზიის, *მაიას* თვისებებისგან თავისუფალია. ისევე, როგორც სუფთა გამჭვირვალე ტბის ზედაპირზე ყოველთვის არის ჭავლი, ასევე *ატმანის* ნამდვილი ბუნებაც ამდგრეულად გვეჩვენება, მაგრამ ეს მხოლოდ ცდუნებაა, *მაიას* და მისი წარმონაშობის – *ჯაგატის*, ანუ სამყაროს (მის სახელთა და ფორმათა სიმრავლით) - მოტყუებითი თამაშია.

როდესაც *მაიას* სამი შემადგენელი (*გუნები*) მთლიანად დაბალანსებულია და ურყევი წონასწორობის მდგომარეობაშია, სამყარო გაუმჟღავნებლად (*ავიაკთა*) ითვლება. ამ სტადიას ასევე ეწოდება ჩანასახური, „თესლის“ სტადია, რამდენადაც ყველა მომდევნო ვარიაცია მასშია მოთავსებული და დაფარული.

ტამასის და *რაჯასის* ზემოქმედებით წონასწორობა ირღვევა, შექმნის პროცესი იწყება და კოსმოსი ჩნდება. ეს *გუნები* ცოცხალ არსებებს მოქმედებისთვის აღძრავენ. ილუზიის ძალა განპირობებულია მისი სამი მდგენლით (*გუნებით*) და იმაზეა დამოკიდებული, რა სახით და როდის გამოავლენს თავის თავს ყოველი *გუნა* და ორ დანარჩენზე მოახდენს ზემოქმედებას. როდესაც *სატვა* ჭარბობს, ეს ძალა სულიერი ხდება (*ატმამაია*), როდესაც *რაჯასი* დომინირებს, იგი ხდება *ავიდია* (დარწმუნებულობა იმაში, რომ მხოლოდ სამყაროა რეალური), როდესაც *ტამასი* მძლავრობს, იგი ჩამორჩენილი, ინერტული ხდება. როდესაც *ატმანი* *სატვა-გუნაში* აისახება, ანარეკლი ხდება იშვარა; როდესაც *ატმანი* *რაჯა-გუნაში* აისახება, იგი ხდება *ჯივა*, ანუ ინდივიდუალური არსება; *ტამასში* ასახული *ატმანი* მატერია ხდება. მხოლოდ საცავი, ფორმა (*უპადჰი*) იწვევს განსხვავებას იშვარას (დმერთს), *ჯივას* (ცოცხალ არსებას) და *დრავიას* (მატერიას) შორის. როდესაც ფორმა, საცავი (*უპადჰი*) არ არის, ყველა სამი იპოსტასი *ატმანია*. რამდენადაც სამყარო არის იშვარა, *ჯივა* და მატერია, მას სრული უფლებით შეიძლება ამ სამი საწყისის შეთავსება ეწოდოს. სამყარო გამჟღავნდა ცოცხალი არსებების და ადამიანის – მათ შორის ყველაზე გონიერის – უმაღლესი ინტერესების განხორციელებისთვის.

როდესაც ვამტკიცებთ, რომ *ატმანი* *მაიას* *სატვეურ*, *რაჯასურ* და *ტამასურ* მდგენლებში აისახება, და იშვარას, *ჯივას* და მატერიის შთაბეჭდილებას (სახეებს) ქმნის, ერთი

მომენტი უნდა აღვნიშნოთ. სარკის შესაძლებლობები, რომელიც ასახვას უზრუნველყოფს, შეზღუდულია. იგი მხოლოდ მის პირდაპირ მდებარე ობიექტებს ასახავს. მაგრამ თუ სარკე გამობერილია ან ჩაზნექილია, ან მისი ზედაპირი მტვრიანია, ანარეკლი დამახინჯებული ან დაბინდული იქნება. ამით თვითონ ობიექტი არ იცვლება, მხოლოდ გამოსახულებაა დაბრეცილი და დამახინჯებული. მაგრამ ჩვეულებრივად ადამიანები, როდესაც დამახინჯებულ გამოსახულებას ხედავენ, ამაში ობიექტს სდებენ ბრალს.

მაიას, ანუ *აჯნიანის* (უმეცრების) მიზეზით *ბრაჰმანიც* დამახინჯებულად მოჩანს, და ადამიანებს მიდრეკილება აქვთ ეს დამახინჯება, რომელიც „მეორადს“, თვისებას, პროექციას წარმოადგენს, თვითონ *ბრაჰმანს* მიაწერონ. პარამეშვარას (უზენაესის), ანუ პერსონიფიცირებული *ბრაჰმანის* სახეც ასახვას *მაიას* სარკეში. როგორც რძე ხდება ჩუმა-მაწონი, ასევე *ბრაჰმანიც* ხდება *ჯაგატი*, ანუ სამყარო. ეს გარდაქმნა *მაიას* მუშაობს. ამასთან *ბრაჰმანი მაიას* მბრძანებელია, და არა დაქვემდებარებული. იგი *მაიას* ძალას გამოათავისუფლებს და მართავს. ამიტომ პერსონიფიცირებულ *ბრაჰმანს*, ანუ პარამეშვარას, ყოვლისშემძლეს და ყოვლისმცოდნეს უწოდებენ. *ჯივა*, იშვარა, *ბჰუტა* (ელემენტები) – ყველა სამი საწყისი ინდივიდუუმის პროგრესს უწყობს ხელს, თითოეული თავისი განსაკუთრებული ხერხით.

იშვარა, ანუ უზენაესი ყველა სურვილის შესრულებაა. სამყაროში ნეტარებათა ყველა წყარო მისი ნებიდან მოედინება და ამიტომ თვითონ მას არცერთი სურვილი არა აქვს. მან სამყარო იმიტომ კი არ გაამჟღავნა, რომ თავისი რაიმე სურვილი აიხდინოს ან რაღაც მიიღოს, რაც მას აკლდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალ არსებათა კეთილდღეობისათვის. „ყველა სამ სამყაროში არ მაქვს ვალი, რომელიც მე მიმაბამდა, პართჰა“ (*ნა მე პართჰა ასთჰი კარტავიამ ტრიშუ ლოკეშკ კინჩანა*) – ეუბნება კრიშნა არჯუნას.

შექმნა, გამჟღავნება, ანუ „ამოშვება“ იშვარას თვით ბუნებაა. ამიტომაც ხშირად იხმარება მის მიმართ ეპითეტი „თამაშით დამტკბარი“ (*ლილა ვინოდო*). მხოლოდ მისი ნების ძალა ადავსებს ყველა ცოცხალ არსებას შეგნებულობით და

აიძულეს, რომ იყვნენ მღვიძარობაში და მოქმედებდნენ. იგი თითოეულს მისი აზრების, სიტყვების და მოქმედებების შედეგებს (*კარმაფალა-პრადატა*) აძლევს. უზენაესის ჩარევის გარეშე მოქმედება შედეგს ვერ მოიტანს, და არავითარი დარწმუნებულობა არ იქნება, რომ გარკვეული მოქმედება მოსალოდნელ შედეგს მოიტანს. გარდა ამისა, ბრძენები აცხადებენ, რომ *კარმა* (შედეგების მომტანი მოქმედება) დაუყოვნებელია: ჩნდება აზრი და სრულდება მოქმედება, მოქმედებას შედეგები მოსდევს. მაგრამ შეუძლებელია წინასწარ თქმა, როდის იქნება ეს შედეგი ხელმისაწვდომი და როგორი იქნება მისი ბუნება. ჩვენ მხოლოდ იმის აღიარება დაგვრჩენია, რომ ეს ყველაფერი უზენაესის ნებაზეა დამოკიდებული. ყოველივე ის, რაც ჩვენი მწირი ინტელექტით ვერ აიხსნება, უზენაესის ნებას უნდა მიეწეროს.

რა დროც არ უნდა გავიდეს, რამდენმა ცხოვრებამაც არ უნდა ჩაიქროლოს, ვერავინ გაექცევა თავისი მოქმედებების შედეგების ანაზღაურებას. ყველა მცდელობა ამ მოქმედებების სათავეს მიაგნოთ, გაიგოთ, როდის იქნა ისინი შესრულებული, ამაოა: თვით დროების დასაწყისში მოგიხდებოდათ მისი ძებნა. ჩვენს შესაძლებლობებში არ შედის გავიგოთ „დასაწყისი“ უზენაესისა, სამყაროსი, ცოცხალი არსებებისა, მოქმედებებისა, უმეცრებისა – ეს ყველაფერი დასაწყისთა დასაწყისის იქითაა. ბჰაგავად გიტაში კრიშნა ამბობს: „მოქმედებების გზები აბნეული და მოუხელთებელია, მათი აღმოჩენა ძნელია“ (*გაჰანა კარმანო გატი*). ადამიანი შეიძლება მრავალი ცხოვრების შემდეგაც შეეჩხოს. უზენაესი მარადიული მოწმე, ძალა, ყოველი მოქმედების მეთაურია. ჩვენ ეს ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ და გავიგოთ და ვაღიაროთ, რომ უზენაესი და ინდივიდუუმი ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებულნი. ცოცხალ არსებათა არარსებობის შემთხვევაში არ შეიძლება იყოს უზენაესი, მეუფე. თუ ბავშვები არ იქნებიან, ექნება კი აზრი სიტყვას „მშობელი“? ასე რომ შეიძლება ითქვას, რომ უზენაესმა თავისი თავიდან გაამჟღავნა სამყარო, რომ ცოცხალი არსებები მოღვაწეობის არეთი უზრუნველყო და მათი მოქმედებების შედეგებით „დაეჯილდოებინა“ ისინი. ხუთი ელემენტი იმავე მიზანს ემსახურება. მათი დახმარებით ხდება ცხოვრების

მატერიალური მატარებლების შედგენა ამ შედეგების რაოდენობისა და თვისებების შესაბამისად. არის აგრეთვე რაღაც სფეროები სახელად *ლოკები*, სადაც სიკვდილის შემდეგ ისინი ხვდებიან, რომლებმაც უზარმაზარი დამსახურებები დააგროვეს ან, პირიქით, უმძიმესი ცოდვები იტვირთეს. ეს სფეროები არაფრით არის დაკავშირებული ჩვენთვის ხილულ გარემომცველ სამყაროსთან და მათზე დასახლებულ სხეულებთან.

ცხოვრების პრინციპი და ინდივიდუუმის არსი ერთი და იგივეა. ერთიც და მეორეც ნიშნავს, რომ „ინდივიდუუმი“ ან „ცოცხალი“ (*ჯივა*, სოცოცხლე სხეულში) გაჩნდნენ ჭეშმარიტების ცოდნის არარსებობიდან, ანუ *ავიდიადან*. ამის მიზეზი ისევ და ისევ *გუნებზე*, ბუნებრივ თვისებებზე დამოკიდებულებაა. ნებისმიერ *ჯივას* „ნიშანი აქვს დადებული“ *რაჯაგუნას*, ანუ იმ თვისების მიერ, რომელიც აქტიურობისთვის, მუშაობისთვის, აღგზნებისთვის აღძრავს მას, თუმცა მის კონსტიტუციაში სხვა ორი *გუნას* ჩანასახიც არის. სამყარო მაშინ გაჩნდა, როცა ჭეშმარიტებამ ავიდიათი, ილუზიით შეიმოსა თავი. სწორედ იმავე მომენტში გაჩნდა სამი *გუნა*, და ინდივიდუუმა მრავალფეროვნება აიხსნება ამ სამი *გუნადან* ერთის თუ მეორის სიჭარბით, რაც იმ *კარმების* ჯამური შედეგებითაა გამოწვეული, რომლებიც ცხოვრებათა მწკრივშია გამომუშავებული. როდესაც *ჯივაში* სხვებზე უფრო მეტი *სატვაგუნაა*, იგი ხდება *ბჰავაგათჰა*, დმერთის მგზნებარე ერთგული, და ძირითადად მისი სიდიადის გალობით და დიდებითაა დაკავებული. *ჯივა რაჯაგუნას* სიჭარბით ძლიერი და ჭკვიანი ადამიანია, ცხოვრებით კმაყოფილია და ღვთაებრივისკენ უმაღლესი მისწრაფებები მას არ გააჩნია. თუ *ჯივას* *ტამაგუნა* მართავს, მაშინ მხოლოდ სხეულებრივი საჭიროებები აწუხებს, რის გამოც იგი ფრინველებისა და ცხოველებისაგან მცირედ განსხვავდება.

ჯივას გონება ცდომილებათა ჯაჭვითაა შებოჭილი, და ამიტომ წარმოიდგენს, რომ იგი „შედეგია“, რომელიც რაღაც მიზეზზეა დამოკიდებული. ჭეშმარიტების ეს არცოდნა *ატმა-ვიდიათი* – საკუთარი თავის ცოდნით, სულიერი ცოდნით - უნდა დამარცხდეს. ეს ცოდნა თვითონ შთააგონებს *ჯივას* ამ საგმირო საქმის შესრულებისთვის და წარმატებას

უზრუნველყოფს. ეს ცოდნა ადამიანის დარწმუნებულობას სპობს იმაში, რომ არის განსხვავება *ჯივას* და *ჯავატს* (სუბიექტსა და ობიექტს, ადამიანსა და კოსმოსს) შორის. ადამიანს ამ საგმირო წამოწყებაში რომ დაეხმაროს და მასთან ჭეშმარიტების ცოდნა მიიტანოს, ვედები განსაკუთრებულ *კარმებს* (სასურველ მოქმედებებს) უწესებენ. ვედების ამ განყოფილებას *კარმა-კანდა* ჰქვია. სანამ ადამიანი უცოდინარობითაა შებოჭილი, ისეთ გაგებებს, როგორცაა „ადამიანი და კოსმოსი“, „ქვემო და ზემო სამყაროები“, *დჰარმა* და *ადჰარმა*, *კარმა*, *ბჰაქთი* და *ჯნიანა*, იგი უნდა პატივისცემით ეპყრობოდეს და მათ შესაბამისად იწყობდეს ცხოვრებას. სანამ ინდივიდუუმი სამყაროში გამჟღავნებული მრავალფეროვნების მნიშვნელობაში და ნამდვილობაში მტკიცედაა დარწმუნებული, ისე უნდა მოქმედებდეს, რომ პერსონიფიცირებული ღმერთის (იშვარას, უზენაესის) მიერ დადგენილ საზღვრებს არ სცილდებოდეს.

არსებითად ყოველ *ჯივასთვის* სამყარო სურათია მის საკუთარ გონებაში, და მეტი არაფერი, და იმ დრომდე, სანამ გონების და მისი პროცესების ბუნება გახსნილი არ არის, *ბრაჰმანის* პრინციპის გაგება მისთვის ძნელია. ვინც არ იცის რა არის ცა, იგი მას ბოლისა და მტვრის გროვად მიიღებს. როდესაც რეალობის შესახებ გაგება არა აქვს, ადამიანს *ატმანი* (თავისი ჭეშმარიტი „მე“) გონიერებასთან (*ბუდჰისთან*) ეშლება, და იგი თვლის, რომ სხეულში მოთავსებული *ატმანი*, ანუ *ბუდჰის* მსგავსად განხორციელებული, მოქმედებაში მონაწილეობს, მის ნაყოფს აგემოვნებს და დაწყვილებული ურთიერთწინააღმდეგობებითაა შებოჭილი, ისეთებით, როგორცაა სიხარული და მწუხარება, ბედნიერება და უბედურება, დამოკიდებულება და თავისუფლება.

თუ უმაღლეს ჭეშმარიტებას მუდმივი ცვლილებების კუთხით შევხედავთ, იგი, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარად გამოჩნდება, თუმცა ჭეშმარიტება და მისი გამოსახულებები, როგორც ობიექტი და მისი ანარეკლი, განუყრელადაა ურთიერთდაკავშირებული. სივრცე ერთია, ერთნაირია ყველგან. მაგრამ მისი საცავეები სხვადასხვაა: ისე მოჩანს, რომ იგი სახლის, სფეროს, კანვის მოხაზულობებს იღებს. მაგრამ ის, რომ სივრცე „სექციებადაა“ დაყოფილი, არასწორია, ამაში

ჭეშმარიტება არ არის. არის ერთი სივრცე, რომელიც ყოველ ამ „კონტინერს“ ავსებს, იქნება ეს სახლი, ტბა, ბორცვები თუ ნებისმიერი რამ. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მოხაზულობები, ფორმები მათი შესაბამისი დასახელებებით და ყოველი ეს ფორმა თავისებურად გამოიყენება და ავლენს თავს. ასევე ინდივიდუუმებსაც, *ჯივებს*, თავისი განსაკუთრებული ნიშნები და თვისებები, სხვადასხვა სახელი და გარეგნობა აქვთ, სხვადასხვა ქცევა და მოღვაწეობის არე აქვთ. მაგრამ როგორც მძივის ყოველ მარცვალში ძაფი გადის და მათ ერთად აკავებს, ასევე ზეცნობიერებაც ყველა არსებაში ერთია.

ეს ზეცნობიერება არის *ატმანი*, ჭეშმარიტი „მე“, რომელიც, უმეცრების გამო, პირად „მე“-ში ეშლებათ. სანამ ჭეშმარიტება გამოცნობილი არ არის, ადამიანს არ შეუძლია ცვლილებებისა და მრავალფეროვნების ბორბლიდან გამოადწიოს. საღმრთო წერილები ამ ჭეშმარიტებას გვამცნობენ და მოგვიწოდებენ გავაცნობიეროთ იგი. მაშ რა არის ეს - „რომლის გაგების შემდეგ ყოველივე დანარჩენის გაგება შეიძლება“? როდესაც *ატმანი* შეცნობილია, აცხადებენ საღმრთო წერილები, ყოველივე დანარჩენიც შეიძლება შეცნობილ იქნას. *ჯაგატი* (კოსმოსი) რეალურია მხოლოდ შედარებით. ნაწილობრივ იგი არანამდვილია. მაგრამ ცოდნა ამის შესახებ აუცილებელი არ არის, თავისთავად ამას არავითარი სარგებელი არ მოაქვს. სამყაროს შედარებითი რეალობის შესახებ ეს ცოდნა არ წარმოადგენს ცხოვრების უმაღლეს და უცილობელ მიზანს. უკეთესია ცხოვრება იმას მიექდუნას, რომ *ატმანის* გაცნობიერების მიღწევა მოხდეს, და მთელი ძალისხმევა ამისკენ იყოს მიმართული. შრუტები გვაფრთხილებენ, რომ ყველა სხვა დასახული მიზანი დროის ფუჭი ხარჯვაა. შრუტების ტექსტები და მათი წმინდა დანართები – სმრიტები, იტიჰასები, პურანები არსად დაწვრილებით არ ხსნიან, როგორ იქნა კოსმოსი შექმნილი და არ გვთავაზობენ შევისწავლოთ და შევიგნოთ შექმნის მიზეზები და პროცესები. ასეთი ცოდნის არქონას ისინი კატასტროფად არ აცხადებენ, პირიქით, ამტკიცებენ, რომ ეს ამოცანა არაშესრულებადია.

რატომ უნდა ვდელავდეთ იმის შესახებ, კოსმოსი როდის გაჩნდა და როდის გაქრება? უკეთესია საკუთარ თავზე

ვლელავდეთ. ეს მოწოდება წერილებშია განსაკუთრებით ხაზგასმული: შეიცანი შენი თავი. როდესაც გაიგებთ, ვინ ხართ, ყოველივე დანარჩენი თავისთავად ცხადი გახდება. თქვენ ხართ *პინდანდა* (ელემენტებისგან შედგენილი მატერიალური სამყარო) *ბრაჰმანდაში* – მიკროკოსმოსი მაკროკოსმოსში. როდესაც თიხის ერთ ქოთანს გამოიკვლევთ, თიხის ყველა ქოთნის არსზე ყველაფერი გეცოდინებათ. როდესაც საკუთარ თავს შეიცნობთ, ყოველივე დანარჩენსაც გაიგებთ.

ბავშვმა ტირილი რომ შეწყვიტოს და კვლავ მხიარული გახდეს, ძიძა მას საყვარელ ზღაპარს უამბობს. ძიძის ერთადერთი მიზანი ბავშვის დამშვიდებაა. ზღაპარი უბრალოდ საშუალებაა, რომელიც ბავშვის ინტელექტის დონეს ესადაგება. ასევე *ჯივასაც*, *მაიას* წარმოუდგენელი მიმზიდველობით მოჯადოებულს და იმ მიდრეკილებებით შებოჭილს, რომლებიც წარსულ მრავალ ცხოვრებებში დააგროვა, არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მისწრაფებას მისი გარემომცველი სამყაროს დაბადების საიდუმლოს ჩასწვდეს. ამ კითხვებზე პასუხის გამცემი შრუტის სიტყვები მხოლოდ დროებით შვებას იძლევა. თვითონ განსაჯეთ: კითხვა „როგორ გაჩნდა სამყარო?“ ენათესავება კითხვას, როგორ ჩნდება სიზმარი. სიზმრის მიზეზია ძილი, *ნიდრა*; ნატვრას ძილი ბადებს. ასევე სამყაროც ილუზიის, *მაიას* წყალობით ჩნდება. ისევე, როგორც ძილში არავითარი ლოგიკა და კანონი არ არის, სამყაროც საიდუმლოებებით და ცდუნებებითაა სავსე. მაგრამ არის მხოლოდ **ერთი**, და არა ორი, როგორც ხშირად სიზმარში გვეჩვენება. ეს არის *ადვაიტას* პოსტულატი. ისევე, როგორც სამყაროს წარმოქმნის საკითხი, ადამიანს კიდევ ერთი პრობლემა აწუხებს: საიდან გაჩნდა უმეცრება, არცოდნა? ამაზე პასუხი შეიძლება ბრძენ ვასიშთჰას დარიგებებმა გასცეს, რომლებიც შრი რამასკენ იყო მიმართული: „რამა, - თქვა მან, - მოგიწოდებ თავს ნუ გადაიტვირთავ იმ კითხვაზე პასუხით, როგორ გახდა ადამიანი უმეცარი. უკეთესი იქნება, თუ ძალისხმევას იმაზე მიმართავ, რომ მოიცილო იგი“. ეს რჩევა განკუთვნილია არა იმდენად რამასთვის, რამდენადაც მთელი კაცობრიობისთვის. იგი ესმარება ყველას, ვინც ჯერ კიდევ ვერ ამოიცნო ჭეშმარიტება,

რომელიც ობიექტების სამყაროს უკანაა დაფარული. აჯნიანა, ანუ უმეცრება, სიტყვაა, რომელიც ნიშნავს საკუთარი შინაგანი გამოცდილების უარყოფას, რომელიც იმის შესახებ გიმტკიცებთ, რომ სამყარო მუდამ ცვალებადი მოვლენაა.

მაშ რატომ გაღელვებთ ეს კითხვა? უბრალოდ აღიარეთ, რომ თქვენ გაქვთ ეს უმეცრება და შეწყვიტეთ ბრძოლა მიბმულობასთან ამ ცვალებად სამყაროზე მისი დაბადებისა და სიკვდილის გარდაუვალი რიგით. კამათი იმაზე, ეს უმეცრება ბრაჰმანიდან მოდის თუ ჯივადან, ნიშნავს, რომ კვლავ მის არსებობას ადასტურებთ. სრულიად ცხადია, რომ ყველაზე უფრო არსებითია იმ ხერხებზე მოკრიბოთ ყურადღება, რომლებიც ამ უმეცრების მოსპობაში გეხმარებათ. ეს გზა აუცილებლად სიბრძნესთან, *ჯნიანასთან* მიგიყვანთ. *ჯნიანა* სინათლეა, უმეცრება – წყვდიადი. სიბნელე მხოლოდ იმ დრომდე იმეფებს, სანამ სინათლე არ გამოსხივდება.

თავი 21

შინაგანი გამოკვლევა

„ეს ყველაფერი გაქრება და ინდივიდუალურ თვისებებს დაკარგავს, როდესაც გაჩნდება *ჯნიანა*, უმაღლესი სიბრძნე“, - უთხრა რამას ბრძენმა ვასიშთჰამ. - „უნდა გაიგო, როგორ იზრდება არცოდნა და რა საშუალებებით შეიძლება მისი მოსპობა“.

ამ რჩევაში რაღაც საიდუმლოა დაფარული. ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ საიდუმლოს გახსნას: საიდან გაჩნდა კოსმოსი. რა სახით წარმოიქმნა იგი? რომ ყოფილიყო პერსონალური მიზეზი (შემოქმედის პიროვნება), გამოკვლევა წარმატებული იქნებოდა. მაგრამ კოსმოსი, ანუ *ჯაგატი*, ასეთ ობიექტს არ წარმოადგენს. კითხვები „როგორ წარმოიქმნა იგი“, „საიდან გაჩნდა“, ენათესავენ კითხვას: როგორ გაჩნდა გველი თოკის ადგილას და ამან შიში აღძრა? იქ მხოლოდ თოკია, მის ადგილას გველი ბინდბუნდის გამო გაჩნდა, იგი დამკვირვებლის დამახინჯებულმა გონებამ შექმნა. სხვა სიტყვებით, გველი

გაჩნდა ილუზიის გამო, რომელიც დასკვნამ გამოიწვია. აქედან დასკვნა: არასწორი აღქმის საფუძველი უმეცრებაა.

ბრაჰმანი თოკია. *ჯაგატი* გველია, რომელიც ილუზიის ზემოქმედებაში მყოფი გონების მიერაა თოკზე დადებული. ჩვენ *ბრაჰმანს* (თოკს) აღვიქვამთ როგორც გამჟღავნებულ სამყაროს (გველს), ერთი მეორეში გვეშლება, ერთს მეორედ ვიღებთ მანამდე, სანამ ილუზია მოქმედებს. ამიტომ უმჯობესია ჩავთვალოთ, რომ *ჯაგატი* არის ობიექტი, რომელიც ჩვენს საკუთარ გონებაში გაჩნდა, რომ იგი წარმოშობილია იმავე არასწორი აღქმით. ცდუნების შედეგად წარმოშობილი და არაფრით „დადასტურებული“ (გარდა უძღური გონებისა) ობიექტი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. როდესაც ცდუნება იფანტება, როდესაც სისუსტე ქრება, მაშინ მათ მიერ გამოწვეული *ჯაგატიც* ქრება.

„მე უმეცარი ვარ“ (*აჰამ აჯნიაჰ*). თითოეულმა უნდა აღიაროს, რომ ეს ფაქტი მას ეხება. ვერავინ აარიდებს თავს ამ განცხადებას თავის თავზე. ყველა საღმრთო წერილი მხოლოდ ერთს ამტკიცებს: „ეს ყველაფერი *ბრაჰმანია*“. ვინც ამ ჭეშმარიტებას თავს არიდებს და თავისი პირადი „მე“-ს უნიკალობას ამტკიცებს და იცავს, იგი მხოლოდ თავის უმეცრებას ღიად ადასტურებს.

ადამიანები ეჭვობენ, ნუთუ შესაძლებელია „თავისი თავის“ დავიწყება და იმის დაჯერება, რომ შენი „მე“ სულ სხვა რაღაცაა. ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, რომ როდესაც ადამიანი მთლიანად მიიღებს *მიტიას* (არაჭეშმარიტებით დალაქავებულ ჭეშმარიტებას), ეს მის უმეცრებაზე მოწმობს. ბინდუნდში ტყუილი სიმართლეზე იდება. გზაზე დადებული თოკის ნაცვლად იქ გველი მოჩანს. ცდუნება ცნობიერებაზე მოქმედებს და გონების დეფორმაციას ახდენს, შედეგად ცნობიერებაც და გონებაც ივიწყებენ თვის ჭეშმარიტ ბუნებას – ნეტარებას, ზღვარსმიღმა აღტაცებას. ადამიანები თავის თავს ინდივიდუალობის შეზღუდვებს უწესებენ და განკერძოებულ არსებად, *ჯივად* თვლიან. სჯერათ, რომ ბედნიერება გარედან, გარემომცველი სამყაროდან მოდის, და მათ შთანთქავს *სამსარა* – ცვალებადი, მღელვარე, არამდგრადი სამყარო. ისინი იტანჯებიან, როცა თეთრ ზოლს შავი ცვლის. სწორედ ასეთ ადამიანებს მოუწოდებენ შრუტები

და შასტრები შეცვალონ თავისი ცხოვრება და მთელი ძალისხმევა ატმანის (თავისი „მე“-ს) შეგნებისა და გახსნისკენ მიმართონ.

ადვაიტას მომხრეები არც კი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ არის რაღაც სახელად უმეცრება. „მე უბედური ვარ. ცხოვრებაში სიხარული არ არის. მინდა ეს. უნდა მივადწიო იმას“; ეს ჩივილები თვით არსია ინდივიდუუმისა, ჯივისა. ცხოვრების მიმართ ასეთი დამოკიდებულებაა სწორედ უმეცრების მწვერვალი, და თუ გსურთ თავიდან მოიცილოთ ეს მდგომარეობა, რომელიც ადამიანებს აცალკევებს და აშტერებს, შინაგანი განწყობა უნდა შეცვალოთ და თავი დაარწმუნოთ იმაში, რომ **„მე ბედნიერების განხორციელებაა, მე არის ის, ვინც სასურველი განახორციელა“**. მსოფლმხედველობის პირველი ტიპის მქონე ადამიანს აქვს გონება, რომელიც ინდივიდუალური ჩარჩოებითაა შეზღუდული (ჯივატმა ბუდჰი), მსოფლმხედველობის მეორე ტიპის მქონე ადამიანს აქვს უნივერსალური, საყოველთაო სიბრძნე (ჯნიანა). აიკიდა რა არარსებული პრობლემების ტვირთი, მაგრად მიაბა რა თავი გადაბადებების ბორბალს, ადამიანი ბოდავს, მტვერს აყენებს, და სასოწარკვეთილებაში ვარდება. ადვაიტას ტექსტები იმისათვის გაჩნდა, რომ ამ უმეცრებისგან დაიცვას იგი, სიბრძნე გამოადვიდოს მასში და უბედურებისაგან და სიყალბისგან იხსნას. სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენ უმეცრები ვართ მანამადე, სანამ საკუთარ თავს დამოკიდებულად შევიგრძნობთ. **დაფიქრდით, სინამდვილეში ხომ ჩვენ არავის შევუქმნივართ!** ჩვენ არაფრით ვართ შეზღუდული, არაფრით ვართ შებოჭილი, არაფერი გვაქვს ჩამორთმეული. ფუნდამენტური უმეცრება შემდეგი დამკვიდრებული რწმენაა: „არის ეს სამყარო, ჯაგატი, რომელშიაც მე ვიმყოფები ბედნიერების ასეთივე მაძიებლებთან ერთად, და ბედნიერების ამ დევნაში სიხარულს და მწუხარებას განვიცდი, დაბადებასა და სიკვდილს გავდივარ“.

„რა აზრებიც გვაქვს, ჩვენ ისინი ვხდებით“. მართალია, ეს აზრები ობიექტური სამყაროს მნიშვნელოვნობაზე და მისგან მიღებული სიხარულის ღირებულებაზე უმეცრებითაა შობილი, მაგრამ ისინი ჩვენი შინაგანი ბუნების ფორმირებას ახდენს. ამ

ფორმას ჩვენ ოთხი აუცილებელი კომპონენტის გამო მტკიცედ ვეზრდებით:

- 1) სულიერ მიღწევათა მიმართ ინტერესისა;
- 2) მტკიცე რწმენისა;
- 3) ღმერთის ერთგულებისა;
- 4) ღმერთის წყალობისა.

თუკი ამ ოთხიდან ერთი მაინც არ არის, მაშინ ადამიანი ვერ განიცდის აბსოლუტის უმაღლეს ნეტარებას.

ჩვენი გამოკვლევები მიმართულ უნდა იქნას არა აშკარა და ზედაპირულ საგნებზე. კვლევის ეს ხაზი არასწორ გზაზე დაგვაყენებს: გვაიძულებს გვჯეროდეს ის, რასაც სინამდვილეში არ წარმოადგენს სამყარო. ამ გზაზე დავივიწყებთ, რომ მხოლოდ ჩვენმა გონებამ შექმნა კოსმოსურ განზომილებათა მთელი პანორამა და იგი წარმოგვიდგინა როგორც ნამდვილი.

ჭეშმარიტად საოცარია, რომ მთელი ეს უზარმაზარი კოსმოსი სრულიად იმაზეა დამოკიდებული, აცნობიერებს მას ასეთად „მე“ თუ არა! თუ გრძნობთ, რომ ის არის, ე.ი. ის არის. თუ გრძნობთ, რომ ის არ არის, ე.ი. ის არ არის! ეს ნიშნავს, რომ უფრო ღრმად უნდა შევადწიოთ გონების მუშაობის პროცესებში. შეგინიშნავთ თუ არა, რომ თქვენს მტკიცებას რაიმეს არსებობა გამოეწვია, უარყოფას კი ამის გაქრობა? ამ მიმართულებით კვლევა, ეჭვგარეშეა, ჭეშმარიტებას გაგიხსნით. როდესაც ბინდბუნდში მიწაზე მდებარე თოკს აწყდებით, შეცდომით მის ადგილას გველს ხედავთ. გველი ენაცვლება სიმართლეს – თოკს. მაგრამ როდესაც მოგვიანებით, სათანადო დათვალიერების შემდეგ, ჭეშმარიტება ცნობილი ხდება და აღქმა იმავე დამკვირვებელს ეუბნება: „ეს გველი არ არის, ეს თოკია“ - გველი ქრება, რადგან იგი ყალბი, წარმოდგენის ნაყოფი იყო. აქედან დასკვნა: შეგრძნებას ან აზრს შეუძლია გველი როგორც შექმნას, ასევე მოსპოს, მაგრამ სინამდვილეში არავითარი გველი არ არის. მტკიცება ქმნის, უარყოფა სპობს, მაგრამ ერთიც და მეორეც მენტალური პროცესებია, რომლებიც შეიძლება აზრთა თანრიგს მივაკუთვნოთ.

მართალია, ამ პროცესებს მრავალი თანრიგი და დონე აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ აზრებია, და მეტი არაფერი. საიდან ჩნდება ეს აზრები? არის კი აზრი საკმაოდ დამოუკიდებელი,

რომ სპონტანურად თავისთავად წარმოიქმნას? ამ კითხვაზე პასუხი არსებობს: „ჩვენი გონება ჩვენს მოქმედებებს მიჰყვება“ (ბუდჰი კარმა არუსარინი). აზრები ჩნდება გასულ მოქმედებათა განცდილი გამოცდილების შესაბამისად, ანუ ჩვენ მიერ გამოზრდილი მიბმულობის შესაბამისად და მოცემული მოქმედების გარკვეული შედეგების მოლოდინით. ნებისმიერი მოქმედების მთავარი და პირველი მოტივი ასეთია: „ეს აუცილებლად მომიტანს ბედნიერებას და კეთილდღეობას“. ეს მოტივი იბადება არასწორი წინაპირობიდან, თითქოს სამყარო რეალურია.

განათლება სიბრძნის გარეშე, „შიშველი“ ცოდნა გარჩევის უნარის გარეშე, მოქმედება შორსმჭვრეტელობის გარეშე, ერუდიცია გამჭრიახობის გარეშე, ხელისუფლება სრულუფლებიანობის გარეშე, განცხადება ჭეშმარიტებაზე დაყრდნობის გარეშე, მუსიკა მელოდიურობის გარეშე, ქება-დიდება ერთგულების გარეშე, ადამიანი ხასიათისა და საღი აზრის გარეშე, მოსწავლე თავმდაბლობის გარეშე, მეტყველება შთაგონების უნარის გარეშე – ეს ყველაფერი უსარგებლოა.

წმინდა ტექსტებიდან მოპოვებულ ცოდნას უნდა მივუერთოთ სიბრძნე, რომელიც გამოცდილებაშია მოპოვებული. ცოდნა პირადი გამოცდილების გარეშე არარაობაა. თუ ჩვენში ჩადებული ცოდნა სტატიკურია, ურგები ტვირთია, მაშინ იგი არაფრად არ ღირს და აკადემიური სწავლულობის ფორმას იძენს. მხოლოდ ის სწავლულობა იმსახურებს ნდობას, რომელიც მოქმედების ველზეა დაგროვილი. დიდი ფულის კეთება და დაგროვება უსარგებლოა, თუკი ამასთან არ მივყვებით მაღალ მიზნებს – მთელი მსოფლიოს კეთილდღეობას და დაგროვილს ამ მიზნისთვის არ გამოვიყენებთ. ზუსტად ასევე წიგნური ცოდნის დაგროვება ფუჭი მეცადინეობაა. ცოდნა მაშინ ხდება კურთხეული, როდესაც იმ მოქმედებებში გადადის, რომლებიც საყოველთაო სიკეთეს უწყობს ხელს. ცოდნის ეს გადაქცევა აქტიურ გამოცდილებად შესაძლებელია მხოლოდ ყველა სამი სტადიის გავლის პროცესში: შეტყობა (*ჯნიატუბი*), განხილვა (*დრაშტუბი*) და განხორციელება (*პრავეშტუბი*).

სხვა სიტყვებით, ადამიანმა ჯერ უნდა შეიტყოს იმის შესახებ, რომ წმინდა ტექსტები შეიცავს ძვირფას

ჭემმარიტებებს, მცოდნეებისგან ამ სფეროში. როდესაც ამის შესახებ იგებთ, ბუნებრივია, მის მიმართ ინტერესი გიჩნდებათ. თქვენ ცდილობთ რაც არ უნდა დაგიჯდეთ ამ ტექსტებს დაეუფლოთ და გაეცნოთ. ეს არის პირველი სტადია, შეტყობა.

მეორე სტადიაზე ამ ტექსტებს გულმოდგინედ თავს უყრით და სწავლობთ ხელმისაწვდომ ზღვრებში. თქვენ კითხულობთ და წაკითხულიდან უშუალო წარმოდგენას იძენთ. ამ ტექსტებს არნახული შეუპოვრობით ითვისებთ, იაზრებთ და ტკბებით მით. ასე იღებთ რაღაც კმაყოფილებას იმისაგან, რომ რიგი ღრმა ჭემმარიტებების გაგება შესძელით. ეს არის მეორე სტადია – განხილვა, გაცნობა, წარმოდგენის მიღება.

მაგრამ საკმარისი არ არის პირველ ორ სტადიაზე წარმატება. თქვენ უნდა განიცადოთ ის, რაც შეიტყუთ და წარმოიდგინეთ. როდესაც გამოცდილების არენაზე გამოდიხართ, სრული გაიგივება უნდა შეიგრძნოთ იდეალთან (ანუ მის აღწერასთან). თუ ბარაქიანი ჭამის შემდეგ ტახტზე წამოწვებით, საკვები ცუდად გადამუშავდება, ხოლო თუ ყოველდღიურად ზომიერად ჭამთ და რაიმე ფიზიკური მუშაობით დაკავდებით, საჭმლის მონელება ნორმალური იქნება, საკვები სისხლში გადავა და მთელ სხეულს გამოკვებავს. ასეთივე სახით ყოველივე ის, რაც გავიგეთ და წარმოვიდგინეთ, უნდა გამოცდილებად და მოქმედებად ვაქციოთ, ანუ გაგებულნი შევითვისოთ და გამოვიყენოთ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

წიგნებიდან ამონაწერთა დამახსოვრება და ლექციების კითხვა ძნელი არ არის. წიგნების კითხვით მიღებული ცოდნა წიგნობრივი ცოდნაა. ეს ცოდნის ჩვეულებრივი ტიპია. მოსმენილი, წაკითხული და გაგებულნი, საქმეში უნდა იქნას რამდენადმე გამოყენებული. ეს არის მესამე სტადია – განხორციელება.

უძველეს ცოდნათა კრებული რიგ ფასდაუდებელ ჭემმარიტებას შეიცავს, მასში ძვირფასი მარგალიტებია დაფარული. ამ ტექსტებში შეიძლება ვიპოვოთ მეცნიერული თეორიებიც, კერძოდ ატომის შემადგენლობის შესახებ. სტუდენტებს მართებთ აღმოაჩინონ ეს დაფარული ჭემმარიტებები, ამასთან გამბედაობა და მიზანსწრაფვა

გამოავლინონ, და ისინი ადამიანთა სასიკეთოდ გამოიყენონ. სტუდენტები არ უნდა კმაყოფილდებოდნენ სიტყვებით და სადისკუსიო ფორუმებში მონაწილეობით.

ქვეყანაში ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ იმათ შეუძლიათ შეიტანონ, ვისშიაც გამოკვლევის ძლიერი სულისკვეთებაა. ზედაპირულ ცოდნას არავითარი სარგებელი არ მოაქვს. არ არსებობს ცოდნა, უშუალო გამოცდილებით შექმნილ სიბრძნეს რომ აღემატებოდეს. ეს უკანასკნელი კი საკუთარი შემოქმედებითი ძალისხმევის, გამბედაობისა და დაუინებულობის ფასად ჩნდება. იგი შეიძლება მივმართოთ ტექნოლოგიური პროცესის, წარმოების გაფართოების სფეროშიც, რაც ასევე ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს.

აუცილებელია გამოცდილებიდან ამოვიღოთ სიბრძნე, მაგრამ თანაბარმნიშვნელოვანია განსხვავების უნარის განვითარებაც, რაც ნებას მოგვცემს ეს სიბრძნე ქვეყნის სასიკეთოდ გამოვიყენოთ. განათლება გამოცნობის უნარის გარეშე, ერუდიცია გამჭრიახობის გარეშე უსარგებლოა. განათლება ერთია, გარჩევა კი სულ სხვაა. გარჩევა უნარია ხედავდე, რა არის კარგი, და რა არის ცუდი; იგი შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ, რა მნიშვნელობა მივცეთ კონკრეტული სიტუაციის ამა თუ იმ ასპექტს. გარჩევა სიბრძნის შემადგენელი ნაწილია. ამ უნარის გარეშე შეუძლებელია სწორი გზის მონახვა. გარჩევის, გამჭრიახობის ამ ნიჭის გამოვლინება ყველა მოქმედებაში სიბრძნის ნიშანია.

გამოკვლევებმა ატომური ენერჯის დარგში შეიძლება მიგვიყვანოს დამანგრეველი იარაღის გამოგონებასთან, რომელსაც შეეძლება ერთ წამში მოსპოს მთელი პლანეტა. იმავე ატომურ ენერჯიას შეუძლია დაგვეხმაროს შევქმნათ მილიონობით კილოვატი ელექტროენერჯია, რომელიც აუცილებელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის, და ქვეყანა აყვავებულ ბადად ვაქციოთ. განათლებულმა ადამიანმა გარჩევის ძალა უნდა გამოავლინოს ასეთ საკითხებზე და მოქმედების სწორი გზა ამოიჩიოს. არავითარი აღმოჩენა და გამოგონება არ უნდა ემსახურებოდეს ცუდ მიზნებს, რომლებსაც კატასტროფა და ნგრევა მოაქვს. განსხვავება გვიჩვენებს ამ აღმოჩენათა სწორი გამოყენების

გზას – სამშვიდობო წარმოების განმტკიცებისა და კაცობრიობის აყვავებისათვის.

სიბრძნით და გამჭრიახობით აღჭურვილ ადამიანს პატივს სცემენ და დააფასებენ მისი მატერიალური და სოციალური სტატუსის მიუხედავად. და პირიქით, ამ თვისებების არმქონე ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს სულიერ აყვავებას, გამოჩენილი ერუდიტი, ცნობილი მეცნიერი ან მულტიმილიონერიც თუა იგი. ადამიანს თუ სიბრძნე და გამჭრიახობა არა აქვს, იგი *დპარმასაც* კი ვერ განასხვავებს *ადპარმისგან*. ამიტომ ყოველმა სტუდენტმა უნდა განავითაროს ეს თვისებები, და არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით თეორიულ ცოდნაზე დიპლომის მიღებისთანავე. ამ ცოდნის გარდა, მისთვის აუცილებელია შორსმჭვრეტელობა და გამჭრიახობა, ამასთან ისინი საზოგადოების პროგრესისათვის უნდა გამოიყენოს.

სიბრძნესთან, გამჭრიახობასთან, გამოცდილებასთან ერთად ადამიანს უნდა გააჩნდეს ამაღლებული და ჯანსაღი შეხედულებები. წიგნებიდან ამ თვისებების მიღება ასევე შეუძლებელია. მათი დაუფლების საუკეთესო ხერხია რაც შეიძლება მეტი მოგზაურობა. სწორედ ამ მიზნით მიეშურებოდნენ ჩვენი წინაპრები სალოცავებში, რომ წმინდანი ადამიანები ენახათ წმინდა ადგილებში, დალაპარაკებოდნენ და მათს ფეხებს შეხებოდნენ. მოგზაურობის დროს ისინი უყურებდნენ მრავალფეროვან სამყაროს, ბუნების სილამაზეს, სცენებს ადამიანთა ცხოვრებიდან და ამ სანახაობებიდან მრავალ ძვირფას გაკვეთილს იღებდნენ. ბუნებაში მრავალი ობიექტია, ბევრ მნიშვნელოვან რამეს რომ გვასწავლის და სიბრძნეს შთაგვაგონებს. ჯანსაღი და ამაღლებული მსოფლშეგრძნობის განვითარება იმაში მდგომარეობს, რომ ქმნილების ამ ობიექტთა წარმოქმნა და ბუნება გავიგოთ და გავაცნობიეროთ.

ასევე აუცილებელია ისტორიის, კულტურისა და ცივილიზაციის მნიშვნელობის შეფასება და ადამიანებისთვის ამის ახსნა. მაგრამ ვისაც ასეთი ქადაგების სურვილი აქვს, მან უპირველეს ყოვლისა სულის ბუნება უნდა გამოიცნოს. არსებობს საერო ცოდნის ისეთი დარგები, როგორცაა ფიზიკა, მათემატიკა, მუსიკა, ლიტერატურა, ხელოვნება და ა.შ., მაგრამ ცოდნის ყველა ამ სფეროზე მაღლა

თვითშემეცნება დგას. თუ ის არ არის, მაშინ ამ სამყაროში მშვიდად ცხოვრება შეუძლებელია. თუ ამქვეყნად აღიარებას და სახელგანთქმულობას მიაღწიეთ, თქვენი თავის შესახებ ცოდნის გარეშე ბედნიერი ვერ იქნებით. „სულის ცოდნა“, „ღმერთის ცოდნა“, „სულიერი ცოდნა“ - ყველა ეს გამოსახვა აღნიშნავს სიბრძნეს, რომელიც სულისა და ღმერთის სრულ გაცნობიერებას იძლევა. **თავისი თავის** ცოდნა ის ცოდნაა, რომლის დაუფლების შემდეგაც ყოველივე დანარჩენს გაიგებთ. ადამიანს, რომელსაც **თავის თავზე** ცოდნა აქვს, დარწმუნებით შეიძლება ყოვლისმცოდნე ვუწოდოთ.

საერთო ცოდნას არ შეუძლია აბსოლუტური და ურღვევი სიმშვიდე მოგვცეს. მხოლოდ **საკუთარი თავის** ცოდნას შეუძლია დაგვეხმაროს მწუხარების ოკეანის გადაცურვაში. ამიტომ ამ თვითშემეცნებისკენ ყველა უნდა ისწრაფოდეს, მისი მიღწევა კი მხოლოდ გონების გაწმენდის დახმარებით შეიძლება. თავის მხრივ, გონების სიწმინდე მაშინ ვლინდება, როდესაც კეთილშობილი, წმინდა საქმეებით ხართ დაკავებულნი, ქველმოქმედებაში მონაწილეობთ, ხართ თანამგრძობნი და ღმერთის ერთგულნი. მოქმედება, რომელიც მთლიანად თავისუფალია ფიქრისგან შედეგზე, ღმერთსაა მიძღვნილი, გულს წმენდს. სიბრძნის მზე სუფთა გულში ამოდის, და ამ სიბრძნის განთიადი ადამიანს ღმერთის დონემდე ამაღლებს.

თუ ადამიანმა გადაწყვიტა ამ უმაღლეს ღვთაებრივ დონემდე ავიდეს, უპირველესი ნაბიჯია მისი საკუთარი ძალისხმევა. მეორე აუცილებელი პირობაა ღვთის წყალობა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სცადოს შეიცნოს **თავისი თავი** და წარმატებას მიაღწიოს. მამაკაცებს, ქალებს, მდიდრებს და საწყლებს, ყველას აქვს უფლება თავის შიგნით სულიერი სიბრძნის ცეცხლი დაანთოს. წოდებრივ და რელიგიურ განსხვავებებს, მრწამსთა სხვადასხვაობას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ არ გაქვთ უმაღლესი განათლება, ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თუ ამქვეყნიურ კანონებში არ ხართ გაწაფული. დიახ, თანამედროვე ადამიანისთვის არ არის ადვილი თვითშემეცნებამდე მისვლა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ

ძალიხმევაზე უარი თქვას და სევდას და სასოწარკვეთილებას მიეცეს.

ზოგიერთები სულიერ ცოდნას ეძებენ და საერო განათლებაზე უარს ამბობენ. შედეგად ერთსაც და მეორესაც ვერ იღებენ და ორ მიზანს შორის „კიდიან“. არ ღირს საერო განათლების იგნორირება. ყველაზე უკეთესია სულიერი ხედვის განვითარება და პარალელურად საერო სიბრძნის დაუფლება. ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობამ ყოველდღიურად უნდა გამოყოს დრო ღმერთზე მედიტაციისთვის.

ახალგაზრდები აქტიური მოღვაწეობით უნდა დაკავდნენ და შეძლებისდაგვარად შრომობდნენ ინდოეთის აღორძინებისთვის, ბედნიერებისა და მშვიდობისთვის მთელ დედამიწაზე. მათ უნდა ძალაუფლებისკენ სწრაფვაზე ხელი აიღონ. ყოველი სტუდენტის გულში უნდა დაისადგუროს კორუფციის და უზნეობის მოსპობის და დაუღალავი შრომის სურვილი. მათზეა დამოკიდებული დედა-ინდოეთის მომავალი, იგი მათ ელოდება. ყოველი ვაჟიშვილის და ყოველი ქალიშვილის ვალია თავის საკუთარ დედას დაეხმაროს და სიხარული მოუტანოს, ასევე ყოველი ვაჟიშვილის და ყოველი ქალიშვილის განუყოფელი ვალია ბედნიერი გახადოს დედა-ინდოეთი. მშობლიური ქვეყნის უანგარო მსახურება ნებისმიერი ცხოვების წმინდა მიზანია. ამ ვალდებულებას შეიძლება ვუწოდოთ მთავარი მდგენელი კეთილშობილი ხასიათისა, თავისი სამშობლოს ერთგულისა (*დეშა ნიტი*). ამიტომ თითოეულმა სტუდენტმა კარგად უნდა განამტკიცოს გონებაში ნაციონალური ერთიანობის ფართო პერსპექტივა. უხასიათო ადამიანს უნარი არ აქვს არც თავისი თავის ამაღლებისა, არც ქვეყნისთვის რაიმე სარგებლის მოტანისა.

თავგანწირვაც ხასიათის მნიშვნელოვანი თვისებაა. ყოველმა ახალგაზრდამ უნდა ჩაინერგოს ეს თვისება. ხშირად ფიქრობენ, რომ თავგანწირვა ქველმოქმედებისა და ფილანთროპიისაგან ყალიბდება. მაგრამ ქველმოქმედებასა და მსხვერპლის შეწირვას შორის უზარმაზარი განსხვავებაა. როდესაც გულმოწყალების აქტს ასრულებენ, ადამიანები თავისი ვეებერთელა საკუთრების მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს აძლევენ სხვებს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება მიწის

ნაკვეთებისა და საკვების დარიგება, ფიზიკური შრომით უზრუნველყოფა, მეცენატობა განათლების გავრცელებაში და ა.შ., მაგრამ ამასთან არც ერთი ადამიანი არ იძლევა ყველაფერს, რაც მას გააჩნია. ამასთან, თუ ადამიანი ქველმოქმედებაში არ მონაწილეობს, არ შეიძლება მას ბუნებით წუწურაქობა დაეწამოთ. ვიღაც ერთი საფეხურით მაღლა იწევს და თავისთვის მხოლოდ იმას იტოვებს, რაც საარსებოდაა საჭირო, დანარჩენს საზოგადოებას აძლევს. ასეთი ადამიანები უდიდესი აღიარებით სარგებლობენ. ჩვენი წმინდა ტექსტები გვიწესებენ, რომ საკუთრების ნაწილი საწყლებს და უმწეოებს უნდა მივცეთ. არ გვმართებს ამ დარიგებათა უგულვებლყოფა და ასიათასობით რუპიის დაგროვება, და ეგოიზმის, უპატიოსნობის, ხარბი მომხვეჭელის გულქვაობის დემონსტრირება. ასეთი კრიჟანი გარდაუვალად უბედურების მსხვერპლი ხდება და ადრე თუ გვიან დევრადაციას განიცდის.

უპატიოსნო მეთოდებით დაგროვილი სიმდიდრე საწყლების უმოწყალო ექსპლუატაციის შედეგია. ახალგაზრდები არ უნდა ხდებოდნენ მსგავსი ჩვეულებრივი წესების მონები და ურიგდებოდნენ ექსპლუატაციას როგორც ცხოვრების ნორმალურ მოვლენას. ღმერთიც კი არ აპატიებს ასეთ ეგოისტურ ექსპლუატატორებს. ვინც სიმდიდრეს აგროვებს, არ სარგებლობს და სხვებსაც არ უყოფს, იგი დაწყევლილ იქნება სიკვდილის შემდეგ. მისი შთამომავლობაც დაწყევლილი იქნება.

დაგროვილ სიმდიდრეს ოთხი მემკვიდრე ჰყავს. პირველია ქველმოქმედება, მეორე – მეფე. მესამე მემკვიდრეა ცეცხლი და მეოთხე – მძარცველი. პირველი პრეტენდენტია ქველმოქმედება, მთავარი წილი მას ერგება. სტუდენტებმა ამ გამონათქვამის ღრმა აზრი უნდა გაიგონ და მათ ხელში აღმოჩენილი სიმდიდრე კაცობრიობის სასიკეთოდ გამოიყენონ.

მსხვერპლის შეწირვა უმაღლესი საფეხურია. ვისაც მსხვერპლის შეწირვის ჭეშმარიტი სულისკვეთება აქვს, იგი ყველაზე უფრო ძვირფასს და ღირებულს აძლევს სხვებს მერყეობისა და ყოველგვარი პირობის გარეშე, ხალხით და სიხარულით. ნამდვილი მსხვერპლი მოქმედებათა ნაყოფის ღმერთისთვის მიძღვნაა. შემწირველი (ტიაგი) ერთ წამსაც არ

დაეჭვდება, თავის სხეულზე უარის თქმაც თუ დასჭირდა, უსარგებლო წვრილმანად ჩათვლის მას. მსხვერპლის შეწირვა გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მატერიალური სიკეთის, ფულის, ოქროს დარიგება. ცუდ თვისებებზე უარის თქმაა საჭირო, რომლებიც ადამიანში მრავალი ცხოვრების დროსაა ჩანერგილი, ისეთებზე, როგორიცაა სიძულვილი, შური, მრისხანება. არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, მსხვერპლი რომ იძლევა. ვინც მსხვერპლს წირავს, მხოლოდ ისაა უკვდავების შვილი, რადგან იგი მარად ცოცხლობს.

ჩვენს ეპოსს და თქმულებებს რომ ვსწავლობთ, მრავალრიცხოვან პერსონაჟებს ვხვდებით, რომლებშიც მსხვერპლის შეწირვის ეს სულისკვეთებაა განხორციელებული. ამ ბრწყინვალე „სიას“ მიეკუთვნებიან მეფეები სიბი და ბალი, გმირები დადიჩი და კარნა. დღეს ჩვენთვის აუცილებელია პოლიტიკური მოღვაწენიც და სტუდენტებიც, რომლებიც მსხვერპლის შეწირვის სულისკვეთებით არიან შთაგონებულნი. მათ უნდა დაივიწყონ თავკერძობა, ეგოიზმი გაანადგურონ, ძალაუფლების სურვილს მოუღონ ბოლო, გონებაში ყველა წვრილმანი იდეა ამოძირკონ და საკუთარი თავი სამართლიანობას და საზოგადოების სასიკეთოდ მუშაობას მიუძღვნან.

სამწუხაროდ, სიტყვები თავის მნიშვნელობას კარგავს. მსხვერპლის შეწირვამ, სამართლიანობამ, მართლქმედებამ, მსახურებამ აზრი დაკარგა და ბიზნესის დონემდე დავიდა. ანგარება საშიშ ზომებს იღებს და ცეკვავს როგორც დემონი-კაციჭამია სტუდენტებს, პოლიტიკოსებს, განათლების მუშაკებს შორის. ადამიანთა გონებაში ძალაუფლებისა და მაღალი მდგომარეობის წყურვილი ჭარბობს. ჩვენი ქვეყანა, რომელიც ოდესღაც განთქმული იყო როგორც მსხვერპლის შეწირვის, უანგარო მოქმედებების, მონანიების მიწა, წარმატალ გართობათა არენად იქცა. ამ მიზეზით განიცდის იგი ასე მრავლად უბედურებებს და ეპიდემიებისაგან იტანჯება.

ასეთ ვითარებას უნდა ბოლო მოეღოს, უკეთესობისკენ შემოვაბრუნოთ იგი. და მაშინ დაბრუნდება ჩვენი ისტორიული წარსული და ყოფილი დიდება აღდგება. სტუდენტებო! თქვენი გარემოდან ათასობით ადამიანი უნდა იშვას, რომლებიც თავგანწირვისთვის იქნებიან მზად. ყოველი ახალგაზრდა

ინდოელი თავგანწირვის სულისკვეთებით კვლავ უნდა შეივსოს.

მსხვერპლი ნებისმიერ სიამოვნებაზე უფრო ტკბილია. იგი ცხოვრების მიზანი უნდა გახდეს. მხოლოდ თვითშეწირვის მეშვეობით შეიძლება სიმშვიდის დაუფლება. მწუხარება არ მიგვატოვებს, სანამ გონება თავის თავთან მშვიდად არ იქნება. სევდა ყოველთვის ჩვენთან რჩება. თუ სულში სიმშვიდე არ არის, ყველაზე უფრო დიდი სიმდიდრეც კი უსარგებლო იქნება. მოქმედებათა შედეგების აუღელვებელი გონებით ღმერთისთვის მიბარებას სრული უფლებით შეგვიძლია მსხვერპლად შეწირვა ვუწოდოთ. მხოლოდ გონების სიწმინდეს შეუძლია მოგცეთ დამშვიდება. უპანიშადები ხმამაღლა აცხადებენ, რომ მხოლოდ მსხვერპლს შეუძლია უკვდავებასთან მიყვანა. მსხვერპლის შეწირვა გულით სუფთა ადამიანის ძირითადი თვისებაა. ასე რომ თითოეული სტუდენტი უნდა განიმსჭვალოს მსხვერპლის სულისკვეთებით და ავლენდეს მას. არ შეიძლება, რომ ის ამქვეყნიური სიამოვნებების ავადმყოფობას ემორჩილებოდეს.

სამწუხაროდ, ამჟამად ფართოდ გავრცელდა აზრი, რომ განათლება მხოლოდ საუშაოს მიღებისთვისაა საჭირო, და არა გონების განათებისთვის. ეს ძალიან სამწუხაროა. სიბრძნე გონების განათებაა, და განათლების მიზანია ის, რომ სიბრძნის სინათლეს ასხივებდეთ. ასეთი სიბრძნე ადამიანს ნამდვილ ძალაუფლებას აძლევს. სიბრძნე საშუალებას გვაძლევს გამოვიცნოთ ობიექტებისა და ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, ვხედავდეთ მთელ მათს წინაისტორიას და წარსულ მიზეზობრივ კავშირებს.

როგორ უნდა მიიღოს ადამიანმა გონების განათების ასეთი წყალობა? მას რომ დაეუფლოს, უნდა უსმენდეს და ყურადღებით სწავლობდეს ისეთ დიად წიგნებს, როგორცაა ვედები, ვედანტა, უპანიშადები, ყურანი, გრანტ სახები, დიდ პიროვნებათა ცხოვრების აღწერა, აგრეთვე შრომები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებზე და ფსიქოლოგიაზე. მათი წაკითხვისას არა მხოლოდ სიბრძნეს მიიღებთ, არამედ ისწავლით გარჩევას და ლოგიკურ აზროვნებას. მაგრამ არ შეიძლება მთლიანად წმინდა

ტექსტებიდან მიღებულ ცოდნას დაეყრდნოთ – ჯობია გამოცდილებაში მიღებულ სიბრძნეს დაენდოთ.

განათლების ფორმაც და შინაარსიც უნდა შეიცვალოს. 1972 წელს სტოკჰოლმის უნივერსიტეტიდან პროფესორი გუნარ მირდალი ესტუმრა დელის და თქვა: „ინდოეთში განათლების სისტემა არაპროგრესულია. იგი ყოველნაირად ხელს უწყობს აზიზმაზიზების აღზრდას“. ახლა ყველა ინდოელს, განსაკუთრებით სტუდენტებს, ამ სიტყვებზე დაფიქრება მართებთ. პროფესორის შენიშვნა ავლენს ჩვენი სტუდენტების მიდრეკილებას ეწეოდნენ კომფორტულ ცხოვრებას ვენტილატორის სიგრილეში, ისვენებდნენ აპარტამენტებში კონდიციონერით და ყოველნაირად გაურბოდნენ ფიზიკურ შრომას თავისი დაძაბულობითა და სიმძიმით, ოფლით და ჭუჭყით, და არ დაუშვან, რომ მათი სათუთად დაუთოებელი ტანსაცმლის ერთი ნაკეცი მაინც იყოს დაჭმუჭნილი.

მსგავსი დამოკიდებულება უსასრულოდ შორს არის თავმდაბლობისა და დამჯერობის იდეალებიდან, რომლებსაც ჭეშმარიტი განათლება შთააგონებს. სტუდენტები ვალდებულნი არიან მათს გარემოცვაში მყოფ ადამიანებამდე მიიტანონ განათლების პროცესში გამჯდარი წმინდა იდეალები. ახალგაზრდა ვეფხვის ენერგიით ისინი სოფლებში უნდა მიისწრაფოდნენ და დაგროვილი ჭუჭყისგან ასუფთავებდნენ მათ. უნდა ასწავლონ და აღზარდონ წერა-კითხვის უცოდინარი სოფლის მცხოვრებლები, აჩვენონ, როგორ იცხოვრონ ღირსეული და კულტურული ცხოვრებით, წინ წაიყვანონ ისინი, მათ გვერდიგვერდ ერთიანი ძალით იშრომონ. სტუდენტის ცხოვრება უმწიკვლო ნიმუში უნდა იყოს სხვებისთვის, რომ საზოგადოებას შეეძლოს გაჰყვეს მათ მიერ შეთვისებულ მაღალ იდეალებს.

მარადიული ჭეშმარიტებები

ველა ყველა საღვთო წერილის (*შასტრების*) დედაა. ველა წარმოიშვა თვით ღმერთისგან როგორც მისი ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა. დიდმა ბრძენებმა, რომლებიც ხანგრძლივი მოღვაწეობით დაუფლებულ ფასდაუდებელ ღირსებებს ნერგავდნენ, ველა ბგერათა სერიების სახით „მიიღეს“ და მთელ ქვეყნიერებაში გაავრცელეს ზეპირი ფორმით, ანუ გადასცემდნენ მასწავლებლიდან მოსწავლეზე. რამდენადაც ველა „გაგონილ“ და შენარჩუნებულ იქნა მრავალ თაობათა რიგში, იგი ცნობილია როგორც **შრუტი** - „ის, რაც გაგონილ იქნა, აღქმულ იქნა სმენით“. ველას დასასრული არა აქვს. ვინ შეადგინა ვედები? აქამდე არ ყოფილა შესაძლებელი მათი სახელების გამხელა. იმათ, ვინც ვედებს წარმოთქვამდა, როგორც ჩანს, არავითარი სახელოვნება არ სურდათ, რამდენადაც თვით ვედებში ვერ ვიპოვით მათ სახელებს. როგორც ჩანს, ისინი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ თავის სახელებს, კლანებს, სარწმუნეობებს, შესაძლოა, მათ არ ჰყავდათ არც ნათესავეები, არც ახლობლები და ისინი არავითარ კლანში არ შედიოდნენ. ვინც არ უნდა ყოფილიყო „ის“ ან „ისინი“, წმინდანი ადამიანები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი ყველა ცონას ფლობდნენ, რადგან ვედებისთვის დამახასიათებელი ერთიანობისა და აუღელვებლობის სულისკვეთება მხოლოდ ასეთი ბრძენი არსებების თვისებას წარმოადგენს. ამიტომ ყველაზე უფრო სწორი იქნება ვაღიაროთ, რომ ველა შეიძლება ქვეყნიერებისთვის მიცემული ყოფილიყო მხოლოდ იმ პირების მიერ, რომლებსაც სრული ძლევამოსილება ჰქონდათ მინიჭებული.

სიტყვა ველა წარმოიშობა ფესვიდან *ვიდ*, რომელიც ნიშნავს „ცოდნას“. „ის, რაც მთელ ცოდნას ხსნის და ნათელს ჰფენს, ველაა“. ველას ვერ ჩასწვდება ვერც შეზღუდული გონება, ვერც შეზღუდული გამოცდილება. წმინდა ველა ადამიანებს ასწავლის, რა არის საჭირო პირადად მათი სულიერი წინსვლისთვის. იგი ყველა გასაჭირისა და მწუხარების გადალახვის გზებსა და ხერხებს აღწერს. იგი

ხელმძღვანელობას იძლევა ყველა სულიერ დისციპლინაზე, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანს ურღვევი სიმშვიდე მისცენ. არავის გამოსვლია ზუსტად განესაზღვრა, სად იწყება და სად მთავრდება ვედა. ამიტომ იგი განდიდებულია როგორც *ანადი* (დაუწყებელი) და *სანატანა* (მარადიული). რამდენადაც მისი სათავე და დაბოლოება უცნობია, იგი არის *ნიტია*, მარად მიმდინარე. ადამიანურ არსებათა გონება დალაქავებულია, მაგრამ რამდენადაც ვედაში უსუფთაობის კვალიც კი არ არის, დასკვნა გაკეთდა, რომ იგი არ შეიძლება ადამიანის შექმნილი იყოს. ამიტომ ვედა ასევე აღიწერება როგორც უპიროვნო (ავტორად ადამიანის არმყოფი) – *აპურუშეია*.

ვედას საკუთარი ავტორიტეტი აქვს. მისი ყოველი ბგერა წმინდაა, რამდენადაც იგი ვედას ნაწილია. ეს შეუძლია ნებისმიერმა გამოსცადოს პირადად, ვისაც ვედას და მისი უღაგო ავტორიტეტის სჯერა. დიდი ბრძენები მდიდარნი იყვნენ ამ გამოცდილებით და სახელს უთქვამდნენ ვედას როგორც სიბრძნის წყაროს. მათი გამოცდილება არ არის შეზღუდული არც დროით, არც სივრცით. მათი განცდების ღირებულება და უტყუარობა შეიძლება აღიარებულ იქნას არა მხოლოდ ინდოელების, არამედ ყველა ქვეყნის ადამიანთა მიერ. შეიძლება დავამტკიცოთ, რომ მათ ფუძემდებლური ჭეშმარიტებები განამტკიცეს.

ჩვენ არ ვიცით, როდის გაჩნდა ვედების რელიგია; ყველა დანარჩენი მოგვიანებით აღმოცენდა. ამაშია განსხვავება. ამიტომ ის, ვინც მიზნად დაისახა აბსოლუტურს ჩასწვდეს, წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ უნარსა და ძალას გამოიყენებს. ადამიანურ გონებას შეუძლია მხოლოდ გარკვეულ ზღვრებში იმოქმედოს. მართალია, გონება გრძნობათა ორგანოების არეს (*ბუდჰივრაჰიამ ატინდრიიამ*) აღემატება, მაგრამ ვედა გონების შესაძლებლობათა ზღვრებს მიღმა იმყოფება. გონებას ზღვრები გააჩნია. მას შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ფაქტებით, რომლებიც გრძნობათა ორგანოების მიერაა აღმოჩენილი, და მათთან დაკავშირებული განცდებით. იგი მოქმედებს მხოლოდ ხილულ, „სასიცოცხლო“ სფეროში.

დედა-ვედამ სიკეთე გამოავლინა თავისი შვილების – ადამიანის მოდგმის – მიმართ. ამ უკანასკნელის იდუმალი

მისწრაფებების კურთხევისათვის, მისი ამაღლებისათვის მან შემოგვთავაზა დროის კონცეფცია მისი მდგენლებით – წლებით, თვეებით, დღეებით, საათებით, წუთებით, წამებით. ღმერთებსაც კი მოუხდათ დროის მსვლელობისადმი დამორჩილება. ინდივიდუუმი, ჯიჯა, დრო-სივრცის ბორბალზეა მიჯაჭვული, ბრუნავს მასში და გადარჩენის ხერხებს არ ფლობს. მაგრამ სინამდვილეში არც სივრცეა მისი მბრძანებელი, არც დრო! ვედამ თავის თავზე აიღო ამოცანა აცნობოს მას ამ ჭეშმარიტების შესახებ და აზროვნების სიმწირისაგან იხსნას იგი. დედა-ვედა თანამგრძნობია. იგი ოცნებობს თავისი შვილები ეჭვებისა და დაუკმაყოფილებლობისაგან გაათავისუფლოს. მას არ აქვს სურვილი მათი გონებები ააფორიაქოს ან ააღელვოს. ბრძენებისთვის ეს კარგადაა ცნობილი.

ჩვენთვის უცნობია, რა დროიდან არსებობს დედამიწის მიზიდულობა. იგი დედამიწის შექმნასთან ერთად გაჩნდა. დედამიწა და მიზიდულობის ძალა განუყოფელია, შეუძლებელია მათი განცალკევება. და ძალიან დიდი სისულელე იქნებოდა გრავიტაციის არსებობის უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც მას ვერ ამჩნევს ან არ შეუძლია დაინახოს როგორც ასეთი. მაგრამ არსი იმაში მდგომარეობს, რომ როცა არავინ იცოდა კიდევ ამ სამყაროებრივი ძალის არსებობის შესახებ, იგი დედამიწასთან ერთად არსებობდა. იგი ყველა დროში მუშაობდა, თუმცა ადამიანს ფიქრადაც არ მოსვლია ეს. ბოლოს და ბოლოს, შეისწავლა რა რიგი კანონებისა და ექსპერიმენტთა სერია ჩაატარა, დასავლელმა მეცნიერმა, ნიუტონმა, განაცხადა, რომ დედამიწას მიზიდულობის ძალა აქვს. ამ დროიდან მსოფლიომ მიიღო ეს მტკიცება და დაიჯერა, რომ იგი ჭეშმარიტია. მაგრამ ძალა მუდამ მუშაობდა, მანამდე, სანამ ამის შესახებ ნიუტონი გამოაცხადებდა. მან უცაბედად არ დაიწყო მოქმედება, როცა მისი არსებობა ექსპერიმენტმა აჩვენა.

ვედები მარადიული ჭეშმარიტებებია. ისინი არსებობდა მანამდე, სანამ ამ ქვეყნის ადამიანები აღმოაჩენდნენ მათ, პრაქტიკაში გამოიყენებდნენ და გამოცდილებაში შეიგრძნობდნენ. ისევე, როგორც დასავლელმა ფიზიკოსებმა გამოაცხადეს გრავიტაციის არსებობის შესახებ ექსპერიმენტთა

სერიების შემდეგ, ამ მიწა-წყლის უძველესმა ადამიანებმა ვედების უდავო სინამდვილის დემონსტრირება მოახდინეს საკუთარი გამოცდილების დახმარებით. გრავიტაციის მსგავსად ვედაც კარგა ხნით უფრო ადრე არსებობდა, სანამ მას აღმოაჩენდნენ და პრაქტიკაში დანერგავდნენ. ნიუტონის გრავიტაციის კანონები მთელი მსოფლიოსთვის სასარგებლო აღმოჩნდა. ისინი ასახავს საყოველთაო მოვლენებს, რომლებიც ყველა ადგილისა და დროისთვისაა დამახასიათებელი. გრავიტაცია არა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებში მოქმედებს. ასევე ვედაც – ჭეშმარიტება არა მხოლოდ ბჰარატისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვისაა დედამიწაზე.

არასწორია იმის მტკიცება, თითქოს ბჰარატა, ანუ ინდოეთი, ვედების სამშობლოა. უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მათი აღმოჩენა ბჰარატას მცხოვრებთა მიერ მოხდა. კითხვა, ერთ ადგილზე მომხდარი მოვლენა რატომ სხვა ადგილას არ მოხდა, მხოლოდ არეუ-დარევას მოწმობს გონებაში. რა, როდის და სად მოხდება, ამას ღვთაებრივი ავტორი წყვეტს. ისე ხდება, როგორც ის წყვეტს. ვედების აღმოჩენისა და გავრცელებისთვის ატმოსფერო ინდოეთში სათანადო იყო. ვედები ამ მიწა-წყლის წმინდა ბრძენთა გულებამდე იქნა მიზიდული, ღვთისმოსავ მოქმედებათა, ანუ *კარმების* მიწა-წყლისა (*კარმა-ბჰუმი*), *იოგას* მიწა-წყლისა (*იოგა-ბჰუმი*), განდგომის მიწა-წყლისა (*ტიაგა-ბჰუმი*). სხვა ქვეყნებში იდეალი წუთისოფლის კეთილდღეობა (*ბჰოგა*) იყო, და ატმოსფერო იქ მატერიალური მისწრაფებებითა და მიღწევებით იყო გაჯერებული. ამიტომ ამ ქვეყნების მცხოვრებთათვის ადვილი არ იქნებოდა ვედების გზავნილთა გაგება. რამდენადაც ინდოეთში ადამიანები წუთისოფლის მიზნების გარდა სულიერი ძიებითაც იყვნენ სერიოზულად დაკავებული, მათ უდიდესი წარმატება ხვდათ წილად – აქ განხორციელდა დედა-ვედა, ვედა-მატა.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ვედა-მატამ სხვა მიწა-წყალი არ აკურთხა ან იქ არ იმყოფება. იგი არის როგორც მიზიდულობის ძალა, რომელიც ყველგან იმყოფება. ვედა ყველგან მყოფია. ბჰარატის დიდმა ბრძენმა-გმირებმა უნარი შეიძინეს მიეღოთ ვედების გზავნილი სულიერი მოღვაწეობის შედეგად – განდგომისა და თავგანწირვის შედეგად, აგრეთვე

კონცენტრაციის უნართ მიღებული ნეტარების განცდის წყალობით. ისინი იმდენად უანგარონი, თანაგრძობითა და სიყვარულით აღვსილნი იყვნენ, რომ უზიარებდნენ ყველას, ვინც კი მათთან მიდიოდნენ, ყოველივე იმას, რაც კი გაეგოთ და რითაც ტკებოდნენ. ამიტომ უწოდეს მათ სახელი „მანტრას მხილველნი“, *მანტრა-დრიშტა*. მათი მოსწავლეების გრძელი მწკრივის მეშვეობით გზავნილი საუკუნიდან საუკუნეში გადადიოდა და მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდა. როგორც დაუსრულებელი ნაკადი, იდუმალი ვედა ბრძენ-ნათელმხილველთა (*დრიშტების*) შინაგან მზერას ეხსნებოდა. ბჰარატელები, ამ მიწა-წყლის ადამიანები, მშვენივრად აცნობიერებენ თავიანთ ვალაუვალობას მათ წინაშე.

ინდოეთის კანონიკური ტექსტები – ვედები, ვედანგები, სმრიტები, პურანები და იტიჰასები – უღრმესი სიბრძნის საცავია. ამ საღვთო წერილებიდან თითოეული წერილი ტკბილი ნოყიერი რძის ოკეანეა. ყოველი მათგანი წმინდა და გამწმენდია. ოკეანის წყალი ვერასოდეს შემცირდება, რამდენი ტუმბოც არ უნდა მიუდგათ ამოსაქაჩად. წყლის უზარმაზარი რაოდენობა მზის ცხელი სხივებით ორთქლად იქცევა, ორთქლი ღრუბლებად სქელდება და წვიმის სახით მიწაზე ბრუნდება. წვიმა მოსავლის მოყვანაში გვეხმარება და მიწას მწვანე ბაღნარად აქცევს. სასწაული იმაშია, რომ მძლავრი აორთქლებისა და კოკისპირული წვიმების მიუხედავად, ოკეანის დონე არცერთი დუიმით არ იცვლება. უფრო მეტიც, ათასობით მდინარის წყალი ზღვებში ჩაედინება, მაგრამ წყლის დონე მაინც უცვლელი რჩება. ამის მსგავსად ადამიანები, რომლებმაც საღვთო წერილების თავიანთი ცოდნა მათი ღირებულებების გაცნობიერებით შეივსეს, და ამ ცოდნას მათი გაკვეთილების პრაქტიკაში დანერგვის დახმარებით დაეუფლნენ, არ რეაგირებენ არც კიცხვაზე, არც ქებაზე, ვისგანაც და რა მასშტაბითაც არ უნდა მოდიოდეს. მათი გულები სუფთა, ხელშეუხებელი და მშვიდი რჩება. ინდოეთის საღვთო წერილები ციხე-სიმაგრეა, რომელიც ამ უაღრესად მნიშვნელოვან გაკვეთილებს იცავს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაკვეთილების შეთვისების ხარისხი პირდაპირაა დამოკიდებული მოთმინებაზე და ინტელექტუალურ უნარზე. როდესაც ტექსტებს შეისწავლის

და მათი გაკვეთილების ცხოვრებაში გამოყენების გამოცდილებას მიიღებს, ადამიანს შეუძლია სინათლე და სიხარული სხვებს გაუზიაროს. ინდოეთის საღვთო წერილები დაუინებით მოითხოვენ „თეორიების“ პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობას და ჭეშმარიტებების მტკიცების აუცილებლობას, მათი ზემოქმედების გამოცდილებაში განცდისას.

თუ ადამიანს სურს ნათლად გაიგოს ინდოეთის საღვთო წერილების წმინდა ტექსტები, მათი გზავნილი შეითვისოს, მან სანსკრიტი უნდა შეისწავლოს. ამ ვალს და ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. სანსკრიტის თვით ხსენება მაშინვე ავლენს, როგორი წინასწარშექმნილი ცუდი აზრითაა განწყობილი მის მიმართ მრავალი ჩვენგანი. „ეს გადაშენებადი კულტურის მკვდარი ენაა. მას მხარს უჭერს მხოლოდ ძველმოდურ კონსერვატორთა ფანატიკური მიბმულობა“ - აცხადებენ ჩვენი თანამედროვე-მოდერნისტები. ისინი თავს ესხმიან ამ ენას როგორც იმას, რაც მხოლოდ უაზრო ფორმულებში, ცხოვრებიდან უცებ გამქრობ რიტუალებში და ცერემონიებში, საქორწინო წეს-ჩვეულებებსა და სხვა უსარგებლო პროცედურებში გამოკრთება. ითვლება, რომ ძალიან ძნელია სანსკრიტის შესწავლა. ასეთი შეხედულებები ღრმად არის გამჯდარი თანამედროვე ადამიანთა გონებებში. მაგრამ ეს აზრები ზედაპირული და მცდარია, და ადამიანის გონება მათგან უნდა გაიწმინდოს.

სანსკრიტი უკვდავი ენაა. მისი ხმა მარადიულია. მისი მოწოდება საუკუნეებს გადალახავს. მასში აღბეჭდილია მსოფლიოს ყველა ენის დამკავებელი საფუძველი. პატივი ეცით სანსკრიტს როგორც ენების დედას. მხედველობიდან არ გამოგეპაროთ მისი სიღიადე, ნუ ილაპარაკებთ უპატივცემულოდ მის შესახებ. თუ ვედების მიერ შემოთავაზებული ნექტრის დაღვევა გწყურიათ, სანსკრიტი უნდა შეისწავლოთ. ვედების განმარტებისათვის, მათი საიდუმლოებებისა და შინაგანი აზრის ახსნისათვის, ბრძენებმა დაგვიტოვეს თანმხლები ტექსტები მრავალ მეცნიერებაზე – გრამატიკაზე, პოეტიკაზე, ფილოსოფიაზე, ასტროლოგიაზე. მათი გამოკვლევები და თხზულებები ცოდნის მრავალფეროვან სფეროებს მოიცავს – ასტრონომიას, გეოგრაფიას,

იურისპრუდენციას, ეთიკას, ეპისტემოლოგიას, მუსიკას, ფსიქოლოგიას, რიტორიკას. დასავლელი მეცნიერები აღტაცებას ვერ მაღავენ თავისი აღმოჩენებისა და მათ მიერ გახსნილი ჭეშმარიტებების გამო – როგორც ასტრონომიის სფეროში, ასევე სხვა მეცნიერებებში. მათ წარმატებით გამოიყენეს ის გასაღებები, რომლებიც ბრძენებმა დატოვეს, და ახლა, ამ ძველი წინასწარმჭერეტებით აღფრთოვანებულნი, კვლევებს განაგრძობენ. მათ აღიარეს, რომ ასტრონომიის ცოდნაში ინდოელი რიშები ბერძნებზე გაცილებით უფრო წინ წავიდნენ.

ვედებში და მათ მიერ წარმოშობილ დამატებით ნაწარმოებებში ვპოულობთ ამ რიშების მიერ გახსნილ მრავალ ბუნების კანონს, რომლებიც თანამედროვე მეცნიერებამ გამოაცხადა როგორც რევოლუციური თეორიები, მაგალითად ატომის არსებობისა და ატომური ენერჯის საშიშფეთქებადი თვისებების შესახებ. ადჰარვა-ვედას შესწავლის დროს დასავლელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მისი მრავალი განყოფილება მსგავსი მნიშვნელოვანი ცნობების უმდიდრესი საბადოა. გერმანიაში გაიხსნა სპეციალური ინსტიტუტები და უნივერსიტეტები მრავალტონიანი „ნაადის ტექსტების“ გასაშიფრავად. „ნაადის ტექსტები“ უძველესი მანუსკრიპტებია სანსკრიტულ ენაზე, რომლებიც პალმის ფურცლებზეა დაწერილი და მოიცავს ჰოროსკოპებს, ცნობებს ასტრონომიის, მედიცინის, ქიმიის, ტოქსიკოლოგიის, მათემატიკის და ა.შ. შესახებ. გერმანელი მეცნიერები სანსკრიტს სწავლობენ, ასე რომ ამ სამუშაომ შეიძლება წინ წაიწიოს. ამერიკაში, რუსეთში და ავღანეთშიც კი უნივერსიტეტები არა მხოლოდ თვითონ არიან მზად სანსკრიტი შეიტანონ როგორც შესწავლის საგანი, არამედ ამის შესახებ მათ დაჟინებით სთხოვენ მეცნიერები. საზღვარგარეთელი ადამიანები ამ ტექსტებს ინდოეთიდან ისე ეპყრობიან, როგორც წარმატების თილისმას გამოკვლევებში.

წარსულში ინდოელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მეცნიერებას *იოგას* შესახებ. ახლაც კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეს მეცნიერება შეისწავლება და პრაქტიკაში გამოიყენება. *იოგური ასანების* (პოზების) შესწავლის მრავალი ჯგუფი არსებობს ამერიკაში და რუსეთში. თუმცა თვით

ინდოეთში, *იოგას* ან მედიტაციის წარმოების ხსენების დროს, ადამიანები ჩვეულებრივად გამოთქვამენ აზრს, რომ ეს არის სულიერი გზა, რომელიც განეკუთვნება აზრის ვედანტურ სკოლას. როგორც კი ლაპარაკი *იოგას* შეეხება, მრავალნი, ყურს მოკრავენ თუ არა ამ სიტყვას, წარმოიდგენენ ნარინჯისფერ სამოსში გამოწყობილ მარტოხელა განდევილებს, რომლებიც დაბურულ ტყეში სხედან და ხილით, ბოლქვებითა და ფესურებით იკვებებიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ *იოგა-სადჰანა* უძველესი მოძველებული პრაქტიკაა, რომელსაც უსახლკარო ასკეტები იყენებენ. ეს უმეცრული მსჯელობაა. იგი სრულიად არასწორია. დღეს მეცნიერებით *იოგას* შესახებ ინტერესდებიან ექიმები და სხვა სპეციალისტები დასავლეთის ქვეყნებში.

ჩვენს ტექნიკურ ხანაში სულ უფრო ძნელი ხდება მშვიდი ცხოვრება. ადამიანებს ყოველგვარი გონებრივი აშლილობა იპყრობს. ყველაზე უფრო ცივილიზებულ ქვეყნებში – ამერიკაში, ინგლისში – ადამიანებს დაავიწყდათ, რა არის ბუნებრივი ღამის ძილის სიხარული. მათი ძილი ხელოვნურია, რომელიც გამოწვეულია ძილის მომგვრელი ტაბლეტების მოქმედებით. გვერდითი ეფექტის შედეგად ამ და მრავალი სხვა წამლებისა, რომლებსაც სხვადასხვა სნეულების საწინააღმდეგოდ იღებენ, სულ უფრო მეტად იტანჯებიან გულის უკმარისობით და წნევის აშლილობით. ბოლოს და ბოლოს ისინი ავადმყოფ ბესრეკებად იქცევიან. მათი ცხოვრება ხელოვნურად ნარჩუნდება, ისინი მუდამ შიშის ქვეშ და მღელვარებაში იმყოფებიან, არა აქვთ როგორც ფიზიკური კეთილდღეობა, ასევე სულიერი წონასწორობა. არ იციან, რა არის სიმშვიდე. შინაური წამლები, აბები, კაფსულები, ტაბლეტები მილიონობით იწარმოება, მაგრამ ადამიანთა ჯანმრთელობა ამასთან არ უკეთესდება. პირიქით, ავადმყოფობათა ახალი ნაირსახეობები ჩნდება და სწრაფად ვრცელდება. დასავლეთში ზოგიერთები იწყებენ გაცნობიერებას, რომ ერთადერთი გამოსავალი *იოგაა*. ისინი ამ დასკვნას ექსპერიმენტების დახმარებით ამტკიცებენ, *იოგას* მიმართავენ და მისი დიდი იმედი აქვთ.

ვედები ყველაზე უფრო ძველი ლიტერატურული ნაწარმოებია, რომლებიც ადამიანმა ჩაიწერა. ამჟამად

„ლიტერატურას“ ჩვეულებრივად უწოდებენ სწრაფად მონახაზ თხზულებებს, რაც ყოველთვის ხელთ აქვს ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს თავისუფალი დრო რაღაცით შეავსოს. მათში არც აზრია, არც შინაგანი ღირებულება. ეს თხზულებები ხასიათის ჯანსაღი თვისებების ჩანასახს შლის და მკითხველს ცუდ შეხედულებებსა და მავნე ჩვევებს უნერგავს. მათი ავტორები არ ზრუნავენ ჭეშმარიტების გზაზე. მაგრამ სიტყვა „ლიტერატურა“ არ მიესადაგება პროზას ან პოეზიას, სადაც ერთი მონაგონი მეორეს ეხვევა. იგი ინდივიდუუმის ამბიციური ფანტაზიის ნაყოფი არ უნდა იყოს.

ვედები სულია, რომელიც ბჰარატის სულიერ ცხოვრებას კვებავს. ისინი სუნთქვან, რომელიც ადამიანს სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს. მათ გააჩნიათ ღვთაებრივი, თავისი ზემოქმედებით გასაოცარი, ძლევამოსილება. ისინი დამუხტულია *მანტრების* ვიბრაციებით, რომელთა შეგრძნება შეუძლიათ იმათ, ვინც მათი შესწავლის პროცესს მეცნიერულად უდგება. მათ ასევე შეუძლიათ შეგვიძინონ ძალები, რომლებიც ტანტრული პრაქტიკის სიმბოლოებიდან და ფორმულებიდან გამოდის. „ტანტრა“ *მანტრების* გამოყენების მეთოდები და ხერხებია საკუთარი სიკეთისათვის. ადამიანს მხოლოდ ფიზიკური და მატერიალური ძალა აქვს. მგრამ მისი *კარმა* (მოქმედებათა შედეგები) წმინდა და სუფთა ხდება მაშინ, როდესაც ცხოვრების „მექანიკა“ (*იანტრა*) იმართება *მანტრათი* და *ტანტრათი*. ამ პრაქტიკის ტექნიკა გადმოცემულია ვედების განყოფილებაში *კარმის* შესახებ (კარმა-კანდაში). ძველმა ბრძენებმა შეიტყეს ამის შესახებ და ეს ცოდნა კაცობრიობისთვის ოთხ ველაში შემოინახეს.

ადამიანებს, რომლებიც თავს სიამაყით თანამედროვეებად აცხადებენ, არ შეუძლიათ ეს ჭეშმარიტებები გაიგონ. ისინი ამბობენ, რომ ვედები ლექსებისა და შელოცვებისაგან შედგება, რომლებსაც თითქოსდა უხუცესები ზუთხავენ და იმეორებენ. მარამ არა მხოლოდ ეს „თანამედროვე“ ადამიანები, არამედ ისინიც კი, რომლებმაც მიაღწიეს აღიარებას როგორც „ცნობილი პანდიტო“, ვინც ტრიბუნიდან ვედებს ხსნის და დიდებას იხვეჭს – ისინიც კი ვედებს იყენებენ არა იმისთვის, რომ სხვები სულიერ გზაზე დააყენონ, არამედ თავიანთი

მატერიალური კეთილდღეობისთვის. მათ უნარი არა აქვთ გამოიცილონ ვედების არსებობის წმინდა მიზანი. ყოველი ხელსაყრელი შემთხვევის დროს თავიანთი სწავლულობიდან ხეირს ნახულობენ, და სულაც არ ცდილობენ ან არ შეუძლიათ ვედები საკუთარი ცხოვრების გასაწმენდად გამოიყენონ.

ასეთ სიტუაციაში „ახალი დროის ადამიანს“ უბრალოდ არ შეუძლია ვედები იწამოს. თუ *პანდიტებიც* კი არ ცდილობენ ცხოვრებაში გამოიყენონ ზეპირად შესწავლილი ვედები და თვითონ დემონსტრირებენ რწმენის უკმარისობას იმით, რომ საკუთარ შვილებს ვედების დიდების შესახებ არ აცნობებენ, ეს მთელ საზოგადოებაში რწმენას ამცირებს.

არიან სხვებიც – მათ არ იციან ვედური ჰიმნების აზრი, უბრალოდ დადიან სახალხო ადგილებში და დამახსოვრებულ წმინდა ტექსტებს მექანიკურად იმეორებენ. სამაგიეროდ უცხოელ, განსაკუთრებით გერმანელ, მეცნიერთა შორის, არიან ისეთები, რომლებმაც არ იციან ზეპირად ვედები, მაგრამ ესმით, რომ ვედურ *მანტრებს* უზარმაზარი ძალა აქვთ და ამ ძალას ადამიანს გადასცემენ. საუკუნეების განმავლობაში მათ ვედების ნაწილები მიჰქონდათ თავის ქვეყანაში და მოთმინებით და ზედმიწევნით იკვლევდნენ და თანდათან გასაოცარი საიდუმლოებები ეხსნებოდათ. მათ აღმოაჩინეს, რომ ვედებში ჩადებულია ყველა ხელოვნების საიდუმლო, რაც ადამიანს სრულყოფილებას აძლევს.

როგორც ვედების დანართი მრავალი სხვა ნაწარმოები გაჩნდა. ეს არის სამხედრო ხელოვნების ვედა (ცოდნა), სიცოცხლის დაცვის, გახანგრძლივების და შენარჩუნების ვედა (*აიიუ*, მედიცინის ცოდნა), პლანეტებისა და ვარსკვლავების ვედა (*ჯიოტირ-ვედა*, ასტროლოგია); მრავალი სხვა ტექსტი შედგენილი და გამოქვეყნებულ იქნა.

ბრძენმა ვიშვამიტრამ გახსნა *მანტრა* დასახელებით გაიატრი, რომელიც მზის, სურიას ენერჯისკენაა მიმართული. გაიატრი ვიშვამიტრას საშუალებას აძლევდა გამოეყენებინა უიშვიათესი იარაღი, რომელიც, როდესაც *მანტრა* რწმენით იგალობებოდა, მის ნებას ემორჩილებოდა. *მანტრას* დახმარებით მიღებული ძლევამოსილების გამოყენებით ვიშვამიტრამ შეძლო უდიდესი მეცნიერი გამხდარიყო და

შექმნა „ორეული“, ამ კოსმოსის ასლი. ახლა მეცნიერს იმას უწოდებენ, ვისაც უნარი აქვს თავისი ხელებისა და გრძნობათა ორგანოების შესაძლებლობები გაზარდოს. მაგრამ წარსულში *ვიჯნიანას* (ბრძენის) ტიტული სამართლიანად მხოლოდ იმას მიეკუთვნებოდა, ვინც თავის თავში სულიერი ძალა განავითარა და ფორმულები აღმოაჩინა ღვთაებრიობაში შესაღწევად შიგნით, იმას, ვინც რწმენითა და ერთგულებით იყო აღვსილი და ვისაც შეეძლო უნებლიედ მოეხდინა ამ ძალის დემონსტრირება რეალურ ყოველდღიურ ცხოვრებაში. პირიქით, დღეს „მეცნიერებმა“ იციან ცოტა ეს და ცოტა ის. ისინი აზვიადებენ იმას, რისი გაგებაც მოახერხეს და ამით ტრაბახობენ, ცოდნით ყოყმობენ და უყვართ ამის გამოჩენა. დიდების სურვილით ღრუბლებში უნდათ ფრენა. მთელი ეს უაზრობა ნამდვილი მეცნიერის ქცევის საწინააღმდეგოა. ნამდვილი მეცნიერი თვინიერი და წყნარია. მას ესმის, რომ რამდენიც არ უნდა იცოდეს, ის სფერო, რაც მომავალში უნდა გაიგოს, განუზომლად ფართოა. აცნობიერებს, რომ ის მცირეოდენიც კი, რაც მან იცის, ღმერთის წყალობით შეიძინა.

ვიშვამიტრა იყო ბრძენი, რომელმაც ყოველივე ამის შესახებ იცოდა. და ამიტომ მას შეიძლება მეცნიერთა შორის უდიდესი ვუწოდოთ. მაგრამ მართალია, ასეთი უმაღლესი დონის მეცნიერი ინდოეთში ცხოვრობდა, ამ ქვეყნის მცხოვრებლები მას არ იხსენებენ. ისინი იმ უცხოელებს სცემენ პატივს, რომლებსაც მისი დიდების შესახებ მხოლოდ ყური აქვთ მოკრული. სჯერათ იმ უცხოელი მკვლევარებისა, რომლებმაც ყველა მნიშვნელოვანი გაკვეთილი ვედებიდან გამოიტანეს. მაგრამ ვედა ბჰარატის დედაა. შვილები პატივს აღარ სცემენ საკუთარ დედას. ისინი დედინაცვლის მიმართ განიცდიან პატივისცემას და სჯერათ მისი! ეს არის „ინგლისური“ ნიმუშის საგანმანათლებლო სისტემის შედეგი.

თუ ძველი ინდოეთის მოაზროვნეების სამეცნიერო მიღწევებში უფრო ღრმად შევალთ, ბრძენ ბჰარადევაჯას აღწერას ვიპოვით *ვიმანების*, საფრენი აპარატების კონსტრუქციების შესახებ, რომლებიც სივრცეში გადაადგილდებოდა. მეცნიერება გონებისა და მენტალური ძალის შესაძლებლობების შესახებ იმდენად წინ წავიდა, რომ ძველი დროის ადამიანებს შეეძლოთ წარსული მოვლენები

აესახათ და მომავალი ეწინასწარმეტყველათ. უდიდეს პროგრესს მიაღწია ინდოეთში სამედიცინო მეცნიერებებმა. იმავე ბრძენმა ბჰარადვაჯამ მთელ მსოფლიოს გადასცა ცოდნა მედიცინაზე. ბრძენმა ატრეიამ თავის თავზე აიღო ამ მეცნიერების ქადაგების ამოცანა და ადამიანთა მკურნალობის ხერხები. წმინდანმა ჩარაკამ ყველა აღმოჩენასა და კვლევას ამ დარგში თავი მოუყარა კრებულში (*სამჰიტაში*), რომელსაც მის საპატივცემულოდ ასეც ეწოდა – ჩარაკა სამჰიტა. მასში დაწვრილებითაა აღწერილი ავადმყოფობათა დიაგნოსტიკა, მკურნალობისა და განკურნების მეთოდები, ჩანასახის განვითარება მუცელში და სხვა მნიშვნელოვანი, მაგრამ ძნელად აღმოსაჩენი სამედიცინო სიბრძნის საიდუმლოებები. იმ შორეულ დროში თავისი საქმის კარგად მცოდნე ექიმებს შეეძლოთ ქირურგიული გზით სხეულის სხვადასხვა დაზიანებული ნაწილების მოკვეთა იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობა წამლებით მკურნალობას არ ექვემდებარებოდა. წმინდანმა სუშრიტამ თავის შრომაში მრავალი ქირურგიული ოპერაციის ჩატარების პროცესები აღწერა. ეს ტექსტი ნაპოვნი და შენახულ იქნა და ახლა შესწავლისათვის ხელმისაწვდომია. დჰანვანტარიმ, ნაგარჯუნამ და სხვა ბრძენებმა შუქი მოჰფინეს მრავალ სხვა აღმოჩენებს ძველი ინდოეთის სამედიცინო დარგში. ეს ბრძენები სამეცნიერო კვლევის ვედური ტრადიციის მიმდევრები გახდნენ. მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ტექსტი არსებობს ეთიკის, იურისპრუდენციის და სხვა სოციალური მეცნიერებების შესახებ, მაგალითად მანუს დჰარმა-შასტრა (კანონთა კრებული) ან გაუტამას ნიაია-სუტრა (ლოგიკის სკოლა). ეს ყველა დროის ფასდაუდებელი განძია.

ვედანტა ყველა წოდების, ხალხის, საზოგადოების, რასის, ყველა რელიგიის მიმდევართა, ყველა მამაკაცის და ქალის კანონიერი საკუთრებაა. ვედანტა ნიშნავს სიბრძნეს, *ჯნიანას*. სიბრძნეს ცოდნის რომელ დარგში? ეს არის სიბრძნე *ატმანის*, ჭეშმარიტი „მე“-ს, საკუთარი თავის შეცნობაში, და იგი წარმოადგენს უმაღლეს მიღწევას, სადამდეც კი შეუძლია ადამიანს მივიდეს ცხოვრებაში. საკუთარი „მე“-ს, თავისივე თავის შეცნობა – რა შეიძლება იყოს ამ ქონებაზე უფრო მეტი ღირებულებისა? თავისი თავის შეცნობის რწმენა

აუცილებელია იმისთვის, ვინც შრუტებს (ვედებს) და სმრიტებს (ზნეობრივ კოდექსს) სწავლობს.

ხილული ობიექტი მკვეთრად განკერძოებულია სუბიექტისგან, რომელიც მას ხედავს. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაშ ვინ არის ეს „მე“, რომელიც ხედავს? ყოველივე იმას, რასაც ფორმა აქვს, ჩვენ ვარჩევთ და ვხედავთ მხედველობის ორგანოს, თვალის დახმარებით. თვალი ხედავს ფიზიკურ სხეულს, სხვა ინდივიდუუმებს, საგნებს, არჩევს მწერებსა და ჭიებსაც კი, და სხვა ობიექტებს. იგი ხედავს ყველაფერს, რაც კი მხედველობის შესაძლებლობათა ზღვრებში იმყოფება. სხეულიც „საგანია“, რომელსაც, სხვა რამეებთან ერთად, თვალი ხედავს. მაშ როგორ უნდა დაეასკვნათ აქედან, რომ სხეული არის ჩვენი „მე“?

მაშ სინამდვილეში რა არის ეს „მე“? ცეცხლი წვავს, აგრეთვე ანათებს. იგი საგნებს წვავს და მათ ანათებს შუქით, რომელსაც გამოსცემს. ცეცხლი განსხვავდება საგნებისგან, რომელზედაც იგი ზემოქმედებას ახდენს. ახლა ვიკითხოთ: ვინ არის ის, ვინც იცის ეს ჭეშმარიტება – იმის შესახებ, რომ „ცეცხლი“ და „მისით დამწვარი საგნები“ ერთმანეთისგან განსხვავდება? ეს არის *ატმანი*. როცა ხის ნაჭერი იწვის, ცეცხლი მთელ ნაჭერში იმყოფება და მოქმედებს. ასევე *ატმანიც* მთელ სხეულს გამსჭვალავს და უზრუნველყოფს უნარით მოქმედებები შეასრულოს, გადაადგილდეს და თავისი კიდურები ამოძრავოს.

ნათურადან გამომავალი შუქი ინსტრუმენტია, რომელიც ღამით გვამცნობს: ეს ფინჯანია, ეს თეფშია. თვალი ასეთივე ინსტრუმენტია, რომელიც გვამცნობს: ეს სახლია, ეს ეკალია, ეს ქვაა. თვალი არ არის *ატმანი*. თვალს ნათურას არარსებობის დროს ან ნათურას თვალის არარსებობის დროს არ შეუძლიათ გაარჩიონ სახლი, ეკალი, ქვა, ფინჯანი ან თეფში. ნათურაც და თვალიც „გაშუქების“ საშუალებები, ანუ ინსტრუმენტებია.

ეს ინსტრუმენტი, თვალი, ხედავს სხეულს, რომელშიაც თვითონ იმყოფება. შესაბამისად, სხეული, რომელიც ხილულია, ასევე შეუძლებელია სხვა რამ იყოს, გარდა ასეთივე ინსტრუმენტისა. გრძნობათა ორგანოები სმენის, შეხების, მხედველობის, გემოს, სუნის სპეციალისტებია. ვაღიარებთ რა,

რომ თვალი ინსტრუმენტს წარმოადგენს, ჩვენ უნდა გრძნობათა სხვა ორგანოებსაც მოვეპყროთ როგორც ინსტრუმენტებს. ყველა ეს ორგანო გონების კონტროლქვეშაა, გონება მათი ბატონია. მაგრამ თვითონ გონებაც რომელიღაც სხვა პატრონის მიერ იმართება და რეგულირდება. გონებას არაფრით შეუძლია ადამიანის არსი იყოს.

ინტელექტი, ანუ *ბუდჰი*, გონების მიერ მიწოდებულ საინფორმაციო მასალას იკვლევს. ეს არის ინსტრუმენტი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. მაგალითისათვის წარმოიდგინეთ ბასრი დანა. რა ბასრიც არ უნდა იყოს, მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ხილი გაჭრას. მხოლოდ ხილის კი არა, წვრილი ძაფის გაჭრაც კი არ შეუძლია თავის თავად. იგი ამას მხოლოდ მაშინ გააკეთებს, როდესაც ვინმეს ხელში აღმოჩნდება. ინტელექტი (გონიერება) ამ დანის მსგავსია. *ატმანის*, „მე“-ს გარეშე იგი უძღურია. *ატმანმა* მასზე თავისი ძალაუფლება უნდა გამოავლინოს.

ამის შემდეგ ადამიანის კიდევ ერთი აღჭურვილობა უნდა განვიხილოთ – ეს არის *პრანა*, სასიცოცხლო „ჰაერი“. ვნახოთ, შევძლებთ თუ არა მას წოდება „მე“ მივანიჭოთ. ღრმა ძილის დროს ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ სუნთქავს და „სასიცოცხლო დენები“ მოქმედებენ მასში. *პრანა* არსებობს ყველა სამ მდგომარეობაში – მღვიძარობის (*ჯაგრატის*), სიზმრების (*სვაპნას*) და ღრმა ძილისა (*სუშუპტის*), მაგრამ ადამიანს არ ახსოვს ცხადლივ მიღებული განცდები, როცა სიზმრებს ხედავს, და ძილის დროს მიღებული განცდები, როცა ფხიზლობს. ღრმა ძილის დროს *პრანებს* მოქმედებაში არ მოჰყავთ არც ინტელექტი, არც მეხსიერება. ისე მოჩანს, რომ ისინი სიმშვიდეში იმყოფება. როდესაც ადამიანი მოქმედებს, ხელქვეითებს არ შეუძლიათ უსაქმურად იყვნენ. რამდენადაც ისინი ყოველთვის არ არიან ერთნაირად აქტიურები, *პრანები* ან *პრანის* თვით პრინციპი არ უნდა განიხილებოდეს როგორც „მე“, ანუ *ატმანი*.

ახლა კი ეგოს შესახებ ვისაუბროთ. იგი ორ სფეროში მოქმედებს და, შესაბამისად, მას ორი მნიშვნელობა აქვს.

1. **გარეშე „მე“** - თავმოყვარეობა, თავისი თავის შეცნობა როგორც პიროვნების, მოღვაწისა (*აჰამკარა*); თავისი „მე“-ს სხეულთან გაიგივება (*დეჰატმა*).

2. შინაგანი „მე“ (პრაქტიკა-ატმა).

ადამიანები, რომლებმაც ამ გასხვავების შესახებ არ იციან, შეცდომაში შედიან და თვლიან, რომ „მე“ *დეკატმას* მიეკუთვნება. მაგრამ ეს არ არის სწორი. სხეული, როგორც ვნახეთ, ეს არის იარაღი, ეს არის ობიექტი. ეს ხილულია, და არა ის, ვინც ხედავს. როგორ შეიძლება სხეულთან (იარაღთან) გაიგივებული ეგო *ატმანი* იყოს? ეს ეგოც „ხილულთა“ თანრიგს მიეკუთვნება. ღრმა ძილის სტადიაში იგი არ არსებობს, სიზმრებში გვატყუებს. მაგრამ ჭეშმარიტება ხელუხლებელი უნდა დარჩეს – ერთი და იგივე იყოს წარსულში, აწმყოში და მომავალში. როგორ შეიძლება ჭეშმარიტება იყოს ის, რაც ორ მდგომარეობაში არ არსებობს?

ამ ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ არავითარი დამაჯერებელი საფუძველი არ გვაქვს იმისათვის, რომ *ატმანის* სტატუსი მივცეთ გრძნობათა ორგანოებს, გონებას, ინტელექტს, ან *პრანებს*. მაშინ ისმება კითხვა: მაშ ვინ არის, რა არის *ატმანი*?

მას არ გააჩნია შემავალი და გამავალი ნახვრეტი, ხელები და ფეხები, ორგანოები და სხეულის წევრები, ლაქები ან ნაკლოვანებები. იგი უმცირესთა შორის უმცირესი და უდიდესთა შორის უდიდესია, ყველგანაა, როგორც სივრცე. იგი **ყველაფერია** და ამიტომ თავისუფალია „მე“-სგან და „ჩემი“-სგან. იგი ცნობიერებაა, როგორც ცეცხლი სიმხურვალეა, როგორც მზე სინათლეა. მას საერთო არაფერი აქვს ცდომილებასთან ან გულგატეხილობასთან. ის უმაღლესი, მარად მიმდინარე ნეტარებაა (*პარამანანდა*), ყველა არსების არსი, გულია, შეცნობილობაა ყოველ ადამიანში. ხედავს ყოველივე ხილულს, იგი ისაა, ვინც ყველა ხილულ ობიექტს ხედავს. რა მდგომარეობისა და დონის ადამიანიც არ უნდა ამბობდეს: ვხედავ, მესმის, ვგრძნობ და ა.შ., იგი სინამდვილეში ლაპარაკობს „ნათურების“, ინსტრუმენტების, და არა *ატმანის* შესახებ. *ატმანი* ის არ არის, ვინც ხედავს ნაწილს, ვინც ხედავს შერჩევით, ვინც ვერ ხედავს ან ვინც თავს იკატუნებს, რომ ხედავს.

ბუდჰის (გონიერებას) საკუთარი სინათლე არ გააჩნია. მთვარის მსგავსად, იგი მეზობელი წყაროს, კერძოდ *ატმანის* სინათლეს ირეკლავს. *ბუდჰის* შეუძლია იმუშაოს მხოლოდ

როგორც ამრეკლავს კოსმოსური გონისა, რასაც *ატმანი* იძლევა.

მზეს კოსმოსურ თვალს (*ჯაგატ ჩაკშას*) უწოდებენ, ეს სახელი იმაზეა დაფუძნებული, რომ იგი მასთან ახლოს მდებარე სხვა ობიექტებს შორის მოქმედებს. მზეს არა აქვს თავკერძობა, საკუთრების ან რაიმეს დაუფლების გრძნობა, არა აქვს სურვილები, მოთხოვნები, საჭიროებები. უბრალოდ მისი ყოფნისას წყვდიადი ქრება და სამყაროს სინათლე ეფინება. ამიტომ მას უწოდებენ შუქის მომფენს. მაგრამ ამას უნებლიედ აკეთებს, მას ვალი არ აიძულებს. *ატმანი* ასევე დაკავშირებული არ არის არც მოთხოვნებთან, არც ვაღდებულებებთან. თუ იკითხავთ, როგორ ხდება *ატმანი* „მოღვაწე“, პასუხი ასეთი იქნება: განა მაგნიტი „მოღვაწეა“ მხოლოდ იმიტომ, რომ ახლოს მდებარე ნემსი მიეზიდება?

ახლა შეიძლება მთავარი კითხვა გაჩნდეს. არსებობს თუ არა *ატმანი*? თუ ეს ასეა, მაშინ რა სახით და რა მტკიცებულებათა დახმარებით შეიძლება ეს დადგინდეს? არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ *ატმანი* არსებობს, იმიტომ რომ, თუ *ატმანის* „დამტკიცება“ რიგი მოსაზრებებითა და გონივრული დასკვნებით შეიძლება, საფუძველში უნდა ჩაიდოს ადამიანის თვით არსებობა, რომელიც ამ მოსაზრებებს იყენებს და ამ გონივრული დასკვნების გზით მიდის. სწორედ ეს ადამიანი იქნება *ატმანი*!

რა თქმა უნდა, ამაზე შეუძლიათ გვიპასუხონ, რომ *ატმანის* არსებობას ვედების უდავო ავტორიტეტი ამტკიცებს და რომ მისი უეჭველობის განცდა და შეგრძნება ვედების დახმარებით შეიძლება. ვედები გვაფრთხილებენ რიგი მოქმედებებისგან როგორც არასულიერი ან ქცევის საწინააღმდეგოსგან, ქცევისა, რომელიც *ატმანის* მორწმუნისგან უნდა ველოდოთ. ისინი რეკომენდაციას იძლევიან მთელ რიგ სხვა მოქმედებებზე როგორც სულიერზე (*ატმურზე*) – გულმოწყალების აქტები, ზნეობრივი ნორმების დაცვა და ა.შ. მაგრამ *ატმანი* თავისივე თავის მტკიცებულებაა, თავისივე თავის მოწმეა. მისი არსებობა არ შეიძლება სხვა ფაქტების ან ობიექტების დახმარებით დადგინდეს.

შასტრები, ტექსტები, რომლებიც ვედების დანართს წარმოადგენს, აცხადებენ, რომ ღმერთი იქ ბინადრობს, სადაც

ექვსი ღირსება ვლინდება: ენთუზიაზმი (*უტსაჰა*), გამბედაობა (*საჰასაბი*), შეუპოვრობა (*დჰარია*), კეთილშობილი გონი (*სადბუდჰი*), ძალა (*შაქტი*), მამაცობა (*პარაკრამა*). უპირველეს ყოვლისა ლოცვაში უნდა ღმერთ განაპატიოს მოუხმით და სთხოვით ეს ექვსი ღირსება გიბოძოთ, რომლებიც ცნობიერებას წმენდს და *ატმანს* ავლენს. ასევე აუცილებელია საკუთარი სულიერი (*ატმური*) არსის ძებნას შეუდგეთ და გული სიმამაცით შეივსოთ. ეს საქმე სულმოკლეთათვის არ არის. სუსტი ადამიანები, რწმენაში მერყევი, სულში ეჭვებით, სევდიანი სახეებით, განწირულნი არიან ცხოვრებაში იარონ როგორც *როგებმა* (ავადმყოფებმა), და არა როგორც *იოგებმა* (ჭეშმარიტ „მე“-ში, *ატმანში* მყოფებმა).

არსებობს ერთი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც გვიჩვენებს, ვინ არის ბრძენი (*ჯნიანი*) და ვინ არა (*აჯნიანი*). კრიშნა არჯუნას ელაპარაკებოდა და შეუკავებელი სიხარულით იცინოდა. არჯუნა უსმენდა და სევდით იყო მოცული. ბრძენი მუდამ სიხარულითაა აღვსილი, იცინის. არაბრძენი ყოველთვის უბედურია, იგი ტირის.

ატმანის ბუნებაში შედწვევის საქმეში რომ გაიმარჯვოს, სასურველია ადამიანმა ცხოვრების ოთხი სტადია (*აშრამა*) გაიაროს. ეს სტადიები სანატანა-დჰარმის კანონიკური ტექსტებით იქნა დადგენილი და რეკომენდირებული. თუ ადამიანი ყოველი პერიოდის გავლის დროს თავის ვალდებულებებს აცნობიერებს და წმინდა კანონის მიერ მითითებულ პასუხისმგებლობის მთელ ტვირთს ზიდავს, იგი იძენს პორციას ცოდნისა, რომელსაც *ატმანის* შეგნებამდე მიჰყავს.

ბავშვობაში *აშრამების* სისტემის მიხედვით ცხოვრების წესები ადამიანზე ზეგავლენას არ ახდენს. იმ პერიოდში იგი ჯერ კიდევ არ აგროვებს ცოდნას ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის შესახებ. ბავშვობას მოჰყვება სიყრმე და ყმაწვილობა, ახალგაზრდობა, მოწიფულობა და სიბერე – ამ სტადიებს გადის სხეული. სხეულის ამ „ზრდის“ შესაბამისად სიბრძნეც იზრდება. პირველ სტადიაზე, ყრმობაში და სიყმაწვილეში, როდესაც *გურუ* (მასწავლებელი) მას მოსწავლედ იყვანს, ადამიანი ცოდნის სამყაროში დგამს ფეხს, და უმეცრებასა და გულუბრყვილობას შორდება. როგორც კი

მოსწავლე ხდება, იგი ვალდებულია *გურუს* ემსახუროს და დაემორჩილოს, ამასთან არ უნდა გრძნობდეს, რომ ეს როგორღაც ბოჭავს და ამძიმებს მას.

სიყრმეს და სიყმაწვილეს მეორე სტადია ცვლის – ახალგაზრდული წლები. ამ ეტაპზე ადამიანი საზოგადოების ცხოვრებაში უნდა მონაწილეობდეს, პასუხისმგებლობის ერთ ნაწილს უნდა იღებდეს თავზე მის პროგრესსა და უსაფრთხოებაზე. გამომუშავება უნდა დაიწყოს ცხოვრებისთვის და ფული გონივრულად და ეკონომიურად ხარჯოს. ახლა მისი ვალია მაგალითი მისცეს ახალგაზრდობას და იმათ დაეხმაროს, ვინც უფრო უმცროსია, საზოგადოებისთვის სასარგებლო გზები აირჩიოს. ამავე დროს უნდა უფროსების მაგალითს მიბაძოს და მათი გაკვეთილები შეითვისოს თავისი სრულყოფილებისათვის.

მესამე სტადიას, მოწიფულობის ასაკს რომ მიაღწევს, ადამიანი გონივრული ყურადღებით უნდა ზრუნავდეს არა მხოლოდ თავისი თავის, თავისი ოჯახის და გარემომცველი საზოგადოების პროგრესული განვითარებისთვის, არამედ მთელი კაცობრიობის წინსვლისთვისაც. ეს პასუხისმგებლობა სხვათა შორის მოზრდილ ადამიანებს ეკისრებათ და ამისათვის მათ აუცილებელი ჩვევები უნდა შეიძინონ. ისინი მსოფლიოს და პლანეტის ყველა მცხოვრების კეთილდღეობის ფართო პერსპექტივას უნდა ხედავდნენ და შესაძლებლობებისა და რესურსების მიხედვით თავისი წვლილი შეჰქონდეთ ერთშიც და მეორეშიც.

შემდეგ დგება მეოთხე სტადია – სიბერე. ცხოვრებისეული გზის ამ მიჯნასთან ადამიანი იმ გაგებით უნდა მივიდეს, რომ ერისკაცისთვის ხელმისაწვდომი ყველა სიხარული უმნიშვნელო და წარმავალია. მას უნდა ჰქონდეს გონების ავლა-დიდება უფრო მაღალი ცოდნისა – სულიერი სიხარულის შესახებ, რომელსაც ნეტარების შინაგან წყაროში ჩაძირვის დროს განიცდის. ამ გამოცდილებისგან მისი გული უფრო რბილი ხდება და თანაგრძნობით ივსება. მას მხოლოდ ერთი მისწრაფება ეუფლება – უკლებლივ ყველა არსების კეთილდღეობას შეუწყოს ხელი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის ცხოვრების ყოველი სტადიისთვის დაწესებულია მოღვაწეობის თავისი სახე და

მისთვის შესატყვისი მსოფლშეგრძნება. პრაქტიკა ასევე აუცილებელია სიბრძნის განმტკიცებისათვის, როგორც წაკითხვა ცოდნის გამაგრებისათვის. ცოდნასთან ერთად, ახალგაზრდებმა უნდა განავითარონ კარგი თვისებები – თავმდაბლობა, პატივისცემა, ღმერთის ერთგულება და მტკიცე რწმენა. სასარგებლო საქმეებს უნდა მოკიდონ ხელი და უხაროდეთ ამ შესაძლებლობის, უბრალოდ როგორც ხალისის წყაროს, გამო. მოზრდილმა ადამიანმა არა მხოლოდ ფული უნდა აკეთოს და საზოგადოების პროგრესს შეუწყოს ხელი, არამედ ყურადღება მიაქციოს ზნეობრიობის განვითარებასა და შენარჩუნებას, ზნეობრივი ნორმების დაცვას. მისი ქცევა უნდა სულ უფრო სამართლიანი ხდებოდეს, სულიერი პრაქტიკა კი – უფრო კვეთებადი. აუცილებელია ცნობიერების ყველა დონის გაწმენდა და წმინდა მიზნებზე აწყობა.

მოწიფულ ასაკში ადამიანი არა მარტო ოჯახზე და საზოგადოებაზე ზრუნავს, არამედ სანიმუშო ცხოვრებასაც ეწევა, რომ თავის შვილებს აღმაფრენა შემატოს და საზოგადოებისთვის მაღალი იდეალების დემონსტრირება მოახდინოს, იდეალებისა, რომლებიც პრაქტიკაში დანერგვის ღირსია. დაუშვებელია საზოგადოების მიმართ უპატივცემულოდ მოპყრობა და მხოლოდ საკუთარ ოჯახზე ზრუნვა. ასეთი ცხოვებისეული პოზიცია უსაფუძვლოა. *ბრაჰმანის* – საყოველთაო ერთიანობის – არსის შეგნება შეიძლება მხოლოდ საკუთარი მოღვაწეობის გაწმენდისა და მისი გამოყენების დახმარებით საკუთარი თავის მსახურებისათვის **ყველაში**. სანამ ადამიანი მხოლოდ თავისი კასტის წევრებს ენდობა, სანამ იმედი აქვს მხოლოდ ინტელექტისა, რის დაგროვებაც მან მოასწრო, ან ვედების ცოდნისაც კი, მანამადე *ბრაჰმანის* არსი მისთვის დაფარული დარჩება.

ის, ვინც დაბადებულია, სიკვდილს ვერ გაექცევა, ოდესმე, სადმე. ყოველ მომენტში უამრავი ადამიანი იბადება და კვდება. მაგრამ მან სიკვდილისაგან „გაქცევის“ ხერხი უნდა ეძებოს. საქმე იმაშია, რომ *ატმანი*, მისი იღუმალი არსი, არ იბადება. რაკი არ იბადება, მას სიკვდილი არ ემუქრება. კვდება მხოლოდ სხეული, რომელთანაც *ატმანია* დაკავშირებული და შეერთებული. მცდარი აზრი, თითქოს ჩვენი არსი სხეულია,

რომ სხეული რეალობაა, აი ეს არის სიკვდილი. ამ მცდარობის სხეულებით ტანჯვა – სწორედ ეს არის კვდომა. ამ სხეულებისაგან გათავისუფლება ნიშნავს უკვდავების მიღწევას. იშლება მხოლოდ სხეული, და არა ატმანი – მარადიული სული, ჭეშმარიტი „მე“. სხეული ყოველ მომენტში იცვლება და მისი ბოლო ცვლილება სიკვდილია, მაგრამ რჩება შეუცვლელი „მე“. თუ გწამთ, რომ ცვალებადი სხეული თქვენ თვითონ ხართ და მას ეპყრობით როგორც საკუთარ „მე“-ს, ეს „მე“ კვდება, მაგრამ ნამდვილი „მე“ უკვდავია.

რაც უფრო მეტ დიდ საქმეებს ასრულებთ, რაც უფრო შეუპოვარია შინაგანი ჭეშმარიტების გაბედული ძებნა, მით უფრო მალე გადალახავთ და უკუაგდებთ თქვენი თავის სხეულთან გაიგივებას, დაჯერებულობას, რომ „მე სხეული ვარ“. მაგალითისთვის ავიღოთ თამარინდის ნაყოფი. როდესაც პარკი მოუმწიფებელია, ძნელია რბილობისა და პარკისაგან კანის გაცლა. ასევე ადამიანებს, გრძნობით სურვილებში გაბმულებს, სხეულის სათუთად მოვლაში გართულებს, არ შეუძლიათ ატმანის შეცნობამდე მივიდნენ. როდესაც თამარინდის პარკი მწიფდება, კანი ადვილად ტყდება, რბილობი ადვილად შორდება და ნაყოფი იოლად შეიძლება ამოვიღოთ. ძიებისა და უანგარო მოღვაწეობის პროცესში ცნობიერება „მწიფდება“, და მაშინ ატმანი სხეულს შეიძლება გამოეყოს – სუფთა და ხელშეუხებელი.

სხეული შედგება ხუთი გარსისგან, რომლებიც ატმანს ფარავს. ისინი სამ კატეგორიადაა დაჯგუფებული - „უხეში“, „ფაქიზი“ და „მიზეზობრივი“. მატერიალური გარსი (ხორცი, სისხლი, ძვლები და ა.შ.) და ვიტალური გარსი („სასიცოცხლო სუნთქვა“, პრანა) უხეშ სხეულს ქმნის. როდესაც უხეში სხეულის (სთჰულა-შარირას) ეს ორი გარსი კვდება ან იშლება, მთელი სხეული კვდება და არ შეუძლია „გაცოცხლდეს“.

სიტყვა სუქშმა, ჩვეულებრივად თარგმნილი როგორც „ფაქიზი“, სანსკრიტულად ნიშნავს „პატარას“; მას მეორე მნიშვნელობაც აქვს - „ის, რაც ფართოვდება“. ჰაერს გაფართოების მეტი უნარი აქვს, ვიდრე წყალს, სივრცეს გაფართოების მეტი უნარი აქვს, ვიდრე ჰაერს. მაგრამ გათავისუფლებული სულის მოუცველობასთან შედარებით,

სივრცეც კი „უხეშის“ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ! ორთქლი უფრო ადვილად ფართოვდება (უფრო „ფაქიზია“), ვიდრე წყალი. მართალია, ყინულის ნაჭერი ან ქაფურის ბურთულა „მკვრივი“ მოჩანს, მაგრამ ისინი „ფაქიზი“ შეიძლება გახდეს, თუ გავაცხელებთ და ცეცხლს მოვუკიდებთ.

ამ სამყაროს კანონი ასეთია: ის, რაც ხილვადია, უხილავის მიზეზია, ანუ გამჟღავნებელი არაგამჟღავნებულს ახსნის. მაგრამ უმაღლესი სულის კანონი სხვაა. უხილავი ატმანი ხილული სამყაროს მიზეზია. ყოფიერება ჩამოყალიბების უკან დგას, და ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბება ყოფიერებაში ზავდება. ხილული უხილავის მიერ შთაინთქმება. უმაღლესი არსებიდან, როგორც რძე ძროხიდან, გამოედინება *მაიას* ძალა, ანუ ფარდობითობა – ხუთი ელემენტისაგან შემდგარი კოსმოსის (ბუნების, ანუ *პრაკრიტის*) ფორმით – გამოცხადებული გამჟღავნებისა. კოსმოსი ცნობიერდება როგორც რთულშედგენილი, როგორც რძე, რომელიც შეიცავს ნაღებს, ჩუმა-მაწონს, კარაქს. ისინი შეიძლება ამოვიღოთ გაცხელებისა და გაცივების ზემოქმედებით, კვეთის შემდგომი დამატებით და სადღვებელას გამოყენებით. დღვება რძესა და კარაქს აცალკევებს. ასეთივე სახით, კოსმოსური პროცესების, სიცხისა და სიცივის მონაცვლეობის მსვლელობისას, გამოიყო ხუთი ფუძემდებლური ელემენტი (მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, სივრცე) და, როგორც „დღვების“ პროდუქტი, გაჩნდა მიწა, „კარაქის ბურთი“. თუ რომელიმე ადამიანში ან საგანში ბუნების სამი თვისებიდან (*გუნადან – სატვა, რაჯასი ან ტამასი*) – წონასწორობა, აქტიურობა ან ჩამორჩენილობა - ერთ-ერთი ჭარბობს, ამ ადამიანს ან საგანს შესაბამის განსაზღვრას ვაძლევთ. ამის მსგავსად, თუ ნებისმიერ შექმნილ არსში ერთ-ერთი ელემენტი ჭარბობს, მას ამ ელემენტის დასახელება ენიჭება. ამ მიზეზის გამო, ხმელეთს, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, ეწოდება *ბჰუმი*, ანუ დედამიწა. სივრცის არეებს, სადაც წყლის ელემენტი და ა.შ. ჭარბობს, ეწოდებათ *ბჰუვარ ლოკა* (ფაქიზი სამყარო) და *სვარ ლოკა* (მიზეზობრივი სამყარო). ამ სამყაროების ყველა მდგენელი მდენადია, არსებობს როგორც ნაკადები.

მოკლედ, რაც ხუთი ელემენტისგან შედგენილ კოსმოსად მოჩანს, ეს არის არარეალური პირადი „მე“-ს და ხუთი

ელემენტის ღმერთზე „დადება“. არარეალურში და არარეალურის მეშვეობით აღქმული ღმერთი ბუნებად გვეჩვენება. მაგრამ ეს მუდამ ცვალებადი მრავალფეროვნება რეალობის მხოლოდ დამახინჯებული სურათია. დეფექტი იმყოფება სარკეში, რომელიც ირეკლავს, გონებაში, რომელიც აღიქვამს, ტვინში, რომელიც დასკვნებს აკეთებს. ის, რასაც სარკე სიმართლედ გამოსცემს, უტყუარს არ წარმოადგენს. სარკე მტვრით არის დაფარული, მისი ზედაპირი იდეალურად გლუვი არასოდეს არ არის. ღმერთს არა აქვს *მაია* (ილუზია). მას არც განზრახვა აქვს, არც შეცდომაში შეყვანის საჭიროება, არც სურვილი, რომ ეს მოხდეს. მაგრამ ადამიანი, უმეცრების გამო, არარსებულ საგნებს ხედავს და სჯერა, რომ ისინი არსებობს – სწორედ ისეთები, როგორაც მათ ხედავს. ადამიანის ამ სისუსტეს სანსკრიტულად ჰქვია *აღჰიასა*.

როდესაც ღმერთი აირეკლება როგორც ბუნება, ანარეკლი *მაია* ხდება. როგორც რძე ჩუმა-მაწონი ხდება, ასევე ღმერთი ხდება *ჰაგატი* – განუწყვეტლივ ცვალებადი სამყარო, ანუ უცვლელი დვთაებრიობის ანარეკლი (სახე). მიზეზი ამ არარეალური მრავალფეროვნებისა **მასზე**, ერთიანზე, მისი ნებაა. თავისი ნებით მას შეუძლია ეს აღკვეთოს. იგი *მაიას* მბრძანებელია.

ღმერთი ყველგან მსუფვევი, ყოვლისშემძლეა. სამი არსიდან (*პარამატმანი*, *ატმანი* და *პრაკრიტი* – კუსმოსური „მე“, „მე“ სხეულში და ბუნებაში) ბუნებას განსაკუთრებული მიზანი აქვს – დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილებები. ღმერთს მოთხოვნილებები და სურვილები არა აქვს. მასში ყველაფერი „მიღწეულია“ სრულად და უმაღლესად. *ანანდა* (ნეტარება) ყოველი არსებისა და ყოველი არსებისთვის უშუალოდ ღმერთიდან მოედინება. იგი არჯუნას გიტას სიტყვებით ეუბნებოდა: „მე არ გამაჩნია ვალდებულებები, რომლებიც უნდა შევასრულო, ო პართჰა, ყველა სამ სამყაროში“. მან ვალდებულებები შექმნა მხოლოდ ცოცხალ არსებათათვის თვითშემეცნებაზე ზრუნვისთვის. იგი არ მოქმედებს, იგი არაფერს უნდა აკეთებდეს. მაგრამ მის გარეშე ვერავითარი მოღვაწეობა შედეგს ვერ მოიტანს! ის წყვეტს, როგორი იქნება ყოველი მოქმედების შედეგი.

თაყვანისცემის წესები

ვედა ყველაზე უფრო ძველი და ყველაზე უფრო ხანგრძლივი ცოდნაა (ანუ საღვთო წერილი), რომელიც ადამიანმა აღმოაჩინა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვედა ადამიანის მოგონილი არ არის. მან იგი მხოლოდ „გაიხსენა“ სულის აუღელვებელ მდუმარებაში. ვედამ ადამიანი შეიძლება ჭეშმარიტების ხედვასთან მიიყვანოს, ჭეშმარიტებისა, რომელიც გრძნობებისთვის მიუღწეველია და მატერიალურ სამყაროს არ განეკუთვნება. იგი ადამიანის გონებას აღემატება და ამიტომ მიუწვდენელია მისთვის. ამიტომ ვედა აღიწერება როგორც უმაღლესი დამცველი (*პარამ-ვიომა*), აგრეთვე როგორც მოუშლელი, ჭეშმარიტება, **ის** (*ტატ*). ეს ეპითეტები განეკუთვნება ყველა ოთხ ვედას, დაწყებული რიგვედით.

თავდაპირველად სიტყვა ვედას უწოდებდნენ უზენაეს მბრძანებელს, პარამეშვარას, ყოვლისმცოდნეს: „ის, ვინც იცის, ვედაა“ (*ვეტი იტი ვედაჰ*). შემდეგ ამ სიტყვით გაგების პრინციპის აღნიშვნა დაიწყო: „ის, რაც გაგების საშუალებას იძლევა, ვედაა“ (*ვედაიატი იტი ვედა*). რიგვედასაც და სხვა ვედებსაც ყოვლისმცოდნეობის თვისება აქვს. ამიტომ ეს განსაზღვრაც მართებულია. მოგვიანებით სიტყვა ვედით აღინიშნებოდა მოღვაწეობა ვედებთან შეთანხმებით, ანუ მოქმედებები, რომელსაც ადამიანი მიჰყავს მათში მითითებულ ადამიანის ოთხ მიზანთან – მართლქმედებასთან (*დჰარმასთან*), კეთილდღეობასთან (*ართჰასთან*), მისი ნების შესრულებასთან (*კამასთან*) და სულიერ გათავისუფლებასთან (*მოკშასთან*).

უზენაესს ყოვლისმხილველი თვალი აქვს. იგი არსებაა, რაზედაც ვედების ყველა ჰიმნი იყრის თავს. ვედები ადამიანს საშუალებას აძლევს ამ მეუფის ხილვა მოიპოვოს; იმათ, ვისაც ეს ხედვა გაეხსნა, წმინდა ბრძენებს (*რიშებს*) უწოდებენ. მათ ვედები ატარებდნენ; ასე გაჩნდა ბრძენების მიერ შექმნილი მრავალი ჰიმნი, ფსალმუნი და გამონათქვამი. ამიტომ ბრაჰმ-სუტრაში უზენაესს დიდი ბრძენის ეპითეტი მიენიჭა. შივას 108 სახელს შორის უზენაესის მის იპოსტასშიც არის ეპითეტები მაჰარიში და მუკიარიში (მთავარი ბრძენი, ბრძენთა შორის

პირველი). ამავე მიზეზით თვითონ ვეღარც კი პერსონიფიცირებული გახდა და მას თავიანთ სცემდნენ როგორც *რიშის ბრაჰმანი* („უსასრულოდ გაფართოებადი“) კიდევ ერთი ეპითეტია, რომელიც აღნიშნავს უზენაეს მბრძანებელს, აგრეთვე ვედასაც. ამასთან დაკავშირებით ყველა მოქმედება, რომელიც იხელმძღვანელება მხოლოდ ერთი სურვილით – ღმერთთან (*ბრაჰმანთან*) მიღწევით, ღვთაებრივ მოქმედებებად, ანუ ღვთაებრივ მსხვერპლის შეწირვად (*ბრაჰმ-იაჯნად*) ითვლება. *რიში-იაჯნა* მღვდელმსახურებაა მისი ნაყოფის მიღებაზე სულ მცირე სურვილის გარეშე; იგი ჭეშმარიტების ხედვის დაუფლებისკენაა მიმართული.

ამდაგვარ მღვდელმსახურებებსა და *იაჯნებში* გამოიყენება გამოსახვა *სვაჰა*. *იაჯნები* სუფთა, წმინდა, კეთილისმყოფელი მოქმედებებია. შეძახილი *სვაჰა*, რომელიც სამსხვერპლო ძღვნის ან ვედების კითხვის დროს იხმარება, მნიშვნელობითაა სავსე. მაგალითისთვის, იგი შემდგენიერად უღერს: „*კეშავაია სვაჰა* (დაე ეს კეშავას – კრიშნას – მიეძღვნას), *პრანაია სვაჰა* (დაე ეს პრანას მიეძღვნას), *ინდრაია სვაჰა* (დაე ეს ინდრას მიეძღვნას) და ა.შ. გამოსახვის უფრო ფართო აზრი ასეთია: „დაე ეს სათანადოდ შთაინთქას. დაე ეს ძღვნები, რომლებსაც ჩვენ ახლა წმინდა ცეცხლს ვაძლევთ, სრულად იქნას მიღებული და დამწვარი, რომ ამ ცეცხლის მეშვეობით ძღვენმა მიაღწიოს ღვთაებას, რომლისთვისაცაა განკუთვნილი (კეშავასთვის, პრანასთვის, ინდრასთვის)“. შეიძლება იკითხონ – რა საჭიროა ცეცხლისთვის რაიმეს თხოვნა, რაც ისედაც მოხდება, ხომ არის ცეცხლის თვით ბუნება – იმ ყველაფრის დაწვა, რასაც კი მასში ყრიან. მაგრამ საღვთო წერილები ამ გამოსახვას სხვა აზრს ანიჭებენ. კალიდასა თავის პოემაში „*კუმარას დაბადება*“ (კუმარა სამბჰავამ) ჰიმალაებს აღწერს როგორც *დევა-ტატმას* (ღვთაებრივი სულის მქონეს), სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც განხორციელებულ ღვთაებრიობას. საღვთო წერილები ღვთაებრივ სხეულსა და მატერიალურ სხეულს ერთმანეთისგან განასხვავებენ; ყოველი არსი და ყოველი ქმნილება ერთსაც და მეორესაც შეიცავს. ღვთაებრივი სხეული არ შეიძლება ამოცნობილ იქნას გრძნობათა ორგანოების მიერ. როდესაც სამსხვერპლო ძღვენი ამ სხეულს შეეთავაზება, იგი

კუროთხეული ხდება. აჭუტი (შეთავაზებული ძღვენი) ხდება *პავისი* (განსაკუთრებული ნაკუროთხი ძღვენი ვედური სამსხვერპლო ცერემონიის დროს).

ვედებში აჭუტი (ცეცხლისთვის ძღვნის მირთმევა) შემდეგნაირად აღიწერება. როდესაც ცეცხლი მირთმეულ ძღვენს შთანთქამს, ძღვენი და ის, ვინც მას იღებს, ერთიანი ხდება. ვინ არის მოცემულ შემთხვევაში „მიმღები“, მსხვერპლის მიმღები? ეს არის აგნი, ღვთაებრივი ძალა, დაფარული ცეცხლში, მზეში, სასიცოცხლო დენების (*პრანების*) სითბოში, რომლებიც სიცოცხლის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. როდესაც მითითებული რიტუალური ფორმულების კითხვის დროს მატერიალური ძღვნები აგნის გადაეცემა წამოდახილით *სვაჰა*, ეს არ არის ცარიელია, ფუჭი ხმა. ეს მონანიებაა, ეს განხორციელებაა ლოცვისა, რომელსაც რიტუალი განასახიერებს.

ვედა აგრეთვე ცნობილია სახელით ჩანდას*. ეს სიტყვა ნიშნავს სასიამოვნოს, სასიხარულოს. ამის მონათესავე სხვა სიტყვებია ძლიერი, სიცოცხლით სავსე, საიმედო. რამდენადაც ვედებს შეიძლება ყველა თვისება მიეწეროს, ეს უკანასკნელი ეპითეტი განსაკუთრებით სათანადოა. ვედებში აღწერილ წმინდა რიტუალებსა და ცერემონიებს სიხარული მოაქვს არა მხოლოდ მათი მონაწილეებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც – და ხილულის ზღვრებს მიღმა არსებულ სამყაროებისთვისაც. უზენაესი მეუფე, რომელიც ნეტარების წყაროს წარმოადგენს, საღვთო წერილებში იწოდება როგორც იაჯნაანგი (ის, ვისი სხეულის ნაწილებიც ვედური რიტუალებია). როდესაც უმაღლესი მბრძანებელი ფორმას ღებულობს, პირველი გამჟღავნება არის ჰირანიაგარბჰა (ოქროს კვერცხი). ესეც განხორციელებული ნეტარებაა, და მას ზურგით ატარებს ფრინველი სილამაზის ფრთებით – გარუდა. უზენაესს აგრეთვე უწოდებენ ვრიშა-რათჰას – იმას, ვისი ეტლიც ხარია, *დჰარმის* (მართლქმედების) სიმბოლო. სწორედ ამიტომ ვხედავთ ტაძრებში გარუდას ბარელიეფებს ან ქანდაკებებს ვიწნუს სალოცავების წინ და ხარის ფიგურებს შივას გამოსახულებების წინ.

* *ჩანდას* – მათ შორის დასახელება პოეტური ზომისა, რომელშიაც ვედები და სხვა საღვთო წერილებია დაწერილი.

სიტყვა *ჩა* ან *ჩადანა*-ს ძირში ვედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იმყოფება – დაცვა, მზრუნველობა, ანუ უზრუნველყოფა – კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ანუ საბოლოო გათავისუფლება ადამიანებისა, რომლებიც ამქვეყნიური საქმეების დაუსრულებელ წრებრუნვაში არიან ჩათრეულნი. ადამიანები მუდამ საქმეების მიერ არიან შთანთქმულნი, რომელთა საბოლოო მიზანი საკუთარი ინტერესებია. მაგრამ ამასთან საჭიროა მათგან სამართლიანი კაცებისა და ქალების შექმნა. ცხოვრების ხე დაცული უნდა იყოს, რომ ნაყოფის და სიგრილის მიცემა შეეძლოს მათთვის. ვედების მიზანია არ დაუშვან მგზნებარე „მოდვაწეთა“ (*კარმის* მოყვარულთა) დაცემა, დაიცვას ისინი ცდუნებისაგან – არამართლქმედებისაკენ გადაუხვიონ, და დაიცვან თვითშემეცნებისკენ მიდრეკილი მოაზროვნეები – *ჰნიანას*, სიბრძნის მაძიებლები, ცდუნებისაგან გრძნობით სიამოვნებებს დანებდნენ. რამდენადაც ვედა ხელმძღვანელობს და იცავს, მის პოეტურ ზომას სწორედ ასე ჰქვია – *ჩანდას*. „ფარის“ და დამცველის იპოსტასში იგი ნეტარებას აღვრის ყველას, ვინც კი მას ეყრდნობა. გამონათქვამი ამბობს: „იცავდნენ რა, ისინი დაცვა გახდა“ (*ჩადანათჰ ჩანდასი*).

არსებობს ლეგენდა ვედურ რიტუალებზე, რომლებიც განსახიერებულია ღვთაებაში სახელად იაჯნა. ერთხელ იაჯნა ღმერთებს გაექცა და შავი ანტილოპას ფორმა მიიღო. ღმერთები გამოეკიდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ ტყავი იპოვეს. ანტილოპას სწორედ ეს ტყავი გახდა იაჯნა, რიტუალის სიმბოლო. ამ ტყავის თეთრი, შავი და წითური ელფერები წარმოადგენს რიგ-ი, იაჯურ და სამავედას, ამიტომ სცემენ მას თაყვანს როგორც წმინდას. მას პატივს სცემენ როგორც სამმაგ ცოდნას – სამი ვედას ცოდნას. ვედური რიტუალების ჩამტარებელი ქურუმები ანტილოპას ტყავს იმისათვის იყენებენ, რომ დამცველმა ჰიმნებმა (*ჩანდას*) თავისი მოქმედება მოახდინოს. ადამიანებს სწამთ, რომ სამი ფერი სიმბოლოა აგრეთვე სამი სამყაროსი, და ამიტომ ის, ვინც ტყავზე ზის, ჰიმნებს კითხულობს და ცეცხლს მსხვერპლს სწირავს, ყველა სამი სამყაროსთვისაა სიკეთის მატარებელი.

ვედური *იაჯნას* ყველა რიტუალის მცოდნე ვედებში აღწერილია როგორც „ჩანასახი მუცელში“. ჩანასახი საიმედო

და უსაფრთხო აღვიღას იმყოფება, მისი ხელები ერთად დააწყობილი, სხეული კი დედის ხორცშია გახვეული. ამგვარადვე უნდა იყოს მთავარი ქურუმი ანტილოპას ტყავში გახვეული, რომელიც დედა-ვედას სიმბოლიზირებს. გარედან თუ შევხედავთ, ეს უბრალოდ ტყავია, მაგრამ ვედური ცერემონიის დროს იგი საიმედო ფარი ხდება. ამიტომ მის ჩაცმამდე ქურუმი პირველ ლოცვას მას მიმართავს: „შენ *ჩარმა* (ფარი) ხარ, და როგორც ფარმა, დამიცავი“. რამდენადაც „ფარი“ ადამიანს ტრავმების, უბედურებისა და ბოროტებისაგან იცავს, იგი ბედნიერებისა და ნეტარების განსახიერება ხდება. ვიშნუ, ტრიმურტის მეორე ღვთაება, ნეტარების განხორციელებაა. ვედური სამსხვერპლო რიტუალებიც ნეტარებას იძლევა. ვიშნუს განადიდებენ როგორც თვით იაჯნას (*იაჯნო გაი ვიშნუ*). ღმერთი ვიშნუ სამი ვედას განხორციელებაა.

უპასანა ნიშნავს ღვთაებრივი თანდასწრების მიღწევას, ნეტარების დაუფლებას, რომელსაც თაყვანისცემა იძლევა. ვედური ტრადიცია უპასანას მიზნის მიღწევის ოთხ ხერხს აწესებს როგორც ყველაზე უფრო მისაღებს და ნაყოფიერს. მათ ჰქვიათ *სატიავატი*, *ანგავატი*, *ანიავატი* და *ნიდანავატი*. ჩვენ მათ დაწვრილებით განვიხილავთ.

სატიავატი. საღვთო წერილები ღვთაებრიობას ასე განსაზღვრავენ: „*ატმანი* ყველგან იმყოფება, როგორც *გჰი* იმყოფება რძის ყოველ წვეთში“ (*სარვა ვიაპინამ ატმანამ ქშერა სარპითჰ ივა არპიტატი*). როდესაც მაძიებელი ჭეშმარიტებისკენ ისწრაფის, და თავის ძალისხმევაში ეს მრწამსი ამოძრავებს, მის *სადჰანას* ჰქვია *სატიავატი* (ჭეშმარიტებაზე დამყარებული). უზენაესი აცხადებს: „ჩემს დაფარულ ფორმაში მთელი ქმნილება ვარ და მას საიდუმლოთი ვმართავ. დამინახეთ ამ ყველაფერში, დაინახეთ ეს ყველაფერი როგორც ჩემი თავი“ (*მაია ტიტჰამ იდამ სარვამ ჯაგადა ვიაკათა მურტინა*). თუ ეს გამოგვივით, *სატიავატის* გზა გამარჯვებამდე მიგიყვანთ. უზენაესი გვიმტკიცებს: „ჩემს თავს დაინახავთ როგორც ამ ყველაფერს და ამ ყველაფერში“. იგი ამ ხედვის მიცემას პირდება ყველას, ვინც გულწრფელად და დაუინებით მიჰყვება *სატიავატის* გზას.

ანგავატი. სამყაროს არსება არის ცეცხლი, ქარი, მზე, მთვარე და ყველა დანარჩენი. იგი სუნთქვავა, რომელიც ყველა ქმნილებას სიცოცხლეს უნარჩუნებს. იგი ცეცხლია, რომელიც ყველაფერს ანათებს. წვიმავა, რომელიც მცენარეებს კვებავს, ეს უკანასკნელნი კი ცხოვრების საშუალებას გვაძლევენ. ამიტომ შეიძლება მას ვეთაყვანოთ როგორც ცეცხლს (*აგნის*), როგორც ქარს (*ვაიუს*), როგორც წვიმას (*ვარუნას*), რადგან ის მოწყალედ იღებს ყველა ამ კეთილისმყოფელ ფორმას. სწორედ ეს არის ანგავატის გზა – მისი კეთილი გამოვლინებების (*ანგების*) თაყვანისცემის მეშვეობით. ანგა ნიშნავს „სხეულის ნაწილს“, „მოვლენას“, თვისებას“.

ანიავატი. როდესაც მაძიებელი მრავალწახნაგა ღვთაებრიობას წარმოიდგენს და ამ წახნაგებისთვისა დამახასიათებელ თვისებებს აღქმისთვის ხელმისაწვდომ ფორმით სიმბოლურად გამოხატავს, მას შანსი აქვს ღვთაებრივ თანდასწრებაში აღმოჩნდეს. მაგალითად, ღვთაებრივის ერთ-ერთი ფორმა ვიშნუ (ყველგან მსუფვეი) ტრადიციულ ატრიბუტებში გამოისახება: მას უჭირავს ნიჟარა (პირველშობილი სიტყვის ან ბგერის სიმბოლო), დისკოთი (დროის სიმბოლოთი) და კვერთხით (სიმძლავრისა და ძლევამოსილების სიმბოლოთი). ღვთაებრიობის ერთ-ერთი წახნაგი, რომელიც ვიგნეშვარას (განეშას) მიეწერება, კეთილი ძალაა, რომელიც დაბრკოლებათა გადალახვის საშუალებას იძლევა, და მას სიმბოლურად გამოსახავენ ერთი შუანით, რაც ძლიერ გამბედაობაზე და კონცენტრაციაზე მიანიშნებს. იშვარას, ანუ შივას (მოშლის და გაზავების წახნაგი) ატრიბუტია *ტრიშულა*, სამკაპი: მისი სამი წვეტი სიმბოლიზირებს წარსულს, აწმყოს და მომავალს. *დჰარმის* (მართლქმედების) განმასახიერებელი რამა ყოველთვის გამოისახება მშვილდით (*კოდანდით*): მისგან გამოშვებული საზარბაზნე ისარი („ნება“) ყოველთვის მიზანში ხვდება. კრიშნას გვირგვინი, სამყაროებრივი სიყვარულის გამოვლინებები, მუდამ ფარშევანგის ბუმბულითაა შემკული – ეს კრიშნას ათასობით თვალის მოწყალე მზერის სიმბოლოა. მის ხელში ფლეიტაა, და იგი მომჯადოებელ მელოდიებს უკრავს. ფლეიტა სიმბოლოა მაძიებლისა, რომელსაც სურვილები და ეგო არ გააჩნია. სიბრძნის ღვთაებრივი

წახნაგი გამოისახება ქალღმერთ სარასვატის სახით, მას ვინა უჭირავს ხელში. ვინა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტია, ეს არის გულის სიმები, რომლებიც მელოდიური და სრულყოფილი ჟღერადობით ეხმიანება ყოველივე ჭეშმარიტის, კეთილის, მშვენიერის ნაზ შეხებას. სულიერი მოღვაწეები ღვთაებრიობის ამ მიმზიდველ გამოვლინებებზე მედიტირებენ, მათი სიმბოლური ატრიბუტების აზრში იძირებიან და აღტაცებით ღმერთს აღიღებენ, რაც მათს გულებს ადავსებს. სწორედ ეს არის *ანიავატის* გზა – სიმბოლოში გამოსახული ღვთაებრიობის თაყვანისცემა. *ანია* ნიშნავს „სხვას“, „მიწერილს“, „დამატებითს“.

ნიდანავატი. ეს არის ნელი გზა (*ნიდანა* სიტყვასიტყვით ნიშნავს „ნელა, მაგრამ სწორად“), მაგრამ მას განუხრელად პირდაპირ ატარებს, თუკი ყოველი სტადია წარმატებით გადაილახება. იგი ღვთაებრივის თაყვანისცემის თერთმეტ საფეხურს შეიცავს. ეს არის *შრავანამ* (მაძიებელი უზენაესის დიდების შესახებ თხრობებს ისმენს), *კირტანამ* (სიხარულით განადიდებს ღვთაების უმაგალითო წყალობას), *ვიშნუ-სმარანამ* (უზენაესის ძლევა მოსილებასა და წყალობაზე ფიქრობს და მუდამ იხსენებს), *პადა-სევანამ* (ლოცვას უგზავნის უზენაესის გამოსახულებას), *ვანდანამ* (იგი მაღლიერებას გამოხატავს მიღებული კურთხევისთვის), *დასიამ* (მორჩილად ბარდება ღვთის ნებას), *საჭიამ* (სრული ნდობით განიმსჭვალება უზენაესის როგორც მეგობრის მიმართ), *ატმა-ნივედანამ* (იგი მთლიანად საკუთარ თავს უძღვნის მას – აზრებს, სიტყვებს, საქმეებს), *ტანმაია-აშაქთი* (მთელი სულით და გულით ცდილობს შეერწყას მას) და *პარამავირაჰა-აშაქთი* (სულ ოდნავი განშორების გამო ტანჯვას განიცდის). მაძიებელმა ეს თერთმეტი საფეხური უნდა გაიაროს, რომ განახორციელოს თავისი მიზანი – მარადიულ ნეტარებაში ჩაიძიროს.

თუ ვილაპარაკებთ უბრალოებასა და ხელმისაწვდომობაზე პრაქტიკაში, მაშინ ამ ოთხი გზიდან (*სატიავატი*, *ანგავატი*, *ანიავატი* და *ნიდანავატი*) ყოველი შემდგომი უფრო მეტად სასურველია, ვიდრე წინა. მაგრამ ნებისმიერი გზის ბოლოში მაძიებელი სამყაროებრივ ნებასთან ერთიანობით დასაჩუქრდება. თაყვანისცემის (*უპასანას*) მრავალი სხვა ხერხი და სულიერი დისციპლინა არსებობს, რომლებიც წმინდა

ტექსტებშია აღწერილი და მაძიებლების მიერაა გამოყენებული. მაგალითად, *ანგავატი-უპასანას* კატეგორიას განეკუთვნება ასევე ღვთაების ფიგურებისა და ხატების თაყვანისცემა (*პრატიკა-უპასანა* და *პრატიროპა-უპასანა*). ნათქვამია: „მისი ხელები და ფეხები ყველგანაა, მისი თავი და სახე ყველგანაა“ (*სარვატაჰ პანი პადამ ტატ სარვატოკში შირო მუკჰატი*). უზენაესის ხელები ყველგანაა, რადგან იგი ყველაფერშია. იგი ხედავს ყველას თვალებით, იგი აზროვნებს, გეგმებს აწყობს და წყვეტს ყველას თავებში. ჭამს ყველა მცხოვრების პირით, ესმის თითოეულის ყურით. როცა მის ერთ ფორმას ირჩევთ, შეგიძლიათ თაყვანი სცეთ როგორც ყველა ფორმას. ეს არის ყველაზე უფრო მაღალი მიზანი – ხედავდეთ მას ყველა არსებაში ფარულად მყოფს. არის რა უხილავი, იგი მოქმედებს ყველას შიგნით და ყველას მეშვეობით. ეს არის *პრატიროპა-უპასანა* – მისი თაყვანისცემა როგორც თითოეულში მყოფნისა. არის მრავალი სხვა *უპასანა*, რომლებიც ტექსტებშია ნახსენები.

ბჰანოპასანა. მაძიებელი უზენაესში მშვენიერების, უღრმესი თანაგრძნობის, ძლევამოსილების და ძალის მწვერვალს ხედავს და თაყვანს სცემს მას როგორც ასეთს.

გიტოპასანა. ღვთაებას თაყვანს სცემენ როგორც მასწავლებელს და დამრიგებელს, იმას, ვინც გიტას ასწავლის და გზას ხსნის. ეპოს მაჰაბჰარატას თაყვანს სცემენ როგორც მეხუთე ვედას. მასში მოთავსებულია ზნეობრივი კანონი, რომელსაც უნდა მიჰყვეს ადამიანი მიზნის მიღწევის გულისათვის – ამ და მომდევნო ცხოვრებებში. ეს აღთქმების უღვევი საგანძურია მართლქმედითი ცხოვრებისათვის და სულიერი ამაღლებისთვის. მაჰაბჰარატაში უზენაესს ჩვენ ვხედავთ დჰარმაქშეტრას („დჰარმის ველის“) „თეატრალურ“ სცენაზე – მთელი დეკორაციებითა და როლებით, ინტრიგებითა და შემხვედრი შეთქმულებებით, ხრიკებითა და დაბოლოებებით, რადგან იგი კოსმოსურ დრამას თავისი სასწაულმოქმედი ნების შესაბამისად ღვამს. სწორედ ეს ღვთაებრივი სპექტაკლი ადგენს ეპოს მაჰაბჰარატას, და ყველა მისი მსახიობი ქალი და კაცი, დიალოგი და ტექსტი, რეკლიკა და სიმღერა თვითონ მის მიერაა შეგროვილი და შედგენილი. იგი მსახიობთა დასია, რეჟისორიცაა და აუდიტორიაც. იგი

მადჰავაა, უმაღლესი მეუფე, და როგორც მადჰავა ყოველ ობიექტში და არსებაში მუდავნდება და მოქმედებს. ერთი მხრივ - უზარმაზარი მატერიალური ძალა, რომელსაც უღირსი სიხარბე ამოძრავებს, მეორე მხრივ - შეზღუდულად დანახული ძალა *ატმანისა* (უმაღლესი სულისა) – მუდამ მართლქმედითისა. სამყაროს ამ დაპირისპირებაში, ამ ორი ძალის შეჯახებაში, უზენაესი გამოდის როგორც მოსამართლე, როგორც უმაღლესი განხორციელება მართლქმედების გამარჯვებისა მატერიალურ ძლიერებაზე. ბჰაგავად გიტა, ღვთაებრიობის ზემის გალობა, უძვირფასესი ნექტარია, რომელსაც მაჰაბჰარატა შეიცავს. ყველაზე მთავარი გაკვეთილი, რომელსაც ეს ეპოსი ატარებს, გიტაშია მოთავსებული. მოსწავლე თავის თავს სრულად აბარებს ღმერთს სიტყვებით: „რასაც შენ მეტყვი, იმას გავაკეთებ“ (*კარიშიე ვაჩანამ ტავა*), ღმერთი კი მოსწავლეს არიგებს: „შენი უსაფრთხოება, შენი აყვავება შენთვის მიჩენილი ვალის შესრულებაშია“ (*სვადჰარმე ნიდანამ შრეიიაჰ*). ეს არის ყველა თქვენი მოქმედების შემოწმების კრიტერიუმი.

ბჰაქთის გზა – ღვთაებრიობის ნებისთვის თავდავიწყებით მინდობა, არ უნდა უკუაგდოთ, რადგან მას შეუძლია ყოვლისშთანთქმელ ნეტარებაში და აღტაცებაში ჩაგიშვათ. და თუ თვალებს დახუჭავთ, თავში სიამაყის აზრს შეუშვებთ, რომ *ბრაჰმანი* ხართ, მაშინ სიხარული დაგისხლტებათ ხელიდან და მღელვარების ნადავლი გახდებით. თუ ბრინჯის მარცვალს გარსს მოვაცილებთ, ხომ არ შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ გაიზრდება და მოსავალს მოგვცემს? კრიშნა კი თვით *ბრაჰმანია*, და სხვა არაფერი!

ადვაიტოპასანა. ეს არის *ადვაიტას*, ერთიანობის გზა. „ძროხის სხეულში რძე იმყოფება. რძეში *გჰი* იმყოფება. მაგრამ ძროხაში დაფარული ეს *გჰი* არ შეიძლება თქვენთვის იყოს ენერჯის წყარო. უნდა ძროხა მოწველოთ, რძეს მაწვნის დედა დაუმატოთ, რომ შედედდეს, კარაქის მისაღებად ჩუმა-მაწონი შედღვიბოთ, კარაქი კი გააღნოთ და გაწმინდოთ. ამის შემდეგ *გჰის* მიიღებთ, შეჭამთ და ენერჯიას შეიძენთ. ასევეა ღმერთის მიმართ: მართალია, იგი ყველგან მსუფვეია და ყველას და ყველაფერს ამოძრავებს, მაგრამ ნეტარების მისაღებად და გასაცნობიერებლად მისი აღმოჩენა და აღქმაა საჭირო.

როგორც ზეთი მღოგვის მარცვალში, გჭი ჩუმა-მაწონში, წყალი მიწაში, ცეცხლი ხის ნაჭერში, ღმერთი ყველაფერში უხილავი სახით იმყოფება. ღმერთი ადამიანის სხეულში და ადამიანის გონებაშია. იგი იქ რომ ამოვიცნოთ, სულიერი ძალისხმევაა აუცილებელი. თუ ამ ძალისხმევას გამოიჩენთ, მაშინ გააცნობიერებთ, რომ თქვენ და ღმერთი ერთი ხართ. მაშინ თქვენთვის აღარ იქნება „ორის“ ან „განსხვავების“ შეგრძნება. ერთიანის, „მეორის გარეშეს“ შეგნება არის გათავისუფლება, დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა.

ვიშიშტა-ადვაიტა-უპასანა არის სახეშეცვლილ *ადვაიტას* გზა. რამანუჯამ კითხვა დასვა, უნდა აღიქვას თუ არა მაძიებელმა ღმერთი, რომლის თაყვანისცემა და შეცნობაც მას სწყურია, როგორც რეალობა, როგორც თავისი თავისგან ცალკე არსი თუ როგორც თავისივე თავის შიგნით მყოფი. ამ კითხვას მან ასეთი პასუხი გასცა: სიცოცხლე სხეულის სულია. ღმერთი სიცოცხლის სულია. ღმერთი მომცემია, ძალაა, დამცველია. ასეთი განწყობით ისწრაფეთ მისკენ. უმაღლესი მეუფე, პურუშა, ვისშიაც ყველა ელემენტი იმყოფება, ვინც ყველა ქმნილებაში იმყოფება და მის შიდა აღმპგრელს წარმოადგენს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეცნობილ იქნას, თუ თავს მიანდობთ და მის წყალობას დაიმსახურებთ. მთლიანად გააცნობიერეთ მისი განუყოფელი თანდასწრება ყველაფერში (იმანენტურობა) და მისი უპირატესობა ყველაფერზე (ტრანსცენდენტურობა) და, გამოავლენთ რა საკუთარ ნაკლოვანებებს, უარი თქვით ეგოზე ღმერთის სიდიადესთან გაზიარების გულისთვის. მაძიებელი მტკიცედ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ „**შენ**, და მხოლოდ **შენ** ხარ ეს ყველაფერი, ჩემო ღმერთების ღმერთო. **შენ** ხარ მისწრაფებაც, გზაც, მიზანიც“ (*ტვამ ევა სარვამ მამა დევა დევა*). სულიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიზანმიმართული, ურყევი, განუხრელი.

ღვაიტა-უპასანა (ღუალიზმი). ღუალისტური მიდგომა ღმერთსა და ინდივიდუუმს შორის დამოკიდებულებისადმი ჰგავს ცოლსა და ქმარს შორის დამოკიდებულებას. ვიშნუს, უმაღლეს ბატონს, მარად თავისუფალს და ყოვლისმომცველს, თაყვანი უნდა ეცეს ისე, როგორც ცოლი ქმარს სცემს

თაყვანს. ასეთ მოღვაწეთა შორის ყველაზე უფრო გამოჩენილია ჩაიტანია. თვითონ იგი განსაკუთრებული ჩაიტანია-უპასხანას ფუძემდებელია. უფალ კრიშნას ტერფების მტანჯველი წყურვილის გარეშე გათავისუფლების მიღწევა შეუძლებელია. რატომ? ჩაიტანია წმინდად იყო დარწმუნებული, რომ გონების გაწმენდაც კი შეუძლებელია ამ დიდი წყურვილის გარეშე. მან განაცხადა, რომ ბრძენებსა და წმინდანებსაც კი, რომლებსაც უნარი აქვთ ნეტარების შინაგან წყაროში ჩაიძირონ, უმაღლესი ცნობიერების ექსტაზით დატკობა შეუძლიათ მხოლოდ უზენაესის, შრი ჰარის კეთილისმყოფელი, გამწმენდი და მაცოცხლებელი თვისებების მზერის მეშვეობით. ამ ნეტარებაში ჩაიძირვისათვის არავითარი წიგნები ან წმინდა ტექსტები არ არის საჭირო. ადამიანი, როდესაც ღვთაებრივი ექსტაზის ტალღებში დაცურავს, „საზოგადოებაში ქცევის“ ყველა წესს უკუაგდებს და ყველა პირობითობისაგან თავისუფლდება. იგი ხმამაღლა აღიღებს ჰარის სახელებს, ცრემლებს ღვრის, ღვთაებრივი აღტაცებით ცეკვავს და უტყუარ, უსუფთეს ნეტარებას შეიგრძნობს. გრძნობს, რომ უფლის ტერფები მიწის ყოველ დუიმს აკურთხებს. იგი ჰარის დიდებას გალობს და სრულ ჰარმონიაშია მასთან. ჩაიტანია ამტკიცებდა, რომ ეს სადჰანა ყველაზე უბრალო და ნაყოფიერია. მისი მთავარი მიზანი იყო სხეულგებრივი ცნობიერებისგან თავის დახსნა ექსტაზის ნაკადში, რომელიც შობილ იქნა მშვენიერი მრავალხმიანი გალობის მიერ უფლის წყალობასა და სიდიადეზე.

თაყვანისცემის კიდევ რამდენიმე ფორმა იმსახურებს ხსენებას, მათ შორისაა – **გოუდელიოპასანა**. კრიშნა, გააზრებული და წარმოდგენილი როგორც პურუშოტამა (არაგამჟღავნებული, ყველაფრისთვის დამახასიათებელი) და რადჰა, გააზრებული და წარმოდგენილი როგორც არაგამჟღავნებული კოსმოსური ენერჯია, გამოსახვას პოულობენ ორმაგ სახეში, ცნობილი როგორც კრიშნა-რადჰა, ანუ, უფრო ხშირად, რადჰა-კრიშნა. კრიშნას სხვა სახელია მადჰავა, და ნიშნავს, რომ იგი კოსმოსის, ანუ *პრაკრიტის* (ბუნების) მბრძანებელია. თაყვანისცემის ასეთი ობიექტის ორმაგი სახელია რადჰა-მადჰავა. თაყვანისცემის ასეთი გზის მიმდევრები თვლიან, რომ ამ სახელის განდიდებას უნარი აქვს

ადამიანი ექსტაზამდე მიიყვანოს, რომელიც მას ყველა სახის დამოკიდებულებისაგან ათავისუფლებს. ამ *უპასხანას* – *ახარიას* – დამფუძნებლები აცხადებენ, რომ ეს მიზანი მიღწევადია. უფალი სიტკბოების მომცემი ნექტრის თვით შუაგულია. ცოცხალ არსებებს ამ სულიერ სიტკბოებაში მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ჩაძირვა, როცა ამ ნექტარს შეიწოვენ. შრუტები, საღვთო წერილები, ამბობენ, რომ ვინც *ანანდაშია* (ნეტარებაშია) შობილი, მათ შეუძლიათ იცხოვრონ მხოლოდ ამ ნეტარებაში და ამ ნეტარების წყალობით. ნათქვამია, რომ წმინდა სახელი რადჰა-მადჰავა ძვირფასი ნექტრის საცავის გასაღებია.

რადჰა-მადჰავა არის *პრაკრიტი-პურუშა* (მატერია-სული), და ეს ორერთიანი გაგება მიღებულ იქნა ორობითობის გამოსახატად: *ჯივატმა* და *პარამატმა* (ინდივიდუალური სული და სამყაროებრივი სული) – როგორც ტალღა და ოკეანე. ამ სახელის თაყვანისცემა ორივე არსის თაყვანისცემაა. ვალაბჰაჩარიამ, ამ გზის დიდმა მიმდევარმა, ასეთი გამონათქვამი დატოვა: „კრიშნა თვით უზენაესია“ (*კრიშნასტუ ბჰავაგან სვიათი*). იგი განმარტავდა, რომ კრიშნას მიღწევა საყოველთაოსთან შერწყმის (სუფთა მონისტების მიზნის) ტოლმნიშვნელოვანია.

შივი-უპასხანაც ცნობილი გზაა. მისი მომხრეები თაყვანს სცემენ შივას, რომელიც გამოსახულია სიმბოლოს, ანუ *ლინგამის* სახით: დროისმიღმა *ლინგამი* (*ლინგამ სარვა კალამი*) სიმბოლოა თავდაპირველი ენერჯისა, რომელიც „ელემენტების“ (რომლებიც კოსმოსს შეადგენს) წარმოქმნის, ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზი გახდა. *ლინგამი* თვით შივას ფორმაა და მისი როგორც ასეთის მიღწევა ჩანს როგორც საბოლოო მიზანი, გათავისუფლება.

ვირასავა-უპასხანა მოუხმობს თაყვანი სცენ შივას, უზენაეს მბრძანებელს, ანუ იშვარას როგორც ერთადერთს, მუდამ და ყველგან მყოფს. *ლინგამის*, ანუ იშვარას ციალში განზავება *სადჰანას* მწვერვალია, გათავისუფლების მიღწევაა.

პაშუპატი-უპასხანა. ინდივიდუალური არსება (*ჯივა*) თვისებებისა და სტანდარტების ბორკილებითაა (*კაშა*) შებოჭილი; ეს თვისებები და ბორკილები ბუნებიდან

(მატერიალური სამყაროდან) მოდის. პაშუპატის, ცოცხალი არსებების მეუფეს, დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის მიზნით სცემენ თაყვანს.

შაქთი-უპასანა. „დევი ყველა ღმერთია“ (სარვა დევა მაიი დევი). პირველშობილი კოსმოსური ენერჯია (ადი პარაშაქთი) წარმოიდგინება როგორც ყველა ღვთაებრივი ფორმის მატრიცა. კოსმოსური იმპულსი, ანუ პრაკრიტი ყოველგვარ ფორმათა გამოსახვის მრავალფეროვნებისა და მრავალწახნაგოვანობის მიზეზია. მაჰეშვარას (უმაღლეს ღვთაებრიობას) გამჟღავნების ასეთი უნარი აქვს, ამიტომ ეს ეპითეტი მიენიჭა. მაჰეშვარა და პარაშაქთი ერთი და იგივე ძალის ორი ასპექტია. ეს გაორებული ძალა მთელ სამყაროს ამოძრავებს, როგორც კოსმოსის გაშლილ სივრცეში, ასევე დედამიწაზე. არაგამჟღავნებული უმაღლესი არსება მჟღავნდება როგორც სამყაროებრივი ქალური საწყისი, როგორც მაია, პარაშაქთი. ყოველი ინდივიდუუმი მას შეიგრძნობს როგორც ცოდნას, ძალას და აქტიურობას.

ჯაინა-უპასანა (თაყვანისცემა ჯაინების რელიგიაში). ჯაინების მრავალი საზოგადოება უზენაესის თაყვანისცემაში ვაიშნავების (ვიშნუს თაყვანისმცემლების) ტრადიციებს მისდევს. ჯაინების ზოგიერთ ტაძარში შეიძლება ვნახოთ ვიშნუს ფიგურები კანონიკური ატრიბუტებით – ნიჟარით, დისკოთი, ლოტოსით და კვერთხით. ჯაინების მთავარი მანტრა ასე უღერს:

ნამო არიჰანტანამ

ნამო სიდჰჰანამ

ნამო აიირიიანამ

ნამო უვაჯჰიანამ

ნამო ლოიე საბბა საჰუნამ

დიდება დიად გმირებს (მაჰავირა*),

სურვილებზე გამარჯვებულებს.

დიდება სიდჰებს (ვინც სრულყოფილებას მიაღწია).

დიდება სულიერი სიბრძნის დიად მატარებლებს.

* მაჰავირა (ძვ. წელთაღ. 599-527) – ჯაინიზმის რელიგიის დამაარსებელი.

დიდება დიად მასწავლებლებს,
სიბრძნის გადმომცემებს.
დიდება ყველა წმინდანს მთელ მსოფლიოში.

ეს ხუთჯერადი ქების შესხმა ცოდვიან ქცევათა დამღუპველი შედეგებისაგან გაწმენდას უწყობს ხელს. ამ *მანტრას* აზრის განცდა აყვავების მთელ სისავსეს იძლევა. ჯაინები თვლიან, რომ ამ საყოველთაო განდიდებისთვის თავის მიცემისას ადამიანი თავისუფლდება – გადარჩენას, *მოკშას* აღწევს.

სიქჰ-უპასანა. სიქჰების თაყვანისცემის სისტემაში უმაღლეს ადგილას დგას მასწავლებელი (*გურუ*), რომელიც *ატმანის* ბუნებას ხსნის და მისი არსებობის გაცნობიერებაში ეხმარება ადამიანს. *გურუს* სწავლებათა კრებული, რომელიც ატარებს დასახელებას გრანტ საჰებ, სიქჰების მიერაა განდიდებული და თაყვანისცემული. ეს რელიგია ბჰარატის სულიერი ტრადიციებიდან მოდის. მისმა დოქტრინებმა ინდური კულტურის მთელი ფარული არსი შეიწოვა.

ქრისტეს თაყვანისცემა. იესო ქრისტე ადამიანთა მხსნელია. ადამიანს ბუნებით ცოდვისკენ აქვს მიდრეკილება და ნებით თუ უნებლიედ ასრულებს მას. ჯვარზე სისხლდაცლილმა იესომ ადამიანები ცოდვებისგან გაათავისუფლა და მათი სულები გაწმინდა. ამ უფლის თაყვანისცემა, მისი დიდების გალობა და ფსალმუნებში ხოტბის შესხმა, ბიბლიაში არსებულ მის სწავლებას მიყოლა – ამაშია ქრისტეს თაყვანისცემის არსი.

მაჰმადის თაყვანისცემა. შეიძინე დარწმუნებულობა და საზრუნავის მთელი სიმძიმე ღმერთს გადაეცი. გქონდეს უპირობო რწმენა ღმერთის ძალაში შენი ცხოვრების ყოველ მომენტში, შეიგრძენი იგი ყოველ ნაბიჯზე – აი გააზრებული ცხოვრების წესი. თითოეულმა უნდა დაადასტუროს თავისი სათნოება ღმერთის დურბარში (სასახლეში), და მიწაზე განერთხოს. ღმერთის მიერ მითითებულ პირდაპირ გზაზე ცხოვრების ბოლომდე უნდა იარო. გამძლოლი ამ გზაზე წმინდა ყურანია. აუცილებელია მისი პატივისცემა, მისი

განაწესები უნდა დაცული იყოს. ასეთია თაყვანისცემის ამ სახის სულიერი დარიგებანი.

ალაჰო აკბარ, ღა ილაჰ ილ ალაჰ - ისლამის წმინდა ფორმულაა (სიტყვასიტყვით „ღმერთი დიადია, არ არსებობს ღმერთი ალაჰის გარდა“). ეს ნიშნავს, რომ ღმერთი (ალაჰი) უმაღლესი მეუფეა, ქმნილების უდავო და სწორუპოვარი მბრძანებელია. მხოლოდ ის არის თაყვანისცემის ღირსი. ბჰაგავად გიტაში კრიშნა აცხადებს: „ჩემზე უმაღლესი არაფერია“. იგივეს ამბობს ყურანის ფორმულა. მაჰმუდის – ალაჰის – თაყვანისცემა იმავე სულიერი პრაქტიკის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ერთსა და იმავე ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული.

ყველა ეს უპასანა ერთ რამეზე ღაპარაკობს: იმ დღიდან, როდესაც ადამიანმა თავისი თავის შესახებ სიმართლის ხანგრძლივი ძებნა დაიწყო, მან დააგროვა, განსაკუთრებით ბჰარატაში, კოლოსალური სულიერი სიმდიდრე, რომელსაც უნარი აქვს მწუხარებისა და მონობისაგან იხსნას იგი. ეს სიმდიდრე იმდენად დიდი და გამოუღვეველია, რომ მან ათასწლეულთა გამოცდებს გაუძლო, და ცოდნის მთელი სიფართოვე და სიღრმე შეინარჩუნა. მასზე გავლენა არ მოახდინა არც სხვადასხვა ახალმა მიმდინარეობებმა, არც ერთიანის თაყვანისცემის სხვა ფორმათა მიერთებებმა.

უფრო მეტიც, დღეს ინდოეთის სულიერი სიბრძნე ყველაზე უფრო კაშკაშა შუქურაა, წყვედიადში თვალისმომჭრელად მოკაშკაშე ერთადერთი სინათლეა. იგი ყველა მხარეს ანათებს, ხალხებს გზას უჩვენებს, მთელ კაცობრიობას იზიდავს.

არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, ვიდრე დაბადება ბჰარატის წმინდა მიწაზე, რომელიც განსაცვიფრებელ და კეთილისმყოფელ კულტურას იცავს, რასაც უნარი აქვს მსოფლიო იხსნას. ამ კურთხევის გაცნობიერება, ჭეშმარიტად, განუზომელი ნეტარების წყაროა.

ღვთაებრივი სხეული

აუცილებელია ბჰარატის კულტურის სოციოლოგიური საფუძვლის ნათლად წარმოდგენა. თუ ადამიანის შინაგან ბუნებას და მიდრეკილებებს განვიხილავთ, მაშინ ადამიანები ოთხ ჯგუფად იყოფიან: *ბრამინები, ქშატრიები, ვაიშები* და *შუდრები*. ეს დაყოფა არ წარმოადგენს „უმაღლესთა“ ანგარებიან და ცბიერ საიდუმლო მოლაპარაკებას „უდაბლესთა“ დასათრგუნავად. ეს არ არის ბოროტი განზრახვის შედეგი, რომელსაც მიზნად კაცობრიობის პროგრესისთვის ხელის შეშლა აქვს. უმჯობესია ეს გამიჯვნა გეგმად ჩაითვალოს, სადაც გათვალისწინებულია ყოველი ადამიანის მიდრეკილებები და თვისებები; ამასთან იგი ადამიანის მიღწევების განვითარებას უწყობს ხელს. ეს არის პირდაპირი გზა, რომელსაც კაცობრიობა წინ მიჰყავს. ამ გეგმის დანიშნულებაა ადამიანის მოღვაწეობის სრულყოფა და რეგულირება, და იგი ისეთი სახით მოქმედებს, რომ ჰარმონიასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

როგორც მკითხველებმა იციან, გიტაჩარიამ, გიტას მასწავლებელმა კრიშნამ, თქვა: „ყოველი ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებებისა და სურვილების საფუძველზე მე ოთხი ვარნა შევქმენი: *ბრამინების, ქშატრიების, ვაიშების* და *შუდრების*. შემიცან მე როგორც მათი წარმომშობი, აგრეთვე როგორც არა-წარმომშობი, უცვლელი“ (*ჩატურვარნიამ მაია შრიშტამ გუნა კარმა ვიბჰავასაჰ ტასია კართჰა რამაპი მაამ ვიდჰი აკარტარამ ავიაიამ*).

შესაბამისად, საკასტო სისტემა დაფუძნებულია ადამიანის თვისებებზე და ამა თუ იმ მოღვაწეობისკენ მიდრეკილებაზე. თავისი არსებობის განთიადზე მსოფლიო საკუთარი ბუნებით უპირატესად *სატვური* იყო, შედეგად ყველა *ბრამინი* იყო. შემდეგ სხვადასხვა მოწოდებების შერჩევასთან, მიდრეკილებებისა და უპირატესობების განვითარებასთან ერთად, „მსგავს“ ადამიანთა ჯგუფებმა თანაგვარი კასტები ჩამოაყალიბეს. მანამდე არსებული კაცობრიობის ერთადერთი და თანაგვარი „კლასი“, რომელიც მხოლოდ წმინდანებისა და

ბრძენებისაგან (რიშებისაგან) შედგებოდა, სოციალური სამართლიანობისა და ჰარმონიის ინტერესებში „ნაწილებად“ იქნა დაყოფილ.

შანტი-პარვაში (მაჰაბჰარატის განყოფილებაში) ბრძენი ბჰრიგუ დაწვრილებით განმარტებას აძლევს ბრძენ ბჰარადვაჯას, რომელმაც ამ ცვლილების შესახებ კითხვა დასვა. იგი ამბობს: „*ბრამინებს*, რომლებიც ამქვეყნიურ სიამოვნებებისკენ ილტვოდნენ, ეგოიზმით იყვნენ შეპყრობილნი, მრისხანებისკენ, ჟინისკენ და სხვა ვნებებისკენ იყვნენ მიდრეკილნი, მათს თავდაპირველ *სატვურ* ბუნებას *რაჯაგუნა* შეერია, და ამიტომ ისინი *ქშატრიებს* მიეკუთვნენ. სინამდვილეში ყველა *ბრამინს* არ შეუძლია იყოს ბოლომდე *სატვური*, აგრეთვე არ არიან მთლიანად სუფთა ღვთისმსახურებას მიცემულნი. იმათ, ვინც *სატვურ* იდეალებს არ იზიარებს და *ტამაგუნას* თვისებებს ამჟღავნებს, *რაჯასის* თვისებებთან შეზავებულს, და ვისშიაც *ტამასი* და *რაჯასი* ჭარბობს, *ვაიშიებს* მიეკუთვნენ. დანარჩენებს, რომელთა მოქმედებების ხასიათიც მეტ-ნაკლებად ძალადობასთანაა დაკავშირებული, ვინც განწმენდას მნიშვნელობას არ აძლევს, *ტამასში* ჩაეფლო და ეს თვისება არსებობის ერთადერთ ხერხად აქცია, *შუდრები* ეწოდათ. ასე გამოყვეს *ბრამინებმა* განსხვავებული კასტები და ადამიანთა საზოგადოება უსაფრთხოებითა და დაცვით უზრუნველყვეს. ამის შესახებ საღვთო წერილებში, შრუტებშია ნათქვამი“.

ამგვარად, ვინც სუფთა *სატვურ* თვისებებს ფლობს, ის *ბრამინია*. ვისაც *რაჯასის* თვისებები აქვს და, ამის შედეგად, გამბედაობითა და გმირობით არის აღვსილი, იგი *ქშატრიაა*, და მას აქვს უნარი ბოროტებისგან დაიცვას კაცობრიობა. ის, ვინც არც სიმამაცეს იჩენს, არც გმირობას, მაგრამ თავისი საქმის ოსტატია, ვისაც ხელობისა და ვაჭრობის ნიჭი აქვს და ვინც მზად არის კეთილსინდისიერად და პატიოსნად გამოიყენოს თავისი ცოდნა, *ვაიშია*. ამ კლასში *რაჯაგუნა* და *ტამაგუნაა* შერეული. დანარჩენები, რომლებსაც ასკეტიზმისკენ ან სწავლებისკენ მიდრეკილება არა აქვთ, სულიერ პრაქტიკას არ ეწევიან, არ გააჩნიათ არც ამტანობა, არც სიმამაცე ორთაბრძოლებში მონაწილეობისათვის, ვაჭრობის ნიჭი და საქმის წარმოების უნარი არა აქვთ, ისინი ბუნებით

ტამასიურები არიან და ამ *გუნას* შესაბამის ასპარეზს ირჩევენ. ესენი *შუდრებია*, ისინი შრომით კმაყოფილდებიან. მათ ადამიანთა კეთილდღეობასა და მშვიდობიან ცხოვრებაში თავისი წვლილი შეაქვთ.

ეს ოთხი კასტა ერთი სხეულის ნაწილებია, ეს განკერძოებული არსები არ არის. არ არსებობს საფუძველი რომელიდაც ნაწილი ითვლებოდეს უმაღლესად, სხვა კი – უდაბლესად. ყოველი წევრი თავის ფუნქციას ასრულებს, რომ მთელი სხეული ჯანმრთელი და ფხიზელი იყოს. ყოველი კასტის წარმომადგენელს შეუძლია ცნობიერების უმაღლეს დონემდე ავიდეს, და ამოსავალ წერტილად თავისი როლი ჰქონდეს საზოგადოებაში. ამიტომ *ვარნების* უძველესი ვედური სისტემა, რომელიც დამყარებულია ასეთ ფართო შეხედულებებზე, ღვთაებრივი ჩანაფიქრით იქნა შეთავსებული. ეს ჩანაფიქრი იმ ჭეშმარიტებას ადასტურებს, რომ ოთხი კასტა ერთი ღვთაებრივი კოსმოსური პიროვნების, ანუ პურუშას სხეულის წევრები იყო.

ეს ჭეშმარიტება უფრო ცხადი მაშინ ხდება, როცა პურუშას სუკტას ღვთაებრივ სიტყვებს მივმართავთ რიგვედაში:

ბრაჰმანასია მუკჰამ ასიტ
ბაჰუ რაჯანიოჰ კრიტაჰ
ურუ ტად ასია იად ვაიშიაჰ
პადბჰიამიამ შუდრო აჯაიათჰა

ამ გამონათქვამის აზრი ასეთია: აქვთ რა სუფთა *სატვეური* ბუნება და განმტკიცდნენ რა უმაღლეს ცოდნაში ან სიბრძნეში, სხვაგვარად თუ ვიტყვით, *ბრამინები*, კოსმოსური პიროვნების „სახედ“ გამოცხადდებიან; ისინი, ვინც სიმამაცით და სხეულებრივი სიმძლავრით არიან აღვსილნი, რომელთა ბუნებაშიც *სატვეური* და *რაჯასური* თვისებებია, ანუ *ქშატრიები*, კოსმოსური პიროვნების ხელებია; ისინი, ვისშიაც *რაჯასი ტამასთან* არის შეზავებული, წარმატებული ხელოსნები და ვაჭრები არიან, ანუ *ვაიშიები*, კოსმოსური პიროვნების თემოებია; მომუშავენი, ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები *ტამასის* სიჭარბით, *შუდრები*, კოსმოსური პიროვნების ფეხებია. რიგვედაში ღმერთი ამიტომ

ადიწერება როგორც ამ კომპონენტების გასაოცარი და დიდებული განხორციელება.

მაგრამ ღრმა აზრით გამსჭვალული წმინდა *ვარნების* სისტემა უგუნური, ეგოისტური, შეზღუდული შეხედულებებისა და ვიწრო მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების ხელში მოხვდა. ამ სისტემას ისინი თავის თხზულებებში განმარტავენ ისე, როგორც მოეპრიანებათ. ამით მსოფლიოსთვის უდიდესი ზიანი მოაქვთ. შედეგად ვარნების სისტემა დღეს გადმოიცემა როგორც ეშმაკური გეგმა, რომელიც გამოგონილია „უმაღლესების“ მიერ „უდაბლესების“ დათრგუნვისათვის.

კასტა თვით კოსმოსური პიროვნებაა, გამოვლენილი როგორც ადამიანთა საზოგადოება. ეს უზენაესის ხილული ფორმაა, რომლის ყოველი ნაწილი მომაჯადოებლად მშვენიერია. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ჭეშმარიტებას ყველა არ აცნობიერებს. ამ ქვეყნის, ბჰარატის კარგი ბედი იმაში გამოიხატება, რომ უზენაესი ამ სახით – როგორც დვთაებრივი სხეული, რომლის ნაწილებიც ადამიანთა კასტებია, მთელ კაცობრიობას მშვიდობით, ჰარმონიით, აყვავებითა და კეთილდღეობით უზრუნველყოფს. ამ სიმართლის არცოდნის გამო ადამიანები ამტკიცებენ, რომ ასეთი სისტემა ადამიანმა მოიგონა და სინამდვილეში ყველა ადამიანი თანაბარია. თავის პროპაგანდაში ისინი გარეშე, „ბიოლოგიური“ ნიშნებიდან გამომდინარე, რის თანახმადაც ყველა ადამიანი ერთ სახეს მიეკუთვნება.

ღიახ, რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი ერთ ბიოლოგიურ სახეს მიეკუთვნება. მაგრამ მათი ხასიათების განსხვავებებისა და ცხოვრებისეული ასპარეზის შერჩევაში მჯობინების შედეგად სხვადასხვა ჯგუფები (კასტები) გაჩნდა. ეს საზოგადოების განვითარების გარდაუვალი პროცესია. ამის უარყოფა არავის შეუძლია. ადამიანთა მოდგმა არა მხოლოდ სუფთა *სატვის* მქონე ადამიანებისაგან შედგება. სინამდვილეში, ასეთები ძალიან ცოტანი არიან. თუ ადამიანები გარეგნულად ერთმანეთის მსგავსნი არიან როგორც ერთი „სახის“ წარმომადგენლები, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ყველა ერთნაირია. ჩვენ უნდა გავმიჯნოთ და განვასხვაოთ ჯგუფები *სატვური, რაჯასიური, ტამასიური* თვისებებით ან მათი შეთავსებებით. ვინ შეგვედავება, რომ ეს არასწორია?

როგორც წესი, ჭარბი ტამასის მქონე ადამიანებს შუღრებს მიაკუთვნებენ. მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ შუღრების მიერ შობილთა შორის ბევრია ადამიანი სუფთა (სატვური) ბუნებით. ხოლო მათ შორის, ვინც ბრამინების (სატვური კასტის) მოდგმაში დაიბადა, განა ცოტანი არიან ტამასის სიჭარბით? აქედან რა გამოდის? ბჰარატის ვედური რელიგია ნათლად პოსტულირებს: არც გარეგნობა, არც წარმომავლობა თავის თავად არ განსაზღვრავს კასტას! ამა თუ იმ კასტას მიკუთვნება დაფუძნებულია ადამიანის ხასიათზე და მოღვაწეობის სახეზე.

ოთხი ვარნა ერთიანი და ერთადერთი ღმერთის ღვთაებრივი სხეულის ოთხი ნაწილია. ყოველი ნაწილი მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რადგან გარკვეულ ფუნქციას ატარებს. ყოველი ნაწილის, ანუ ვარნის მიზანია ღმერთს ემსახუროს ადამიანს მსახურების მეშვეობით, მსახურების დჰარმასთან შეხამებით, რომელიც ამ ვარნაზეა მიწერილი – ქცევის ნორმებთან და მორალურ კოდექსთან.

ზოგიერთები აცხადებენ, რომ შუღრებს უფლება არა აქვთ სულიერი პრაქტიკა ან ტაპასი (ასკეზა) აწარმოონ და რომ ეს მათთვის აუცილებელი არ არის. მათი თქმით ამის უფლება მხოლოდ ბრამინებს აქვთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი შეზღუდვები მართებულია მხოლოდ ბუნებით შუღრებისთვის, და არა იმათთვის, ვინც შუღრების კასტაშია დაბადებული; ასევე ნებართვა მხოლოდ იმათ ეხებათ, ვინც ბუნებით არიან ბრამინები, და არა წარმოშობით. ძროხისთვის უნაგირის დადგმა უსარგებლოა, ცხენის მოწველას კი არავინ დაიწყებს. ეს აშკარა ფაქტები დამყარებულია არა ამ ცხოველების მიმართ მტრობაზე ან ზიზღზე, არამედ მათს ბუნებრივ თვისებებზე და თავისებურებებზე. როგორც ყველა ადამიანი „ჰომო საპიენსია“, ასევე ძროხები და ცხენები ოთხფეხებია. მაგრამ არა ეს საერთო ნიშანი, არამედ სწორეთ მათს ბუნებაში განსხვავებები განსაზღვრავს, რომ ძროხას იყენებენ რძის მისაღებად, ცხენს კი – ცხენოსნობისთვის. კასტები ყალიბდება არა რასობრივი ნიშნებით და არა წარმოშობით, ისინი დაარსებულია შინაგან ბუნებაზე,

მიდრეკილებებზე, ცხოვრებისეული გზის არჩევაში უპირატესობის მიცემაზე.

ყველა ნაპერწკალი ცეცხლია. არსებობს მხოლოდ ერთი კასტა, ეს არის კაცობრიობა. როგორც იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ ყოველი ნაპერწკალი თავისთავად არსებობს, ასევე საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ისინი ცეცხლისგან განუყოფელია. ასევე ადამიანებიც, ანუ ინდივიდუალური არსებები. ისინი არ განსხვავდებიან *ბრაჰმანისგან* ან საყოველთაო აბსოლუტისგან, და საჭიროებას არ წარმოადგენს იმის დამტკიცება, რომ მისგან არ განსხვავდებიან. *ბრაჰმანსა* და *ჯივას* შორის დამოკიდებულებები არ არის იგივეობის ან ერთიანობის საკითხი, ეს **მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებებია**. მანამდე, სანამ გათავისუფლება მიღწეული არ არის, „ინდივიდუალური“ არსებობს ცალკე, თავისთავად. გათავისუფლებისას *ჯივა* (ინდივიდუალური არსება) *ბრაჰმანთან* ერთიანი ხდება, რადგან მისი „ინდივიდუალიზაციის“ მიზეზი ქრება. *ჯივას* და *ბრაჰმანის* განცალკევება და შეერთება, კერძოსი საყოველთაოსთან, არათავისუფლების ილუზიისა და თავისუფლების გაცნობიერების შედეგია.

ბრაჰმანი საკუთარი სინათლით ელვარებს, თვითონაა სხივმოსილება. იგი არ წარმოადგენს გაცნობიერების „ობიექტს“, *ბრაჰმანი* თვითონ აცნობიერებს ყველა ობიექტს. ყველა საგანი, ყველა არსება განეკუთვნება „ხილულის“, „დამკვირვებლის“, „ნახულის“ კატეგორიას. მაგრამ *ბრაჰმანი* მხილველია, და არა „ხილული“. როდესაც ფორმა „ხილვადია“, „მხილველი“ გონებაა. როდესაც გონება და გონის მუშაობა „ხილვადია“, ანუ „დასათვალიერებელია“, მაშინ „მხილველი“, ანუ მოწმე ცნობიერებაა.

არავის შეუძლია ამ მოწმის დანახვა. ყველა შეცნობადი საგანი არის **ატმანის სხეული**, და არა თვითონ *ატმანი*. ეს სახელ-ფომათა ვარიაციებია, როგორც თიხის ქოთნები და ჯამები, რომლებიც ცნობიერებაში იბეჭდება როგორც „ხილული“ ან ატყუებენ მას, აიძულებენ დაინახოს ვერცხლი სადაფის მაგიერ. *ატმანი არის*; იგი არსებობს თავისი თავის

წყალობით და თავისი თავის გულისთვის. სამყარო არის „სხვა“, „სხვებისთვის“, იგი „რეალური“ და ხელმისაწვდომია „სხვებისთვის“. სამყაროს საკუთარი რეალობა არ გააჩნია. იგი *ბრაჰმანიდან* გამოდის და მისი რეალობა *ბრაჰმანის* რეალობაზეა დამყარებული. ამიტომ მისი რეალობა უფრო დაბლაა, ვიდრე *ბრაჰმანის* რეალობა.

მაგის მიერ შექმნილი ილუზია, რომლის დანიშნულებაა სხვების შეცდომაში შეყვანა, თავისივე თავზე არ მოქმედებს. ცხადია, რომ *ბრაჰმანის* მიერ გამოგონილ სამყაროს არ შეუძლია თვითონ *ბრაჰმანზე* მოახდინოს გავლენა.

ჩვენ ვთვლით, რომ სამყარო ჩნდება, შემდეგ აღქმის ფორმით არსებობს, ამის შემდეგ კი იშლება. ეს სამი „სტადია“ მხოლოდ და მხოლოდ იდეებია, პროექტირებული ერთიან რეალობაზე, რომელიც მოდიფიკაციებს არ განიცდის, - როგორც სიბნელეში „გველად“ აღქმული თოკი. იდეის ჩამოყალიბების ეს უნარი *მაიაა*, იგი ფარავს, მაგრამ თვითონვე გამოააშკარავებს. *მაიას* არ შეიძლება არარეალური გუწოდოთ. როდესაც ვრწმუნდებით, რომ გველი არ არის, გველად მიღებული თოკი ჩვენთვის თოკი ხდება. მაგრამ სამყარო იგივე სახით არ ქრება, როგორც გველი. მისი არსებობა არ შეიძლება მთლიანად უარყოთ. ეს უნიკალური მოვლენაა, რომლის სხვა რამესთან შედარება არ შეიძლება. ჩვენ მას თავს ვერ ავარიდებთ, და ვერ ჩავთვლით არარეალურად ან მთლიანად ვერ მივიღებთ როგორც რეალურს. იგი არის *სატ-ასატ*, და არა *ასატ*. ანუ რეალურია-არარეალურია, და არა არარეალური.

იგი რაღაც დროის განმავლობაში ნარჩუნდება და ამიტომ რეალურია. მაგრამ სამუდამოდ არ ნარჩუნდება, და ამიტომ არარეალურია. ნებისმიერი საგანი შეიძლება ნამდვილი იყოს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ სხვა რამედ არ იქცევა. სამყარო სამყაროდ რჩება, თუ მასთან საქმე გვექნება დროებით, პრაქტიკულ, შეფარდებით დონეზე. იგი შედარებით რეალურია. ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, იგი სრულიად ერთგვაროვანია. მაგრამ სამყარო დროის, სივრცისა და მიზეზობრიობის გამო ნაირგვაროვანია. შესაბამისად, იგი არარეალურია. შანკარამ განაცხადა, რომ სამყარო, ანუ *ჯაგატო*, არარეალურია. როდესაც უმაღლესი ჭეშმარიტება შეცნობილია, სამყარო

მოხანს როგორც მირაჟი რეალობის ფონზე; ეს მირაჟი საფუძველისგან, *ბრაჰმანისგანაა* განკერძოებული. მაგრამ რამდენადაც *ჯაგატი* გონების მიერ *ბრაჰმანის* ჭეშმარიტებაზეა პროექცირებული, მას უნდა მოვეპყროთ როგორც *ბრაჰმანის* მიერ გამოვლენილს, როგორც ღვთაებრივ გამოვლინებას. „ეს ყველაფერი ჭეშმარიტად *ბრაჰმანია*“ (*სარვამ კჰალვიდამ ბრაჰმათ*).

სინამდვილეში, *ბრაჰმანი* და *მაია* ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთხელ დამყარებული და განმტკიცებული ჭეშმარიტება უცვლელია. *მაია* თავის საფუძველში არაჭეშმარიტებაა. ის, რაც „ცდუნების“ ზეგავლენითაა გაგებული, ფსევდოდონაა (*მიტია-ჯნიანა*), იგი *ავიდიას* (არცოდნის) ტოლფასია. *მიტია* (ცდომილება), ანუ *ავიდია* გაქრება, როგორც კი საცდური უკუიგდება და ჭეშმარიტება შეგნებულ იქნება. არ შეიძლება *მაიას* ეწოდოს სარწმუნო, და არც არასარწმუნო. თითოეულისათვის სამყარო მოხანს მისი წარმოდგენებისა და თვალთახედვის შესაბამისად, მას არ გააჩნია დამოუკიდებელი არსებობა, დამკვირვებლის გაგებებისგან დამოუკიდებელი, რომლებიც მისი გონებიდან გამოდის. *მაიას* საფუძველი და შენარჩუნების წყარო *ბრაჰმანია*. *ბრაჰმანი* უშუალო მიზეზია (როგორც თიხაა ქოთნების მიზეზი). ვერავითარი შედეგები („ქოთნები“) ვერ მოახდენს მასზე ზეგავლენას (როგორც თიხა უცვლელი რჩება ქოთნებში). *მაია* შედეგია, რომელიც გარდაუვალ ცვლილებებს ექვემდებარება. *ბრაჰმანი* ერთადერთი, უმაღლესი ჭეშმარიტებაა, რომელმაც მრავაგვაროვანი *ჯაგატის* ფორმა მიიღო როგორც *მაიას* ზემოქმედების შედეგი. როდესაც *ბრაჰმანი* *მაიასთან* ერთად შეიგნება, *ბრაჰმანი* *ჯაგატის* მატერიალური მიზეზი ხდება. *მაია* მოთავსებულია *ჯაგატში* როგორც *ჯაგატი*. ითვლება, რომ *ბრაჰმანი* *ჯაგატის* მოქმედი მიზეზია („მეთუნე“), მაგრამ *მაია* აღმძვრელი იმპულსია.

***ბრაჰმანი* მიზეზისა და შედეგის გარეთ იმყოფება. იგი არ შეიძლება იყოს არც მოქმედი, არც მატერიალური მიზეზი.**

ჯაგატი შეიძლება სურათად ჩაითვალოს, სადაც სუფთა ტილო *ბრაჰმანია*, მასზე დადებული საღებავები კი – *ჯაგატი*, ანუ ხილულობა, რომელიც ფონისგან განუყოფელია. ადამიანის ფიგურები სურათზე მუქია. *ჯაგატთან*

დაკავშირებული ჯოგა უბედურებასა და ტკივილს განიცდის. იგი „ხილულია“, „დაკვირვების საგანია“. *ბრაჰმანი* ჭეშმარიტებაა, *ჯაგატი* – თამაში, პანტომიმა, გართობა. სამყარო იმ ნების გამჟღავნებაა, რომელიც *ბრაჰმანშია* დაფარული. გათავისუფლების მიზანია თამაშის უკან მდგარი ნების გამოცნობა.

დჰიანა (მედიტაცია), *პუჯა* (ღმერთმსახურება), *კარმა* (წეს-ჩვეულებები და რიტუალები) და სხვა მოქმედებები იმათთვისაა დაწესებული, ვინც მეტისმეტად ზარმაცია, რომ ეს ნება გამოიცნოს. მხოლოდ იმათ შეუძლიათ პრეტენზია ჰქონდეთ სიბრძნის (*ჯნიანას*) გზით სიარულის უფლებაზე, ვისაც უნარი აქვს ამქვეყნიურ ძალისხმევათა ნაყოფზე უარი თქვას. ვედანტის გზაზე დამდგარმა *სადჰაკებმა* შემდეგი თვისებები უნდა მოიმარაგონ: განსხვავების უნარი, ანუ დროებითის მარადიულისაგან გარჩევის ცოდნა; გადაწყვეტილება განუდგეს ამქვეყნიურ და მის ზღვრებს მიღმა სიამოვნებებს; გრძნობების მართვის ცოდნა; თვითკონტროლი, არამიბმულობა, სულის სიძლიერე, რწმენა და აუღელვებლობა; გათავისუფლებისკენ დაუოკებელი სწრაფვა.

ისინი უნდა ყველა ობიექტში ღვთის ნების შედეგს ხედავდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ მათ, რომ ეს სიბრძნე მათს ცნობიერებაში გაბრწყინდეს.

ღვთისმოსავი მოღვაწეობის (*კარმის*) გზა მაძიებელთა ერთი ნაწილისათვისაა მისაღები, სიბრძნის (*ჯნიანას*) გზა – მეორე ნაწილისთვის. შეუძლებელია ამ ორი გზის შერევა და ერთდროულად ორივეს მიყოლა. *დჰარმის* (მართლქმედების) ერთგულებას ახალი ცხოვრების მოცემა შეუძლია. აყვავება ჯილდოა *დჰარმის* ცოდნისთვის, გათავისუფლება ჯილდოა *ბრაჰმანის* შეცნობისთვის. თუ *ბრაჰმანის* ცოდნა მიღწეულია, არავითარი *სადჰანა* უკვე საჭირო აღარ არის მისი შენარჩუნებისა და მდგრადობისთვის. იგი დამოკიდებული არ არის რუტინულ წეს-ჩვეულებებზე და ვალდებულებებზე.

ორი სახის გათავისუფლება არსებობს: უეცარი და თანდათანობითი. პირველია სიბრძნის, *ჯნიანას* გარდმოსვლა. მეორე – *უპასანას* (თაყვანისცემის), სულიერი სწავლისა და *სადჰანას* შედეგი. *ჯნიანა* ერთიანობის სუფთა უტყუარი განცდაა. *ბჰაქთის*, ანუ თავდადებული ერთგულების ბუნება

უმადლესი სიყვარულია, რომლის საფუძველშიც ღმერთის სიყვარულია მხოლოდ თვით ღმერთის გულისათვის.

სანსკრიტული სახელებისა და ტერმინების ლექსიკონი

ა

ადვაიტა - „არაორობითი“; ერთიანი; ფილოსოფიური სწავლება, რომელიც დამუშავებულია ვედანტის სკოლის მოაზროვნეთა მიერ. ამ სწავლების თანახმად, ერთადერთ რეალობად აღიარებულია აბსოლუტი – *ბრაჰმანი*. ვედანტის სკოლამ წამოაყენა თეზისი ღმერთის, სულის და ბუნების იდენტურობის, იგივეობის შესახებ.

ადვაიტა-დარშანა-ჯნიანა - არაორობითობის ფილოსოფიის სკოლა.

ადჰარმა - „არა-დჰარმა“, ყოველივე ის, რაც *დჰარმას* ეწინააღმდეგება; უკანონობა; უზნეობა, უსამართლობა, დანიშნულებასთან შეუსაბამობა, შეურაცხყოფა; მოვალეობის დარღვევა; გადაცდომა.

ადჰიატმიკა-ვიდია - სულიერი ცოდნა.

აკაშა - სივრცე, ბუნების ხუთი ელემენტიდან ერთ-ერთი.

ანანდა - სიხარული; უმადლესი, ღვთაებრივი სიხარული, ნეტარება, სულიერი ექსტაზი; სიხარულის უსასრულო წყარო.

ანატმან - „არა-ატმანი“; ის, რაც *ატმანის*, ადამიანის ჭეშმარიტი „მე“-ს საწინააღმდეგოა, მისი მცდარი „მე“.

ანგაგატი - ღმერთის თაყვანისცემის სულიერი პრაქტიკა მისი კეთილი გამოვლინებების (*ანგების*) – ცეცხლის, ქარის, წვიმის და ა.შ. – თაყვანისცემის მეშვეობით.

ანიანგატი - (*ანია* ნიშნავს „სხვას“, „მიწერილს“, „დამატებითს“). სულიერი პრაქტიკა, ღვთაებრივის თაყვანისცემის გზა, რომელიც გამოხატულია სიმბოლოში (ღვთაებათა ატრიბუტებში – ფლეიტაში, სამკაპში, ნიჟარაში, ბარბითში და ა.შ.)

ა-პურუშეია - „უპიროვნო“; ის, რაც კონკრეტულ ადამიანურ სახეს არ მიეკუთვნება.

ართჰა - სარგებელი, კეთილდღეობა, აგრეთვე აზრი, მიზანი; ინდური საზოგადოების კლასებად (*ვარნაშრაშებად*) დაყოფის სისტემაში ოთხი მთავარი მიზნიდან ერთ-ერთი, რომლებიც ადამიანის ცხოვრების აზრს განსაზღვრავს – მატერიალური კეთილდღეობა. ტერმინით *ართჰა* აღინიშნება ყოველგვარი მოღვაწეობა, რომელიც მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სოციალური სტატუსის ამაღლებისკენაა მიმართული, აგრეთვე ასე აღნიშნავენ მორწმუნეთა ოთხი ნაირსახეობიდან ერთ-ერთს – იმათ, ვინც ღვთაებრივს საკუთარი მიზნებისთვის ეძებს.

არია-დჰარმა - „*არიელის* ვალი“, კეთილშობილი მაძიებლის ვალი (*არიელი* – კეთილი და კეთილშობილი ადამიანი, რომლის

ცხოვრებისეულ მიზანსაც წარმოადგენს სულიერი სრულყოფილების მიღწევა; ვედური კულტურის ცივილიზებული მიმდევარი).

არჯუნა - „თეთრი“, „სუფთა“; ძმები პანდავებიდან მესამის სახელი. კუნტის და ღმერთ ინდრას ვაჟიშვილი; კრიშნას მეგობარი, მოსწავლე და ერთგული თაყვანისმცემელი.

ატმანანდა - „ატმანის ნეტარება“, უმაღლესი სულის ნეტარება.

ატმანი - ინდური ფილოსოფიის ერთ-ერთი კარდინალური გაგება, რომელიც ვედებისა და უპანიშადების მიერაა გამომუშავებული; ვედურ ლიტერატურაში იხმარებოდა როგორც სანსკრიტული დაბრუნებითი ნაცვალსახელი „თვითონ“, „თავის თავს“, თვით“, შემდეგში – მნიშვნელობაში „სხეული“, და, ბოლოს (უპირველეს ყოვლისა უპანიშადებში), როგორც აღნიშვნა სუბიექტური ფსიქოლოგიური საწყისისა, უკვდავი უმაღლესი სულისა, რომელიც *ბრაჰმანის*, აბსოლუტის, ჭეშმარიტი „მე“-ს იგივეობაა.

ატმა-ტატვა - „ატმანის არსი“; ატმანის არსითი ბუნება; ატმური, ანუ უმაღლესი სულიერი პრინციპი.

ატმა-ჯნიანა - „ატმანის ცოდნა“, საკუთარი უმაღლესი „მე“-ს, საკუთარი ღვთაებრივი ბუნების ცოდნა, უმაღლესი სიბრძნე.

ატმური - რაც ატმანს შეეხება, რაც ატმანის ბუნებიდან გამომდინარეობს, სულიერი.

აშრამა - ინდუსის ცხოვრების ოთხი ეტაპის დასახელება, რომელიც სამი უმაღლესი წოდებიდან (*ვარნიდან*) ერთ-ერთს ეკუთვნის, კერძოდ: მოსწავლეობა (*ბრაჰმჩარია*), ოჯახური, საერო ცხოვრების სტადია (*გრიჰასთჰია*), განდევნილობა (*ვანაპრასთჰა*) და თვითგანდგომა (*სანიასა*).

აშრამი - განმარტოებული სავანე; მონასტერი; სულიერი ცენტრი, სადაც *გურუ* და მისი მოსწავლეები ცხოვრობენ.

აჰმკარა (აჰანკარა) - „მცირე „მე“-ს შემქმნელი“; ინდივიდუალური თვითშეგნება (*აჰამი*), რომელიც შემოსილია ფორმით (*კარათი*), და ამის შედეგად თავის თავზე წარმოდგენა როგორც ინდივიდუალურ პიროვნებაზე, მოღვაწეზე, რაც იწვევს ილუზორული მცირე „მე“-ს გაიგივებას ჭეშმარიტ „მე“-სთან, *ატმანთან*; ეგოს, პირადი „მე“-ს გრძნობა; განკერძოების, ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

აჰიმსა - „ვნების არმიყენება“, არაძალადობა“; ცოცხალი არსების მიმართ ვნების მიყენებაზე უარის თქმა. სწავლება ბოროტების (*ჰიმსას*) არმიყენებაზე – ინდუსების მორალის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ინდოეთში არსებობდა და შემდეგი განვითარება ბუდიზმში და ჯაინიზმში განიცადა.

ბ

ბალი - მართლქმედითი მეფე-დემონი, რომელმაც ღმერთ ვიშნუს ბრამინის სახით შესწირა მიწის „სამი ნაბიჯი“ - ცა, მიწა და მიწისქვეშა სამყარო (რიგვედა, ვიშნუ-პურანა).

ბრამინი - ვედური კანონების მცოდნე, ოთხი *ვარნიდან* პირველის წარმომადგენელი - უმაღლესი, განსაკუთრებით პრივილეგირებული *ვარნისა*, რომელსაც მიეკუთვნებოდა ქურუმები, მღვდელმსახურები, *გურუები*, ვედების მცოდნენი.

ბრაჰმა - ღმერთი-შემქმნელი, რომელიც ინდუისტური პანთეონის უზენაესი ღმერთების ტრიადას (*ტრიმურტი*) აღებს, შექმნის კოსმოსური ძალის განხორციელება.

ბრაჰმა-ვიდია - „*ბრაჰმანის* ცოდნა; ღმერთის ცოდნა, უმაღლესი, წმიდათაწმიდა ცოდნა; დისციპლინა, რომელსაც ღმერთის შეცნობამდე მიჰყავს; სულიერი ფიქრის პროცესი.

ბრაჰმალოკა - არსებობის ღვთაებრივი პლანი.

ბრაჰმანი - ინდოეთის ორთოდოქსალური (ანუ ვედების ავტორიტეტის ამდარებელი) ფილოსოფიის უმაღლესი პრინციპი. *ბრაჰმანის* შესახებ სწავლების საფუძველი უპანიშადების მიერაა ჩადებული და ფილოსოფიური ორთოდოქსალური სკოლების მიერაა დამუშავებული სხვადასხვა მხრიდან; უმაღლესი ობიექტური რეალობა; ყოველივე არსებულის ერთიანი სულიერი პირველსაწყისი.

ბრაჰმანჩარია - მოსწავლეობის პერიოდი (12 წელიწადი), უმაღლესი *ვარნებისთვის* აუცილებელი; ქცევის წესები მოსწავლისათვის; თვით ეს ქცევა; შემდგომში ეს სიტყვა ხშირად იხმარება ვიწრო გაგებით - ცხოვრება მოთმინებაში, უბიწოების დაცვა.

ბუდა - „გასხივოსნებული“, „გამოღვიძებული“; ადამიანი, რომელმაც მრავალი გადაბადების შედეგად აბსოლუტურ სრულყოფილებას მიაღწია და უნარი აქვს ამ მდგომარეობისაკენ მიმავალ გზაზე სხვებს მიუთითოს. დედამიწის უკანასკნელ *ბუდად* ბუდიზმში ითვლება ბუდა გაუტამა (სიდჰართჰა შაკიამუნი) {„ბრძენი შაკიას მოდგმიდან“}.

ბუდაძი - გასხივოსნება; ვედანტის ფილოსოფიურ სისტემაში ადამიანის ცნობიერების ერთ-ერთი ასპექტი: გონი, ინტელექტი; სიბრძნე; ინტუიცია, განსხვავების უნარი, რომლის წყალობითაც პირდაპირი და უტყუარი ცოდნა შეიძინება, სულიერი გონიერება.

ბჰაგავად გიტა - „უფლის გალობა“, ანუ „ღვთაებრივი გალობა“ - რელიგიურ-ფილოსოფიური პოემა კრიშნას და არჯუნას დიალოგის ფორმაში, რომელიც შედგა კურუქშეტრას ბრძოლის ველზე; ითვლება ინდუიზმის ფილოსოფიურ საფუძველად.

ბჰაგავანი - ის, ვინც ყოველგვარი უნართაა აღჭურვილი, აღინიშნება ღვთაებრივი ნიშნებით ან თავის თავს ღვთაებრივ არსად აჩენს; ინდუისტური ღმერთების სახელი-ეპითეტო. სანსკრიტულად *ბჰაგავანი* მიმართვის ჩვეულებრივი ფორმაა პატივცემული პირისთვის - ღმერთისთვის, წმინდანისთვის, მეფისთვის და სხვ.

ბჰარატ(ა) - „ის, ვისაც მიბმულობა (*რატა*) აქვს ღმერთზე (*ბჰაგავანზე*)“ - ბჰარატთა ვედური თემის ლეგენდარული მამამთავარი, მოვარის დინასტიის მეფე, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, თავისი ძალაუფლების ქვეშ ინდოსტანის მთელი ტერიტორია გააერთიანა.

ბჰარატას ცხოვრების ამბავი მოთხრობილია „შრიმად-ბჰაგავატას“ მეხუთე ლექსში. *ბჰარატა-ვარშა* (პირდ. „ბჰარატა მიწა“, „ბჰარატას შთამომავალთა მიწა“) – ინდოეთის სუბკონტინენტის ისტორიული დასახელება; რამას ძმის სახელი.

ბჰაქთ(ა) - *ბჰაქთის* მატარებელი; ღმერთის თავდადებული ერთგული ადვოკატი, ღმერთის მორწმუნე მის მიმართ სიყვარულის მეშვეობით; *ბჰაქთი-იოგას* გზით მიმავალი ადამიანი.

ბჰაქთი - ერთგულება; მსახურება; ღმერთს ერთგული სიყვარულით მსახურება; ღვთაებისთვის თავის სრული მიბარება.

ბჰაქთი-იოგა - „ერთგულების იოგა“, რომლის საშუალებითაც ადამიანი ღმერთთან კავშირს იძენს; ერთგული მსახურების მეშვეობით ღმერთთან გაერთიანება.

ბჰოგა - საკვები; სარგებელი; სიამოვნება.

ბჰუმატა - დედა-მიწა.

ბ

განგა - ინდოეთის დიდი მდინარე, რომელიც ჰიმალაების მთებში იღებს სათავეს; წმინდა მდინარე, ლეგენდების თანახმად ვიშნუს ტერფებიდან გამოედინება, ცაზე მოედინება ირმის ნახტომის სახით, შემდეგ კი შივას თმებიდან მიწაზე გადმოედინება.

გაიატრი - „მხსნელი გალობა“; რიგვედის ცნობილ *მანტრას* დასახელება (იხ. ვედები), რომელიც მიმართულია სავიტრისკენ (მხსნელის – მზის ერთ-ერთი იპოსტასისკენ) და ერთიან ღმერთს აღიძებს; ითვლება ვედური *მანტრების* დედად; ქალღმერთ სავიტრის ერთ-ერთი სახელი; ვედური ზომა, რიტმი. კლასიკური გაიატრი განიხილებოდა როგორც ყველა დანარჩენ გაიატრის პროტოტიპი: ვიშნუ-, რუდრა-, განეშა-, ლაქში- და ა.შ.

გარუდა - ფრინველთა მეფე, ბრძენ კაშიაპას და ვინატას ვაჟი, გველების გამანადგურებელი. ოქროსფრთიანი არწივი გარუდა, ღმერთ ვიშნუს *ვაჰანა*, ამომავალ მზეს განასახიერებს.

გიტა - სიმღერა, გალობა; მიღებული შემოკლება ბჰაგავად გიტასთვის.

გიტაჩარია - (*ჩარია* – მასწავლებელი) გიტას მასწავლებელი.

გრიჰასთჰა - სახლის პატრონი.

გრიჰასთჰა-აშრამა - ინდუსის ცხოვრების ოთხი ეტაპიდან (*აშრამიდან*) ერთ-ერთი, სულიერი ცხოვრების მეორე საფეხური – ოჯახური ცხოვრების პერიოდი, ცხოვრებისა სახლის პატრონის როლში საღვთო წერილების (შასტრების) მითითებების შესაბამისად.

გუნა - „ის, რაც ბოჭავს“; თოკი; ბოჭკო; თვისება; ატრიბუტი. არჩევნ სამ *გუნას*, სამ ძირითად ძაფს, რომლებსგანაც ბუნების მთელი ქსოვილი იქსოვება, ბუნების სამი მდგომარეობა, რომლებიც ადამიანის სულიერი განვითარების ხარისხს, მის ტემპერამენტს განსაზღვრავს, კერძოდ: *ტამაგუნა*, *რაჯაგუნა* და *სატვაგუნა*. ყველაზე უფრო

თანამიმდევრული დამუშავება სწავლებამ *გუნების* შესახებ მიიღო ფილოსოფიურ სისტემაში *სანქცია*.

გურუ - „დიდი“, „მნიშვნელოვანი“, „მძიმე“; პატივცემული პირი (დედა, მამა, უფროსი ნათესავი) და განსაკუთრებით მასწავლებელი, სულიერი დამრიგებელი.

გურუკულა - სასწავლო დაწესებულების ტრადიციული ტიპი, სადაც მოსწავლეები მასწავლებლის (*გურუს*) ოჯახში ცხოვრობენ, მსახურებენ მას და მისგან სწავლობენ; ამჟამად აგრეთვე ტადართან არსებული სკოლა (*კულუ*).

ღ

დადიჩი - ლეგენდარული ბრძენი ანგირასას მოდგმიდან. ღმერთების თხოვნით მან თავისი თავი მისცა მათ, ღმერთებმა კი მისი თავი ცხენის თავით შეცვალეს. როდესაც ბრძენი ზეცაში ავიდა, ამ თავის ძელებიდან იარაღი დამზადდა, რომელმაც ღმერთები მოსპო (რიგვედა, მაჰაბჰარატა).

დარშან(ა) - მზერა, ვინმეს, განსაკუთრებით კი წმინდანის, დანახვის შესაძლებლობა; ხედვა, აღქმა; ღვთაების, უფლის მზერა; სწავლება; ფილოსოფიური სისტემა, შეხედულებები.

დეჰა - ის, რაც დაწვას ექვემდებარება; ფიზიკური სხეული.

დეჰი - ის, რაც სხეულში ბინადრობს; სხეულში დაფარული უკვდავი უმაღლესი სული (*ატმანი*); განხორციელებული უმაღლესი სული.

დეაიტა - ორობითობა, ვედანტის დუალისტური ნაირსახეობა, რომელიც მადჰვამ შექმნა და ინდივიდუალური სულისა და *ბრაჰმანის* იგივეობას არ აღიარებს.

დრაუპადი - მაჰაბჰარატას გმირი, მეფე პანჩალა დრაუპადის ქალიშვილი (*დრაუპადა* - „უძველესი სვეტი“), პანდავების ხუთივე ძმის მეუღლე, რომელიც მსოფლიოში ულამაზესად ითვლებოდა.

დჰარმა - რელიგია; ვალი; ტვირთი; კანონი; ჭეშმარიტების, ზნეობრიობის, სამართლიანობის საზომი; სოციალური ჰარმონიის კანონი; არსებებისა და საგნების ჭეშმარიტი დანიშნულება; ინდუისტურ ტრადიციაში – ადამიანის ვალდებულებები საზოგადოებაში მისი მდგომარეობის შესაბამისად, საზოგადოებრივი, ოჯახური და რელიგიური ვალდებულებების ერთობლიობა, რომლებიც ადამიანის სავალდებულო ქცევას განსაზღვრავს; იგი სამყაროს წესრიგის დაცვის მთავარ საფუძვლად ითვლება; ვიწრო გაგებით – მართლქმედითი ცხოვრება, მართლქმედება, სამართლიანობა. ვედურ მითოლოგიაში – სამართლიანობისა და კანონის ღმერთის სახელი.

დჰარმარაჯა - „მართლქმედითი მეფე“; იუდჰიშთჰირას სახელი-ეპითეტი, ხუთი ძმა პანდავებიდან უფროსისა, პანდუს და კუნტის ვაჟისა, რომელიც ასევე ღმერთ დჰარმის ვაჟად ითვლებოდა; იამას, სიკვდილის ღმერთის ეპითეტი.

დჰიანა - მედიტაცია, ჩაძირვისა და მზერის მდუმარების პროცესი და მზერის ობიექტში გაზავება, ცნობიერების მდგომარეობა გრძნობების

სფეროს გარეთ; პატანჯალის აშტანგა-იოგას (8 საფეხურიან იოგას) პრაქტიკაში მე-7 საფეხური.

3

ვაიშია - საქმიანობის სახეობის შესაბამისად საზოგადოებრივი დაყოფის ვედური სისტემის თანახმად, ოთხი *კარნიდან* მესამის წარმომადგენელი – ვაჭრების, ფერმერების, მწარმოებლების, ხელოსნების, მიწათმოქმედებისა.

ვაიშნავი - ვიშნუს თაყვანისმცემელი; ვიშნუს ერთგული მსახური.

ვალმიკი - „(გამოსული) ჭიანჭველების ბუდიდან“ - დიდი ბრძენი, მომღერალი და პოეტი, ძველი ინდოეთის უდიდესი ეპოსის – რამაიანას – ავტორი, რომელიც მაჰაბჰარატასთან ერთ რიგში დგას.

ვანაპრასთჰა - ინდუსის ცხოვრების ოთხი ეტაპიდან მესამე – ტყეში ყოფნა, ტყიური ცხოვრების სტადია; ცხოვრება განმარტობაში, მზერასა და ფიქრში.

ვარნა - ფერი, შეფერილობა; მრავალსახეობა; რასა; არსი; ვედებში აღნიშნავს თვისებას, ტემპერამენტს; ბრაჰმანებში იხმარება წოდების ან კლასის აზრში, რომლებზედაც ძველად ინდური საზოგადოება იყოფოდა.

ვარუნა - „ცა“; ვედური პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღმერთი, კანონისა და მსოფლწესრიგის დამცველი; უფრო გვიანდელ ტრადიციებში – წყლების მბრძანებელი; ქვეყნების რვა მბრძანებელიდან ერთ-ერთი (დასავლეთის მიმართულების დამცველი).

ვასიშთჰა - „უმიდრესი“ - შვიდი „დიადი რიშიდან“ ერთ-ერთი, ვედური ჰიმნების შემთხვევითი, ბრაჰმას სულიერი ვაჟი, ვარუნასა და *აფსარის* (ზეციური დევის) ურვაშის ვაჟი, მზის დინასტიის მეფეთა საოჯახო ქურუმი, რომელიც *ბრაჰმანის* იდეალად ითვლებოდა.

ვედანგები - (ვედების ნაწილი), წეს-ჩვეულებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ციკლი, რომელიც ვედებს ეკვრის. მოიცავს ხელმძღვანელობას ცოდნის ექვს დარგზე (ფონეტიკა, ლექსის ზომა, გრამატიკა, ეტიმოლოგია, ასტროლოგია და ასტრონომია, რიტუალმცოდნეობა); ამ დარგების დანიშნულებაა ვედური რიტუალების სწორი ჩატარება, აგრეთვე ვედების განმარტება.

ვედანტა - „ვედების დასრულება“; ინდური ფილოსოფიის ერთ-ერთი ორთოდოქსალური სკოლა, რომელიც დაფუძნებულია ვედური ლიტერატურის (უპანიშადების, ბრაჰმა-სუტრის, ბჰაგავად გიტას, ბჰაგავატა-პურანას) საკრალურ ტექსტებზე. ვედანტის მთავარი თემაა თანაფარდობა აბსოლუტისა და სამყაროსი, მცოფლიო ცნობიერებისა და ინდივიდუალური ცნობიერებისა, აგრეთვე დაბადებათა ციკლისგან გათავისუფლების გზები.

ვედები - ძველი ინდოეთის თავდაპირველი საღვთო წერილები, გადმოცემული ზეპირად, აქვს უდავო ავტორიტეტი როგორც ღვთაების გამოცხადება, რომელიც ბრძენებმა გაიგონეს. ჩვენამდე მოაღწია ოთხმა ვედამ, ოთხმა კრებულმა (*სამჰიტებმა*), რომლებიც, გადმოცემით, ბრძენმა

ვიასამ ჩაიწერა: რიგვედა – ჰიმნების (რიგ) კრებული, იაჯურვედა – მსხვერპლის შეწირვათა ფორმულების კრებული, სამავედა – გალობათა კრებული და ათჰარვავედა – მაგიური შელოცვების კრებული.

ვიასა - „შემდგენელი“, „შემგროვებელი“; სახელი, რომელიც მიეცა წმინდა ბრძენ კრიშნა-დვაიპაიანას (პირდ. „შავ კუნძულელს“), რომელსაც ვედების, აგრეთვე მაჰაბჰარატას, ბრაჰმა-სუტრას და 18 დიადი პურანას შედგენა მიეწერება. მაჰაბჰარატაში ვიასა ასევე ერთ-ერთ გმირს წარმოადგენს: ფაქტიურად იგი არის პანდუს და დჰრიტარაშტრას მამა, პანდავებისა და კაურავების პაპა.

ვიდია - „გამგებლობა“; განათლება, მეცნიერება: ცოდნა უმაღლესი სულიერი გაგებით.

ვინა - ინდური მუსიკალური ინსტრუმენტი, ლირას სახეობა, რომელიც შედგება დოლი-რეზონატორისა და გრიფისაგან მოჭიმული სიმებით.

ვიშვამიტრა - „ყველას მეგობარი“; ბრძენი, რომლის სახელიც ვედებში გვხვდება; დაბადებულია მეომრად (*ქშატრიად*), მაგრამ თავისი განსწავლულობისა და ასკეტური გმირობების წყალობით ქურუმის (*ბრაჰმანის*) მდგომარეობას მიაღწია და გახდა „დიადი შვიდი ბრძენიდან (*მაჰარიშიდან*) ერთ-ერთი. დაეუფლა რა უზარმაზარ ძალას, ვიშვამიტრამ ბრძოლაში „ღვთაებრივი ბრძენი“ (*ბრაჰმარიში*) ვასიშთჰა გამოიწვია და დამარცხება განიცადა, დაკარგა ძალა.

ვიშიშტ-ადვაიტა (პირდ. სწავლება განსხვავებებში იგივეობაზე) - ვედანტის ნაირსახეობა, რომელიც, ადვაიტა-ვედანტისგან განსხვავებით, რეალურად არსებულად თვლის მატერიალურ სამყაროს, ადამიანის ინდივიდუალობას და *ბრაჰმანს* როგორც გამჟღავნებულ, პიროვნულ ღმერთს. სკოლის დამფუძნებელია რამანუჯა.

ვიშნუ - „ყველაფერში შეღწეული“, „ყოვლისმომცველი“; ინდუისტური პანთეონის ერთ-ერთი უმაღლესი ღმერთი, რომელიც ბრაჰმასთან და შივასთან ერთად შეადგენს ღვთაებრივ ტრიადას (*ტრიმურტის*), სამყაროს დამცველი, შენარჩუნების კოსმოსური ძალის განხორციელება.

ვიჯნიანა - სიბრძნის უმაღლესი ტიპი – პრაქტიკული სიბრძნე, ცხოვრება მთელი არსებულის ღვთაებრივთან ერთიანობის მსოფლშეგრძნობის შესაბამისად.

o

იაჯნა (*იაგა, იაგია*) - სამსხვერპლო რიტუალი; რიტუალური მსხვერპლი, რომელიც ბრძენმა-*რიშებმა* დააწესეს, აგრეთვე ღვთაება – ის ვინც მოტანილი მსხვერპლით ტკებება; თვითგანდგომის ნებისმიერი აქტი ღმერთისთვის.

იაჯნავალკია - ლეგენდარული ბრძენი, ვიასას მოსწავლე, რომელმაც მზის ღმერთ სურიასგან შუკლა-იაჯურვედის (თეთრი იაჯურვედის) ცოდნა მიიღო, პატივს სცემენ როგორც *იოგეშვარას* - „*იოგას მბრძანებელს*“, რომლის ავტორიტეტსაც ხშირად იმოწმებენ, ბრიჰადარანიაკა-უპანიშადის მოქმედი პირი.

იამა - „ტყუპი“; ვედურ მითოლოგიაში სამართლიანობის ღმერთ დჰარმას ტყუპისცალი, პირველი იმ ადამიანთა შორის, ვინც მიწის ქვეშ წავიდა, მკვდრების მოსამართლე და მეუფე, ჭეშმარიტების განსახიერება და მეუფე, უკვდავების დამცველი, მოგვიანებით – სიკვდილის ღმერთი; ერთ-ერთი საფესური *იოგას* პრაქტიკაში – თავის სხეულზე და გრძნობებზე მიბმულობისთვის უარის თქმა; თვითკონტროლისა და თვითშეზღუდვის წესები, კანონი.

ინდრა - „მბრძანებელი“; ზეცაში მცხოვრებთა მეფე, გვიანდელი ვედური პანთეონის მთავარი ღმერთი. ეპიკურ პერიოდში – ჭეჭა-ქუხილისა და ელვის ღმერთი, რომელიც წვიმასთან და მოსავლიანობასთანაა დაკავშირებული. ინდრა სამხედრო ფუნქციასაც ახორციელებს, მამაცი და ძლევამოსილია, მონაწილეობს მრავალ ბრძოლაში დემონებისა და არიელებისთვის უცხო თემთა წინააღმდეგ.

ინდრიები - „ინდრას ძალები“; გრძნობითი უნარი; გრძნობითი ორგანოები; ფსიქოფიზიოლოგიური ორგანოები, რიცხვით 10; აღქმის 5 ორგანო (თვალები, ყურები, კანი, ცხვირი, ენა) და მოქმედების 5 ორგანო (საჭმლის გადამმუშავებელი, მეტყველების, საშვილოსნო-გამოყოფითი სისტემები, მამოძრავებელი ორგანოების 2 წყვილი).

ინდუიზმი - მსოფლიო რელიგიებიდან ერთ-ერთი, თანამედროვე ინდოეთის ყველაზე უფრო გავრცელებული რელიგია; ჩამოყალიბდა ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში ბრაჰმანიზმის საფუძველზე – ძველი ინდოეთის რელიგიისა, რომელიც ღმერთ ბრაჰმას თაყვანისცემასთანაა დაკავშირებული. ბრაჰმას გარდა თაყვანისცემის ობიექტებს ინდუიზმში წარმოადგენს ვიშნუ და შივა, რომლებიც ინდუისტურ ტრიადას (*ტრიმურტის*) შეადგენენ. ინდუიზმის სარწმუნოებრივი მოძღვრების და წეს-ჩვეულებათა საფუძველები ვედებშია გადმოცემული. ინდუიზმში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს გამოყოფილი სწავლებას *სანსარის* შესახებ. ინდუიზმის სისტემაში როგორც მუდმივი ელემენტი შევიდა 6 ფილოსოფიური ორთოდოქსალური სწავლება: *სანჭია, ვაიშეშიკა, მიმანსა, ნიაია, ვედანტა* და *იოგა*.

იოგა - (*იუჯებისგან* - „შებმა“); სულის დისციპლინა; სისტემაში მოყვანილი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია თვითსრულყოფისკენ ადამიანში დაფარულ პოტენციალურ შესაძლებლობათა გამოსახვის მეშვეობით, და ადამიანის ერთიანობა უნივერსალურ და ტრანსცენდენტურ არსებობასთან; დვთაებრივთან შეერთება, კავშირი. ფილოსოფია, რომლის თანახმადაც ღმერთთან შერწყმა მიიღწევა სპეციალური ფიზიკური და მენტალური ვარჯიშების დახმარებით. ფილოსოფიური სწავლება, რომელიც, გადმოცემით, სისტემატიზებულია სწავლულ და ფილოსოფოს პატანჯალის მიერ (სავარაუდოდ ძვ. წელთ. მე-2 საუკუნეში).

იოგა-ბჰუმი - *იოგას* მიწა.

იოგეშვარა - „*იოგას* მეუფე“; *იოგას* მცოდნე, სრულყოფილი ცოდნის მატარებელი; კრიშნას და შივას ეპითეტი.

იოგინი (იოგი) - ასკეტი, ის, ვინც *იოგას* პრაქტიკას ეწევა, *იოგას* სწავლების ადვოკატი, რომელიც ამით ვარჯიშობს თავის თავში განსაკუთრებული ფსიქიკური თვისებების განვითარების მიზნით; ის, ვინც თვითრეალიზაციისკენ ისწრაფის.

იშვარა - „მბრძანებელი“, „მეუფე“, „უზენაესი“, მრავალი ღმერთის ეპითეტი; ასე უწოდებენ ინდუიზმის უმაღლეს ღმერთებს, იშვიათად ვიშნუს, უფრო ხშირად შივას.

ბ

კალა - განვითარების ფაზა; მთვარის ფაზა; თანამიმდევრობა; დრო; მარადიული დრო; პლანეტა სატურნის დასახელება; სიკვდილის ღმერთ იამას სახელი; იშვიათად ვიშნუს ეპითეტი, უფრო ხშირად – შივასი როგორც სამყაროს მომშლელი ძალისა.

კალი - „შავი“; სიბნელე; ველურობა. ინდუიზმში დევის, შივას ცოლის ერთ-ერთი ჰიპოსტასი, მისი *შაქთის* მრისხანე, დამღუპველი ასპექტის განსახიარება. ყოველი *კალპის* (სამყაროს პერიოდის) დასასრულს კალი სამყაროს წყვდიადით მოსავეს და მის განადგურებას ხელს უწყობს.

კალი-იუგა - „კალის ეპოქა“, „შავი ეპოქა“; ადამიანის ფიზიკური და მორალური დეგრადაციის ეპოქა; ევროპული ტრადიციის თანახმად - „რკინის ხანა“, რომლისთვისაც მტრობის ატმოსფეროა დამახასიათებელი; უკანასკნელი ოთხ ეპოქიანი ციკლიდან, რომლებიც ერთ მაჰა-იუგას (დიადი იუგა) შეადგენს.

კაშა - გრძნობითი სურვილი, დაუფლების სურვილი, ჟინი; ვნების განსახიერება. ინდუიზმში – გრძნობითი, ემოციური ცხოვრების აღნიშვნა; ადგზნება და გრძნობების დაკმაყოფილება; ვედების თანახმად, ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი მიზანი (ბუნებრივი და მართლქმედითი სურვილების შესრულება).

კარმა - მოქმედება; მუშაობა; წეს-ჩვეულება; კეთილისმყოფელი მოქმედება; მოქმედების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ან მიგების სამყაროებრივი კანონი; კარგი და ცუდი საქმეების ერთობლიობა, რომლებიც ინდივიდუალურმა სულმა შეასრულა და რაც მის შემდგომ ბედს განსაზღვრავს.

კარმა-ბჰუმი - „*კარმის* მიწა“; სულიერი მოღვაწეობის მიწა.

კარმა-იოგა - მოქმედების *იოგა*, უანგარო მოქმედება იღვის გულისათვის; სულიერი სრულყოფისა და უფლის გაცნობიერების გზა საკუთარი მოქმედებების შედეგთა მისთვის მიძღვნის საშუალებით; *იოგაში* ოთხი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთი.

„*კარმა-კანდა*“ - ვედების განყოფილება, რომელიც ეძღვნება *კარმას*, ანუ წეს-ჩვეულებებისა და ღმერთის თაყვანისცემის რიტუალებისა და ცხოვრების ციკლის სწორ შესრულებას.

კარმა-მარგა - მოქმედების გზა.

კარმა-ქშეტრა - მოქმედების ველი.

კარნა - „ყური“, „ყურმახვილი“; კუნტის და მზის ღმერთ სურისას ქორწინებაგარეშე ვაჟი, რომელიც ბავშვობაში მეეტლის ოჯახში იზრდებოდა. ზებუნებრივი ძალის მფლობელი; მან თავის დროზე მონაწილეობა მიიღო დრაუპადის *სვაიამვარაში* (პატარძლის მიერ საქმროს არჩევაში). დრაუპადიმ კარნას დაბალი წარმოშობის საბაბით უარყო იგი და ყველა საქმროს არჯუნა ამჯობინა. არ იცოდა რა თავისი ნამდვილი წარმოშობის შესახებ, კარნამ პანდავებსა და დრაუპადიზე გულში წყენა ჩაიდო და კაურავეების ყველაზე უფრო ძლევა მოსილი და ერთგული მოკავშირე გახდა პანდავებთან ბრძოლაში; იგი კურუქშეტრაზე ბრძოლაში დაიღუპა.

კრიშნა - „შავი“, „მუქი“; ეპოსში – რაჯა იადავების თემიდან, ვასუდევას და დევაკის ვაჟი, იადუს (მთვარის დინასტიის ერთ-ერთი მეფის) შვილიშვილი, და პანდავების ბიძაშვილი და მომხრე. ინდუიზმში თაყვანს სცემენ როგორც *პურნა-ავატარს*, „სრულ ავატარს“; ვიშნუს სრული ღვთაებრივი განსხეულება, ახალი რელიგიისა და ახალი ფილოსოფიის მატარებელი, *ანანდის* (ნეტარების), *პრემას* (სიყვარულის) და *ბჰაქთის* (ერთგულების) მეუფე.

ლ

ლაქში - ასი ათასი.

ლოკა - სფერო, ადგილი, მიწა, სამყარო, არსებობის პლანი.

მ

მადჰავა - „მადჰუს შთამომავალი“ ან „თაფლოვანი“, „საგაზაფხულო“; კრიშნას ეპითეტი და მისი სახელი მამის გვარიდან;

მადჰუ - იადავების თემის წინაპარი.

მაია - ილუზია, ჯადოსნობა, გრძნეულობა; ღმერთის (*ბრაჰმანის*) შემოქმედებითი, მისტიკური და მაცდუნებელი ძალა, რომლის საშუალებითაც ღმერთი სამყაროს გამჟღავნებას ახორციელებს. სამყაროებრივი ილუზია, სამყაროს მრავალფეროვნებად ხედვა; მეტაფიზიკური არცოდნა; უმეცრება.

მაიას-მაია - ის, რაც *მაიას* ეხება;

მამა - ჩემი.

მამა-დჰარმა - კერძო *დჰარმა*.

მანტრა - სულიერი შელოცვა, ლოცვის ფორმულა, რომელიც ვედური ჰიმნებიდან არის აღებული; წმინდა აქსიომა, აქვს ტრანსცენდენტური ხმოვანი ვიბრაცია, რომელიც ცნობიერების მაღალი მდგომარეობის მიღწევაში ეხმარება.

მანუ - მოაზროვნე, ადამიანი; კაცობრიობის პირველშობლის სახელი, რომელიც შექმნილი სამყაროს ყოველ პერიოდში ჩნდება. ბჰაგავად გიტა ამბობს ოთხ მანუზე, მოგვიანებით ათს ითვლიდნენ. ლეგენდის თანახმად, მანუ ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ვიშნუმ წარღვნისგან იხსნა.

მანუ, მზის ღმერთ სურიას ვაჟი, წარმოადგენს მზის და მთვარის დინასტიის მეფეს და მამამთავარს, მან ქაოსი მოსპო და *დჰარმა* დაამყარა დედამიწაზე.

მარგა - გზა.

მაჰაბჰარატა - „დიადი თქმულება ბჰარატას შთამომავლებზე“ ან „ბჰარატას შთამომავალთა დიადი ბრძოლა“ - 18 ნაწილიანი (*პარვიანი*) ეპიკური პოემა, რომლის შექმნაც მიეწერება ბრძენ ვიასას. პოემის ძირითადი სიუჟეტია ბრძოლა ტახტისთვის მეფის გვარის წარმომადგენლებს - ხუთ ძმა პანდავებსა და მათი ბიძის (მეფე დჰრიტარაშტრას) ას ვაჟ კაურავებს - შორის. დიად ბრძოლაში კურუს ველზე (რომელიც შედგა ჩვენს ერამდე 3141 წელს) მონაწილეობას იღებდნენ ორივე მხარეზე ინდოეთის ყველა მეფე და ხალხები. პოემის უმეტეს ნაწილს იკავებს მითოლოგიური, საგმირო თქმულებების, ფილოსოფიური და სოციოლოგიური თემები. *მაჰაბჰარატა* ინდოეთის კულტურის ფასდაუდებელი ლიტერატურული ძეგლია, რომელიც დაახლოებით ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარს განეკუთვნება.

მაჰარაჯა - „დიდი რაჯა“; რაჯა-დამპყრობელი, რომელმაც *აშვამედჰა-იაგა* (ცხენის მსხვერპლად შეწირვა) შეასრულა; პატივისცემით მიმართვა ადამიანს.

მაჰატმა - „სულით დიადი“; „დიადი სული“; ის, ვინც ყოველგვარი მოქმედების განცდისგან თავისუფალია, რომელსაც არც მიბმულობა ეხება, არც სიძულვილი.

მაჰეშვარა - „დიადი მეუფე“; შივას და ვიშნუს ეპითეტი.

მოკშა (*მუკთი*) - გათავისუფლება; *ჯივას* გათავისუფლება *კარმული* ტვირთისაგან, ანუ ადამიანის ხსნა *სანსარისაგან* – დაბადებათა და სიკვდილთა წრისაგან; ინდუიზმში – ადამიანის არსებობის ოთხი მიზნიდან ერთ-ერთი (საბოლოო) .

6

ნარადა - ღმერთების ცნობილი მასწავლებლის, ღვთაებრივი რიშის, ბრაჰმას სულიერი ვაჟის სახელი, რომელსაც რამდენიმე ვედური ჰიმნის ავტორობა და ინსტრუმენტ *ვინას* გამოგონება მიეწერება. მისი ცხოვრების ისტორია „შრიმად-ბჰაგავატას“ პირველ ლექსშია აღწერილი.

ნირგუნა - „თვისებების არმქონე“; ფიზიკურითვისებების არმქონე, უპიროვნო.

ნირგუნა-ბრაჰმანი - „თვისებების არმქონე ბრაჰმანი“, ანუ ფორმისა და ატრიბუტების არმქონე ბრაჰმანი, ერთიანი ღმერთი, აბსოლუტი.

ნიშკამა-კარმა - მოქმედება პირადი მოტივაციის გარეშე; მოქმედებაში ჩართვა მოქმედებათა შედეგებზე მიბმულობის გარეშე; საკუთარი ვალის უანგარო შესრულება.

პანდავები - „პანდუს შთამომავლები“. ამ სიტყვით მაჰაბჰარატა ხუთ ძმას აღნიშნავს: დჰარმარაჯას, ბჰიმას, არჯუნას (მეფე პანდუს და მისი ცოლის კუნტის ვაჟებს) და ნაკულას და საჰადევას (პანდუს და მადრას ვაჟებს). რამდენადაც დაწყევლის გამო პანდუს არ შეეძლო შვილები ჰყოლოდა, უფლისწულთა ფაქტიურ მამებად ითვლებიან ღმერთები დჰარმა, ვაიუ, ინდრა და ტყუპი ძმები აშვინები.

პანდიტი - განათლებული ადამიანი; სწავლული; ვედური სიბრძნის მცოდნე; საპატიო ტიტული, რომელიც ღვთისმეტყველური განათლების მქონე ადამიანებს ენიჭებათ.

პანხაბჰუტი - „ხუთი სტიქია“, „ხუთი ელემენტი“; ნივთიერების ხუთი ელემენტარული მდგომარეობა: აკაშა (სივრცე), ვაიუ (ჰაერი, ქარი), აგნი (ცეცხლი), ჯალა (წყალი), პრიტვი (მიწა).

პანხაპრანა - ხუთი სასიცოცხლო დენი, ანუ სასიცოცხლო ენერჯია.

პარაბრაჰმა(ნ) - „უზენაესი ბრაჰმანი“, ბრაჰმანი მის ტრანსცენდენტურ ასპექტში, უნივერსალური ერთიანი ღმერთი, აბსოლუტი.

პარამანანდა - უმაღლესი ნეტარება.

პარამატმანი - „უზენაესი ატმანი“; უმაღლესი სული, უმაღლესი ღვთაებრივი არსი, რომელიც ბრაჰმანთანაა გაიგივებული.

პარამაჰმსა - „სრულყოფილი გედი“; ჰამსა – ზეციური გედი, ღმერთ ბრაჰმას ვაჰანა, რომელსაც უნარი აქვს რძისა და წყლის ნარევიდან რძე გამოიყოს და მხოლოდ რძე სვას; მოდვაწე, რომელმაც უმაღლეს სულიერ დონეს და გარჩევის უნარს მიაღწია; გათავისუფლებული; წმინდანი.

პარამეშვარა (პარამა-იშვარა) - „უმაღლესი მბრძანებელი“, „უზენაესი“; ვიშნუს და შივას ეპითეტი.

პარვატი - იშვარას (შივას) ცოლი.

პართჰა - „პრიტჰ(ი)ვის ვაჟი“; პრიტჰვი („ფართო“, „ხელისგული“) – დედამიწის ეპითეტი და კუნტის სახელი. პართჰებს უწოდებდნენ კუნტის სამ უფროს ვაჟს – დჰარმარაჯას, ბჰიმას და არჯუნას.

პარჯანია - წვიმის ღრუბელი, წვიმის წყარო; ძველი ინდოეთის მითოლოგიაში – საავდრო ღრუბლებისა და წვიმის ღმერთი.

პატანჯალი - ლეგენდარული ვედური ფილოსოფოსი (სავარაუდოდ ძვ. წელთაღ. მეორე საუკ.), რომელსაც მიეწერება იოგას ფილოსოფიური სწავლების სისტემატიზაცია, ტრაქტატ „იოგა-სუტრას“ ავტორობა და 8-საფეხურიან იოგას შექმნა.

პაშუ - ცოცხალი არსება; ცხოველი; შინაური საქონელი.

პაშუპატი - ცოცხალ ქმნილებათა ბატონი; ცხოველთა მბრძანებელი; შინაური საქონლის მბრძანებელი; ძველი ინდოეთის მითოლოგიაში – შივას ეპითეტი.

პრაკრიტი - ბუნება; ვედანტის ფილოსოფიაში – მატერიალური სამყარო, რომელიც ღმერთის შემოქმედებითი ენერჯიის მიერ იქმნება და სულიერდება; პირველშობილი მატერია, რომელიც ხუთი ელემენტისგან იქმნება ან უხეში და ინერტული ბუნება, რომელიც ატომებისგანაა

შედგენილი; ხილული გამჟღავნებელი სამყარო, რომელიც ჩვენი გრძნობითი ორგანოების მიერ აღიქმება; მუდმივი ქალური საწყისი; ქალური არსი, ხრწნადი და წარმავალი.

პრანა - სიცოცხლე; სუნთქვა; მაცოცხლებელი ძალა, სასიცოცხლო ენერჯია, სასიცოცხლო პრინციპი. ადამიანის სხეულში 5 ძირითად *პრანას* ასხვავებენ.

პრანავა - თავდაპირველი ბგერა; თავდაპირველი სიტყვა.

პრარაბდჰა-კარმა - *კარმა*, რომელიც ამ მომენტში განიცდება როგორც ყველა წინამორბედი *კარმის* შედეგი.

პრახლადა - „სასიხარულო აღგზნება“, „აღტაცება“; დემონ-*ახურების* ღვთისმოსავი მეფის, ვიშნუს თავდადებული ერთგულის, მეფე-დემონ ჰირანიაკაშიპუს ვაჟის სახელი.

პრაჯნიანა - უმაღლესი სიბრძნე, სავსე, სრულყოფილი ცოდნა; შემცნობი პრინციპი; ადამიანის შიგნით მყოფ ღმერთის მცოდნე; მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება ცნობიერების უმაღლეს დონეს – მუდმივ ყოვლისმომცველ ცნობიერებას.

პრემა - სიყვარული; კოსმოსური, უნივერსალური, ღვთაებრივი სიყვარული.

პურანა - საგმირო თქმულება, ნამდვილი ამბავი; მრ. რიცხვში – უძველესი თქმულებები, ლეგენდები, მითები. ითვლიან 18 „დიად პურანას“ და 32 „მცირე პურანას“, რომლებიც ვედების დამატებაა. მოგვიანებით, ჩვ. წელთაღრ. მეოთხე საუკუნეში, სიტყვა „პურანამ“ უფრო ვიწრო მნიშვნელობა მიიღო. ასე იწოდებოდა უფრო გვიანდელი წარმოშობის ლიტერატურული ნაწარმოებები უპირატესად ვიშნუიტური მიმართულებისა, მაგალითად, „ვიშნუ-პურანა“, „ბჰაგავატა-პურანა“. არის შივაიტური პურანები, მაგალითად, „ვაიუ-პურანა“, „ლინგა-პურანა“.

პურნა - მთლიანი, სრული, განუყოფელი, ყოვლისმომცველი.

პურუშა - ადამიანი; ქმარი, მამაკაცი; მოქალაქე; ვედანტის ფილოსოფიაში – სრულყოფილი ადამიანი, განხორციელებული უმაღლესი სული, ღმერთის გამჟღავნება მატერიალურ სამყაროში; აბსოლუტური სუბიექტი, რომელიც სამყაროს გამჟღავნებას უმზერს და ბუნების (*პრაკრიტის*) თამაშს იცავს; მამაკაცური არსი, მოუშლელი და მარადი; მუდმივი მამაკაცური საწყისი.

პურუშართჰები - ვედების თანახმად, ადამიანის სასიცოცხლო ძალისხმევების ოთხი მიზანი (*დჰარმა*, *ართჰა*, *კამა* და *მოკშა* – მართლქმედითი ცხოვრება, კეთილდღეობის მიღწევა, საქებად სურვილთა შესრულება და გათავისუფლება).

„პურუშა-სუკთა“ - რიგვედის ჰიმნი, რომელიც სამყაროს სულის (*პურუშას*) აღწერას მიეძღვნა და გვიამბობს *ვირატ-პურუშაზე* – კოსმოსურ გიგანტზე, რომელიც ღმერთებისთვის მსხვერპლად იქნა შეწირული; მისი ნაწილებისგან კოსმოსის ძირითადი ელემენტები შეიქმნა.

პურუშოტამა - „მამაკაცთა შორის საუკეთესო“; ვიშნუს ეპითეტი; უმაღლესი *პურუშა*, ანუ ღმერთი, სამყაროს უმაღლესი სული, რომელიც ინდივიდუალურ *ატმანებს* აერთიანებს.

პუჯა - პატივი; პატივისცემა, თაყვანისცემა; უმაღლეს არსებათა პატივისცემა ან ღმერთების თაყვანისცემა; ვისიმე საპატივცემულო ზემის ცერემონია; ღვთისმსახურების რიტუალი.

რ

რაჯა-იოგა - „მეფური“ იოგა.

რაჯასი (*რაჯაგუნა*) - მოძრაობა; მისწრაფება; ვნებიანობა; მოძრავი, ვნებიანი საწყისი; ბუნების ძირითადი თვისებებიდან (*გუნებიდან*) მეორე; ქოლერიკული ტემპერამენტი.

რაჯასური - *რაჯასის* ბუნებისათვის დამახასიათებელი; მოძრავი; მღელვარე; ვნებიანი.

რამა - „სასიხარულო“; ძველი ინდური ეპოსის რამაიანას გმირი; მზის დინასტიის მეფე, აიოდჰის მმართველი, დაშარადჰის და კაუშალიას ვაჟი, რომელმაც ყოვლადღიერი დემონი რავანა დაამარცხა. ვიშნუიტური ტრადიცია რამას ცნობს ვიშნუს მეშვიდე ავატარად, *დჰარმის* დამცველად.

რამაჩანდრა - „რამა (მშვენიერი როგორც) მთვარე“.

რამაიანა - „თქმულება რამაზე“, ეპიკური პოემა შვიდ წიგნად, რომელიც მოგვითხრობს რამას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის ბრძოლაზე დემონ რავანას წინააღმდეგ, რომელმაც რამას ცოლი სიტა მოიტაცა. რამაიანას შექმნა ბრძენ ვალმიკის მიეწერება.

რიში - „ჰიმნების (*რიგ*) შემთხზველი“; მასწავლებელი, ბრძენი, წმინდანი, რომელსაც გაწმენდილი ცნობიერება და განათებული ინტელექტი აქვს; მრ. რიცხვში – წმინდა წინასწარმჭვრეტელი, რომლებმაც მაღლიდან რიგვედის ჰიმნები აღიქვეს. პოსტვედური პერიოდის მითოლოგია დიადი *რიშების* (*მაჰარიშების*) ჯგუფს გამოყოფს, რომლებიც ბრაჰმას გონებით იყვნენ წარმოშობილნი და სამყაროს და სამყაროს წესრიგის შექმნაში ესმარებოდნენ მას. სხვა ბრძენები *რიშების* სტატუსს ასეკტური საქმეებით აღწევენ. მათ შორის გამოირჩევიან *ბრაჰმარიშები* (ბრძენი-ბრაჰმანები), *რაჯარიშები* (მეფური ბრძენები) და *დევარიშები* (ღვთაებრივი ბრძენები).

როგა-ბჰუმი - ავადმყოფობათა მიწა.

რუდრა - „ღრიალა“; ვედური ღმერთი, შივას ჰიპოსტასი, რომელიც რიგვედის ჰიმნებში მოიხსენიება, *მარუტების* (ქარის, ჭექა-ქუხილის ღმერთების) მთავარი, რომელიც სუნთქვას და სასიცოცხლო ენერჯიებს (*პრანებს*) მართავს, ზოგიერთ ჰიმნში ვარუნასთან იყო გაიგივებული.

ს

საგუნა - „(კარგი) თვისებების მქონე“; განხორციელებული ღვთაება.

საგუნა-ბრაჰმანი - თვისებების მქონე *ბრაჰმანი*; ღმერთი, რომელსაც ფორმა აქვს.

სადგურუ - „კარგი (ან ჭეშმარიტი, წმინდა) გურუ“.

სადჰაკა - „რაიმეს შემსრულებელი“; დამხმარე; სულიერი მაძიებელი, რომელიც *სადჰანას* გზით მიდის.

სადჰანა - „მიზანთან მიმყვანი“; მეთოდი, სულიერი ვარჯიში; სულიერი პრაქტიკა; სულიერი რეალიზაციისთვის წარმოებული დისციპლინა.

სამსარა (სანსარა) - წარმოქმნა, ხეტიალი, წრებრუნვა; ცხოვრების სამყაროებრივი ნაკადი; სხვადასხვა მდგომარეობების გავლა; აღნიშვნა სამყაროებრივი ყოფიერებისა, რომელიც დაკავშირებულია დაბადებათა მწკრივთან და ერთი არსებობიდან მეორეში გადასვლასთან, აგრეთვე ცოცხალი არსებებით დასახლებული სამყაროებისა, რომლებშიც ეს გადასვლა ხდება; ვიწრო გაგებით – ოჯახი; ნათესაური მიბმულობები.

სანატანა-დჰარმა - „არაწარმავალი *დჰარმა*“; უნივერსალური *დჰარმა*; მარადიული უნივერსალური რელიგია; სამყაროს კანონს მიყოლა.

სანატკუმარა - „მარად ახალგაზრდა“; ღვთაებრივ ბრძენთა (*დევარიშთა*) შორის ყველაზე უფრო ღირსეული, ბრაჰმას ოთხი ვაჟიდან ერთ-ერთი.

სანკალპა - მიზანი ან გეგმა; სურვილი, ნება; ნებისყოფა; ნების გამოვლინების აქტი; ღვთაების ნება.

სანქჰია - ანგარიში; გამოთვლა; განხილვა; ჭეშმარიტების ანალიტიკური გაცნობიერება, უმაღლესი სულისა და მატერიის ერთმანეთისაგან ანალიტიკური გარჩევა. ძველი ინდოეთის ექვსი ფილოსოფიური ორთოდოქსული სისტემიდან ყველაზე უფრო ძველი. მის შესახებ ბჰაგავად გიტაშია ნათქვამი; საწყის ფორმაში იგი უპანიშადებში გვხვდება, მის დამაარსებლად ლეგენდარული ბრძენი კაპილა ითვლება. ხასიათდება რაციონალიზმით და დუალიზმით, რადგან ცდილობს მთელი ქმნილება ახსნას ურთიერთ კავშირიდან ორი თავდაპირველი რეალობისა – ბუნებისა და უმაღლესი სულისა, ცნობიერებისა. *სანქჰიამ* დაამუშავა სწავლება მატერიალური ბუნების შემდგენი ბუნების სამი თვისების (*გუნას*) და 26 *ტატვას* (ფუნდამენტური პრინციპის) შესახებ. ს. *იოგას* საფუძველში დევს, ახლოსაა ბუდიზმთან სწავლებით ტანჯვისა და მისგან ხსნის შესახებ.

სატვა (სატვაგუნა) - ბუნების სამი ფუძემდებლური თვისებიდან (*გუნადან*) პირველის დასახელება, რომელიც სიმშვიდეს, სისუფთავეს, სიწმინდეს განასახიერებს; ჰარმონიული კარგი საწყისი; სანგვინიკური ტემპერამენტი.

სატეური - *სატვას*, ანუ სიმშვიდის, ჰარმონიის, სისუფთავის, სიწმინდის მატარებელი.

სატია(მ) - სიმართლე; ჭეშმარიტება, რეალობა; მარადიული, აბსოლუტური და უცვლელი ჭეშმარიტება.

სატიავატი - „ჭეშმარიტებაზე დამყარებული“, სულიერი პრაქტიკა, ღმერთის თაყვანისცემის ერთ-ერთი გზა, რომელიც დაფუძნებულია იმ რწმენაზე, რომ ღმერთი ყველგან და ყველაფერშია.

სატ-ჩიტ-ანანდა - ყოფიერება-ცნობიერება ნეტარება ან ჭეშმარიტება-ცნობიერება-ნეტარება; უძველესი წმინდა სანსკრიტული ფორმულა; ის, ვინც აღვსილია მარადისობით, ცოდნით და ნეტარებით; ღმერთი როგორც ამ თვისებების შუაგული.

სეადჰარმა - ინდივიდუალური *დჰარმა*; ადამიანის ვალი, რომელიც მისი ბუნებიდან, სულიერი განვითარების დონიდან და საზოგადოებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს; მის მიზანს წარმოადგენს თავისი უმაღლესი „მე“-ს რეალიზაცია; ქცევის კოდექსი, რომელიც ადამიანის საზოგადოებაში მდგომარეობის შესაბამისია.

სეაჰნა - სიზმრების ფაზა.

სთჰულა-შარირა - „უხეში სხეული“, მას განეკუთვნება ფიზიკური გარსი (სხეული) და ვიტალური გარსი – *პრანა*.

სიბი - ლეგენდარული მეფე ანუს გვარიდან, რომელმაც „შევარდენს“ (ღმერთ ინდრას) თავისი სხეული მისცა, რომ მასთან დაცვის თხოვნით მისული „მტრედი“ (ღმერთი აგნი) დაეპურებინა, როცა ღმერთები მასთან გამოცხადდნენ, რომ მის მართლქმედებაში და სამართლიანობაში დარწმუნებულიყვნენ (მაჰაბჰარატა).

სიდჰა - განხორციელება; სრულყოფილება; მრ. რიცხვში – თვითდისციპლინის მიზნები, რომლებიც *იოგას* მეშვეობითაა მიღწეული; არაჩეულებრივი ან ოკულტური ძალები.

სიდჰაპურუშა - „მიღწეული პიროვნება“, ის, ვინც სულიერი პრაქტიკის საბოლოო მიზანს მიაღწია.

სმრიტები (პირდ. „მეხსიერება“) - ტექსტები, რომლებიც ვედების საფუძველზეა შედგენილი და ქცევის ნორმებს აწესებს ადამიანებისთვის, რომლებიც ცხოვრების გზის სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებიან და საზოგადოებაში სხვადასხვა მდგომარეობა უკავიათ.

სოჰამ (*სო-აჰამ*) - „მე ვარ ის“ ან „ის არის მე“ - სანსკრიტული სიტყვების *სო* (ის) და *აჰამ* (მე) შეერთება წმინდა ფრაზაში; გამოთქმის აზრია ადამიანისა და ღმერთის იგივეობა; *მანტრა* სოჰამ-ის ბგერა შეესაბამება ჩასუნთქვას და ამოსუნთქვას.

სუშუპტი - ძილის ფაზა: ღრმა, მშვიდი ძილი სიზმრების გარეშე, როდესაც ადამიანის გონება და გრძნობათა ორგანოები არ ფუნქციონირებს, ღრმა ძილის არაცნობიერი მდგომარეობა.

სუჯნიანა - კარგი ცოდნა, სწორის და არასწორის, კარგის და ცუდის ერთმანეთისგან განსხვავების უნარი, იმის განსაზღვრის უნარი, შესრულებული მოქმედებები უკეთესს გახდის თუ არა თვით ადამიანს და სხვებს.

ტ

ტამასი (ტამასგუნა) - სიბნელე, წყვედიადი; სიბლაგვე; პასიურობა; ბუნების ფუძემდებლური თვისებებიდან (*გუნებიდან*) მესამე; ჩამორჩენილობის, ინერტული საწყისი; მელანქოლიური ან ფლეგმატური ტემპერამენტი.

ტამასური - *ტამასის* ბუნებისათვის დამახასიათებელი: ჩლუნგი, მოშვებული, ინერტული.

ტაპასი - სითბო, სიცხე; ასკეზის სიცხე, რომელიც ცოდვას წვავს და ყოველგვარი *კარმა* ფერფლამდე დაჰყავს; ასკეტური პრაქტიკები ან სისტემატური ასკეტიზმი ცხოვრების უმაღლესი მიზნის მიღწევისათვის; სხეულის დაუძღურება; მონანიება.

ტატვა - ქსოვილის საფუძველი; არსებითი ბუნება; არსი; პრინციპი. *სანქჰიას* ფილოსოფია ასწავლის ბუნების (*პრაკრიტის*) 26 საფუძველს, ანუ პრინციპს.

ტრეტა-იუგა - ინდურ კოსმოგონიაში – მესამე სამყაროებრივი პერიოდი; ევროპული ტრადიციის თანახმად - „ვერცხლის ხანა“.

ტიავა - უარის თქმა, განდგომა; განდგომა არა მხოლოდ სურვილის ობიექტისგან, არამედ თვით სურვილისგანაც; მსხვერპლი; თავგანწირვა.

ტიავა-ბჰუმი - „განდგომის მიწა“; უმაღლესი თვითგანწირვის მიწა.

ტრიპუტი - ინტეგრალური რეალობა, რომელიც ადამიანის არსებას (*ჯივას*), ღმერთს (იშვარას) და სამყაროს (*პრაკრიტის*) აერთიანებს.

უ

უპადჰი - საცავი, ჭურჭელი; გარეშე ფორმა, სახე, გარსი; სხეული როგორც გარსი სულისთვის; ინსტრუმენტი, გამტარი.

უპანიშადა - იღუმალი ცოდნა (*უპა-ნი-სად* - „ჯღომა {მასწავლებლის} გვრდით“) – დასახელება ვედური ტექსტების ჯგუფისა, რომელიც რიგვედის ჰიმნების შინაარსის ფილოსოფიურ დასაბუთებასაა მიძღვნილი (იხ. ვედები), და ამ ჰიმნებზე დამყარებული რიტუალისა. დასახელება *უპანიშადა* აიხსნება იმით, რომ ამ ტექსტებში არსებული ინფორმაცია უადრესად ეზოტერიკულ ხასიათს ატარებდა და მასწავლებლიდან მოსწავლეს გადაეცემოდა ზეპირი სახით. ინდური ტრადიცია 108 უპანიშადას ითვლის, რომელთაგან 10 ითვლება როგორც მთავარი. უპანიშადებში მუშავდება სწავლება სამყაროებრივ სულზე, სამყაროებრივ ცნობიერებაზე, აბსოლუტური ჭეშმარიტების ახლო ასპექტზე (*ბრაჰმანზე*) და მათს კავშირზე ინდივიდუალურ ადამიანურ ცნობიერებასთან.

უპასანა - თაყვანისცემა; პატივისცემა, რომელიც რიტუალურ მოქმედებებთან ასოცირდება; ღვთაებრივის დაუფლებისთვის გამოყენებული საშუალებები; ღმერთის თაყვანისცემა.

ფ

ფჰალამ - ხილი; ნაყოფი; შედეგი, ჯილდო.

ქ

ქშატრია - მეომრული, მეომარი; საზოგადოების დაყოფის ვედურ სისტემაში – მეორე *გარნის*, „ორჯრ დაბადებულთა“ წევრი (ანუ ის, ვინც განსაკუთრებული განდობა მიიღო) – მეომრების, მმართველების, დიდგვაროვნებისა.

ქშეტრა - ველი; ხნული; ბრძოლის ველი; ადგილი (მომლოცველობისა); სადგომი; ადამიანის სხეული როგორც სულის ადგილსამყოფელი; *იოგაში* – სხეული როგორც ცნობიერების ველი.

ქშეტრაჯნია - „ველის ბატონი“ ან „ველის მცოდნე“; ის, ვინც ველი შეიცნო, ანუ უკვდავი უმაღლესი სული, რომელიც სხეულში ბინადრობს (*ატმანი*).

შ

შანკარაჩარია (შანკარა, ადი შანკარა) (788-820) - სამხრეთ ინდოეთის *ბრაჰმანის*, ფილოსოფოსის, პოეტისა და სარწმუნოების მოძღვრების მასწავლებლის სახელი, რომელმაც ადვაიტა-ვედანტის, „არაორობითობის“ ფილოსოფიური მოძღვრების, ძირითადი დებულებები დაამუშავა. შანკარას მთავარი ნაწარმოებებია „ბრაჰმა-სუტრას“ და 10 მთავარი უპანიშადის კომენტარები.

შასტრა - მითითება, წესი, წმინდა კანონი; სამეცნიერო ტრაქტატების ძველინდური დასახელება, რომლებიც მიძღვნილია რელიგიურ-ფილოსოფიურ პრობლემებს და სოციალურ ქცევათა (დჰარმაშასტრა) პრობლემებს, აგრეთვე პოლიტოლოგიას (ათჰაშასტრა) და ცოდნის სხვა დარგებს (მაგ., მათემატიკას, ასტრონომიას, არქიტექტურას და ა.შ.).

შაქთი - უნარი; ძალა; ღმერთის აქტიური შემოქმედებითი ენერჯია; ხშირად პერსონიფიცირდება როგორც ღვთაების ქალური ჰიპოსტასი, მისი მეუღლე (მაგ., შივას *შაქთი* – პარვატი); ქალური ენერჯიის არსი.

შივა - „კარგი“, „მოწყალე“; ინდუისტური ტრადიის სამი მთავარი ღმერთიდან ერთ-ერთი, მოშლის კოსმოსური ძალის განხორციელება.

შიშია - მოსწავლე; მიმდევარი

შლოკა - განსაკუთრებული მეტრული ზომა, რომელიც სანსკრიტულ ეპიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება, ლექსის ფორმა 4 ნაწილად, ანუ *პადად* (ყოველ *პადას* 8 მარცვალი აქვს).

შრავანამ - მოსმენა; *გურუშ* მოსმენა; საღვთო წერილების, უფლის შესახებ თხრობების მოსმენა; სულიერი მოსმენის პროცესი – ღმერთის თაყვანისცემის ცხრა სახიდან ერთ-ერთი.

შრუტები - „შესმენილი“; მოსმენის პროცესში მიღებული ცოდნა; საღვთო წერილებს, შრუტებს, ავტორები არ ჰყავს და უდავო

ავტორიტეტი გააჩნია როგორც ღვთაებრივი გამოცხადებები. ასე აღინიშნება ვედები მათს დამატებებში – ბრაჰმანები, არანიაკები (რელიგიური და ფილოსოფიური წერილების ნაირსახეობა, რომლებიც ბრაჰმანებთან მჭიდროდაა დაკავშირებული) და უპანიშადები.

შუდრა - ინდური საზოგადოების 4 *ვარნიდან* დაბლის, ბოლოს წევრი, ადამიანის ყველაზე უფრო განუვითარებელი ტიპი, თუმცა არაკვალიფიციური სამუშაოებისთვის და მომსახურებისთვის გამოსადეგი.

ჩ

ჩაიტანია (1485-1533) - ბენგალელი რელიგიური რეფორმატორი, წმინდანი, კრიშნას თავგამოდებული ერთგული, მოძრაობა *ბჰაქთისა* და საზოგადოება კრიშნას ცნობიერების დამაარსებელი.

ჩაკრა - ბორბალი; წრე; დისკო; ვიშნუს და კრიშნას იარაღი; ცენტრი ნერვულ სისტემაში; ცენტრი ფაქიზ სხეულში, ენერგეტიკული ცენტრი. ადამიანს 7 მთავარი *ჩაკრა* აქვს.

ჩიტ - ცნობიერების უმაღლესი ფორმა, რომელიც სუფთა, ჭეშმარიტ ყოფიერებას შეესაბამება; სრული ცოდნა.

ჯ

ჯაგატი - გამჟღავნებული სამყარო, კოსმოსი, რომელიც უწყვეტ ცვლილებას ექვემდებარება.

ჯაგრატ(ა) - „გამოღვიძება“; „მღვიძარობა“.

ჯივა - სხეულში განხორციელებული სული.

ჯივატმანი - „ცოცხალი უმაღლესი სული“; სხეულში განხორციელებული უმაღლესი სული, ინდივიდუალური სული.

ჯივი - ცოცხალი არსება, ინდივიდუუმი.

ჯნიანა - ცოდნა, პირველ რიგში სულიერი, ჩვეულებრივად უბრალოდ საერთო ცოდნა; გამოღვიძებული ცნობიერება; უმაღლესი უნივერსალური სიბრძნე.

ჯნიანა-იაჯნა - „ცოდნის მსხვერპლად შეწირვა (დაუფლების გზით); შესწავლა და საღვთო სწავლებებზე ფიქრი.

ჯნიანა-იოგა - შეცნობის *იოგა*, სულიერი სიბრძნის *იოგა*; *იოგაში* ოთხი ძირითადი მიმართულებიდან ერთ-ერთი – თვითრეალიზაცია და სამყაროს ჭეშმარიტი ბუნებისა და საკუთარი თავის შეცნობა.

ჯნიანა-მარგა - სიბრძნის გზა.

ჯნიანი - „მცოდნე“; ბრძენი; უმაღლესი ცოდნის მფლობელი, რეალიზებული პიროვნება.

კ

პირანიაგარბჰა - „ოქროსფერი კოსმოსური ჩანასახი“; მისგან სამყარო მჟღავნდება; გაიგივებულია ღმერთ-შემქმნელ პრაჯაპატისთან, მოგვიანებით კი – ბრაჰმასთან; კოსმოსური გონი.

სარჩევი

წინასიტყვაობა სიბრძნისა და სინათლის ველი -----	6
<i>თავი 1</i> უმაღლესი რეალობა -----	12
<i>თავი 2</i> სიმაართლიდან სიმაართლემდე -----	18
<i>თავი 3</i> მხოლოდ ერთი -----	25
<i>თავი 4</i> საოცრებათა შორის საოცრება -----	32
<i>თავი 5</i> ძირითადი რწმენა -----	38
<i>თავი 6</i> რელიგია გამოცდილებაა -----	45
<i>თავი 7</i> იყავ თავისთავადი -----	51
<i>თავი 8</i> დამოკიდებულება -----	56
<i>თავი 9</i> მთლიანთან ერთიანობა -----	61
<i>თავი 10</i> იოგები -----	66
<i>თავი 11</i> ღირებულებები ვედებში -----	81
<i>თავი 12</i> ღირებულებები უფრო გვიანდელ ტექსტებში -----	86
<i>თავი 13</i> ავატარი როგორც გურუ -----	96

<i>თავი 14</i>	
ეს და ის -----	110
<i>თავი 15</i>	
ღონეები და სტადიები -----	115
<i>თავი 16</i>	
ადამიანი და ღმერთი -----	120
<i>თავი 17</i>	
რასები და კასტები -----	127
<i>თავი 18</i>	
მოქმედებები და ქცევები -----	134
<i>თავი 19</i>	
ლოცვა -----	141
<i>თავი 20</i>	
მთავარი მიზანი -----	148
<i>თავი 21</i>	
შინაგანი გამოკვლევა -----	162
<i>თავი 22</i>	
მარადიული ჭეშმარიტებები -----	176
<i>თავი 23</i>	
თაყვანისცემის წესები -----	198
<i>თავი 24</i>	
ღვთაებრივი სხეული -----	213
სანსკრიტული სახელებისა და ტერმინების ლექსიკონი -----	222